

1976/3



გეოგრაფია



1976



ენათობი

საქართველოს
მწერთა კავშირი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორიული

წელიწადი 52-ე

№ 5

მაისი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქცია — ლექსები	3
გიორგი სურგულაძის — ვიკონის ზედაში. მოთხრობა	10
გიორგი მინდიაძე — ლექსები	34
გივი ალხაიციანი — ლექსები	36
რაფაელ კობიაძე — გვირგვინ ფოთლები. რომანი. გაგრძელება	41
ილია ხოჭარია — ლექსები	74
ზურაბ კახიანი — მგლები, ფათები და აღმნიანი. მოთხრობა	76
ლია სტურა — ზღვის მოქცევა. პოემა	80
ნიკოლოზ გაბაშვილი — აინიანი ბაღები. რომანი. გაგრძელება	92
ნაზი ვაძიანი — გარდ-ფურცლების დღეები. ლექსი	130
მიხეილ შივაძე — უცნობი უარისაყვის საფლავი. მოთხრობა	131
ოთარ ჩხვიანი — მოთხრობები	138

კრიტიკა და კომპლემენტები

აკაკი შანიანი — ვიზუალური ხელოვნების საკითხები	143
ანდრეას ვარლამოვილი — დიდი სივრცის დრამატურები	146
გიორგი ჯაფარიძე — ხელოვნების პროგრესის პრობლემა	153
გიორგი ბარბაქაძე — ზემოთისა და სივრცის გვირი	164
აკაკი ხინთიბიძე — გველი და ახალი რიტუა	174
დავით ჯიქია — წარსულის მივიწყებული ფურცლებიდან	186

შთავარი რედაქტორი ბიორგანი ნატროსვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, კ. აბაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბარაღაძე, თ. გიგინეიშვილი, ვ. ლაბა-
ნიძე, ლ. მარაშვილი, ხ. ძლანდი, ა. სულაბერი, ა. ქუთათელი, ს. შანთიაშვილი,
დ. შინგულია, ნ. წულუისკერი, ვ. წულუაძე, თ. შილაძე, ხ. ხარანაული, კ. ჯაფარი-
ძე, ვ. ჯობაძე.

ტექრედაქტორი რ. ნაკვებავა

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის ქროსვეტი № 12.

ბალანსონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებე-
ბის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

ვადაცა ასაწეობად 20/IV-76 წ. ხელმოწერი-
ლი დაბეჭდვად 18/V-76 წ. ასაწეობის ზომა
 $7\frac{1}{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108\frac{1}{2}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, სალ-სავაჭრომცემლო
თაბაში 16,58

უე 00130. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 1467
საქ. კა ც-ის გამოცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რიკა — სინათლე

წვიმაში ანუ როლის დავსყნარდები?

78487
13481

ამ სიმძიმე ღრუბელს
უშმა როგორ უძლებს!
ალბათ უნაგირი
ტვირთმა ჩაუზნიქა.
ღრუბლის მღვრიე ტალღა
უხათქუნებს გულზე,
მკერდი დაუსერავს
ელვასა და გრიგალს.
ამ სიმძიმე ღრუბელს
უშმა როგორ უძლებს!

უშმა შუბლმალალი
ზეცას მიბჯენია,
მიწას დაყრდნობია.
ირგვლივ ნისლეზია,
მჭისე ნისლეზია,
გალმა სათიბია,
მწვანე ტატნობია,
ღრუბლით მძიმდებიან,
ნისლით ივსებიან.
უშმას ღრუბლისაგან
სული ესუთება,
ტვირთმა ამოდენამ
ტანი დაუმძიმა —
ქარმა გადმოდენა,
მკერდზე დაუწვინა,
მკერდი დაუსველა,
მზრები დაუწვინა.

მზეც თვალს მიეფარა,
მზემ არ გაუცინა.
ჯიხვიც ღრუბელშია,
ჩიტიც ბუდეშია,
სცივა, მიუუქულა,
ავდრის ეშინია.
ჩქერიც გადირია,
ქარიც შემოილია.
ხვივის გასაოცრად
ღელე ღორღინი,
თურმე არა ჰყოფნის
ძველი კალაპოტი.
თაეკვე მოღრიალებს,
კლდეში მოგრილებს,
აღვირ — აწყვეტილი,
როგორც ქარაშოტი.
წვიმს და გადაღებას
აღარც ველოდები,
ელვამ გადასერა
სველი შენობები...
გალმა სათიბია,
იქვე იფნებია
მის ქვეშ მთიბველებმა,
რა ქჷნან არ იციან:
ელვას მოუთიბავს
მათი მოხათიბი.

დალღას აღარა აქვს

აქვს...
სსრ კ. მარტოვი
საბ. საბ. რესპუბ.

ღამის გასათევი-
ღრუბლის მძიმე ტანი
ისე იბერება,
ისე იბერება,
როგორც ბაყბაყდები.

წვიმს და წვიმა მგონი
ალბათ გადაიღებს.
ქარიც გადიკარებს,
უშმაც განათდება.
მდელის სახარირმეს,

კლდეებს ნაჯიხვარებს
ელის გალაღება!

მე კი აწყვეტილი,
წვიმას აყოლილი,
ელვას ადევნილი,
გრიგალს შერჩეული,
ცაში ასროლილი
ღრუბლის ნაფლეთივით,
დამწვარ ბალახების
კვამლით შემოიღილი —
როდის დავწყნარდები?

გულთა საუბარი

რა სიხარულიც
ქვეყნად მოვიმკე
სხვას გადავეცი
გასალეწავად.
ისე გაფრინდა
გიორგობისთვე
სულმოსათქმელად
ალარ მეცალა!

რა სიხარულიც
ჩემში დახვავდა,
სხვას გადავეცი
სანიავებლად.
რა სიკეთესაც
ქვეყნად ვნახავდი,
მინდოდა ლექსად
აბრიალება!

სიმწრის დღეებიც
მახსოვს მსუსხავი,
გასაჩუქებლად
არ ვიმეტებდი.
დამრჩა სხვის მიერ
ალუნუსხავი
ჩემი ტკივილი
და იმედები.

თუკი წუხილი
იყო საერთო,
მავიაც მენტო

დარდის ბუხარი,
მაშინ შემეძლო
ლექსად გამენდო,
სხვისათვის
დარდი და საწუხარი.

ბევრჯერ მიგრძენია
ჩემი შეკრთომა,
კარგად არ ცრიდა
ჩემი საცერი
და შემრჩა ბედად
ბევრი შეცდომა
დაუფიქრებელ
ხელით ნაწერი.

მაგრამ ვიყავი
მუდამ გულდია,
არ გამიკაფავს
გზა სითამამით
და საავკაცოდ
ხელს არ უცდია
აელო ჩემი
საწერ კალამი.

და ასე შევრჩი
სინდისს ბოლომდის,
სულს მიბრუნებდა
ფიქრი კეთილი.
არც მსურდა მაყრად
სხვას გაეყოლოდი

სხვის ახალხში
გამოწყვილი.

სხვის მდიდრულ სუფრას
ჩემსას ვარჩევდი,
ხმელა პურს ეპყრო
ჩემი ტაბაკი.

გულს მიხარებდა
ჩემი ბავშვების
ყვილ-ხივილი
და ლაპარაკი.

... ასე რომ როცა
ბინდი მეწვევა

და სამუდამოდ

შუბლს გავიგრილებ, **ჩემს მუხლს**
არ მსურს დახედონ **ბაღირთა**
ჩემმა მერცხლებმა
ვალისმოძებულთა
მოძღვნილ გვირგვინებს.

სიტყვას საკუთარ თავს
ვესესებდი,
იმ ლექსს, რომელსაც
დავფოფინებდი:
„მე ჯერჯერობით
ვცოცხლობ ლექსებით
და ხვალინდელი
დღის მაქვს იმედი!“

ახანახა — თიბვის ღვინოსაჲნი

შაი, შაი, ისევ ახალს
და გულითადს ვიტყვი შაირს.
როგორც ვიცით ახანახას,
ქანვს დაუძახებთ ათასნაირს.
ახანახა,
ახანახა,
სიზმრად გხედავ, ცხადშიც გნახავ!
მომენტატრა თქვენი ნახვა,
მზე ვით ადგას ლორთქო ზვინებს
და დარცხვენოლ მზეთუნახავს
თვალი როგორ უციმციმებს.
ახანახა,
ახანახა,
სიზმრად გხედავ, ცხადშიც გნახავ!
ფიწლის წვერზე როგორ გაღობს
გადაღლილი მოლაღური,
ჩვენი გულის სამოწყალოდ
ცხრა ქანგი აჭებს მონახული.
ერთი მაინც დამასწავლა,
ერთი მაინც მამბობინა,
შეგჩვევივარ თაფლისთვალას

მორეული ბაღობიდან.
ახანახა,
ახანახა,
სიზმრად გხედავ, ცხადშიც გნახავ!
შაი, შაი, ისევ ახალს
შემოვძახებ მზიან შაირს,
ბულულებში შესანახად
ყრმობის ფიქრებს ათასნაირს.
ფეტვიან პურს — გვერდდაბრუნოს
ჩემს კბილებში ნოწკაწკავებს.
გალიმებულ ცისფერ ასულს,
განათებულ მთიბვლის სახეა.
ახანახა,
ახანახა,
შაირს გეტყვი ახალ-ახალს.
არ იქნება ახლაც გვიან,
ვერ ვიშვებ შესანახად
ერთ სიმღერას ელვის ფრთაქანს.
ახანახა,
ახანახა,
სიზმრად გხედავ, ცხადშიც გნახავ...

ჩემს მუხას

შენ რაც გაიღე, რად გებევრება,
ჯერ არ ჰქცეულა თქნის პწყარებად,
შენგან მოძღვნილი ბედნიერება
მე ჯერჯერობით მეცოტაეება.

ვიდრე ცოცხალ ვარ — შევლას მოველი,
მხოლოდ შენი ვარ მონა-მორჩილი
და მუდამ ვნატრობ სიტყვა ყოველი
შენს ცხელ ქურაზე იყოს მოჭრილი.

ზნაგებნში ვაჟის ნააზროზიდან



ვიცოდი,
 თურმე კარგად ვიცოდდი,
 ის, რაც მსმენია
 წინაპართაგან:
 — რა გინდ უღმობელ ცეცხლში იწოდე.
 ტკივილს ყოველთვის უნდა ატანა!
 ვიცოდდი,
 მაგრამ თურმე ვიწვოდდი,
 რადგან სიცოცხლის
 მქონდა ხალისი.
 და როცა ლექსის მთხზველი მიწოდეს,
 მაშინ შევიქენ შესაბარალისა.
 წინაპრის ფიქრიც
 კარგად ვიცოდდი...
 იმედი ჰქონდათ მუდამ გაძლების,

მაშინაც როცა
 ცეცხლში იწოდნენ
 ლოცვით ნაშენი ციხე-ტაძრები!
 ვიცოდით,
 ცეცხლში რისთვის ვიწვოდით.
 აღზე თებოდა ბევრი ავსული,
 მაინც ეტრფოდა
 წარადისობას
 ჩემი მშფოთვარე ქვეყნის წარსული.
 მახსოვდა,
 თურმე კარგად ვიცოდდი
 ის, რაც მსმენია წინაპართაგან:
 — რაგად მძინვარე ცეცხლში იწოდე,
 ტკივილს ყოველთვის უნდა ატანა!

ოჩის ზეგვზ. აიკვალ ღვავაში

შემორჩენილი დღეობიდან

ხვალღიდან ველი
 მხოლოდ სიმშვიდეს,
 წყნარ და თბილ დღეებს
 შეუფოთველებს.
 დაწმენდილ ქაერს,
 სუფთა ცისკიდეს,
 როგორც უყვართ
 თანასოფლელებს.
 ველი სიმშვიდის
 უხმო ბრძანებას
 და საცა არის
 ჩასთვლემს სიფიცხე.
 ეს სამი დღეა
 ჩემმა თვალებმა
 აბრიალება
 გადაივიწყეს.
 ხვალღიდან ველი
 სრულ დამშვიდებას,
 ქარიც ჩამდგარა
 მშფოთვარ მუხლებში.
 მხოლოდ სიმშვიდე
 ჩემს სულს სჭირდება
 და არა ოჩის
 სუნთქვა უხვეში!

დავღლილვარ თურმე,
 ძლიერ დავღლილვარ
 და გულის მესმის
 უხმო ბრძანება.
 თითქოს სიჩუმის
 შუკი მადლიდან
 ეშვება ჩემდა
 დასაამებლად.
 ვგრძნობ ამ სიჩუმის
 მოახლოებას,
 ლოყას ეხება
 ფრთა მყუდროების,
 ოდნავ დავმშვიდდევ,
 თუნდაც დროებით
 დაცხრეს შემკრთალი
 ქუთუთობები.
 დუზა სიმშვიდის
 ზღვაში ჩაუშვი,
 თვალნათლივ ვხედავ
 სუფთა ცის კიდეს.
 გაზრდილს მეზის და
 ელვის ხმაურში
 ცოტა ხნით მაინც
 მინდა სიმშვიდე!

კარგად არც კი ვიცი,
წელს იყო, თუ შარშან...
წყენა, როგორც ხიწვი
გონებაში ჩამრჩა!
გამებზარა ჩანგი
და უცეცხლოდ ვიწვი...
მე კი მხოლოდ კარგის
დახსომება ვიცი.

ცუდს ნუ მომაგონებ,
თუგინდ ერთი წუთით,
გულს სიკეთის მჭონეს
რად სჭირდება ცუდი?
მაგრამ, რისთვის, რატომ
ტკივილს რად მგვრის ხიწვი...
როგორ გაგიმარტო
ეს კი აღარ ვიცი.

ს ს ვ ა თ ა შ ო რ ი ს

დავღლილვარ?

არა!

დაღლას ვინ ჩივის.

წინ რვეული დევს

ხელუხლებული.

მე მომკლავს ალბათ.

ლექსის შიმშილი,

როცა სავსეა

ხორბლით ბელღლი!

ან იქნებ მართლა

ჩემს დროს ჩამოვრჩი?

არ მომასვენებს

მაშინ სირცხვილი.

ან იქნებ ჩემს ძველ

კარმიდამოში

არ ბრუნავს, არ ფქვავს

ჩემი წისქვილი?!

დავღლილვარ?

დაღლა რა შუაშია,

მგოსნური ფიქრით

ოდნავ გავერთე!

ხედავ, ჭადარი

რა ამბავშია,

მისი კენწერო

სწვდება პლანეტებს.

იქნებ მჭირდება

დრო დაფიქრების,

გავრთულვარ ათას

დავიდარაბით.

რად მივიწყებენ

ჩემი იფნები,

რატომ მიჩუმდა

ჩემი ჟალაბი?

რა ვიცი... იქნებ

გადამივიწყებს

ჩემმა ლამაზმა

გოგო- ბიჭებმა

და აღარ ახსოვთ

მაღალ სიმინდებს

ყანაში ჩემი

შემობიჯება!

იქნებ ვენახმა,

ჩემმა ვენახმა,

ვინაც მომსწრეა

ჩემი დილისა.

ჩემი ხმა უნდა

იგრძნოს ხელახლა,

თუ სამუდამოდ

გადამივიწყა?..

იქნებ, რა ვიცი...

მძლიეს ეჭვებმა,

აღარ გალობენ

ჩემი ჩიტები?

იქნებ ვერ ზიდეს

ჩემმა ბეჭებმა

ლექსის მტევნებით

სავსე გიდელი?

იქნებ ჰკონიათ

ქვეყნად ზოგ-ზოგებს,

რომ ლექსზე ფიქრი

აღარ მაწვალებს.

თვით გადაახტენ

სხვათა ორღობებს

და მზა-მზარეულს

კარეფენ ვარსკვლავებს?

რად ავიწყდებათ

რომ ლექსს სჭირდება

სხვისი ტოტების

ვასხელა-შესხელვა!

ან სხვისი კალო
რად ავიწყდებათ,
სხვისი ხელხვავი
რად ებეფრებათ?
ეს სხვათაშორის...
ლექსად გამოფთქვი,

რაც მაწუხებდა
დარდი მცირედი.
მეც წარმართივით
არ მწამს სამოთხის,
მხოლოდ დღევანდელ
დღის მაქვს იმედი!

მალა. ჟაბეშვი...

მალა, ჟაბეშვი
სიხარულის ცეცხლი განელდა,
როცა ავადმყოფს
თვალი მოვკარ, სილო მარგიანს.
გამღვალი თოვლი
ეზოს ქვემოდ მიწანწკარებდა
და დალის მღვიმე
შერჩენოდა წანერს თვალდია.

დავსხედით ძველი
მონადირის თავსასთუმალთან,
ძვირფას ახლობელს
ტკივილს მე რით გავუყურებდი.
მძიმედ სუნთქავდა
მოყვარული კაცი სტუმართა
და ახლაც ღიმილს
დაეფარა მისი ტურები.

შემხედა, მიცნო...
თითქოს ხელი ოდნავ გამართა,
გასაუბრება
თვალთ სცადა, სიტყვის უთქმელად.

ამოიოხრა,
უწყინარმა ძველმა თამადამ
და ოხერა მისი
იყო ჩვენი ლოცვა-კურთხევა.

მძიმედ სუნთქავდა
ერთ დროს ელვა და ერუანტელი,
ჯიხვთა ქომაგი
და ამავე დროს ჯიხვთ დამთრფველი.
მოუსვენარი,
დაუღლებელი სული ჯანმრთელი,
რომელსაც მუდამ
შეშხაროდა მთელი სოფელი.

იმ დღეს არ თოვდა,
მაგრამ თოვლი გუშინწინდელი
ლღვებოდა მზისგან
ოდნავ შემთბარ ფიჭვის ყავარზე.
გარეთ კი თბილი,
საოცარი და მიმზიდველი
ფაფუკი თოვლი
მიცურავდა მულებრის ტალახზე.

რ. სომეხა ჭუნისკა

ხანდახან, ჩუმად
სიხარულის ცრემლს ვიშმარალებდი,
როცა ღუღუნი
შემომესმა ჩემი ჭუნისის.
ჩემს გონებაში
ატყვირიალდენ ცხელი პწკარები
იმედიანი და
ახალი ხმით აღჭურვილი.

მივიწყებულმა
შთავიწებამ ხელი დამტაცა,
ჭუნისის სიმი
გახდა ჩემი მონა-მორჩილი
და ბგერა მწველი,
მოსხლეტილი, როგორც ანდაზა
სიმზე დაფრინდა
მგალობელი თმა-აჭორჩილი.

რა სთქვა ჭუნირმა,
გასანთლულმა რა სთქვა ქამანმა?
რა სთქვეს სიცოცხლის
მგალობლებმა — ჩემმა ბგერებმა?

— ბედნიერებას
არასოდეს უნდა დამალვა,
თუ მართლა გულს და
ნაპერწყლიან სიმს ემღერება!

ჰა. მულახი

აჰა, მულახიც...
დართვილული ჩემი მულახი,
გასაოცარი
ქრუანტელით უბე მევსება.
აგერ ფერდობზე
შეჭიხვინებს მზის სხივს ულაცი
და შუბლზე ხელი
მოიჩრდილეს სოფლის მწყემსებმა.

აგერ წისქვილი,
თოვლსა და ფქვილში ამოგანგლული,
აგერ მდულარე
რკინისწყალის ჯანგი ლოდებზე...
არ გააწბილო,
შთაგონებაჲ, ჩემი ჩანგური —
უნაზესი და
უტკბილესი სიტყვა მოძებნე..



ბიოგრაფიული ხარკვაშვილი

მირონის ზედაში

მოთხრობა

დილითვე გადაეკარებინა წუხანდელ ნაწვიმარ ცას. პირნაბანი მზეც ქალწულის ღიმილით გადმოსცქეროდა თავის საუფლოს. იისფერი, სურნელოვანი რრთქლი ასდიოდა წვიმიით გულნაჭერებ დედამიწას. სიმტკე მომატებოდა გაღამწვანებულ მთა-ველს. ხასხასებდა მუხლში შესული ყანაც, რომელიც სოფლის მოშორებით ბაღ-ვენახების შუა გაშლილ გალაღებულიყო და შორიდანვე რომ გაგებედათ, მწვანე ტბორეს მოგაღონებდათ, ვრცელსა და ღრმას, ტბორესავეით მღორედ მოძრაობდა, დინჯაუ მიიტალებოდა. მუქბაცად ლიელოვებდა, თვალის მოსატაცად ლაღანებდა ნამნაკურები და სხივნაალერსები.

ხვეული ბილიკი იყარგებოდა იმ ორსულ ყანაში.

სამნი მისთელავდნენ ბალახოვან ბილიკს.

წინ მიაბიჭებდა გამხდარი კაცი, რომელსაც სამი ათეული წელიც არ იქნებოდა მოლეული, მაგრამ გაცილებით ხნიერის იერი დაჰკრავდა. ნაადრევად დათრთვილოდა სქელი თმა. არეულ წარბებსა და დავიწროებულ უღვაშებსა შემორჩენოდა სიშავე. სახეც დაღლილი და ნაწკმები მოუჩანდა,

შემხმარი, გაროქნილი, ღრმად დანაოქებული, ცხოვრების აღმურში გამომწვიარ-გამოყვანილი. ბარე სამ-ოთხ ადგილას ემჩნეოდა სიკვდილის ნაბრჭყალები იფიქრებდით, ამ კაცის თავზე, ალბათ, წისქვილის ქვაც კი შემობრუნებულაო და არც გაგიმტყუნებდათ გუმანი.

მას მოსდევდა შუახნის კაცი, მალაღი, ნაადრევად ვამელოტებული. მესამეც შუახნისად ითქმებოდა, ოლონდ — მომდაბლო, ჩასხმული. თმასქელი და ხშირწარბება.

სწორედ ამ უკანასკნელს მოედგა მხარზე მანულის კალათა. მელოტი შეეშველებოდა ხოლმე. ზრდილობის გამო უფრო იყვენენ ერთურთის თავაზში, თორემ არცერთს გაუჭირდებოდა ბოლომდე ტარება.

სახენაიარევს არა ჰკადრებდნენ მოუწყინარი ტვირთის ზიდვას. ისევ სტუმრად სთვლიდნენ.

ნაბიჭმეყოვნებით მიდიოდნენ. ასე მოეგუნებებინა წინმავალს. მიმყოლნიც იმის გუნებისად იქცეოდნენ. სიტყვაზეც გაძუნწებულიყვენენ, თითქოს უფრთხილდებოდნენ ფიქრი არ გაეფრთხოთ, საამო განცდა არ შეემღვრიათ. წინმავალი მალ-მალე შედგებოდა

და ხარბად მიმოიხედავდა მიმყოფნიც მის ნაშვრს გააყოლებდნენ თვალს, თითქოს რაღაცის ძებნაში ეშველებინაო.

სახენაიარევეს ღიმილი მოეძალებოდა, შემობრუნდებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, თავს გააარხევდა, გაშლილ ხელსაც შემოიქნევდა აღტაცებული და:

— რა მემართება, ლამის ამფრანოს გულმა!... რა გადამრევი სიღამაზე და სიმშვენიერება!

მიმყოფნი გაუხვეებული ღიმილით დაუღასტურებდნენ.

— მაშ: ა უნდა გაგეწიროს თავი ამ მიწისა და ცისათვის?!

მიმღევრები უხმოდ დაუქნევდნენ თავს.

— აუჰ, რა გემრიელი ჰერია! რაღაცა უჩვეულო სიამებს მაგრძნობინებს. თითქოს ფილტვები მიღუღუნებენ! ისინიც ხარბად შეისუნთქავდნენ.

სახენაიარევი ორიოდ ნაბიჯს წარსდგამდა, ისევ შეყოვნდებოდა და:

— ლამის წამოტყუოს ამ დალოცვილმა, ლამის ბავშვით ვავგორდი!

— სიყმაწვილე ხომ არ გაგონდება?!

— გამოიცანი, ასე მგონია, ისევ ის მოკლეშარვლიანი, ფეხშიშველა ბიჭი ვარ, აუჰ, რამდენჯერ მიკოტრიალია ასეთ მწვანაინში! ორსული ყანის ქელვა მიყვარდა, არ ვიცი, რატომ. გადავგორდებოდი, გადავკოტრიალდებოდი, ხან საქორჩრეზე დავერტობოდი, ხან მუხლბეზე ვებუნაობდი, ყანის ღეროებს გამოვბლუჯავდი, სატაცურივით რომ მომწიფებულებოდა, და მოშიებული მოხვერივით ვლექავდი, განა ყელს ჩავაცილებდი, პირს გავიმწვანინებდი, სატაცურივით წვენი გამოსდევდა; დედის ძუძუსავით მეამებოდა... აბა, მაშ, სულელი არ ვიყავი?!

სახენაიარევი თავის ფიქრს მისდევდა:

— სხვათა შორის, მეც გამჭდომია პირში დუყე ყანის გემო. — ჩაუჭრა მულოტმა.

სახენაიარევი თავის ფიქრს მისდევდა

— ყმაწვილობისას ერთ ფინიას ვზრდიდი. ჯერ მიაბიტი ლეფი იყო, ისეთი უეშმაკო, ცოდვით ვერას შრატყუებდი. „არიფ ფინკას“ ვეძახდიოთ მეცა და მეზობლებიც. ძმასავით შევაჩვიე, უნებლიე სიწუწუე კი მოვაშლევინე, მაგრამ წყმბურუნს ვერ გადავაჩვიე. აღურსს არ ვაყლებდი, ბევრსაც ვაწვალებდი, სიყვარულით უფრო. იმასი „არჯალი“ ვიყავი. მაგრამ მაინც არა მიცოდებოდა. მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო. „არიფ ფინკას“ საქმეც ეგრე იყო უიმისოდ ფეხიც ვერ გადამეღვა, სადაც წავიდოდი. აჩრდილივით დამყვებოდა ვენახბიკემ რომ გამოვწვავდი, ტუსტუსით ამედევენებოდა. მაშინაც ასე მოკლეზე სჭრადა ზალიკო. ათქვირებულ ყანაში დავემალეობოდი, შეცბუნებული მიმოიხედავდა, წყავწყავით დააცეცებდა თვალბესა. მაშინვე ვერ მიპოვნილა და პატარა ბავშვით ატირდებოდა. ჩემს ძებნაში ანახლად წამოუფრინდებოდა მწყერი და გულგახეთქილი ისეუბებდა უკან. სიცილი ამიტყდებოდა და მერე მომაგნებდა რის ვაი-ვაგლახით. სამღურავის კილოთი შემომყვებდა და „ლერსით ჩამოიქნევდა კურდღლის ფეხისტოლა თათს. შემეცოდებოდა, მოვეფერებოდი, სიხარულით ცას მოეწოდა... ეხ, რა კარგი იყო ყმაწვილკაცობა!

სხვა ამბებსაც გაიხსენებდა. ბავშვური აღტაცებით ჰყვებოდა წულა მიმავალი.

გრილმა სიომ დაუბერა. ნამიან მდელი ააშარიშურა, საამო სუნი მიმოაბნია.

სხვა ჯეჩილებშიც გამოვლია, მაგრამ ასეთი სურნელება არსად არა მცემია.

— ყანის ღეროები წამობლუჯა და ხარბად დაყნოსა, — უსუნეთ, ბიჭებო, თქვენც უსუნეთ, რა მათრობელა და მამამებელია!

მიმყოფნიც წასწვდებოდნენ ყანის ღეროებს.

სახენაიარევი ახლა გვირილებს ფმზერდა ღიმილით, ღერო-ღერო წაწყებტა, შეათაიგულა და კვლავ გაიხსენა

— გვირულების გვირგვინსა ვწნავდით ხოლმე, გადახორცილ თავზე დავიდგამდით ჭილად და ეგრე თავმორთული გავივლიდით სოფელში საღამოხანს, ჩვენი ტოლი გოგონები შემოგვეკისკისებოდნენ, და გვეზგწებოდნენ, გვეჩუქებინა, თავს დავიფასებდით, და დიდი ხეწწნის მერე გადავულოცავდით. ახლა ისინი დაიგვირგვინებდნენ თავებსა, იმათ უფრო მოუხდებოდათ, ისინი უფრო გაიხარებდნენ.

— ქვით-კირო, ქვით-კირო! — მოისმა სულ ახლოდან.

ახლა მწყურის ქვითქვითმა გააბავშვა სახენაიარევი.

— მწყურის მუსუსს მეჩახდნენ.. რა გემრიელი ხორცი აქვს მაგ დალოცვილსა, თანაც ბარაქიანი, ვარიას არ ჩამოუვარდება ნასუქი დედამწყერი, მთით მოხელთება უფრო მახარებდა. იმის ხალისით უფრო დავდიოდი სამკალში, კომბაინი რომ მოსაცელს შემოიციტავენდა, მწყერებიც იქ მოგროვდებოდნენ. კომბლებით დავუდარაჩებდით ვასუსლები. „ფრთხირა!“

— გუნდად წამოფრინდებოდნენ და ბიჭებსაც შეგვიფრთხილდებოდა გული. შეინდის კომბლებს დავადვენებდით, ასში ერთს მაინც მოვახვედრებდით და ყოფინით გავქანდებოდით დაფერთხილი ფრინველის საძებნელად. თვალსა და ხელს შუა გავვიკრებოდა ზოგი, ნამჭას წავებარებოდათ, იქ გვეგულებოდა ნატერენი მწყერი, ერთბაშად დავასკდებოდით, დავბუზნიდით, თითო-ოროლას მაინც მოვიხელთებდით და უსაზღვროდ გავიხარებდით. მწყერებჩამოკონწიალებულნი გავივლიდით სოფელში, ომში გამარჯვებულებივით თამაზად მივაბიჯებდით.

ახლა ტოროლებს მოკრა თვალი, გალობა-გალობით რომ დაეშენნ დაბლა.

— ახლო მოდით, ჩვენებურო ტოროლებო, რამდენი წელიწადია არ მინახიხართ, თქვე კუდრაქებო, თქვენაი „ტოროლას მაინც არ მოგვკლავ“... — წაილიდინა.

იქით გულუკითხვებმა შეკრეს კამარა. იმათაც ხარბად უშურდა.

შეყოვნდა და გაოგნებულვით გადახედა იქაურობას.

მიმყოლნი იმით ხარობდნენ, რომ ასე აღფრთოვანებულყო მშობლიურ მიდამოს დახამებული კაცი.

ყანიანი უკან მოიქციეს.

ცხავატურას მიადგნენ.

ცხავატურა ერთი გატენება მდინარეა. დამბადებული მთამაღალაც მოუჩანს და მშთანთქავი დედამტყვარიც. თავქვე-თავქვე ნარბენ-ნაქანცი, ღიპკლდეებზე წახტუნავებული, პროლაქვიშნარში ნაშიშინები, დაბურულ ტყიანში ნატერენი, სასოფლო პესის ტურბინებში ნაყურყუმელავები — უცოდველი ყმაწვილივით მოღულუნებს გამოვკებაზე. ამ ნაშისევს რე პატარძლობს, გვეგონებათ, სიტყვის შემბრუნებული არ არისო, მაგრამ თუ თავი მოიკრა, ვაშლისყვავილობას რომ დასჩემებია, ცის ჩამოქცევასა და მთის მოგლეჯას იმტკრება, ბაყ-ბაყ დევივით აღრიალდება, ღონიერად მიეხეთქება-მოეხეთქება ნაპირებს; რასაც გვერდს გაკრავს, ყველაფერს გლეჯს—ხან ლატნიან ღობეს მოიგდებს ფაფარზე და ხან ფესვღარჯოლება იფნებსა თუ კაკლებს. მოაყურყუმელავებს კლდის ნაგლეჯებსაც მოებდაუქება და გამოტაცებული ხელბურთივით მოარბენინებს ქვევითქვევით. ეს ვეება ლოდებიც მისი ნაყაჩაღარია. აი აქ, კლდესა და კლდეს შუა, მოვიწროვებულა. ზედ კუზიანი ვერხვი გადაუხიდათ და ვენახამდე მისასვლელი საურმე გზა ყარგა მანძილით მოუტრია.

ვენახი იქვეა, ხიდის ყურში.

მდინარის პირას შეჩერდნენ.

დაკამკამებულ ცხავატურას კენჭებიც კი მოუჩანდა ძირში, გახარებული ბავშვივით მოხტუნაობდა და მოლივლივებდა. თითქოს რაღაცის თქმა სწავლიდა და სიტყვას ვერ ახერხებდო, სიხარულით დაბნეული.

სახენაიარეგს გულის ნათესავივით გაუხარდა მდინარის დანახვალმილი

მოემატა, მიაღერებდა და მოფერებდა მოუნდა.

მიმყოფნი ხიდზე გადავიდნენ.

ნაიარევს კი წყალში გატოვების მოცინებამ სძლია. ფეხები დაიკარწყახაცოვ-კრიალა წყალი შინაურივით დაურიღებლად ეცა. მოხევა, წვივებზე მიელამუნა, შეატოკა, სიღრმეში შეიტყუა, უფრო მძლავრად შეაბანჯალავა, მუხლისთავეებზე გამეტებით ახეთქებდა ტალღებს. თითქოს წასაქცევად ემუქრებო, ღონივრად აწვებოდა. მაგრამ ვერა სძლევდა. მერე მიაღერებდა დაუწყო. ფეხისგულებიდან ქვიშას აცლიდა და თოთო ბავშვის თითებივით უღიტიწებდა. დიდი ხანა ამნაირი ლიტინი არ უგრძვნია. ესამოგნა კიდევ და ენოთირებოდა კიდევ. გაუჩერდა, გაუტვრინდა. მკლავებიც აიკარწყახა, საკინძე მოიღელა, საყელო ჩაიკეცა. ღრმად მოიძუჭა და ცინცხალა წყალი შეიშხეფა, ერთხელ კი არა, რამოდენიმეჯერ. ლოყებს გაიბერავდა და სუნთქვაშეკრული დაიფრუტუნებდა წყალნახურებში. „ივ, მოვ-ნათლე!“ — ძლივს მოითქვა სული და კვლავ ბარაქიანად შეიშხაპუნა. „სულის ცხონება!“ — ესეც თავისთვის ჩაილაპარაკა არ ეთმობოდა, იმ სიხარულით გამოაღწია ნაპირამდე. ტალღანალამუნეც, ლიპ ტინზე შედგა, კვლავ სიხარულით გადახედა მოთამაშე ცხავატურას და:

— ზღვასავით დიდი მდინარეებიც ბევრი მინახავს, მაგრამ ყველა ერთად ენაცვალოს ამ ერთ დაწაფება ცხავატურას!

— მოგენატრა?

— ძილში მოზმანებით თუ გამიხარებდა ხოლმე გულს.

ორიოდე ნაბიჯი წარდგეს. მამაკავეულ ვენახს მიადგნენ.

ნაიარევმა შეინდის ღერით წნულა კარი შეაღო, იქვე გაჩერდა. დოინჯი შემოირტყა და ალტაცებით შესძახა:

— გამარჯობა, ჩვენო ვენახო!

ირხეოდა ნაცნობი ხეხილი, გაზრდილ-გალაღებულო, შარამურობდნენ დაგრეხილი ვახეზი, შრიალებდა დაბუ-

რული კაკალი, ნაბანავები უმაწვილივით ბაბანებდა ღორთქო ტალღებზე.

სისხლი აუჩქროლდა მისი სიხარულით ვერ დაეტიო გულში და ვერც ეთქვა გოგნებულო იდგა. ასე გრძნობდა, თითქოს მალღებოდა, დიდღებოდა, ზვიადღებოდა, ძალ-ღონე ემატებოდა, მკერდიც უგანივრდებოდა და მხრებიც თითქოს მიწიანად მიღლა მიიწვედა, ფრთები ესხმოდა და ღმერთდებოდა.

კვლავ დინჯად გადაავლო თვალი იქაურობას.

— ისევ ისე ღონივრად გაგვიმულა ჩვენი მუხა! — მზერა შეაჩერა ვეება ხეზე, მდინარეს რომ გადასრდიღვოდა, სამფოთოლა ტოტი მოწყვიტა, ხელის გულზე გაიხახუნა მამლის ბიბილოსავით დაკბილული ფოთოლი.

— რამხელა ადგილზე გადაჩრდილულა ეს დალოცვილი! შეხე, სამი კალოსტოლა მიწა მაინც მოუქცევია თავის კალთებქვეშ. — თქვა სქელმა.

— ათი კალოსტოლა მიწაც ალალია მაგაზე. მარტო მაგის ფოთლის შრიალი ღირს ერთ სიციცხლედ! — დაუმატა მალაღმა.

ნაიარევი შემობრუნდა, ღობისძირში ჩამწყრივებულ ხილნარს შეუყვარდა, სათითაოდ შეათვალეირა და მოეთათუნა — ჩემი დარგული ხეჭეჭური. რამხელა გაზრდილა! — სიამაყით თქვა. გამოწასკველი ნაყოფი მოგლიჯა, თითებში მოისრისა და უსუნა.

მერე ვაზნარს აპყვა. დატახტული შეღმართი შეათავა. თავს მოექცა ფერდობზე გადმოკიდებულ ვენახს, იქიდანაც თვალფართოდ გადმოხედა მიღამოს. შებრუნდა, ღობის გარეთ გავიდა. ვიწრო არხში მოლუყულუყე წყალთან ჩაიციუქვა, გაფარჩხელი ხელი გაასავსავა შიგ, უხმოდ მიესალმა, ვენახის კუთხეში გამართულ სათავეს დააცქერდა.

— ჩემი გაცეთებულო სანაკადულო! ეს ფილაქნები მე ჩავაყუთხედე! — სიამოვნებით გაიხსენა. გამობრუნდა, მერე მხრიდან დაუყვა დამმართს.

— აი, ეს კვალი საკუთრივ ჩემი და-

წიღნულია. როგორ დაგეგმავს დაგეგმავს რქაწითლები, გორულები, ჩინურები, თავვერები! როგორ ქინჭარივით დაუყრია ამ დალოცვილს! — დასაყვავილებელ თითისტოლა მტევნებს ნაზად ჩამოუყვავუნა ხელი, — მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ვიხილე აქაურობა! — კვლავ ღრმად ამოისუნთქა.

ღობეს ჩააყოლა თვალი.

— ჩემი ჩაგდებული სამანი... უცნაური მომიჩანე გვყავდა — ლიყიანი სანდალა. თვალვიწრო და გულხარბი, ყოველ გაზაფხულს აქეთ და აქეთ სწევდა მიჯნას. აი ეს „იხნის კვალი“ ერთი ნაბიჯის იქით იყო. თავდაპირველად, მამაჩემი ერიდებოდა ჩხუბსა და დავიდარაბას, რომ აღარა და აღარ დაიშალა სანდალამ, ეს სასამნე სიპი რიყიდან ამოიტანა მამაჩემმა და ორ მტკაველს კიდევ აქეთ ჩამაგდებინა. თავშიაც და ბოლოშიაც ეგრე გამაყვებინა. სანდალა მაინც თავისას ატენებდა. ხედავ, სამნებს შუა როგორ შემობრეცილია მიჯნა?! მიწით ვერა ძღებოდა უბედური, ისიც მიწის ლუქმა გამხდარა!

ქვევით ჩამოყვენენ, მარანს მიადგენენ. ვენახის მარანს.

• • •

უწინ აქ დიდი მარანი მდგარა (მარნების შენება ხომ ვენახებშიც სჩვეოდათ), ქვიტიროვანი, სქელკედლა, ვიწრო ფანჯრებიანი, მუხისა და თელის ხით თავდახურული, პირმოკუმული, ქვევრებით დაჭიქნებული, საწინახელითა და თაროებით გამართული.

მარანი თავიდანვე სამმო ყოფილა. ბრტყელ შებლის ქვეს ღრმა ასოებით სწერებია: „ჩვენ, ექვსთა ძმათა ღვთისაშვილებმა აღვაშენეთ ესე მარანი ჩუპწელსა — გვინატრია აქა მშვიდობა და ბარაქაი“. დიდი ხნის გაყრილ ძმებს მარანი მაინც საერთოდ უხმარიათ. დოვლათის სატრიალოდ უხმარიათ. იმ ექვსთა ძმათა სიცოცხლეც მოლეულა. ცხოვრებას უბრუნია. ექვსი უღვაშოსნას ნამრავლს აღარა ჰყოფნია, სამომარანი: შუათანა ძმის — გოლას ოჯა-

ხისათვის უუპრიანებათ; გოლა ყველაზე ბოლოს მოუკითხავს მიქელ-გამარიელს. გოლასაც გაუმრავლებია აქერა, ხუთი გუთნისდედა გაუზრდია და დაუკოლშვილებია. იმ ხუთსაც სამმოდ გაუზნიათ მამა-პაპისეული მარანა. მერე აღარ დასჭირებიათ, დანგრევა უმჯობინებიათ, თავთავიანთი წილი სამარნე მასალა წაუღ-წამოუღიათ, უმცროსი ძმა — ქიტა მაინც ვერ შელევია, თავისი ხვედრი კუთხისათვის სიპი ქვის კედლები მიუდგია, ის დიდრონი მუხის თავზე და დედაბოძი მომცრო ნაჭრებით დაუხერხინებია, კოკ-კოკად შეუხმარებია, სტრაფილ-რეცია და კრამიტიც ძველი გამოუყენებია და პატარა ქობ-მარანი წამოუჩიქია. ნაწილადები ბაყბაყა ქვევრიც წინასწარ ამოუღია, იმისი გამკვსები ვენახი საღლა მაქვსო, კოლმეურნეობისათვის უფეშქაშებია, ძველივე ორკოკიანი და კოკიანი ახალ მარანში მოუქცევია. ზედაშის ქვევრიც ქიტასთვის ურგუნებიათ, ისიც იმ პატარა მარანში გადმოუტანია, იმისთვისაც წმინდა ცემენტით მომარამაშებული თავსალაღებელი დაუდგია და ფაქიზად და ხალისით უხმარია.

ზედაშის ქვევრი ყველაზე უმცროსია. ოთხიოდე თუნგი თუ ჩაისხმევა. ნიადაგ სავესე იყო ღვინით. არ ხდიდნენ და იმიტომ. ფოთოლცვენისას რომ წმინდით გააპილთუმებდნენ, მკათათვემდე ხელის მხლებელი არავინ იყო, მე შენ გეტყვი, ან შემხვედებოდა, ან სიცხე უქებნდა, ბადაგივით ღვინოს ამორწყავდნენ.

ქოცოს რომ თავს მოაძრობდა, გახალისებული ქიტა კმაყოფილებით გააქნედა თავს:

— რა ქვევრია ეს დალოცვილი! წყალი რომ ჩაასხა, ღვინო ამოდის! დამიქაშნიკეთ, თუ ან შემრევილობა შეატყოთ, ან ოდნავი სიმარაბოშე გაქრავდეს, მარჯვენას მოვიჭრი! შარბათივით ღვინოს აყენებს, შარბათივით!

ზოგ ქვევრს მატება სცოდნია. ეს ზნე ქიტას ქოცოსაც სჭირებია. ჩასხმისას სამ-ოთხ გოჯზე მაინც დააკლებდა.

მობდისას სარკველს კქონდა ღვინო ნალამუნები. როცა კვევრს ქედს შოა-შიშვლებდა, თვალნასიამოვნებ ქიტას მოწყურებულ უღვაშებში ჩაღვიმებოდა და მადლიერებით იტყოდა:

— დამბხედეთ ამ დოვლათიანს, როგორ კიპჭივი გააქვს. მხოლოდ მუცლამდე რომ მოყარო, ყელამდე ამოიყიპჭება. მე შენ გეტყვი, ბრკეს მოიყიდებს ზოგიერთი უქმური კვევრებით. მერე, რა წმინდაა. მთის წყაროსავით კამკამებს!

თან კიტას გახედავდა თვალმოჭურული, ჭერ თვითონ დაილოცებოდა, სულმოუთქმელად გადაპკრავდა, კმაყოფილებით დაიქნევდა თავსა და მერე შესწრებულს მიაწოდებდა.

— აჰა, დალიე, დედის რძესავით შეგურგება!

ქოცო ძველის-ძველი ყოფილა

— უცვეთელია, ეს გამკეთებელცხო-ნებული! — იტყოდა ხოლმე ქიტა, — ჭერ პაპაჩემს უხეხია, მერე მამაჩემს, აგერ ჩემი ჯანიც შევალიე და ჭერ საეჭვო ხმა არ გამოუცია. ლამის მე გამძვრეს სიქა და ეს ისევ ფოლადით წკარუნებს!

— ჭვარპატიოსანის მადლს ვენაცვალე! იმის სახელზე ივსება და იმითმ არის ეგეთი საუკუნო ქურჭელი! — ირწმუნებოდა ქიტას მოგვირგვინე — სოფო.

ქიტა ირიბად ჩაიჭირქილებდა:

ქიტას კვევრში საღვთო ღვინო ივსებოდა უწინ.

დიდ კვევრებს რომ ბოყინი აუტყდებოდათ, ეს ქოცო მაშინ ირეცხებოდა. სხვა ქურები რომ დაიდუღებდნენ, საჭვარპატიოსნეს მერე გაავსებდნენ დამწკნარი ღვინით. სანთლების დანთებითა და პირჯვრის გადაწერით შეუთქვამდნენ და მანამ ჭვარპატიოსნება არ მოდებოდა, ხელისმზღებელი არავინ იყო. ის დღეობა კი შუა ზაფხულში უწევდა.

ძლიერ ხატად მიუჩნევით ჭვარპატიოსანი. ამ სოფლიდან შორს არა ყოფილა. შეკოკოლაგებული მთის წვერ-

ზე აუშენებიათ წინაპრებს. ისიც ჩუქრთმიან-ფრესკიანი, ისიც საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი. იქ კვევრებით შეთქმული ღვინოცა და შესაწირავი საკლავიც. ფხვშიშვლენი, მუხლის ჩოქეთი ხლებიან, სიჯანმრთელე, გამრავლება-გახარება, ბარაქის მოცემა და მშვიდობა უთხოვიანთ. მთელი სოფელი მისი მლოცავი ყოფილა დიდიან-პატარიანად. შორეთიდანაც მისდგომიან გადაჩარდახებული ურმებით.

ქიტას მამა-პაპისათვის მაინც ვერავის უჯობნია ღმერთის დიდება-ვედრებაში. იმ ზედაშეთი უთქვამთ ჭვარპატიოსანის საღვთებელი.

ასე გამეორებულა ყოველ ზაფხულს.

— ჭვარპატიოსნება მოდის

— ჭვარპატიოსანის მადლს ვენაცვალე!

— საჭვარპატიოსნე ზედაშე! — კრძალვით წარმოუთქვამთ ქიტას ოჯახში.

მერე კი ქიტაც გადასდგომია ჭვარპატიოსანს. იმსაც ვიწრო თვალთ შეუხედავს განგებისათვის ახლა თვითონ გასწყრომია ხატსა, აღარც სანთლები აუნთია და აღარც ღვინო შეუთქვამს.

საზედაშე ღვინო აღარ ჩასხმულა ქიტას ქოცოში.

მაგრამ მაინც გავსებულა და დაცლილა თავანკარა ღვინით.

ვაზის სისხლი საჭვარპატიოსნედ აღარ ჩაუბუყბუყებიათ, მაგრამ კვევრისათვის მაინც ვერ მოუცილებიათ ზედსართავი „ზედაშე“.

— ზედაშის ქოცო გავალიციციე!

— გედაშის ქოცო გავალიციციე!

— ზედაშე უნდა მოვხადო — მაინც გაიგონებდით ქიტა ზეთისიაშვილის ოჯახში, უფრო მეტად თვით ქიტასაგან.

მაინც „შეთქმული“ ღვინო ისხმოდა „ზედაშის“ ქოცოში. საამისო მიზეზი თუ საბაბი არ ელეოდა ქიტას, კამკამა ღვინოს ჩაასხამდა, სანთელს აღარ დაუნთებდა, პირჯვარს აღარ გადაიწერდა, უსახელოდ კი არ დატოვებდა. ხან სახალწლოს დარკმევდა, ხან საძეო-

ზოდ და სანიშნობოდ დაატალახებდა, საბაბი მუდამა ჰქონდა. ოჯახის წევრს თუ არა, თავისიანებს მაინც ეწეოდა სიხარული და ჭიჭა თავის ხვედრადაც მიიჩნევდა იმ ბედნიერებას, შვილებისა თუ ძმისწულ-დისწულების ნაშიერის დაბადებას ახარებდნენ, სამაზარობლოს არ დაინანებდა. მაგრამ არ დასჯერდებოდა, მაშინვე, „ზედაშეს“ ჰქვევრისაქენ გაუწევდა გული. ცოტას ამოაპარებდა, ამვლედა თუ ჩამვლელს ხელს დაუქნევდა, გულით მიიპატივებდა, ნაბდის ქულს მაღლა შეაგდებდა და სიხარულით შესძახებდა:

— ეპეი, მოკეთებო! აქეთ მაიარეთ, აქეთა!

— რა ამბავია, ჭიჭა?! — შორიდანვე მოსძახებდნენ კარგს ამბავს მიხვედრილები.

— მოდიოთ, რალაც უნდა გითხრაო!

გამვლელნი არ დაიზარებდნენ.

— ერთი ქართველი კიდევ გაჩნდა ამ მზიან ქვეყანაზე, ქართველი, ჩემი ჭილაგისა! დამლოცეთ, ბიკებო! თქვენი ჭირიმე, დამლოცეთ! — და ახალშობილის სადღეგრძელოდ მოიმარჯვებდა თიხის ჯამსა. იქაურებს კარგად მოეხსენებათ ჭიჭას გულის ამბვი და არ მოერიდებოდნენ, სიხარულში ჩაეხიარებოდნენ. ჭიჭა ცას ეწეოდა. ერთი ლხინი და ზეიმი იდგა.

სალხინო ამბები თითქმის ყოველ წელიწადს ტრიალებდა ჭიჭას თავზე, „ზედაშეს“ ჰქოცო საკეთილოდ ივსებოდა და იცლებოდა.

• • •

იმ ნალელიან ნოემბერს კი ჭიჭამ სულ სხეას შეუთქვა „ზედაშე“.

— ღმერთო მაღალო, საკეთილოდ და სამშვიდობოდ ამხდევინე! — შესთხოვა ჭიჭამ და თავანჯარა თავკვერი ჩააჩხრიალა ჰქოცოში.

— გისმინოს უფალმა! — ხელები აღაპყრო სოფომ, მარნის წინ რომ ფუსფუსებდა.

ჭიჭა ხალისით ავსებდა „ზედაშეს“ ჰქვევრს.

— ხო, ხო, ხო, ჩახედე, სოფო, როგორ შიშინებს ეს დალოცვილი!

ლალისფერ ღვინოს მოთეთრო ქაფი მოგედო მოყვალყვალაგებულ ჰქვევრში, ნელა ჭანაობდა და ყრულ შიშინებდა.

ჭიჭა სიყვარულით დასცქეროდა თავის ნაოფლარს და მძიმე-მძიმედ არხევდა თავს, პირს ღიმილი გადასდიოდა.

— ჰაა, დედაკაცო, გესმის ღიღინი, ღვინისა, გესმის?!

— მიგვირია ნუ ხარი! ჯერ დაუმცხრა-ლია და იშიშინებს, მა რა იქნება — შემოუტია სოფომ.

— ხომ არ ვამლაშებ, დედაკაცო, რაც არის, იმას ვამბობ. განა ყველა ესეთი მირონისაა! დახედე, როგორ ტრიალებს. ჰქვევრში რომ ვერ ისვენებს, კაცს მოასვენებს ესა? ნაპერწყალს ისვრის, ნაპერწყალს! — საგსე ჭიჭა მაღლა აუწევია ჭიჭას. თვალმოკუტული გასცქერის, უღვაშში ეღიმება და კმაყოფილებით არატრატებს თავსა. საჩვენებლად ამოეგსო სასმისი, მაგრამ უკან ჩასასხმელად ველარ გაუმეტებია, ცქიფურა უღვაში გადაიწყია და სათქმელად ჩაახველა, სადღეგრძელო მოსძახებია:

— იმ ვაქაკებს გაუმარჯოს, ვისაც მამულის სიყვარულით ძალა მომატებია და ტყვიისათვის მიუშვერია გული! სულ ერთია, გინდა ჩემი იყოს და გინდა სხვისი.

— იმათ გაუმარჯოს, მაგრამ შენ ნუ დასცილი! — აფრთხილებს სოფო.

ჭიჭამ ჭურღულად გადახედა ზურგ-შეჩქეულ მუხლეს, დალოცვილი სასმისი უცებ გამოსცალა, უღვაშიდან ცინცლები ჩამოიბერტყა, დამცინავი ღიმილი გადაივლო და:

— არა, როგორ იქნება, ჩემო სოფო ჰი, ჰი, ჰი! — უცნაურად ჩაიჭირქილა. გამოცლილი ჭიჭის ტუჩი თითის ფრჩხილზე დაიკაუნა და ხმადაბლა თქვა:

— ესე მტერი დავეცალოთ!

სოფომ თვალი შეასწრო და შემოუწყრა:

— მაინც შენი გააქენე, არა?!

— არა, სოფო, ქვევრში ჩაუღვნი
 — ლიმილი ვერ დაიოჯა.
 — ისეც თავი დაგირჩება! — უგუ-
 ლოდ მიაწყევლა.
 — ავადმყოფს მოუნდება ამის და-
 ლევა და... — გამოტყდა ქიტა.
 — რაზე ისწრაფებ სიკვდილსა!
 — თუ სიკვდილმა მოინდომა, უღვი-
 ნოდაც მშვენიერად მომაკითხავს. ღმე-
 რთისა შერცხვება თუ კაცისა!
 — ჰო, კარგი, იმყოფინე!
 — ეს შესამეა, მეტი კი არა!
 სამ ჭიჭას კარგად შეეჭიკჭიკებინა
 ქიტა და სიმღერის გუნებაზე დამდგა-
 რიყო:

სანადიროდ წასულიყვენ
 ამირან და მზანი მისნი,
 მთას ირემი წამოუხტათ
 ცასა სწვდება რქანი მისნი.

— რამ გადაგრია, ადამიანო! — პი-
 რში ეცა სოფო.

— სოფო, ჩემო გვირგვინო! — ჭრო-
 და თვალეზი მოწყურა ქიტამ, — ისეთ
 ხასიათზე ვარ, რომა...

— როგორზე, ადამიანო! — მიჩერ-
 და გაკვირებულ-გაბრაზებულ სოფო.

— აი, აი, კოცნა რომ მოუნდება
 ხოლმე კაცსა, იმ ხასიათზე! — თბილად
 თქვა ქიტამ და ორმოცი წლის წინათ
 შეუღლებული დედაკაცი მუშტრის
 თვალთ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ემანდ ენა დაიმოკლე, თორემა...
 — უარესად დაიმრუშა სოფო.

ქიტას გულში კი სიმღერა და სიყვა-
 რული არ ნელდებოდა და ღიღინს გა-
 ნაგრძობდა:

წესია დარეჯანელთა
 ჭიბეს ჩაღება დანისა.
 ამოღება და გაკვეთა
 შავისა გველუშაბისა...

— რა ღმერთი გირისხდება, კაცო
 ქვეყანა ტირის და შენა მღერი?!

— ჯერ პატარა ყოფილხარ, სოფო,
 გაზრდა გყლებია. მტერს არ უნდა გაუ-
 ტყდე, არა, სიმღერით უნდა ვუტვიროთ
 დედა ხიტლერსა, სიმღერითა, — არ-

ხეინად, თითქმის სიმღერით გაეპასუხა
 ქიტა.

— ძაან ესმის შენი სიმღერა, არა
 სახსენებელსა, აი!

— ესმის, როგორ არ ესმის, იმიტომ
 გაცოფებულა...

მინამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
 არ შეგვამე ჯავრი სხვისი,
 დამრჩა ერთი ბაყ-ბაყ დევი,
 ჩამყვა ჯავრი მხოლოდ მისი.

ქიტა მღეროდა. სოფო იცრემლე-
 ბოდა.

საცრემლო ქამი იდგა.

— დედა მოგიკვდეს, შვილო! ვინ
 იცის, შენ რა გაჭირვება გადგია და მე
 აქა ვქეავდები! — დუღუნებდა თვალ-
 სველი სოფო.

— ხო, ხო, ხო! შენ თუ გვერდით
 ეყოლებოდი, ავტომატის ჯერს მიაწო-
 დებდი, აი! — ირიბად უთხრა ქიტამ.

— წყალს ხომ მივაწოდებდი იმ
 დედამკვდარსა! — ცრემლი მოუხში-
 რდა დედაკაცს, — რა საომე რა
 მყავდა! ჯერ ბავშვი იყო!

— ხო, ხო! ჯერ ისევ ნეკზე იკბინე-
 ბოდა, აი!

— ჯერ ქათამი არ დამიკვლევინებია
 და...

— რა დაგემართა, რასა ვიშვიშობ,
 მარტო შენ თავს ხომ არ არის ეგ
 ამბავი. ქვეყანა ეგრეთა კალატოზიანთ
 მარგალიტას მაინც დაედარე. რატომ
 ის არა ვიშვიშებს, თავის პავლეს სუ-
 რათს რომ შეხედავს ხოლმე, სიმღერა
 მოეძალება.

— ვაი იმ სიმღერასა!

...

სკოლაში დამეგობრებულ მირონ
 ხეთისიაშვილსა და პავლე კალატო-
 ზიშვილს ერთ დღეს ჩაუცვამთ ჯა-
 რისკაცის ფარაჯა.

...კავკასიის ქედებს გადაუცდენიათ.
 პირველ ხანებში წერილი წერილზე
 უფრენიათ შინისაკენ. უხალისიათ,
 დაწვრილებით მოუწერიათ. ფოტო-
 სურათებიც გამოუყოლებიათ, ვარს-
 კვლავიანი ქუდები რომ გვერდზე

დაეხურათ, ყელიანი ხალათების საკინძე რომ რიგზე შეეკრათ. ღიმილი არ მოუშლიათ. მშობელთა გული გაუხარებიათ. რაიმე რომ უჭირდეთ, ეს ღიმილი წაეშლებოდათო, ასე უფიქრინებიათ. წერილებისთვის ხალისი და იმედი გამოუტანებიათ. მარტო თქვენი სურვილი გეადარდებს, თორემ აქ სავიშიში არა გვაქვს-რაო. ჯარისკაცულ ცხოვრებას ისე მივჩვენეთ, შინ რომ გამოგვიშვან, მგონი, ვეღარც კი გავძლო მანდაო. ისეთი ბიჭები გვყავს, სულ არ დაეჭირებათო. მეთაურების გულიც მოვიგეთო. გვაჭიდავებენ. დივიზიაში ვპირველობთო, ახმახ, ქერა ბიჭებს რომ ლატანებივით მოვსხიპავთ, ტაშის გრიალი არა წყდებაო.

ფრონტიდანაც იმედიანი ბარათები მოუწერიათ. ჩვენს ცხელ გულებსა და ახალ ტყვიამტრქვევეებს შიში და სიკვდილი ვერ მოეკარებაო.

ბოლო ბარათიც ბრძოლის ველიდან გამოუგზავნიათ. სანგარში ვსხედვართ და ისე ვწერთო. თუ შეკვავიანდეს, დარდი არ გაიქართო. მოუტელეობას დაგვიბრალეთო. ამ სამკუთხა წერილებისათვისაც იმედი გამოუტანებიათ — ჩვენ ისეთი ჭილაგისანი ვართ, დუშმანი ვერას გვიზამსო.

ამის მეტი წერილი აღარ მოსვლიათ აცერეთის ოჯახს.

მშობლებს შუბლი დაღრუბვლიათ გულზე ჩრდილი გამუქებიათ, აცრემლებულან დედები.

— ორი სიტყვით მაინც მოიწეროს, როგორ არის! — დაუჩივლია სოფოს.

— ვერ იცლის, ალბათ, მაიწერება, მა რას იზამს — იმედიანად უთქვამს ქიტას.

გული იმედითა და ხალისით აღესებოდა ქიტას საზედაშე ქოცოს რომ აესებდა.

ამირან, ბაყ-ბაყ შეიბნენ.

მინდორს გაჰქონდა გრიალი.

ამირანმა დევი დასცა

დააწყებინა ღრიალი!

განაგრძობდა სიმღერას.

აჰა, მოაყელყელავა ქვეყნისა
— აქ მო, სოფო! — ხელიც დაუქნია

— რა გულს აწყალე! — შემოუტია.

— ახლო მოდი. გეტყვი.
ნებას დაუყვა.

ქიტამ ჭიქები ამოავსო, ერთი სოფოს მიაწოდა, მეორე თვითონ დაიჭირა. ომში წასულების სადღეგრძელო თქვა, თვითონაც დაცალა და სოფოსაც ამოაბირქვავებინა, ქვეყნის თავზე მუხლი მოიყარა, ვახის რქები ჯვარედინად გადააწყო, ზედ მწვანე ფოთლები დააფინა, გარეცხილი სარქველი დაამხო, ახელილი თიხით შემოატალახა, ფხვიერი მიწა შემოაყარა, ფეხით დაზება და ისევე თივის კონაზე ჩამოქდა. სოფოსაც იქვე ჩაამუხლებინა, ჭიქები ჩაფიდან შეავსო და ღიმილით გაუწოდა.

— შენ ჭკუაზე აღარა ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! — გაკვირვებით მიხედა სოფომ.

— დაიჭი — მეთქი!

— რა ხასიათზე ხარ, ადამიანო!

— სოფო, ჩემო გვირგვინო, სანამ დაგალევიებდე, ერთი უნდა შეგეკითხო! — უღვაშებში გაილიმა ქიტამ.

— შეკითხვებისთვის მცალიან, ადამიანო?!

— რასაც გიტყვი, ყველაფერზე უნდა მოიცალო!

— გავაგიფოს გამჩენმა!

— ჩვენი ყველაზე დიდი სალოცავი რა არის?

— ჯვარპატიოსანი არ აუო?! — არც დაფიქრებულა, ისე უბასუბა.

— ღმერთი?!

— ჰო, ქრისტე-ღმერთი, იმაზე დიდი რა არსებობს!

— აი, აი, ხომ გუუბნები ხოლმე, ჩამორჩენილი ხარ-მეთქი.

— მაშ მაჰმადია?!

— მაჰმადიც წყალს წაუღია და ქრისტე!

— რამ გავასულელა, ადამიანო, არ გვიწყინოს მაღალმა ღმერთმა, იმის სახელს ვენაცვალე!

— ჩვენი უმაღლესი ღმერთი ჩვენი შვილია, ყველაზე დიდი სალოცავი ჩვენი ვაჟაკი მირონაა! არავარ სწორე?!

— მაგ აზრით ამბობდი? მაგას რაღა შეკითხვა უნდოდა! დედა ენაცვალოს ჩემს მირონასა, ჩვენი ღმერთიც ის არის და სიცოცხლეცა! წერილს რომ აღარ გვიგზავნის.

— მოიცა, დედაცაო! — შემოუტრია, — ბიჭი გახურებულ ოპშია, შენთვის სადა სცალიან?!

— ორ წუთს მაინც ვერ მაიცვალა?! — დამაცა, მათქმევიც, მირონა ხომ ჩვენი ღმერთია, არა?!

— პო-მეთქი!

— მანამდე ის არ ჩამოვა, თითს არ დაეკარებ, ხვალ გამოჩნდება, ხვალვე აუუქეძე თავსა ამ ქოცოსა. ერთი წლის მერე გამოჩნდება და, მეც მაშინ ავხბი. ჩვენი შვილის სახელობისა იყოფს ეს ღვინო. ჩვენი მირონის ზედაშე ერქვას! რას იტყვი?!

— კეთილი და პატიოსანი!

— ამ ჭიჭით საკუთრივ მირონას გაუშარჯოს! კეთილი ანგელოზი ჰფარავდეს!

— გისმინოს მაღალმა ღმერთმა.

— მაღალმა ღმერთმა კი არა, შენ მისმინე! ასწი! ბოლომდე გამოყნავე ეგ ჭიჭა!

— არ მოეშვა, დააღვეინა.

— ჩამოვა თუ არა, თავისი ხელით უნდა აეახდევიანო. ზამთარი იქნება თუ ზაფხული, აქ უნდა ამოვლალო ჩემიანები, ვინც გულის წვერზე მამიან. აქ უნდა დავალოცვიანო. ვამეღელსა და გამომეღელს უნდა ვათქმევიანო ჩემი მირონას სადღეგრძელო.

— ოღონდაც მალე გვეღირსოს და...

— დაიწყუნა სოფომ.

— ვიშვიშს თავი გაანებე, წუხილის გამგონის დედაც ვატირე! ნალე გვეღირსება ჩვენი მირონას ჩამოსვლა, ამ ქვეყრის თავზე ისე უნდა ვითამაშო, როგორც ჩვენს ქორწილსა მითამაშია.

— აი, თუ თავშალი არ დაგიბიო, ეს ქენადა უღვაშები მამპარსე! — თან უღვაშის წვერები გადაიწყება ქიტამ.

— არ გადამერიო კიდეცა! — თავისთვის ჩაიღუღუნა სოფომ და გააბიჯა, ქიტა ღიღინით გაშორდა ქოცოს მიჯნაზე დაყრილ თავის კონებს კაყალ-თან უზიდებოდა და ღიღინებდა:

კაცი მითთ გადმოხვეწილი გეზელ-ქორულეზ ჰკიოდა. თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა. ასი მოეკლა ხმალდახმალ, უომობასა ჩიოდა.

— მალე გვადირსე თავი, შვილო! — ეჩურჩულებოდა თვალსველი სოფო მირონის სახებას.

— შენ ჭილაგი არ შარცხვინო შვილო! — ეღიღინებოდა გახალისებული ქიტა.

• • •

იფურცლებოდნენ, იშლებოდნენ ღღე-ები, კვირები, თვეები.

შვილის გზას გასცქეროდნენ სოფო და ქიტა.

მირონის ასავალ-დასავალი არა ჩანდა.

ქიტას გული არ შებრაზებია. თავსაც ირწმუნებდა და სოფოსაც ვაყის ჩამოსვლას საგაზაფხულოდ გუმანობდა.

— აი, ნახავ, ჩემო გვირგვინო, თუ ამალეზამდე არ დაგვიკრას თავი ჩვენმა ვაჟაკმა! — დაბეჭითებით იტყობდა ქიტა.

— ვინ გითხრა?! — თვალებს გაიფარათობდა სოფო.

— გული მეუბნება..

— ცოტა საადრეოდ ვერ გითხრა?!

— ისე გაუწყრებოდა, თითქოს მართლა ქიტას გულისთქმაზე იყო დამოკიდებული.

— ცოტა საადრეოდ რა, ქორწილში კი არა მყავს გაგზავნილი!

— ჯერ დიდმარხვასაც არ გაუვლია და ამალეზება როდის უნდა მოვიდეს-

— მალე იქნება. სოფოს გული მოენამებოდა.

— დედაცაო, კიდე რალაცას მეუბნება გული!

— რას ატეხილხართ შენცა და შენი გულიცა? — ცნობისმოყვარედ შემოუბრუნდა, — რაო, რას გეუბნება?

— ემანდ რუსი გოგო კი არ ჩამოიყოლოს? — შუბლს შეიკრავდა.

— უი, შენდა შენს ეშმაკებსა. საიდან მოგაფიქრდა?

— ეგეთი სიზმარი მაქვს ნანახი.

— კაი, აღამიანო, და... — გაუწყრებოდა სოფო და თან ყურს მოიძაბრებდა.

— ვითომ, ჩვენი კაკლის ძირში ვიდექი. თეთრი მიმინო შემომქდარიყო ტოტზე და სიხარულით დამწრობინებდამერე ჩემი მირონა გამოჩნდა. სიმღერით მისწვდა, ძირს ჩამოიყვანა და გულში ჩაიკრა.

— თვალი დაგიდგეთ შენცა და შენს მიმინოსაც!

— ჰო, ჰო, მიმინო სარძლოა.

— რუსობა რალაზე ამოიკანი.

— რალაცას მეწრობინებოდა და ვერ მაგებინებდა. მირონამ კი ხელად გაუგო.

— მაშა, მაშა, ეგრე გადამერევა ჩემი შვილი, რომ უცხო ვინმე დამისკუპოს შინა!

— ოჰ, დიდი მამაძალი გული მაქვს. არ შეიძლება მიმტყუნოს!

— ნეტავი, დროზე მალღირსოს თავი და თუნდა პირდაღებული მგელი დამისვას პატარძლად.

— დროზე იქნება. დროზე! — ირწმუნებოდა ქიტა, — პირდაღებულ მგელს კი არა, ისეთ გოგოს მოაბრძანებს, მთელი სოფელი დაგენატროდეს. რას დაერიდებიან, თვითონ ვაყაიცი არ ვარგა, თუ ოჯახს დაუწუნებენ.

— ოჯახი, შენცა, საქვეყნოდ ცნობილი გვარი ვაქვს და სასახლეებს დაიხვედრებ.

— დიდი ოჯახ-გვარი თუ არა, დიდი გული ხომ მაქვს. სასახლეებს თუ არა, სინდის-პატიოსნებას ხომ დავახვედრებ, ჩემზე მდიდარის დედაც ვატირე და ჩემზე ღარიბისაცა!

— ჰო, კარგი! ჩვენც ისე გავუყვებით. თითქოს უკვე ჩამოვდნა უკლებს და ახლა სასიძოს მასინჯრებო მოგვდინა.

— ჩამოვა ჩემო სოფო! მასინჯრებიც მოგვივლენ და მძახლებიცა.

...

პავლე კალატოზიშვილის ბარათი მოვიდა.

ცოცხალი ყოფილაო?! მთელმა სოფელმა გაიხარა, ხელიდან ხელში გადადიოდა სამკუთხა ბარათი.

ჰოსპიტლიდან იწერებოდა. ცალ ხელი აღარა ჰქონდა. ამან გული გაუკაწრა მისიანებს.

— ცალ ხელს ჩივი?! —

— ცოცხალი რომ ყოფილა, საღმრთო უნდა გადაიხადო! — გულს უნამავდნენ მარგალიტას.

პავლე გამოჩენილაო?! სოფო და ქიტა გაიქცნენ კალატოზიანთა.

— რაო, მირონაზე რას იწერება?! — იმწამსვე ისა ჰკითხეს.

— მირონაზე? — შეყოვნდა კოლა; პავლეს მამა, — მგონი არაფერს.

— აბა, კარგად წაიკითხეთ! — ითხოვა სოფომ.

მარგალიტამ, პავლეს დედამ უჯრიდან ამოიღო სათუთად შენახული წერილი და შვილიშვილს წააკითხა.

მირონა ნახსენები არ იყო ბარათში.

გულდაწყვეტილი ცოლ-მამარი ცივად გამობრუნდა.

ღარდი მალე გადაეყარა ქიტას. თვითონვე აპირებს ბარათის მოწერას და მეგობარს იმიტომ აღარ მოაწერინაო. სოფოც ასე დააჯერა.

პავლემ მეორე წერილიც მალე მოაყოლა, მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც. მირონისა კი ერთიც არა ჩანდა.

ქიტამ ველარ მოითმინა და პატარა ბარათი გაუგზავნა პავლეს, ჩემი მირონისა გამაგებინე რამეთუ. შეარცხვინე, ჩემს მაგიერ ყურები აუწიე, რატომ წერილის ღირსს არ გახდი დედ-მამასტო.

პავლემ ორჭოფული პასუხი მოსწერა. უკანასკნელ ბრძოლაში დაემორღიო ერთურთს და მას მერე მირონას ასავალდასავალი აღარ ვიციაო.

ამ პასუხმა უფრო ააღიშინა სოფო. ქიტაც დააღონა, იხტიბარს არ იტყვოდა, მაგრამ გულისთქმა მტყუნობდა. დიდძობამაც ჩაიარა, აღდგომაც მალე მიჰყვა. კვირაცხოვლობაც, გიორგობაც, ამალლებაც დაუდგათ, მაგრამ არც მირონი ჩანდა და არც მისი წერილი.

— ეგე, შენშიაც მოვტყუებულვარ!

— წააძმარა სოფომ.

— რადა, დედაკაცო! — მორჩილის კილოთი ამოთქვა ქიტამ.

— ამალლება კი არა, ფერისცვალებამ მოატანა...

— მოიცა, ქალო, შვიდთვიანი ხომ არა ხარ, რომ ვერ მოგიტყუნია! — სიტყვას სიმაგრე მისცა ქიტამ.

— გული არ ითმენს, ეს დასამიწებელი, გული!

— შენს გულს უთხარი, ჩემო სოფო, მალე გაიხარებ-თქო!

მხოლოდ სოფოს კი არა, სხვებსაც დარწმუნებით ელაპარაკებოდა ქიტა.

— ღმერთმა გისმინოს, მაგრამ ესლა ჩამოსვლაზე თქმა ზედმეტია, — შუბლშეკრით ეტყოდა მეზობელი კაცნია.

— ვითომ რადაო? — იწყენდა ქიტა.

— ვერა ჰყურობ, სად მოგვადგნენ?

— ამოიოხრებდა მოხუცი კაცნია.

— ეჰ, ეგ არაფერი!

— როგორ არაფერი, ნახევარი სახელმწიფო უკვე წაგგვლიჯეს! — ბოლმა მოაწვებოდა კაცნიას.

— რა გული გაგტეხია, კაცნი! — სიბრალულით მიხედავდა ქიტა.

— ყურები გამაიქექე, ზარბაზნების ხმა ისმის: ფრონტი მოგვიახლოვდა.

— ეგ არაფერი, მალე დაგვშორდება!

— ეგე, რა გაჰკირე. კაცი ხარ, ქიტა!

— ჰაი, შე საცოდაო შენა! არ გაგიგია, კარგმა მოქიდავემ რა იცის? — ქარაგმას მოიშველიებდა.

კაცნია სასმენად გატვრინდებოდა.

— ცუნცრუკა მოწინააღმდეგეს არ აყვება, ხან წაეფორხილებინება, ხან წაეჩოქებინება, დალოს, დაქანცავს, არაქათს გამოაცლის, თვითონ კი ძალას ინახავს. მერე შეუბრუნდება, ვალომდება, გააფთრდება, შემოუტყვეს და იმ

შენს წაქეზებულ მოქიდავეს ისე გახლართავს ზურგზე, რომ ზეზე მდებარე წამოდგება.

კაცნიას დაღარულ შუბლზე იმედის ღიმი გაღაუთამაშდებოდა.

— მართალი ხარ, ქიტა, მაგრამა ეგრე მალე მაინც ვერ აგიხლება ნატვრა. მანამდე ეს ცეცხლის წვიმა ჩადგებოდეს, ვინ იცის, რამდენმა მაქრიანობამ ჩაიაროს!

— შე დალოცვილო, მაშ როგორ გინდა, ორი ყაჩაღი ხომ არ არის დასაქერი, ესუმრები იმ მამაძალსა?! ნახევარი ქვეყნიერება იმისია...

— მეც მესმის, მაგრამ რაკი შენ ამალლებისთვის გქონდა იმედი, იმაზე გეუბნები!

— როცა იქნება, ხომ ნამდვილად იქნება. — ასე იმედოვნებდა ქიტა.

მირონის ამბავის მთხრობელი კი არა და არა ჩანდა.

ფოსტალიონის გზას გასცქეროდა მოხუცი ცოლ-ქმარი.

სოფელში არავის გამოჩენა ისე არ ახარებდათ, როგორც ცალხელა ფირუზასი, რაკი გასახარებელ ამბავს მოიტანდა, იმიტომ უფრო ესიყვარულებოდნენ. ფირუზასაც გული მიუჩქაროდა კარგის სამახარობლოდ.

— დილამშვიდობისა, სოფო! — ბირმცინარე მიადგებოდა ფირუზა ადრე.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — შუბლს გაიხსნიდა სოფო.

— ქიტა შინ არის? — და გადააბიჯებდა აივნის ზღურბლს იცოდა: ქიტა დაულოცავად არ გაუშვებდა და იმიტომ უფრო იკითხავდა იმას.

ქიტაც სიხარულით გამოჰამბალდებოდა.

ფირუზა სამკუთხა ბარათს გაუწოდებდა.

მოხუცები სათვალეებს მოიმარჯვებდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ ჩქარი ნაწერის ამოკითხვაში.

— შენ გაიხარე, ფირუზა, ჩვენი გახარებისათვის! — სახე აუციმციმდებოდა

ჭიტას, — აბა, ჩემო გვირგვინო, დაგვალოცინე!

— დიდი შადლობა, არა მცალიან! — ყსიდად იუარებდა ფირუზა.

ჭიტა არ მოეშვებოდა ან ჭაქას „ჩააცეცხლებდა“, ან საგულდაგულო ნაყენსა და თუ ცოტას შეიცდიდა, მოგულულ ღვინოსაც გადააკრევივინებდა.

ფოსტალიონს მიუხაროდა ხვთისიაშვილებსაც.

მერე კი ფეხი ამოიკვეთა ჭიტას კარებზე.

— რა თათრის სალოცავივით ერიდები ჩემს არე-მარესა! — უსაყვედურებდა დაღონებული ჭიტა.

— რა ვქნა შენი ჭირიმე, საქმისათვის ვერ მიმყოფინებია დრო და უსაქმოდ რაზე შეგაწყინო თავი! — შუბლშეკვრითვე უპასუხებდა ფოსტალიონი.

— ტყუიხარ ჩემთან, ფირუზა, ძანა ტყუიხარ!

— ჩემი ბრალი არ არის, ძია ჭიტა, რა გიყო... მე ვიცი, ვინცა ტყუის შენთანაც, ჩემთანაც, ყველასთანაც. მაგრამ... — დადუმებდას არჩევდა.

— როდის უნდა გამახარო ბიჭის ბარათითა?! — გადაუღვებოდა გზაზე.

— ცოტა ხანსაც შეიცადე, ძია ჭიტა, მაღე გაგიფიქნებ გუნებასა!

გუნების გაფიქნების დღე არა და არ დაუდგა ჭიტას.

ფოსტალიონის დანახვას იმით მაინც ეხარბებოდა, რომ სანუგეშოს ეტყოდა. ახლა იმანაც დაუშვა ცხვირი. საიმედო სიტყვა დაიძვირა, მოყამული ხვდებოდა. მერე კი სათოფეზეც აღარ ეკარებოდა. თუ არიდებდას ვეღარ მოახერხებდა, ენაზე კლიტეს დაიდებდა, უხმოდ დაუქნევდა თავსა სისალმოდ.

— რამ გამოგცვალა, ფირუზ, ერთხელ ვეღარ შეგასწარი თვალი გაღიმებულსა! — საყვედურობდა ჭიტა.

— ეე, ძია ჭიტა, ქვეყანა სისხლით ირწყვებს და რა მაქვს სასაცილო.

— აღრეც ეგრე არ იყო?!

— რა ვიცი, ძია ჭიტა, გული დამეხურა.

— რალა ჩემზე გეხურება გულიცა და პირიც.

— ვტყუივარ, ძია ჭიტა, ძან ვტყუივარ შენთან მაგრამ რას ვიზამთ! — უპასუხებდა და ჩქარა-ჩქარა გაერიდებოდა, რომ კიდევ არ ჩასძინებოდა ჭიტა.

ფოსტალიონი ფრთხილობდა, რომ სინამდვილე არ წამოსცდენოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულის მამასთან.

ღიახ, უგზო-უკვლოდ დაკარგულების დეპეშა ჩააბარეს ფირუზას.

ჩააბარეს და აღრესატამღე მიტანა ეძწენლა.

— როგორ მივაწოდო შავი ქალაღდი. როგორ ვუთხრა, რომ შვილი დაიღუბა მეთქი! — წუხდა ფოსტალიონი.

— არ გააგებინო, თორემ ეგ უბედური თან გადაყვება კიდევ! — ურჩიეს თავკაცებმა.

შავი დეპეშა დამალა ფირუზამ.

ეს ამბავი სოფლის თავკაცებსა და ფოსტის მუშაებს იქით არ ვაცდენილა. იმათაც გაიმაგრეს სიტყვა.

— ეეკ, არა ჩანს ის დედამკვდარი!

— მალ-მალე ამოიხრებდა სოფო.

— გამოჩნდება დედაცაო, გამოჩნდება! — იმედებდა ჭიტა.

...

სოფელში ხამუშ-ხამუშ გამოჩნდებოდნენ ნაფრონტალი ბიჭები, ვინც საბრძოლველად აღარ გამოდგებოდა. თვითულის ჩამოსვლა ზეიმად გადაიქცეოდა, მთელი სოფელი მიაწყდებოდა, ნახულობდნენ, ულოცავდნენ, ეკითხებოდნენ, ასაუბრებდნენ.

ჭიტაც მაშინვე იქითკენ გაექანებოდა. ისიც მამაშვილურად გადაეხვეოდა. გაესაუბრებოდა, ბრძოლის აზბავს გამოკითხავდა და მერე რაც აწუხებდა, იმას ეტყოდა:

— ი ჩემი ბიჭისა ხომ არა ვსმენიარა? — თან ხარბად მიამტერდებოდა.

— არა, ძია ჭიტა, მე ქერჩში ვიყავი, მირონას კი მოსკოვთან უბრძოლია.

— რა ვიცი, კაცნი ვართ! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკებდა.

ამ კითხვას სხვებსაც გაუმეორებდა.

სხვაც ასეთი უსიამო პასუხით აუმღვრევდა გუნებასა.

— ყური ხომ მაინც არსად მოგიკრავს ჩემი მირონას ამბისათვის? — მაინც ჩაეძიებოდა.

— არა, ძია ქიტა! — ყრუდ უბასუხებდნენ.

— მართლა მოსკოვთან იბრძოდი? — გვერდით მოუჭდებოდა მოსკოვის დამცველს.

— ჰო, კლინთან დავტოვე მარჯვენა ფეხი.

— მერე, თვალი ხომ არ დაგიკრავს ჩემი მირონასათვის?!

— არა, ძია ქიტა, მოსკოვის ფრონტიც დიდი.

— რა ვიცი, მთა მთას შეხვდება და... — გული ამოუდუღდებოდა ქიტას.

დაცალხელეებული პავლეც გამოჩნდა.

სოფომ და ქიტამაც გაიხარეს. უმაღლვე გაექანნენ სანახავად. იმათაც შეიღივით ჩაიკრეს გულში.

— მირონა რაღა უყავი, შე მამის ძალღო?! — სულმოუთქმელად იკითხა ქიტამ.

— მირონა?! — ენა წაუბოროძიდა პავლეს, — მირონა იქ დავტოვე, ძია ქიტა.

ძლივს გამართა სათქმელი.

— ეგ რაღა მეგობრობაა, შე დალოცვილო! ერთად წახვედით და ერთად უნდა მოსულიყავით! — ღიმილს ურევს ქიტა.

— წასვლა რომ ჩვენი ნება იყო, განა მოსვლაც ჩვენ გვეკითხებოდა. ის არ გამოუშვეს, ძია ქიტა!

— თუ შენ გამოგიშვეს?!

— მე მარჯვენა აღარა მაქვს და ვინღა გამაჩერებდა?

— იმასა?! — თვალები გაიფართოვა ქიტამ.

— ის უვნებელი იყო და დატოვეს...

— ხმა ჩაუქრა პავლეს.

— სულ არაფერი მოსვლია, ჰაა?

— არა, ძია ქიტა, ორთოდე ბრწყინ-

ლი მოხვდა ყუმბარისა და ეკლებით ამოაცალეს.

— რაში ჰქონდა მოხვედრილი?

— ფეხში..

— ხომ არ დაეკოვლა ბიჭი?!

— არა, ჩიტის ნისკარტისტოლა ნამსხვრევი რას უზამდა..

ქიტას უხაროდა, რომ მისი შვილი უვნებელი ყოფილა. ათასგვარ კითხვას აძლევდა. სურდა ყველაფერი დაწვრილებით გაეგო. პავლეც მოთმინებით უყვებოდა მართალსა და ტყუილს.

— ჰე, ტა, ტა, ტა! მაშ პირისპირ შეყრია ფაშისტებსა, ჰა?

— ჰოი ძია ქიტა, მე ჩემი გასატარი მადგა, მაგრამ ანაზღად მივიხედე და ჩვენი მირონა ერთ აყლაყულა გერმანელს ეჭაჭურებოდა. შუა სარმა რომ გამოსცხო, ეგრე მოსხიბა, როგორც ძირგადახერხლი ლატანი.

— ჰა, ტა, ტა. ტა ტა! კიდაობა კი კარგი იყოღა იმ ძაღლის ლეკვმა. მერე, მოუქუბრა პირი ჰა?!

— არა. მოკვლა რაღა ვაქცაობა. იყო ცხვირსახოცი ჩასჩარა პირში. თვალები გადმოაკარკვლინა, ხელ-ფეხი მოუკოჭა, ნებვის ჭიასათვით მოიკიდა და ცოცხალი გადმოათრია.

— ჰე, ტა, ტა, ტა ტა! უფროსებმა მადლობა უთხრეს, ჰა?!

— ერთი მედალი მაშინ გაიკრა ბიჭმა.

ქიტამ კმაყოფილებით ჩაიღიმა უღვაშებში.

— ისიც შენსავით დასრულდა?!

— დიახ, სოფო დეიდა, ისეთი მხარბეჭი გაუხდა, ამ კარებში ვერ შემოერთევა.

— რაო, დედ-მამის ნახვა არ მინდაო, იმ ძაღლის ლეკვმა? — არ ასვენებდა ქიტა ათასგვარი კითხვებით.

— დედ-მამის ნახვის ნატრულიც არის და ამ არე-მარესიცა, მაგრამ ჭერ ვინ გამოუშვებს საღ-სალამათსა.

შეიღის ამბების მოსმენით ძლივს იჭრეს გული დაიშვებულნი გამოემშვიდობნენ.

— ეგ უბედურები როგორ გულდაჭე-

რებულები არიან! — შებლი შეეკრა ფოსტალიონს.

— მაშ — დაფიქრებით დაარხია თავი პაელებს.

— იქნებ გადარჩა როგორმე? — იკითხა ფირუზამ.

— ეეჰ, ჩემი მტერი გადარჩეს ეგრე-ბიჭი ბომბისაგან მოთხრილმა მთამ დამარხა და...

— შენ?

— მეც სანახევროდ ჩამარხული ვიყავი მიწაში.

— როგორ გადარჩი?

არ მახსოვს. გონს მოვედი და ქერს მივაშტერე თვალები. თეთრი ბინტი წარბებამდე გადმომიჩაჩვოდა, გასწორება მეწადა, საშინელმა ტკივილმა დამიარა. მაშინ მივხვდი, რომ მარჯვენა ხელი აღარა მქონდა.

...

მირონის დალუპვის ამბავი მშობლებს არ გააგებინეს, მაგრამ სოფოს ექვის უია ღრღნიდა.

ჭიტა კი კვლავ ღრმად იყო დარწმუნებული შვილის სიცოცხლეში და ცრემლიან ცოლს შემოუტყვედა:

— ადრე და მალე რას დასტირი! დალუპული რომ იყოს, აქამდე ასჯერ შეგვატყობინებდნენ. აგერ, ვინც იკარგება, დეპეშადეპეშაზე მოსდით.

სოფო თვალებს გამოიდარებდა.

ჭიტა დიდი მანუგეშებელ-გამხარებელი იყო მეუღლისა. ან ვახეთში ამოკითხულ ახალ ამბებს მოჰყარავდა ყურს და რადიოთი მოისმენდა და უმალვე ახარებდა:

— გაიგე, დედაკაცო?

— რაო? — ყურს მოიძაბრებდა.

— ჩვენებს მინსკი გაუთავისუფლებიათ.

— მინსკი?! — გაიკვირებდა.

— ჰო, მინსკი ბელორუსების თბილისია. საზღვრამდე რაღა დარჩა! — სიხარულით დაუმატებდა.

ქმრის სიხალისე, საფოსტოსაც ვადაედებოდა.

— ჩვენი ჯარები საზღვარს მისდგომიან, სოფო!

— შენს პირს შექარი!

— ვარშავაში შესულან!

— გაგახარა ლმერთმა!

— კენიგსბერგი აულიათ...

— ლმერთმა გამარჯვება არ დაულოთ!

— ბერლინს შემორტყმიან!

— დამთავრებულა ომი და ეგ არის!

— გული გაუნათდებოდა სოფოს.

— ერთი ღონიერი შეტევაც და მორჩა. იმ შენ ჰიტლერს მაიმუნნივით ჩასვამენ გალიაში და... — სიხარულით აცმუქდებოდა ჭიტა.

— საქართველოში არ ჩამოიყვანენ?!

— მაშ, კაცო... ჩვენი ქვეყანა არ უნახავს და გულნაკლულს ხომ არ გაისტუმრებენ საიქიოში... ზე, — ზე, — ზე!

— სახედამანქვით ჩაიხიბიხითებდა ჭიტა.

— ჩვენამდე ვერ მოაღწევს.

— რაღა ვითომა?

— ფურთხით მოჰკლავენ... — დაასკენიდა სოფო.

— ახლა ეგ მადარდე! ზე-ზე-ზე! — ისე დასცინოდა, თითქოს მართლა გალიაში ესვათ ქვეყნიერების დამაქცეველი და ხვთისიაშვილების კარებზე მოაყენესო.

ასე გააბამდნენ ბავშვებივით.

— ის შენი ბერლინი ისე აუტიალე-ბიათ, ვეღარც იცნობ — კიდევ მალე ახარებდა ახალ ამბავს.

— მერე, ჰიტლერი?!

— ჰიტლერი?... რა ვიცი, აღარც მკვდარი ჩანს და აღარც ცოცხალი.

— ჯანდაბას იმისი თავი! ხომ დამთავრდა ომი და!...

— დამთავრდა, მაშა!

— მერე?

— დალილ ბიჭებს პატარას შეამვენებენ და შინ დააბრუნებენ... შენი შვილიც შემოაღებს კარება და აი აჰ გაკოცებს! — სალოც თითს მიადებდა დამქანარ ლოყაზე.

— ხელი! ეგ მირონას ლოყაა! — გაფურთხილებდა სოფო.

ომი დამთავრდა.

იმ სოფელშიც ისროლეს ქუდი მალა.

ყველა ოჯახში გაიშალა სადღესასწაულო სუფრა. ბევრს გაუმართლდა მოლოდინი, ნაომარი ვაყაყები დაუბრუნდნენ.

ქიტას სახლის ჰერქვევს კი ვერ შემოაღწია სიხარულმა.

კოლ-ქმარი მოთმინებით გასცქეროდა შეილის გზას.

მირონა კი არა ჩანდა.

ისევ დადარდიანდა სოფო. ქიტა კი იხტიბარს არ იტებდა:

— ომი დამთავრდა, მაგრამ ევრე ერთბაშად ვერ მოასწრებენ ჭარისკაცების დაგზავნას. გული არ გაიტეხო. ჩემო გვირგვინო, თავს მალე იჩენს ჩვენი მირონა.

იყვნენ და ელოდნენ. სხვა რა გზა ჰქონდათ.

მას შერე მრავალი ქვევრი გაივსო და დაიკალა ზოგი სალხინოდ, ზოგიც შავი სუფრისათვის. ქიტას ქოცო კი ხელუხლებელი იყო. რამდენჯერ ჩასციებია, ვინ აღარ შეხვეწია, იმ ქვევრის თავვერი გვადირსეო, მაგრამ „ზედაშისათვის“ თითი არ დაუქარებია. ვერც გამოუვალ მდგომარეობას გაუტეხინებია სიტყვა და ვერც ვინმეს ხეწნა-მუდარას.

გასაჭირი და შიმშილი ქიტას ოჯახის კარსაც მისდგომია. უმძლავრიათ, უთამამიათ, სირცხვილს მორევიან. საგონებელში ჩაუგდიათ მოხუცები. ეს უფრო ფშატის ყვავილობისას მომხდარა, ძველი რომ შემოლულა და ახალიც ჯერ არ შემოსულა.

— რაზე ვიზოცავთ თავებს. მოვხადოთ ზედაშის ქოცო, კირნახულზე გადავცვალოთ ღვინო. ამ გაზაფხულზე იოლას გავგიყვანს და შემოდგომაზე ისევ გაავსე ახალი მოსავლითა! — შეუბეღია სოფოს.

— შეთქმულის გარდა სხვის სახელზე სად გავგონილა ზედაშის ახდა! — გასწყრომია ქიტა.

— არ გავგონილა, მაგრამ ლუკმა-პური რომ გვენატრება?!

— არა. სულიც რომ ამოგვხდეს შიში შილითა, ვერ დაგყაბულდებო? გერას!

— ხომ ხედავ, რომ აურებში შექი გაგდის ამდენი უქმელობითა?!

— ყურებში კი არა, წელგზოც რომ შექი გავვივიდეს, სიტყვას ვერ წავაქცევ.

— ჩვენი თავები ჯანდაბას იქით, ფათა-ფუფაზეც გადავივლით, კოწოს ბიკები მეცოდებია, შოშიის ბარტყევივით რომ დაუღლიათ პირები და უმწყო დედას შესცქნავენ!

წერილშვილი კოწო ქიტას ბოლოლა ძმისწულია, ისიც ომში გასტუმრებული.

— პირიდან ლუკმა გამომაკალე დამათ წაუღე, ოღონდაც მირონის ქოცოს მოხდას ნუ მიხსენებ!

სოფოს ქალაქელი შვილიშვილებიც შეუტოდებინებია, ვერც იმათზე დაუქნევიანებია ქიტასათვის თავი.

დიდად პატივსაცემი სტუმრებიც ბევრჯერ სწვევია ქიტას. რამდენი კაცი მიუჩვევია გულთან. აბა. ულოცავად ვინ გადაურჩებოდა თუ ღვინო არ შესწრებია, ან ნასესხებით გასულა იოლას, ან ქაჰის არაყზე გადაუტარებია, მოუბოდიშებია, და შეილის სახელზე შეთქმული ზედაშისათვის ხელი არ უხლია. ნაომარი ძმისწულები და დისწულებიც ჩამოსვლიან. უმალვე თავისთან გაუპატივებია, სახლი გაუმხიარულებია, არც ამჯერად შესწრებია თავისი ღვინო, ფხოზელი მაინც არავინ გამოუშვია, ნაყიდი თუ ნასესხები ღვინით მოუწმენდია ნამუსი. გულახდილ კაცს ეგეც არ დაუმაღავს. შეზარხოშებულნი ჩასციებია. შენი ფეხით დაწურული იმ მარანში გადამალული ღვინო გადაგვაცვრევიყო, მაგრამ ქიტას ხელები გაუსავსავებია. საკუთარი სისხლი მთხოვეთ, ჩემს გულში ნაბრუნებ სისხლს არ დაგიჭერთ. ოღონდაც მირონის ზედაშეს ნუ მიხსენებთო.

ომში ნამყოფი სიძეებიც დაბრუნებია, დაკარგულებად რომ ჩაუთვლიათ, შვილებად მიჩნეულთა დანახვით სიხა-

რულით ცას მოსწევია, კოცნითა და აღურსით გული უჯრებშია, დატრიალებულა, რაც შესძლებია, ყველაფერზე გულგაქართლებულა, სული და გული გადაუშლია, სუფრა აუყვავებია, სველი საღვინეებიც ჩაუღვამს, იმ ზედაშის ღვინო არცერთში მდგარა.

— ცოტა ხანს წახადე, ორიოდ საღვინე ამოაპარე და ისევ ისე მიატალახე! — სოფოც შეხვეწნია და გათხოვილი ქალიშვილებიც.

— აბა, აბა. ბა-ბაა! არა და არ იქნებოს! ყველა მიყვარხართ, ყველა გულზე მამიხართ, მაგრამ მაგას ვერ ვიზამ. თავმოხდილი ქვევრი და გაფუჭებული ქალი ერთია... რაჟი ერთი მოიბდება და გაგულუხვდება: მერე მორჩა! — უპასუხნია ქიტას, — ოღონდაც იმ ქოცოს ნუ ამხანდვინებთ, და თუ გინდათ თავის ქალა ამხანდეთ!

თავმჯდომარეს დაუტრაბახნია: სიძებზე ხომ ეგრე გაფულქვავებულა, მაგრამ, ჩემი სახელი უხსენონ, თუ თავის ნათქვამს მუხლი არ მოუყაროს ქიტამ. აბა, სცადეთ, თუ ეგრე არ მოიქცესო.

თავმჯდომარეზე დიდი კაცი ვინლა მიუჩნევია ქიტას, მაგრამ იმისი შემოსათვლიც ჩალის ფასად დაუღირებია.

მიგზავნილი კაცი რომ ხელის სავსავით გამოუბრუნებია, ქიტას მერე თავისი ფეხით ხლებია თავმჯდომარე. რაიონის თავკაცი მესტუმრა, საკადრის ღვინოს ვერა ვშოულობ, ვიცი შენი თავკვერის გემო, სტუმრის თვალში გამადიდებს, და თუ ოღონაე ხათრი შემოგრაჩენია, იმ შენი ქოცოს ღვინით მეცო პატივი, ოღონდაც ეს გულისნდობა დამიცხრე და მერე მე ვიცი, შენი ხმალი და ჩემი კისერიო.

ნურავის ეწყინება და, მე იმ ზედაშის ამხანდელი არა ვარო.

გაწილებული თავმჯდომარე ცივად გამბრუნებულა, სანაძლეო წაუგია ბულატერ თამრიასთან.

აგერ მეშვიდე წელი ჩათავებულყო დაფქმდს მერე და მირონის ზედაშე ისევ ისე ხელუხლებელი მდგარა.

მანამდე მირონა არ ჩამომივია, ის ქოცო არ აიხდებო. ქვეყანა რომ დაიქცეს, ჩემს სიტყვას მაინც არ წაეაქცევო.

სიტყვა არ წაუქცევია, მაგრამ თვითონ წაიქცა ქიტა. ავადმყოფობამ გა მოპკრა სარმა. რაჟი ერთი დღივლო, ზეცა აღარ დაანახვა, დიდი ხნით შეაბუღა ლოგინში.

ისედაც ტანმორჩილი კაცი მთლად მიილია და მიიღნაპა. თვალი მიეზუტა; გასანთლისფერდა და გაძვალტყავდა სხეები თვალნათლივ ატყობდნენ, რომ საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა თვითონ კი აინუნშიც არ ავდებდა ავადმყოფობას. ლოგინად ვინ არ ჩავარდნილა, მაგრამ კუბოში კი არ გადაუსვენებიათო ყველა. ეს სენიც მალე გამიწლის და ჩიტვიით წაოფფრინდებო.

ავადმყოფს მნახველი არ ელეოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ნათესავები თუ ნაცნობები. გულშემატყვიარი ბევრი პყავდა. მოვიდოდნენ და მოიყოლებდნენ იმედიანობას.

მეზობელი ნუცაც მალ-მალე შევიღიდა ავადმყოფ ქიტასთან.

ქიტას უყვარდა მისი მარიფათიანი მიხვრა-მოხვრა და ქილია საუბარი.

— როგორა მყევხარ, ბიჭო?! — მოიკითხა ნუცამ.

— ჯერჯერობით ცოცხლების სიაში ვიკითხები! — მკრთალი დიმილი და იმჩნია თავმოტვლეპილმა „ბიჭმა“.

— რა პატარა ბავშვივით წამოგორებულხარ ამხნის კაცი!

— მა რა ვაკეთო?

— ადე, ვაზი გასასხლავი გაქვს, მთელი სოფელი დარეულია ვენახებსა.

— ჯერ არა მცალიან...

— ჰო, შენ დაგიცდის კვირტი!

— კვირტს კი არა, სიკვდილსაც მოვაცდევინებ!

— შენ ისეთი სასიკვდილე ხარ, მართლა იზამ მაგას.

— მართლა რა, სიკვდილიც კაცის გამოგონილია და სიცოცხლეც. — ღრმად ამოისუნთქა და ჰერს მიაშტერა უღონო თვალები.

— აქეთ მიხედე, სად პაპაჩემ სო-
ლუსკენ მიგაქვს თვალბი!

— აჰა, მა მიხედა! — და რაღაცა
ღრმად ჩახედა ნუცას.

— ნეტა იმ დროსა, ქიტა, შენ რომ
გახაროდა ხოლმე ჩემი დანახვა.

ქიტას ღიმილი გაუკრთა და ისევ
ჭერს მოავლო შუერა.

— გახსოვს. ქიტა, ჭკუაშემღერებულ-
ლი რომ იყავი და ხბოსავით წამოიშ-
ვარე ტუჩები საყოცნელად?!

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს!

— ისიც გეხსომება, იმ წამოზბევილ
ტუჩებში რომ ვთხლიშე ხელუკლდმა.

— კაია, არდასაცალებელი იყავი! —
სვენებ-სვენებით ამოთქვა.

— ავი არც დამაცალეს, მომიტაცეს
და შენც დამარი პირში ჩალაგამოვლე-
ბულა.

ქიტამ შემჭკნარი ტუჩები მოპუსხა
და პირი მთარიდა.

— ხომ არ მეტუტები, ქიტა? — არ
ეშვებოდა ნუცა.

— არა!

— არც სოფელს ებუტები, ქიტა?

— არც სოფელსა.

— მაშ ანდერძის თქმას არ აპირებ
ჯერა?!

— რა დროს ანდერძია, — დასუსტე-
ბული სახე მოაბრუნა ქიტამ, — ჯერ
ხომ ჩემს მირონას არ გავუხარებივარ,
სანამ ის არ შემომიღებს აიმ კარებს,
ამ ქვეყნიდან ფეხისმომცვლელი არა
ვარი!

— გისმინოს მალაღმა ღმერთმა.
მალალი ღმერთი ყურს იყრუებდა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფ-
რო უარესდებოდა მდგომარეობა.

ეძალეობოდა, მაგრამ ვერა და ვერ
წამოუდგა ავადმყოფობას.

სოფოს ხომ ფეხი აღარ მოუცვლია
შინიდან და გათხოვილი ასულებიც რი-
გრიგობით ადგნენ თავს.

ექიმებსაც მობეზრდათ წამდაუწუმ
სიარული და ერთიდაიგივეს თქმა.

საიმედო სიტყვებით შაინც უნამავ-
დნენ ვულს, მაგრამ სხვებიც ამჩნე-
დნენ, რომ

დნენ, რომ ჯანაოზებსაც ხელი ჰქონ-
დათ ჩაქნეული.

მახლობლებმა საბოლოოდ ირწმუნეს,
რომ ავადმყოფის დღეები ითვლებოდა
და ღირსეულად დაკრძალვის თადარი-
გი დაიჭირეს.

თვით რწმენაგაუტეხელ ქიტასაც
შეუჩნდა ავი ანგელოსი, მალ-მალე მო-
ალანდებდა სიკვდილს.

დაკარგული შვილი უფრო და უფრო
ხშირად დაუჯდებოდა წამწამზე, მერე
ძილშიაც შეჰყვებოდა და დახმანები-
თაც გაახარებდა.

მიმჭკნარი ავადმყოფი რომ თვალს
მილულაედა, თავს მდგომნი საწოლთან
ჩამოუჭდებოდნენ, ძილში არ გაიპარო-
სო.

აჰა, სუსტი ზვრინვა ამოუშვა ავად-
მყოფმა, გალურჯებული ტუჩები შეა-
ცმაკუნა, წამოზრდილი უღვაში შეე-
რხა, სახეზე მკრთალი ღიმილი გადა-
ევლო.

ჩვილს რომ ღიმილი გადაუთამაშებს,
იტყვიან ხოლმე: ანგელოზები აცინებე-
ნო. ამ მისაჯსავებულ, მოხუც ავად-
მყოფს რაღა აღიმებს ნეტავი?

მზრებიც ოდნავ შეარხია, ხელებიც
შეაკანკალა. თითქოს რაღაცის მოხელ-
თება სწადიანო.

— ეტყობა, საამო სიზმარშია! —
წაიჩურჩულეს თავს მდგომებმა.

— ღმერთო, კეთილად, კეთილად აუ-
ხდინე! — პირჯვარი გადაისახა სოფომ.

მძინარე ავადმყოფმა უცებ შეიჯრა
შუბლი, შეშინებულივით შეტოცდა.

— ა-ა-ა! — აღმოხდა სუსტი კენესა.
ხრიალს მოუმატა, თითქოს უშველებელ
რამეს ეძალეობაო. ღონე არა ჰყოფნის
და შეეღასა თხოულობსო.

— რაღაცა დიდ გასაჭირშია! — იაზ-
რა უფროსმა ქალიშვილმა.

— უიმე! — წამოიცრემლა სოფომ,
რომელმაც უარესი წარმოიდგინა.

— გავადვიძოთ.

— უფრო არ ვაწოთ.

— ექიმს დავუძახოთ.

— დაგუქახოთ, მაგრამ რას უშვებოდა
სოფომ იუფბლუქლუქ და

ვერ გადაეწყვიტათ, რითი ეშელავათ.

ავადმყოფს კენესა შეუწყდა.

თავსმდგომებმაც შვებით ამოისუნთქეს.

ჭიტას ერთხელ კიდევ გადაუთამაშა ღიმილმა და მიმჭკნარი ტუჩები სუსტად მოაწკატუნა. თვალები გაახილა. მიმოიხედა და ისევ მოიფიქროვა შესიებული-შელურჩებული ქუთუთოები. რაკი ძილის გადაბმა ვეღარ შესძლო, უღონოდ დაახამხამა წამწამები და უცნაურად მიაშტერდა პერს.

— როგორა ხარ, მამა?

ავადმყოფმა თავი ოდნავ წამოიქნია „არამიშვარას“ ნიშნად.

— რა გაცენესებდა?

— უცნაური სიზმარი ვნახე.

— ?!

— ვითომ, მირონამ შემოგვიღო კარები მოულოდნელად. შემომაფრინდა, ჩამკოცნა, ჩამელიმილა, მერე თავის დედასთან გაქანდა, გადაეხვია. მე ისევ ლოგინში ვიწექი — უცებ გულმკერდზე წამომაჭდა ერთი გაძვალტყავებული. შევთმინი, გაბურძენილი, ყვითელთვალეზა კაცი. ახლა კბილებდაკრეჭილ ჩონჩხად იქცა, ჩონჩხისზევ ხელები წამიჭირა ყელში და მახრჩობდა... უცებ შეინშა ჩემმა მირონამ, დასწვდა მოძალადე ჩონჩხს და ნაყუწ-ნაყუწად აქცია ჩემს თვალწინ... დაქუცმაცებული ჩონჩხი ისევ გამთელდა, საშინლად დაიწივლა და სახლიდან გავარდა. მოვიდა მირონა, მომეალერსა და ტყვივლები დამიამა. ის იყო, კიდევ უნდა დავეკოცნე, რომ გამომეღვიძა კიდევ.

— ღმერთო, კეთილად აუხდინე ეს სიზმარი! — შეევედრა სოფო.

— ამინ!

— ამ უბედურს, ჩემი არ იყოს, სულ მირონა აგონდება და ელანდება.

— მა ვისი ჭავრი მაქვს!

ავადმყოფი კიდევ უფრო ილეოდა და დნებოდა ლოგინში.

ერთ საღამოს ცოლი იხმო, ორიოდ სიტყვა უნდა გითხრაო. გულმავიწყობა ანდრე დამჩემდა, შენ იქნებ გადაგქარ-

თულდეს და ქალ-სიძეებსაც დამიძახეთო.

ქალ-სიძეები შემოუსხდნენ¹ გარშემო.

ავადმყოფს გაუძნელდა ჩანაფიქრის ამოთქმა, მაგრამ სათქმელი მიინც მოიქმანდა.

— ანდრეძი კაცს არ მოჰკლავსო, მაგრამ კაცნი ვართ. თუ მიქელ-გაბრიელი მიინცდამიინც ვერ გავიტეხინე, ორი სათხოვარი მიინც შემისრულეთ. იქნებ, გუეცნაუროთ კიდევცა, მაგრამ ჩემი პირველი გულისთქმა ეს არის: იმ დიდ სასაფლაოსაკენ ნუ მიზამთ პირს, შეუხედავ ბორცვზე რომ აჯვარულა. ფერიმქამელათი დაშაშრული ლოდები რომ ერთმანეთს მიჰყუდებიან და შესანდობრად მიმსვლელის საბილივეც ძლივს მოიძებნება. მეჭავრება სულშემხუთავი სამარეები. საახალმკვიდროდ რომ დასცხებენ წერაქვსა და ძველის თავის ქალა ამოგარდება. საფლავი უნდა გაშლილ-გალადებული იყოს, მიცვალებულმაც შვება იგრძნოს და მისმა პატრონებმაც. მკვდარსაც უნდა მიუხაროდეს და ცოცხალსაც. ამ გულგუმაძღარ ადამიანებს იქ მიინც ნუ მისცემთ ერთმანეთის წაკიდებისა დ დავიდარების საბაბს. სააქაოშიც სამყოფად ვუფხაჭნით გულებს ერთმანეთსა. როცა მოვკვდებით, მეც ნურავის ნუ წამკიდებთ, აქაც მეყო ჭიდილი და დავიდარება, თუ ჩემი სულის ცხონება გინდათ, გაშლილ-გალადებულ ადგილას დამასაფლავეთ! დიდ სასაფლაოზე ვინ ვამინებოვრებს, სადა გვაქვს მაგდენი მიწა, რომ მკვდრებსაც გავგიძლეს გული. ჩემს ვენახში გამითხარეთ სამარეი იმ ტალახიან ორღობეში გამატარეთ, საფქვავეთა და ყურძნით დატვირთული ურემი რომ ჩამფლობია და ღობემძვრალეების წრიბინს რომ გამოუქვლია ყურები. გულზე დამაყარეთ ის სურნელოვანი მიწა, რომელთანაც დეკაკაცივით მივიღავია და უთვალავჯერ დამიბჯენია ქალამნიანი ფეხი. იმ მზემ დამხედოს, ოფლში რომ ვუტურავებოვარ დილიდან საღამომდისინა, იმ ვაზისა და

ხეხილის ფესვებმა გამოიწვიონ, ჩემს მარჯვენას რომ უხარებია და ულოლიავებია. იმ ბიბინა ბალახის ნასუნთქი მასუნთქეთ დაჩოქილს რომ მიშრი-ალებია ნამგალი. შესანდობარი ღვინის წვეთივით დამეცეს ის ცისნამი, დამსხვრეული აღმასებრით რომ აციმციმებულა ჩემი ვენახის მიჯნაზე, იმ მუხას შრიალი შესმოდეს, მამა-პაპას რომ სალოცავად უქცევია და სათაყვანებელი ხატი რომ შეუხორცებია. იმ კაკლის ფოთლები დამეყაროს, ჩემი მირონა რომ კენწეროზე მოქცევია. იმ კაქკა-მა დამჩხავლოს, ჩვენს ბოყიან ჭანჭურზე რომ გაუკეთებია ბუდე და ჩემს ბიჭუნას რომ ხელეზი უფათურებია. იმ მდინარის ბუყბუყი შესმოდეს, ჩემს ღმერთა ყმაწვილს რომ უწყუმპალავია, იმ წყარომ მომაწყუროს, ცხავატურას პირას რომ კენჭებს ათამაშებს და ჩემი ვაჟკაცი დასწაფებია. იმ მარნის კარის შრიალი მალღებდეს, ჩემს გაანცებულ საფიცარს რომ თავისი სახელი ამოუყარია!

იქნებ, მამა-პაპათა სულელები შემომიწყურნენ, ჩემს ძვლებს რომ გვერდით ვერ დავულაგებ, მაგრამ შემიდნონ. რა ვუყოთ, ისინი ხომ ჩემსავით გულნაყლულნი არ გასდგომიან იმ გრძელი ქვეყნის გზას!

ნანატრ აღგილას დამარხვა განა მართლა ჩემი სულის გასალაღებლად ამიხირებია, მე სხვა გულის ჭია მქამს. აქ უფრო მალ-მალე შემომიბიჯებენ ჩემიანები. მირონა რომ ჩამომივა, აქეთ უფრო ხშირად გამოუწევს გული. ის რომ ჩემს საფლავზე ფეხს დააბიჯებს, ძვლებიც კი ამიმღერდებიან... ნეტავი, მაშინ გამაცოცხლა, თუნდაც ერთი დღითა. ერთხელ კიდევ შემახედა იმ ნანი-ნანატრი ბიჭისთვის. გული მაჯერებინა იმის თვალეზში ცქერითა, ის ღიმილი კიდევ მაგემა, იმ შავ ქოჩორზე ხელი მომათათუნებინა, ის განიერი ბეჭები მტკავლით გადამაზომინა და მერე ისევ მომკლა. იმ ერთ დღეს მთელ საუკუნედ მიგივლი, მაღალო ღმერთო... ნეტავი, მართლა არსებობდე, მარტო

შენ კი არა, საიჭიოც. არა, უნდა ვიწამოთ შენცა და ის გრძელი ქვეყანაც, არსებობთ ორივენი, არსებობთ მამა-პაპა მომიკედები, სულა! საიჭიოში მაინც უნდა გავიხარო ჩემი მირონას დაბრუნებისას...

მეორე სათხოვარიც სვენებ-სვენებით მიაყოლა უკანასკნელ დღეში მყოფმა.

— მანამდე ჩემი მირონა თავს არ იჩენს, იმ ზედაშეს ზელი არავინ მიხლოს! ჩამოვა და თავისი მარჯვენით მოხადოს თავსაბურავი. ვიცი, რა ცინცხლა ღვინოც შემოსცინებს. იმ თავანკარათი ჯერ თავისი გამარჯვებისა და მშვიდობით მოსვლის სადღეგრძელო თქვას, და მერე იმ ზედაშის შემთქმელისა... ჩემზე უთხარით: შენი ნახვის ნატრული წავიდა ამ ქვეყნიდანთქო, შენს გზაზე ცქერით ამოულამადა თვალეზი. შენი ღიმილი მოსწყურებოდათქო, შენს შავ ქოჩორზე ხელის გადათათუნებას ველარ ელირსათქო, შენი განიერი ბეჭების გადასაზომად უკანკალეზდა ის დამტკავებელი მარჯვენათქო, შენი პატარძლის დასალოცად. უკაწკაწებდა კბილები, მაგრამ უღმერთო სიკვდილმა სამიწედ დააკრკინა-თქო, შენი ნაშიერის ხელში აყვანისათვის ლოცულობდა, მაგრამ იმ უღმერთო ღმერთმა მაგდენი მოწყალება აღარ გაიმეტა-თქო. კი არ დაღონდე მამაშენის სიკვდილითა-თქო. რაკი შენ ცოცხალი იქნები და ჩვენი კერა აღარ გაცივდება, შენი მშობლის სული განათლდება-თქო. იმაზეც დასწვდა გული, მამის კუბოს აწევას რომ ვერ ჩამოუსწარი-თქო!

ავადმყოფს უღონო ცრემლი მოადგა თვალეზზე.

ანდერძის მომსმენლებსაც დაუსველდათ უბეები. სოფოს ზღუქუნიც წამოსცდა. ქიტამ შეამჩნია და:

— შენ მაინც გამაგრდი, დედაკაცო, ი ბიჭს შენ მაინც დაუხვდი ცოცხალი. ყველანი გაისუსნენ.

— როგორც დილაზე აუცილებლად უნდა ამოვიდეს მზე, ისე მჯერა, რომ

ჩემი მირონა ცოცხალია და უსიკვდილად ჩამოვა!

კიდევ ეწადა სათქმელის გაგრძელება, მაგრამ გული დაეღალა, ამოუღუღდა და დადუმდა. ნაღვლიანად მიაშტერდა ბინდადქცეულ ჭერსა.

სოფო ავიწვიშდა, შვილებიც აზღუქუნდნენ. დარღბულული სიძეები ავადმყოფსაც ამხნევებდნენ და მოცრემლეებსაც.

— ეი, რა იყო! განა მართლა ვკვდები, ეგ ისე გითხარით.. წუღან ხომ ვთქვი. ანდერძი კაცს არ მოჰკლავს-მეთქი! — იმედიანად გადმოიხედა ავადმყოფმა.

ანდერძი კაცს არ მოჰკლავსო, მაგრამ ორი პარასკევის გათენება აღარ დასცალდა ავადმყოფს.

მთელმა სოფელმა იწყინა უწყინარი კაცის სიკვდილი. ყველას მოუყვდა სიცოცხლის მწყურვალი ქიტა.

დამწუხრდნენ და უჭირისუფლეს. არც ცრემლი მოაკლეს და არც ოფლი, რომ ღირსეულად დაეკრძალულიყო.

ნათესაებშიც მეორე დღესვე დაგზავნეს გლოვის შათირები, იმათაც დაეკაწრათ გულები. მახლობლებმა შავები ჩაიკვეს. მოდიოდნენ და მოდიოდნენ თვალცრემლიანი დედაკაცები და სახენადვლიანი მამაკაცები. ჭირისუფლებით გაივსო კუბოიანი სახლი. დიდი ზარი იდგა. სოფლის თავსა და ბოლოში ვადი-გამოდოდა მოთქმითი ტირილი: ცრემლიანი მკვდარიო ეს საცოდავი, იტყოდნენ. ცრემლიან მკვდარს იმას შეარქმევდნენ ხოლმე, ვისაც ბევრზე ბევრი ჰყავს დამტირებელ-დაწინებელი.. ბევრი ეცილებოდნენ ერთმანეთს ცრემლით გააბტიონებაში მიღნაპულ-მიღუღლი ცოლი დედოფლობა და მოთქმით ტირილში. ფაშ-ფაშა ქალიშვილები აუბამდნენ მხარსა, სახეჩამომკვნიარი დებიც მოსთქვამდნენ ჯერი-თა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც ისიებდნენ თვალბს. სხვა ნათესავ-მოკეთებებსაც არ მოუკლიათ. ვიშ-ვიში.. გულ-

შემატყვიარი მეზობლებიც ქვითინებდნენ.

მიწის ლუჯმად ენახებოდათ. მიწის-ეშხით გულუჯერებელი კაცი...

ეადრევებოდათ მისი სიკვდილი. ეგ უკმარისობაც ხომ უცხელებდათ. ცრემლსა, მაგრამ შვილის მოუხვლელობაზე უფრო აწეებოდათ ყელში ბოლმა ჭირისუფლებს. უმემკვიდრო ვაკაცის დაკარგვაზე უფრო ეთუთქებოდათ გული. ქიტას კუბოს უსხდნენ და კალთებზე ესვენათ მირონას აჩრდილი. მისი სურათიც გაედიდებინათ. შავ ჩარჩოში მოემწყვდიათ და ხალიჩიან კედელზე ჩამოეყიდათ. ხან ცხედარს შესტიროდნენ და ხან ღიმილის ბიჭის სურათს. მირონას სიკვდილის ხსენებას ვერა ბედავდნენ, მაგრამ გულის ხშიერებთაც ნათელი იყო.

მგლოვიარე მამაკაცებიც ბუტბუტებდნენ: ნეტავი, ი ბიჭი ჩამოსულიყო და თვითონ ქიტა — თუნდა ადრეც მომკვდარიყო და სოფოც თან გაჰყოლოდათ. ყველა მაგ აზრისა იყო, მაგრამ ვის რასა ჰკითხავს უსამართლო სიკვდილი. ნეტავი, ჩემი კუბოს თავს ჩემმა მირონამ შეუდგას მხარიო, ბევრჯერ უნატრია ქიტას.

მაგრამ...

გამოსვენების ქამმაც მოაწია.

კუბოს თავს წყვილი სიძე ამოუდგა. იგივე შვილები არიანო. კუბოს ბოლოს მმისწულებმა ჩაავლეს ხელი, ეგენიც შვილების მაგიერობას უწყევდნენო.

ჭირისუფლები გამოიმძღვარეს, გამოცარიელებული ოთახის კარი მოკეტეს, მიცვალელებული შეავედრეს თავისი სახლის ჭერსა, უდროოდ არავის კუბო დადგმულიყოს ამ ოჯახშიო... კედლებსაც ალაპარაკეს... აღბათ, კიდევ ალფიცეს იმისი სული. მერე მოხურულ კარს ნელა მიუჯახუნეს კუბოს თავი და ისე გამოაციმიციმეს გარეთ.

ეზოში დაასვენეს, თვალი გაუქმდეს თავის არე-მარეს ცქერითაო.

ჭირისუფლებმა ერთხელ კიდევ იჯერეს გული მოთქმა-ტირილითა და ნატვრაუსრულებელი მიცვალელებული გა-

უყენეს იმ „გრძელი ქვეყნის“ გზას, რომელზეც გავლილი ზევრი უნახავს ამ ღიმილიან მგზავრსა და უკან დაბრუნებული — არავინ. მგლოვარეთა ნაკადი შავ მდინარეს დამსგავსებოდა, მღორედ მიედინებოდა და წყნარ ტალღებზე ნაფოტივით აეტივტივებინა შვებარშინი კუბო.

სოფლის სასაფლაოსაკენ კი არა, თავის ვენახისაკენ უქნეს პირი ქიტას. კუბოს ფიცარზე აარახრახეს პელტები იმ მიწისა, რომელზეც უთვალავჯერ დაუბიჯებია განსვენებულს.

გვიანი შემოდგომა იყო, მაგრამ შუეს ჯერ არ დაეკარგა სითბო.

ბუსუსიანი ნიავე ნაწვიმზე ამოყრილ ბალახს გრილად აბიბინებდა, უმთავრესად მყუდროებაში რომ გალაღებულყო. მესაფლავეებმა ის მწვანეიანი კორდის ბელტი მოსჭრეს და ამოზნექილ საფლავეზე გააყოლეს ქეჩოსავით ზედ ტაბლა გაშალეს და შესანდობრად წაუქციეს თავი-ნათალ ჭიქებს.

ქიტას სულის მოხსენიების მერე მირონის სადღეგრძელო თქვეს, მერე მამა-პაპანი შეუწყალეს. არც მესაფლავენი დაივიწყეს.

— ფუჭი იყოს თქვენი შრომა! — მიმართავდნენ გუნებადამმარებულნი ნიავე ღონეს იკრებდა, გამეტებით არხევდა შეტრეკილ ტოტებს და ყვირთელი ფოთლები ეცემოდნენ ქიტას საფლავს.

• • •

მასუკან ორ წელზე მეტი გასულიყო..

მარანს მიადგნენ-მეთქი სამივენი, თავში ვთქვი.

— მამაჩემის საყვარელი მარანი! — ხარბად შეხედა სახენიაირეშმა.

ეს გახლდათ შინმოსული მირონა, რომლის გზაზე ცქერით თვალი ამოუღამდა ქიტას, სოფელსაც რომ გამოგლოვილი ჰყავდა.

— აქ ტრიალი ქვეყანას ერჩივნა! — თავი დაარხია მალალმა კაცმა.

ეს ქიტას უფროსი სიძე იყო — ვარლამი.

— ვინ არ გაიხარებდა აქაურობის ხილითა! — დაუმატა ტანსრულმა ვარლამმა ეს კი მომდევნო სიძე იყო — ნოდარი.

გადარაზული კარი გააღეს. შიგნით შევიდნენ. სასიამოვნო, სიგრილე ეცათ ისეთი, მხოლოდ მარანში რომ ტრიალებს. კმაყოფილებით მიმოათვალიერეს იქაურობა, თვალი დაატყბეს იმ უბრალო და დიდი ხნის უნახავი სამარნე ნივთების მხერითა.

მირონა ამას არ დასჯერდა. იქ მიმოყრილი საგნების მიაღერებდა მოუნდა, თავზე შეჩხირული სარეცხი ჩამოიღო.

— ემ, რამდენჯერ გაოფლილა საწყალი მამაჩემი ამითა!

თავთუხის თავთავებით დაწნული ჯვარი ჩამოიღო, მუხის ბოძზე რომ იყო გაკრული.

— ესეც მამაჩემის დაწნულია!

— ვინ იცის, რამდენჯერ ულოცია მაგ ჯვარზე შენი ჩამოსვლა!

— აჰი გაუჭრა კიდეც...

საწინახელში გადაყულყულავდა.

— მეც მიტლინკავია ამ საწინახელში. ფეხებდაკარწახებული მამაჩემი ხეოს გადამხვევდა და გულამომჭდარს პახტუნავებდა!

კომშის ჯაგანს მისწვდა. ჩამოგლიჯა და ხარბად დაყნოსა.

— ხედავ, აქამდე როგორ შემორჩენილა!

სიძეები თავს იქნევდნენ.

— ეს არის ზედაშის ქოცო! — ფეხი დაჭკრა მირონამ.

— კო, ეგ იქნება.

— ჩვენი ზედაშის ქვევრი! — ღიმილით თქვა მირონამ.

— მირონის ზედაშე რომ დაარქვა საწყალმა მამაშენმა.

ვარლამმა ნიჩაბი მოძებნა და მირონას გაუწოდა.

— მოიტა, ჩემი ხელით უნდა ავხადო! — რაღაცა მოკრძალებითა და ხალისით წასწვდა.

— ჰო, ეგრეა ნანდერძევი!

მირონამ მელავები დაიკარწახაჩდა

ქვევრის თავს მიწა წააცალა. გულდადებით გადასუფთავა. ქვის სარქველი ფრთხილად ასწია და გვერდზე გადადო. საამო და ძლიერი სურნელება ეცა. მირონას სახე გაებადრა. ვაზის ყლორტები ამოშალა, ფოთლები გახუნებულყო, მაგრამ სიმწვანე მთლად არ დაეკარგა. ალაგ-ალაგ თამბაქოსფრად დაჩითულიყო. თითქოს ობიც მოჰკიდებოდა და რაღაც მძიმე, მკაბე სუნი დაჰკრავდა. ვაზის ტოტებ-ფოთლებიც ფრთხილად ააცალა. და ლალისფერმა თავვევრმა შემოსცინა. ქვევრის ტუჩამდე ამოციმციმებულყო ღვინო.

საამო სურნელებამ გუნება გაუმზინა მირონას. ხარბად შეიყენებდა და პირს ღიმილი მოემატა.

— კაცს დაბნიდავს ეს დალოცვილი! — თავი გაიქნია ნოდარმა.

— მაშ, დაუღევლად დაათრობს!

— უმღერელს აამღერებს.

თიხის ჩაფრუჯა გაუწოდეს სახენაირვეს.

მირონამ ჩაფრუჯა ჩააყურყუმელავა. ამოვსებული ღვინო ისე შიშინებდა, თითქოს მუგულხალი უღვივოდა შიგ. ჯერ ცხვართან მიიტანა, დაყნოსა, ნესტოები შეუფიცხა, მერე მოაჰკაშნიკა და:

— იფფ, რა გემოწმინდა!

— მირონის ღვინოა? — ორაზროვნად თქვა ნოდარმა.

— ჰეშმარიტად მირონისაა! — დაუმატა მეორე სიძემ.

— მრავალჯერ მოგვეხადოს სასიყეთოდა. იცლებოდეს და ივსებოდეს! — ასე იცოდა ხოლმე საწყალმა მამაჩემმა.

— როგორც ანდერძი დაგდო, ისე თქვი პირველი სადღერგძელო! — მორიდებით შენიშნა ვარლამმა.

— ეს შესავალი იყო. იმასაც მივაყოლებ. ჩემს ჩამოსვლას გაუმარჯოს და მამაჩემის სულის ამხევებასა და ძვლების ამღერებასა... — ორიოდ სიტყვა იმყოფინა და ჩაფრუჯას ტუჩი მოჰკიდა, — იფფ, როგორ შემოუენახავს თავისი გემო! — და კვლავ ამოავსო. უფროს სიძეს მიაწოდა.

— შენს მეკდრეთით აღდგენას გაუმარჯოს! — ვარლამაც მოკლედ მოსკრა და მოიყუდა.

— მშვენიერად შენახულა!

— რაც უფრო ძველდება, ღვინო, მით უფრო გემრიელდება!

ახლა უმცროს სიძეს მიაწოდეს საესე ჩაფრუჯა.

— შენს მშვიდობით ჩამოსვლას გაუმარჯოს და ჩემი სიმამრის სულის ცხოვნებას!

— ლუკმა მიატანეთ!

ნოდარმა კალათას მოუქეკა თავი, ლავაში ამოიღო, სამად გაფხრიწა, მერე ცივად მოხარშული ღვინოს ნაქრები ჩამოარიგა, სხვა მისატანებლის ამოღებასაც აპირებდა.

— საფლავზე გავშალოთ ტაბლა! — ისურვა ვარლამმა. — თავისი ყურით მოისმინოს სადღერგძელო...

— არა, ჯერ ქვევრის თავზე ვუთხრათ შენდობა! — შეახსენა ნოდარმა. მირონამ ჩაფრუჯა ამოავსო და მამის მოსახსენებელი თქვა საკუთრივ:

— სიყვარულით საესე გული ჰქონდა ცხოვნებულსა. წვეთი აბობოტე არ მოეყოლებოდა. ყველა უყვარდა. ადამიანი, სულადღმული, ღვინომწა, ზეცა, წყალი, ოფლი, ვაზი, მარანი...

— ყველაზე მეტად ვაჟიშვილი! — შეაწყვეტინა ნოდარმა.

— ალბათ, თვალში რომ ვაკლდი, იმიტომაც.

— მაგის გარეშეც ღმერთი გადაირწმუნა და შენ გიწამა. უწინ ჯვარპატიოსანის სახელზე ავსებდა მაგ ქოცობს, ბოლოს კი შენ შეგიტყვა...

— შენი გზის ცქერაში ჩაუქრა თვალის სინათლე!

თავჩაქინდრულნი დასცქეროდნენ ახდილ ზედაშეს.

— რა დიდი რწმენა ჰქონდა, ხომ გუნათლებელი კაცი იყო, გვარ-სახელის მოწერას ძლივს ახერხებდა, მაგრამ საოცარი აღლოიანი და წინამკერტილი გახლდათ, იმედინი, ბრძენი; ხომ ასე არტახებივით უჭერდა ცხოვრება და ერთი ჩივილი არ დასცდენია, გამარჯვე-

ბის იმედი არასოდეს მოშლია. ფანატიკოსობამდე ამბლებული მრწმენი იყო. მთელ შვიდ წელიწადს არა ჩანდა შენი კვალი და მაინც სულ იმას გაიძახობდა: ჩემი მირონას მოსკლა დილის გათენებასავეთ მჯერაო. იმ რწმენით სუნთქავდა და ცოცხლობდა... — ამბობდა ნოდარი.

— ასეა, კაცი რწმენით იმარჯვებს! — დაუმატა ვარლამმა, — რწმენა ძალაა სიცოცხლისა, რწმენა სულია გამარჯვებისა!

— მოდით, ჩემო სიძეებო, ჩემო ძმებო, იმ რწმენას გაუმარჯოს! მამაჩემის რწმენას, კაცის რწმენასა და იმედს გაუმარჯოს. მეც მაგ რწმენამ გამიძლიერა სული, გამაუძლეველა. ვანა მარტო მე, მილიონობით ჩემფერს. მაგ რწმენამ გაგვამარჯვებინა. რწმენისა და გამარჯვებისა იყოს! — თქვა მირონამ, თვითონაც გამოცალა და სიძეებსაც ათქმევინა და გამოაცლევინა!

— ყველას ჩაქნული გვქონდა ხელი შენზე...

— მაინც რა ყოფილა აღამიანი, — განაგრძობდა მირონა, — რამდენი შემძლება... ყუმბარას დავემარხე. მესამე დღეს გამეხილა თვალები. მივიხედ-მოვიხედე. მტრის ხელში აღმოვჩნდი. საიდან, როგორ, ვერ ვტყვევით... ტყვეობა... შიმშილი... ცემა... დამცირება უდაღამიანობა... ჯოჯოხეთის ყველა ვარსში ვავლა... ტყვიას რომ გადავურჩი, ეგ არ მიკვირს, ტყვეობაში რომ სულა არ ამომძერა, ეგ მაოცებს. ოხ, ის ძაღლისშვილები...

— მერე ხომ იყარე ჯაფრი!

— გაგიხარია, ამოვიყარეთ გულის ბუხარი! ტყვეებმა რომ დამტყვევებლები დავატყვევეთ. ქვაც იწვოდა იმათი ცოდვითა... თუმცა რად იყვნენ შესაცოდნი... ბანაკის უფროსი, მუხლის ჩოქვით ვატარეთ თავისივე კაბინეტში. ყელგამოწევით გვეხვეწებოდა. ნუ მომკლავთო... მაგისტანების მოყოლა შორს წაგვიყვანდა... წავიდეთ საფლავზე, მამაჩემი გველოდება, ალბათ, სულ მოუთქმელად...

დიდმუცლიანი საღვინე გაავსეს თავანჯარა ზედაშეთი და საფლავიხავენი ვასწიეს, სამარე იქვე იყო, მარნის ბოლოს.

საფლავთან რომ მივიდნენ, მირონას ტანში შეაქრეოლა, უჩვეულო გრძობამ შეთოკა, ამ გრძობაში იყო აღრეული დიდი წუხილიც და სიხარულიც.

— ეჭვი, მამაჩემო, დაკარგული შვილი მოგივედი, წამოდექი, უნდა გადაგეხვიო! — ჩასძახა საფლავში მირონამ.

ირგვლივ დუმული იყო.

მხოლოდ აზვებლავებულ ლოდზე ამოტიფრული თრიოდე სიტყვა აჩურჩულდა:

„ქიტა გოლას ძე ხეთისიაშვილი, 1881 1947“.

არც ჯვარი ეხატა და არც ვარსკვლავი. არც ყურძნის მტევან-ფოთოლი ამოეკვეთათ და არც საღვინე და ყანწი. არც შენდობას ითხოვდა და არც შეწყალებას. თარიღის ქვეშ თრიოდე სიტყვა მიეწერათ ბლაგვი ასოებითა:

„თან ჩამყვა ჩემი მირონას ღარდი“.

ამოიკითხა მირონამ და თვალებიდან ცხელი ცრემლები წამოსკდა. გულნაკლული შმობლის ყელზე მოხვევა მოსწყურდა მაინც ვერ გასძლო. საფლავის ლოდს მოეხვია, ლოდი მზისგან გახურებულიყო, გრილმა ნიავმა დაუბერა. მირონას აწეწილი ქოჩორი და მამის საფლავზე გაღალბებული ბაღახი შეარხია.

სიძეები ტაბლასა შლიდნენ სიამპრის საფლავზე.

მირონა რალაცას ეჩურჩულებოდა მამას, მერე წამოიძარტა და:

— ადექი, წოლის დრო არ არის, ადექი, ჩვენი გამარჯვებისა დავლით, მამაჩემო!

ღვინით საესე ჯამი მიაწოდეს სახენაიარევე მირონას, ქიტას შეთქმული ზედაშის ღვინით საესე.

— აღამის მოდგმას აღარასოდეს არ ენახოს ომი! — ამით დაიწყო სადღეგრძელო მირონამ.

პიონა მინაძე

სვანთნი გოგაე

ცაში სვანური ქუდები ჰკიდია:
 უშბა, შხარა, თეთნულდი, თუ შხელდა...
 ჩემი გზები — ერთი ბეწვის ხიდია,
 სვედის ზღვა და სიყვარულის ელვა.

ცაში სვანური ქუდები ჰკიდია.
 ამ მხარეში მე არ ვუხმობ მეგზურს
 და პირველი, რაც მაქვს, თქვენი რიდია,
 მანარჩერი — ადიდებულ ვნგურს.

გარეული კამეჩივით ღამეა.
 მერე ღრუბლებს ხანჯალივით გაიარს,
 ჯგრაგის თავზე თუთა — თოთო მთვარეა.
 იღიმება მშვიდად სათნო დაია.

იცის მხოლოდ ზეცამ უკაბადონომ,
 ვით ატარებ მძიმე გვირგვინს წამებით
 უბატონო სვანეთის ქალბატონო,
 დედოფალო თავისუფალ სვანეთის.

• • •

დაუჯარჯია შაგრენის ტყავს ძველი
 სიმძიმე.

ახლა ჩითია
 შემდგარი და დამოკლებული.
 და რაკი ბავშვის ძილით გძინავს —
 ვერ გაგაღვიძებ,
 მარჯვენა ხელი
 ლოყის ქვეშ გაქვს ამოდებული.
 დაუღვინებელ დღეებს ვფურცლავ

და ასე ვამბობ:
 მიყვარს ძვირფასი შეცდომებით საღსე
 რვეული...

ძირს
 იატაკზე დაგდებული
 აფრენას ლამობს
 შენი პერანგი
 რეატორანში შემოსხეული.

• • •

არც წყენა დამრჩა,
 არც სინანული,
 არც შევიცვალე

არც ერთი მისხლით.
 ასე, ალბათ,
 გული გადარგული



კვლავ ბეჯითად ფეთქავს
 ოღონდ, სხვისთვის.
 სხვისი ფეხი
 დამძიმებულ მტევანს
 გასრისავს და ქერი —
 შოვა თრობა.
 მთელ ქალაქში
 ერთადერთი მე ვარ
 ვინც იწამა

შენი დედოფლობა.
 ამას ყველას
 მოიგონებ თვითონ,
 ოღონდ, მერე, გვიან,
 დრო რომ გავა...
 ასე ჩივს და
 სულ უბრალო ლითონს
 აელვარებს
 მეფის მონოგრამა

დაგვიანებით და დანაწებით,
 ვით ძველ სიყვარულს უბრუნებ სალამს,
 მოგვაგონდება ორივე სვანეთი
 მერე, როდესაც თბილისში ჩავალთ.


მოგვაგონდება ბიბინი მოლის,
 გოგო, რომელიც ვერ გავიწყავით
 და ბახეინში ნასწავლი კროლით
 გადაცურული ცხენისწყლი..

ბანაკი დატოვებს ბიჭებმა.
 ძმადნაფიცს ჩემი ხელით შევუკარი
 ზურგჩანთა ღონიერ ბეჭებზე
 როგორც სარკოფაგი საკუთარი.

კარტივით არია ამინდმა
 ვჭვი და იმედი ვლამი.
 დილა კი, ნათელი დამიდგა
 მშვიდობით დაბრუნდნენ ყველანი

ქალას გაღიაში წრიალებს
 ფრთაში დაკოდილი წადილი
 მწვერვალი სიბია, ფრიალო
 თუმც. გზა რომელია ადვილი...

ზურგჩანთა ეხლებათ ბეჭებზე,
 როგორც დაჩუტული სარკოფაგი.
 სახეზე ადევთ შუის ბეჭედი.
 ტუქებზე — ქარის ავტოგრაფი



პირველი ალხანოვიძე

სიროსიმა – 1945

ქაიხანი ჩოხიძე ღმრის კოშკი

თქვენი სახლები ემსგავსებიან
შავბნელ მღვიმეებს,
როს ნირშეცვლილნი, შეძრწუნებულნი,
ამაოდ უძებთ ახალ საყრდენებს.

— გამოგაცალეს?
ასე თანდათან, მუხანათურად
გამოგაცალეს საყრდენები
და აღარც ცაში, აღარც მიწაზე აღარა ხართ,
ცხოვრობთ მღვიმეებში —
„ლამაზად“ კალაქს, რომ ეძახიან.

— ვინ იყო იგი,
ნეცხრაშეტე საუკუნის მშფოთვარე ღამით,
რომ გაადვილა მთელი მსოფლიო
შეძრწუნებულ ამოძახილით:

— უფალი მოკვდა... თვითშეცნობა
თვითმკვლელობის თანაფარდია!
(როგორც მიწისძვრამ გამოგადვილა
ამ ხმამ უეცრად,

შეატორტმანა სახელმწიფონი,
ნეფეები და იდეები
და მრავალ თქვენგანს გაახსენა
ეკლესიასტეს ძველი „ფორმულა“ — ამოება).
ეს ხმა თანაბრად განაწილდა
თქვენს ძარღვებში, ტვინში და თესლში,
სულში, უკრედში, გამობედვაში
და თქვით, ტანჯულთა შთამომავალთ
რალად გიკვირთ ტანჯვის მიზეზი.



მასსოვს ბავშვობაში, როცა გარდაცვლილს
სასულე ორკესტრის — სპილენძის ხმები
მიაცილებდა

და ბავშვები ქალაქის ვარდებს
ფანტავდნენ გზაზე.

შექანდა მიწა,

ვეება აკვანივით დაირწა,
გველესაპივით დაიკლაკნა პროცესია
და მერე თითქოს უხილავის ხმალმა აკაფა,
დაიშალა ნაფლეთებად...

ათასი ყელიდან ერთდროულად დაიძრა ხავილი,
წივილი, მოთქმა.

— ჰეი, დაწეკით!

დაიღრიალა გადამდგარმა ოფიცერმა
და ბრჭყვიალა მედლები არც გახსენებია —
პირქვე დაემხო ქვაფენილზე.

გადაავიწყდათ ჭირისუფლებს „ძვირფასი“ მკვდარი
და შეეყინენ „მშობლიურ“ მიწას.

...

მე ვიფოთლები გაზაფხულზე
და შემოდგომით ვფანტავ ფოთლებს,
ხე ვარ მოარული, უნიადაგო,
ჩემი ფესვები ჩემივე სისხლით იკვებებიან
და ძლიერ მწარე ნაყოფს ისხამენ.

ჩემი ნაყოფი არ იჭმევა,
ის იკითხება, როგორც დღიური ტანჯულის,
გვიყის...

(დღესაც ჩავწერე ერთი ფორმულა
ცრემლიანი და სასაცილო:

× წუთი = დეტალს,
მანქანა = მუშის ცხოვრებას.)

კაცობრიობის შხამიან წუთებს
და უბოროტეს ფიქრებს და განცდებს,
რომლებსაც თავი მოუყარეს ატომურ ბომბში,
მე მივაჭანებ ღრუბლებზე მაღლა,
უღმერთო ცაში ფრთხილად ამყავს
ახალი ღმერთი.

— ძრწოდეთ ბრძენო და უმეცარნო,
ბებერ იმედში ლურსმნებივით ჩაჭედებულნო
უკან გიბრუნებთ თქვენსავე ნაყოფს.

...



ქუჩა გველივით იკლანება
დაღლილ მუხლებში
და ყველა თვალი მომჩერებია სათოფურივით.
ველარ მივდივარ, გაკრული ვარ
ყვითელ კედელზე,
როგორც მსოფლიო წყევლის სამიზნე
და მოცვივა ღია თვალებში ვეება შავი ფანტილები —
გარდაცვლილთა შავი ჩრდილები.
ამოდის ცაზე თავის ქალა —
ჩემი მნათობი
და ქვესკნელში მიმერვეება შიშის მათრახი.

...
როიალზე იჯდა ყორანი
და ნისკარტით ბგერებს კორტნიდა,
კორტნიდა გამას დო-დან დო-მდე
და ვუყუჩი მზერით თითქოს მეუბნებოდა
აი, წრებაში უმარტივესი
შენი ყოფისა.
მერე გაკვეთა შუალამე
პროექტორის ბასრმა სინათლემ,
და ამ სინათლის საშიშ ნაპრალში
იწვა უცხო და მის მძინარე,
ოდნავ გახელილ თვალებიდან გადმოდიოდნენ
ავი სიზმრის პერსონაჟები
და უმუსიკოდ, უხმოდ, თითქოს უსხეულოდ
იწყებდნენ როკვას.
გახვეებული ვიდექი წრეში
და ვგრძნობდი სხეულს შიშის
ხავსი როგორ ფარავდა.

...
ვულკანზე ვცხოვრობთ,
მაგრამ ვის ესმის,
რომ მღვრიე ქაოსს ემუქრება
ფერფლი და ლავა,
მაგრამ ვის ესმის მისი თუხთუხი
სიღრმისეული,
ვინ ხედავს მიწის
დაჩირქებულ ძარღვს,
რომელიც უნდა გაწყდეს უეცრად
და ამოხეთქოს კომპარული შადრევანივით.

...
აგე, გოგონას უხარია
ახალი კაბა პეპლის ფრთებივით,



რომ ირწევა საღამოს ქარში.
 აგე .ის ბიჭი მოკლულ მერცხალს
 ცრემლიანი თვალებით უმზერს
 და ცრემლებში ეხლართება მზის აბლაბუდა.
 ღმერთო, გადაარჩინე საგაზაფხულოდ
 გარინდული ეს წყვილი ტოტი,
 რამეთუ ნორჩი, თოთო ფესვებით ვერ წვდებიან
 ამაოების გულქვა ნიადაგს.

ნაჰირა ტაღა. გაჰირა ნუთი

ხევებში შეგუბებულო
 ლურჯო ბინდო გამთენიისა,
 მთების ნიაეო, ბებერ იფნებში აჩქამებულო,
 თქვენი ბრალთა სიხარულის ცრემლი, რომ ავსებს
 უძილო თვალებს — ღამით გამლილ ტანჯვის ყვავილებს.

ღამ შეინრუტა ვარსკვლავები მოკიაფენი,
 ცისკრის ვარსკვლავიც ჩაიშალა, გაუჩინარდა
 გესმის, ტოროლამ გაიწკრიალა პირიმზითში
 და სხვა ფრთოსნებიც აიყოლია.
 ავარდა კვამლი სახურავებზე.
 თითქოს სახლები ქაეროვანი, ლურჯი თოკებით
 ცას გამოებნენ,
 იღვიძებენ ადამიანები,
 გამოდიან სიზმრის მღვიმეებიდან.

საიდან მოაქვს დილის ნიაფს თითქოს ნაცნობი,
 მაგრამ მაინც იდუმალი ხმები
 ხმები,
 ხმები...

თითქოს მარტო ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ
 ვილაც უმზერს ჩემს გარინდებას,
 ჩემს ფიქრსაც უმზერს,
 ისე ახლოა თითქმის ლოყაზე შელამუნება
 იმისი სუნთქვა დაუხაბამო.

ამ სიმაღლეზე, არაგვის ხმა დაგუბული და შორეული
 აღწევს, ამოდის, ხეობიდან როგორც ვეება ნიჭარიდან
 და იკარგება ცაში,
 ამ ხმასაც
 ცა ისრუტავს, ცა აგროვებს ცისფერ თაღებში
 უთვალავი წელიწადთა.




არ გიმღერიათ ბავშვობაში შუაგულ ტყეში,
 არა შიშისგან, გაურკვეველი სიხარულისგან?!
 ტყის სიჩუმე როგორ იშრობს მხიარულ ბგერებს
 და უგზოუკვლოდ მიაქანებს აღფრთოვანებას.

არა ხარ მარტო ამოდენა ცის ანაბარა —
 ფიქრის მდინარეს მინდობილი მიგქანები,
 ზოგჯერ როგორც ხავეს წყალწალღებული
 ვტიდები გადარჩენის უმწეო იმედს,
 ალბათ იმედს ეძახიან ბედნიერებას.

სიჩუმეში შეგიძლია ჩამოიბურტყო ქალაქის მტვერი,
 ქარხნების ტვარტლი, გულგრილობა,
 ცალყბად ნაკითხი „როგორა ხარ“, ან „სად მიდიხარ?“
 და შეუერთდე მზით დატბორილი მთების ლივლივს
 სულით და ზორცით.

მთის გადაჭრილი ძარღვებიდან
 მოთქრიალებს ჩანჩქერების კამკამა სისხლი
 და მსუილით ემურება მდინარისაკენ.
 წავიდა ტალღა, გავიდა წუთი, გავიდა ღამე,
 გაკრთა ცისფერი...
 აღარასოდეს განმეორდება ზუსტად ასეთი ქარმონია,
 აღარასოდეს.





რამაზ კობიძე

გვიმრის ფოთლაბი

რომანი

წიგნი პირველი

ნაწილი მეოთხე

რალა დაგიმალო და ხანდახან მეც ნა-
 ლელიანად გავეფიქრებ ხოლმე, რატომ
 მოეწყო ასეთი მოხდენილი ახალგაზრ-
 და ქალის ცხოვრება ასე უკუღმართად?
 შეიძლება, ვეცდები, მაგრამ რატომღაც
 მგონია რომ მას შეეძლო ყოფილიყო
 მშვენიერი დედა, მეთელე, მეგობარი...
 შეეძლო. მაგრამ — რამ დაუშალა? რა
 მოხდა მის ცხოვრებაში ასეთი საშინე-
 ლი? აი, ამის პასუხი ვერ მიპოვნია. ახ-
 ლა კი... რა მოეთხოვება ქალს, რომე-
 ლიც სარეცელს ჩაფიჩაქსთან იყოფს?
 შენ ვერ წარმოიდგენ, რა ანტიპატიური
 სულიერია ეს კაცი, რა უსუფთაო თვა-
 ლები აქვს! სხვა თუ არაფერი, ეს მაინც
 ხომ იცის, რომ ამ ოთახიდან ჭერჭერო-
 ბით არსად წაესვლება? და თუ ის გო-
 გოლა ასე უყვარს, ითხოვოს, ოთახი
 იქირავოს და იცხოვროს, ვინ დაუშალა?
 მაგრამ მეშახტეებს და სამთო ინჟინ-
 რებს განსაკუთრებული ფსიქოლოგი-
 ური ანალიზის უნარი არ მოგვეთხოვე-
 ბა. ამისათვის საგანგებო ინსტიტუტე-

ბია შექმნილი. წერილიც ძალიან გამო-
 გრძელდა. ამიტომ უნდა ვიჩქარო და
 მთავარი სათქმელი მოვახსენო.

მთავარი კი ჩემს ახლანდელ ცხოვ-
 რებში, ნათია, მეშახტეებია — უბრა-
 ლო მუშები. რა ხშირად წაგვიკითხავს
 ეს სატყვეები ჩვენს ქრესტომათიაში,
 და რა დიდი მანძილია ყოველგვარ ქრე-
 სტომათიასა და ნამდვილ, ცოცხალ
 ცხოვრებას შორის! ამაში დარწმუნება
 მე უკვე მოვასწარი.

ჭერ ერთი: იყო ჩემს უბანზე ერთი
 კაცი, კომბაინერი, შესახედავად ლამაზი
 და საქციელით დარბაისელი, გამოცდი-
 ლი და სანდო მეშახტე იულო სოფრა-
 მაძე. იყო, მუშაობდა და ცხოვრობდა.
 მაგრამ როგორც კი ამ სანდო და გამო-
 ცდილმა მეშახტემ შეიტყო. უბანი ახალ-
 გაზრდა გამოუცდელ ინჟინერს ჩააბა-
 რეს და ახლა ეშმაკმა იცის, საქმეები
 როგორ წავაო, არც აცივა, არც აცხე-
 ლა და მეორე დღესვე სხვა შახტზე გა-
 დაბარგდა. სადაც გაბრანტირებული მა-
 ლალ გასამრჩელოსა და, როგორც მი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

თხრეს, კიდევ რაღაც-რაღაცებს დაპირდნენ.

ახლა მეორე: ჩემს უბანზე იყო და ახლაც არის ერთი კაცი, სამოცს გადაცილებული მესახტე გერასიმე ცნობილად. ამ კაცის თავზე რომ იტყვიან წიკვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ მეტი არაფერი დააკლებია: მას დღესვე შეუძლია, პენსიაზე გადავიდეს და მოსვენებით იცხოვროს. მაგრამ — არ სურს. დაეუშვათ, მაღალ ხელფასზე ცხოვრებასაა მიჩვეული და ასოცი მანეთი ეცოტაეება. მაგრამ მას ისევ შეუძლია სხვა უბანზე გადავიდეს. როგორც სოფრამაძე გადავიდა. ამას უფრო ხალისით და ხელგაშლით მიიღებდნენ და სალაროს სარკმლიდანაც უფრო ხელხევიანად გამობრუნდება, მაგრამ არც ეს სურს. არადა, სხვაზე ნაკლებ არც ეს ჰხედავს, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელ უბნის უფროსს შეიძლება ბევრი შეცდომა მოუვიდეს და მესახტეები — ხალხნი ვართ! — ზოგჯერ სულაც უკირისუფლოდ დასტოვოს, ვინაიდან, — ეს შენც კარგად მოგეხსენება მესახტეებს ფულს მათი ხელმძღვანელის შეცდომებში კი არა, ამოღებულ ქვანახშირში უხდიათ. ამაზე რას იტყვი?

სხვათა შორის, გერასიმე ცნობილად ცალი თვალი აქლია, მაგრამ მესახტეებმა გამაფრთხილეს, მაგაზე ბერიკაცს სიტყვა არასოდეს ჩამოუტდოო. ეს მეორე თვალი შახტში ოდესღაც საკუთარი გაუფრთხილებლობით დაუკარგავს და ეს თავისი თავისათვის დღემდე ვერ უპატიებია — როგორია?

არის აქ ერთი ახალგაზრდა მესახტე — იორამ ნოსელიძე, წარმოუდგენლად ნერვიული, ჭაჭლანა და ავსიტყვა, მაგრამ, თუ არ ვცდები, ამავე დროს ძალიან პატიოსანი, ალაღმართალი და სანდო. არის მემონტაჟეების ბრიგადირი გრიშა ოდიბაშვილი — აქაური არისტოკრატი, მეტად ქედმაღალი, უკიდურესად თავზიანი, დახვეწილი, პუნქტუალური და ამავე დროს, უადრესად ვერცხლისმოყვარეც. არიან სხვებიც, მაგრამ იმათზე როგორმე სხვა

დროს... ყველანი თითქოს ერთმანეთს ჰგვანან და ამავე დროს, ვერუფუნდებისაგან დაუჯერებლად შეგანსხვავდებიან, ყველა მათგანის დახასიათებას ფუთი ქაღალდი არ ეყოფა. მაგრამ არის კიდევ ერთი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მინახავს (და, იქნებ, ვეღარც კი ვნახო), მაგრამ რომელზეც უთუოდ რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრა.

ამ ერთი თვის წინათ, ჩემი ჩამოსვლის სწორედ მეორე დღეს, ბატონმა სარდიონმა ერთი სპექტაკლის დადგმინება. სპექტაკლი მეტად დაძაბული და ხალხმრავალი გამოდგა. ერთი მოქმედ პირთაგანი მეც ვიყავი. მაგრამ სრულიად უსიტყვო როლი მქონდა. ჩემთვის ვიჭექი და თვალყურს ვადევნებდი იმას, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. რა საჭირო იყო ჩემი მაინცდამაინც შუასვენაზე გამოთრევა, ეს დღესაც არ ვიცი. ეს სარდიონის საიდუმლოა. ორი თუ სამი საათი ნამდვილად კრინტი არ დამიძრავს, გასუსული ვიჭექი და გარშემო დატრიალებულ ქარიშხალს სულგანაბული მიეჩერებოდი სხვები კი — მოქმედებდნენ. სხვები გამოუკლებლივ ყველანი — თავგანწირვით. თავდაუზოგავად, სისხლის უქანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. როგორც ნამდვილ სპექტაკლში ხდება, მონაწილენი ორ ბანაკად იყვნენ. გაყოფილნი და ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ. ერთნი — სულ ორი თუ სამი კაცი თვითონ ბატონი სარდიონის მეთაურობით კატეგორიულად ამტკიცებდა, მესამე საქსაპლოატაციო უბნის უფროსად ახლავე, დაუყოვნებლივ თეიმურაზ არჩევანიძე უნდა დავაყენოთო. სხვები კი — სპექტაკლის მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა, ორასი თუ სამასი კაცი — დარბაზს გერგვინებითა და ქუხილით აყრუებდა, ვერ მოგართვით, არჩევანიძე საიდანაც ჩამობრძანებულა, ისევ იქით მიბრძანდეს, უბნის უფროსად კი ისევ ჯობრაილ ხელთუფლიშვილი დარჩესო (იმ ორას თუ სამას კაცში ჩემი დღევანდელი მეგობრებიც ერივნენ —

გერასიმეც, იორამიც და სხვებიც) ეს ჭიბრაილ ხელთუფლიშვილი სწორედ ჰამლეტის მამის ანრდილივით იყო. თვითონ არ გამოჩენილა და თვალთაც არავის დაუნახავს, მაგრამ ყველაფერი მაინც მის გარშემო ტრიალებდა. ბოლოს, როგორც ეს არააშვიათად ხდება, უმნიშვნელო უმცირესობამ დიდი უმრავლესობა დაამარცხა, ჭიბრაილ ხელთუფლიშვილი მოიხსნა (კაცმა რომ თქვას, ბრძანებით უკვე მოხსნილიც იყო), უბნის უფროსის თანამდებობაზე კი შენი მონა-მორჩილი დაამტკიცეს. (ბრძანებით მეც უკვე დანიშნული ვიყავი).

როგორც ვხედავ, ამ ამბავს ახლა ხუმრობა-ნარკვი კილოთი გაცევი. მაგრამ სახუმარო აქ ნამდვილად არაფერია. ახლა მე და შენ რომ სადმე ერთად ვისხედეთ და ყურს არავინ გვივადებდეს, ჩემზე სერიოზული, ალბათ, ქვეყნიერებაზე არავინ იქნებოდა. ახლა კი ეს იმიტომ შემართება, რომ ჩემსა და შენს შორის შეამავლად ეს საფოსტო ქაღალდი.

საქმე ის არის, ნათია, რომ ის ჭიბრაილი ნამდვილად დიდი ვაჟკაცი და მუშახტეების საყვარელი კაცი ყოფილა. მუშახტეებს ის კაცი ნამდვილად ჰყვარებიათ. ესენი კი, ეს ხალხი, ვინც თავის ცხოვრებას მიწისქვეშეთში, ნესტსა და უკუნეთ სიბნელეში, ხიფათის გამუდმებულ, გაუთავებელ მოლოდინში ატარებს, — გარწმუნებ. — ეს ხალხი ტყუილად არავის შეიყვარებს. ჭიბრაილ ხელთუფლიშვილს ეს ნამდვილად დაუმსახურებია. ამ კაცის სახელი აქაურობას კარგაგანს აზნაზარებდა და იმ გრგვინის ექო ახლა, მეც მესმის. ეს ყოფილა კაცი, მუშახტე, მშრომელი და მეთაური, რომელსაც არაფერი დაეწუნებოდა. მერე კი, სწორედ ჩემი ჩამოსვლის დღეებში, რაკი უდაბლომო იყო, რაღაც ნაძალადევი მიზეზით აუხიბდნენ და... მოხსნეს. მე ახლა მისი თანამდებობა მიკავია.

ამიტომაც მომიხდა ჩემი დანიშნვისას იმ ვაიუშველებლის გადატანა-ღმე-

რთმანი, რამდენჯერმე გავიფიქრე. წამოვხტები და გავიქცევი, სადაც უნდა მხედებთან, იქ რა უნდა გავაკეთო და რას უნდა მივალწიო-მეთქი.

ახლა, დრო რომ გავიდა, მივიხედ-მივიხედე და თანდათან დაემშვიდდი. ვხედავ: კრებაზე ჩემს წინააღმდეგ მუშახტეები ისეთი თავგამოდებით იმიტომ კი არ იბრძოდნენ, რომ მათ მე არ მოვეწონე, არა, აქ უფრო სხვა რამ იყო. ერთი ის, რომ ძველი და გამოცდილი მუშახტეები საერთოდ ეჭვის თვლით უყურებენ ჩვენისთანა ინჟინრებს, თავის სიცოცხლეში წიგნების მეტი რომ არაფერი უნახავთ. მეორე კი, და მთავარიც ესაა, — რომ მათი ნაცადი და საყვარელი ჭიბრაილი ასე უდანაშაულოდ და უხეშად მოუხსნეს და საქვეყნოდ გააბი-აბრუეს. ახლა, როცა ჭიბრაილის ამბავს დაწვრილებით მიამბობენ ხოლმე, ვუფროსი ისე მტკივა, რომ ვერც კი გამომიტკვამს.

მაგრამ ახლა ამას რაღა ეშველება? თანაც ამაყი და თავმოყვარე კაცი ყოფილა და ახლა ჭირიც რომ მოსჭამო, ამ შახტისაკენ აღარც გამოიხედავს. ამაში ყველა მისი მეგობარი დარწმუნებულია.

ერთი სიტყვით, ნათია, ჩემი საქმე ახლა ასეა: ჭიბრაილ ხელთუფლიშვილის ძარღვიანი და კოყრიანი ხელებით აწყობილ, დახვთილ და მომართულ მანქანას საჭესთან მიეუჭეჭი და წინ მივლივარ. ჭერჭერობით ამ უზარმაზარი მანქანის ყოველი, თვით უმცირესი დეტალიც კი უნაკლოდ მუშაობს. მაგრამ ყოველ მანქანას ხომ ღროზე შემოწმება. შეკეთება და ხელახალი დაზეთება ჭირდება? დრო დადგება და ეს ჩემი მანქანაც სადღაც მოიშლება, სადღაც წაიჭრებინებს, სადღაც გადახურდება... ნაწყენი და შეურაცხყოფილი ჭიბრაილი ახლა ცოლონთან ერთად ქუთაისშია და ამ ქალაქში მობრუნდებიან თუ არა, ისიც არავინ იცის. მე ჩემი ვაჟკაცობის გამოჩენა მაშინ მომიწევს, როცა მანქანა გაჩერდება. რა თქმა უნდა, ბატონი სარდიონიც

და სხვებიც დამეხმარებიან, მაგრამ...
კითხომ, არაფერი შეგვეშლება?

არა, ეს წუწუნსა და დაბნეულობაში არ ჩამომართვა. მე შოლოდ იმის თქმა ბინდოდა, თუ რამდენად უფრო რთულია ცხოვრება იმასთან შედარებით, ვიდრე ეს ჩვენ სტუდენტობისას წარმოგვედგინა. ისე კი—«Все дело рук человеческих» — ზომ გახსოვს, რა ხშირად გვიმეორებდა ამ სიტყვებს ბატონი იოსები? (ამბობენ, უკანასკნელ დღეშიაო, ნეტავი თუ მართალია). როცა საჭირო იქნება, მე თავს არ დავზოგავ და... ვნახოთ.

ერთი სიტყვით, ისევ და ისევ — ვნახოთ... ოლონდ, რალა დაგიმალო, ხანდახან მაინც ძალიან მძიმე ხასიათზე ვარ ხოლმე და როგორცა ჰხედავ, საამისოდ ბევრი მიზეზიც გამაჩნია.

ძალიან დაილაღე? თუ უკვე დიდი ხანია, რაც წერილი გვერღებ შიგნით და ბოლომდე ჩაკითხვა სამერმისოდ გადასდებ? მე კი სულაც არ დავდლილვარ, თავისუფლად შემოძლია, ათი ამდენი კიდევ მოგწერო და არც სათქმელი გამოგეუვა, მაგრამ ეს სამერმისოდ იყოს. მე ვიმედოვნებ, რომ შენ ორიოდ სიტყვას კიდევ მომწერ და საპასუხო წერილსაც დაელოდები. ნამდვილად, ნათია, ხანდახან შემეხმინე ხოლმე, შენ ამით არაფერი დაგაკლდება და მე კი უამრავი შემემატება.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: როგორ ფიქრობ, შეიძლება, მე აქაურობა მივატოვო და ასპირანტურაში წამოვიდე? სანამ წერილს ხელს მოაწერდა, თეიმურაზი დიდხანს ყოყმანობდა. კარგად ახსოვდა, თუ როგორ ატკინა გული ნათიას წერილის ბოლოში მოკლე და გულგრილმა ხელისმოწერამ. ახლა თვითონ რა ექნა? ჯერ იყო და კინაღამ "შენი თეიმურაზ არჩევანიძე", მოაწერა. მაგრამ — არა! თავი დროზე შეიკავა. ნათია ავალიშვილს თეიმურაზი კარგად იცნობს და სულაც არ გაუყვრდება, რომ ამ "შენის" წაკითხვაზე ნათიამ ტუჩები დაცინით აგრიბოს. მაშ, როგორ მოაწეროს? "ხელს მაგრად გართმევო?"

არა, აშკარა პროვინციალიზმია. რა უბედურებაა ეს — "ხელს მაგრად გართმევო"? ეს შეიძლება ოფიცერმა ჯარისკაცს მისწეროს, აქ კი... თუმცა, რა "აქ კი?" რა ჰქვია ნათიას და თეიმურაზის ურთიერთობას? აი, საქმეც ეგ არის, რომ ამ ურთიერთობას ერთი გარკვეული სახელი არ გააჩნია და ამიტომაცაა, რომ აღაშინაზმა არ იცის, წერილს ხელი როგორ მოაწეროს.

თეიმურაზმა კიდევ კარგა ხანს იფიქრა და ვერაფერი მოიფიქრა. უეცრად გაგულისდა, გადაწყვიტა, როგორც თვითონ მომწერა, მეც ისევე მივწერო, და უბრალოდ „თეიმურაზ არჩევანიძე“ მოაწერა. რაც უნდა, ნათია ავალიშვილმა ამაზე ის იფიქროს.

• • •

ძნელი სათქმელია, მართლა ელოდა თუ არა თეიმურაზი თავის წერილის პასუხს. ეს კი იყო, რომ ლელავდა, ნერვიულობდა და ბოლოს მაინც ხელი წაიქნა. არაფერს მომწერსო. მაგრამ ათ დღესაც არ გაუფლავია, რომ ისეთივე მოგძმო, მაგრამ ამჟერად ცისფერი კონვერტი მიიღო.

„გამარჯობა, თეიმურაზ!“

მადლობელი ვარ საინტერესო წერილისათვის. რამდენჯერმე გადავკითხე და ასე მგონია, თითქოს შენს ახლანდელ ამხანაგებს (და იმ ერთადერთ მტერსაც) ძალიან ახლოს ვიცნობდე. ალბათ, საინტერესო ცხოვრება მოგეულის. მე ძალიან ვნახავ, რომ ვერასოდეს გაგებდავ, თბილისსა და დედის კალთას მივშორადე და, შენი არ იყოს, ბედი უცხო ქალაქში ვცადო.

პროფესორი სილაგაძე მართლაც ძალიან ავად იყო, მაგრამ რამე რომ დამართოდა, უთუოდ გავიკვებდი. მე კი არაფერი გამივიდა. დეიდა ბაბოს როგორც კი ვნახავ, შენგან მოკითხვას გადავცემ. მე ძველებურად ვცხოვრობ. მუშაობა ჯერაც არ დამიწყია. მოიწყობე ხოლმე.

ნათია ავალიშვილი

ესე იგი, ბედნიერად იყავი და, თუ

გინდა იცოდე რომ, თბილისში ერთი, თითქოსდა საკმაოდ ახლობელი, მაგრამ შენდამი საკმაოდვე გულგრილი ნაცნობი გყავს, რომელსაც, — თუ ესეც ძალიან გინდა იცოდე, — შენს უნახავად გაძლება თავისუფლად შემოძლიაო. თემურაზმა ნათიას სტრატონებს შორის ეს აზრი ამოიკითხა და რამდენიმე დღე გულჩაწყვეტილი დადიოდა. ორჯერ თუ სამჯერ თავისთავს სიტყვა მისცა, რაც არ უნდა მოხდეს, ამიერიდან ნათია ავალიშვილს პირველი აღარასოდეს შეეკბინიანებო. მაგრამ გულს საბოლოოდ მაინც ვერ მოერიო — თავის თავი ბოლოს მაინც დაარწმუნა, ნათიას წერილ-

ში რაიმე განსაკუთრებული გულგრილობა სულაც არ იგრძნობოდა და შესულ ტყუილად აეზიარებულეო, ნათიასაგან ასეთი წერილი სულაც არ უნდა გამეკვირვებოდაო. დაჯდა და ნათიას ახლა მოკლე ბარათი მისწერა, შენმა წერილმა ძალიან გამახარა, რაიმე დიდი სიახლე ჩემს ცხოვრებაში ჯერჯერობით არაფერია და როგორც კი ახალი ამბები დამიგროვდება, მაშინვე მოგწერ, საახალწლოდ კი რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვირბენ და უსათუოდ გნახავო.

ამ ბარათის პასუხი თემურაზს აღარ მიუღია.

თავი III

ბესარიონ მაგრაქველიძემ და მისმა ამოსონებმა იმ საღამოსვე მშვენივრად დაინახეს, რომ ნომალი დიხამინჯიას ნათია მოსწონდა და თან იოტისოდენა ეპვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ საწადელს აისრულებდა. კარგი შესახედავი, ცნობილი და წელგამართული ოჯახის შვილი, თვითონაც უკვე სახელოვანი ახალგაზრდა, რომელსაც მეცნიერის მომავალიც უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა, თბილისში გამორჩეულ საქმროდ ითვლებოდა და მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ რას უნდა შეეშალა მისთვის ხელი ნათიას გულის მონადირებაში, ან, ყოველ შემთხვევაში, იმაში მაინც, რომ ნათია მას ცოლად გაჰყოლოდა. ბესარიონი და მისი ამხანაგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სიყვარულით ნათიას არაიცი უყვარდა, იმ შარვალშემოცვეთილ ფრიადოსანთან უბრალოდ ერთობოდა და მერე სადგურზეც კი აღარ გაუცილებია. ან რა შვილი იყო ნათია ავალიშვილი, რომ ვიღაც ჩერჩეტს გაჰყოლოდა და სადღაც პროვინციულ ქალაქში სამუდამოდ ჩაკარგულიყო. ცხოვრება კი ჯერჯერობით ვერ ააწყო, არც მუშაობდა და აღარც სწავლობდა, უწლოვ-

ნიც აღარ იყო. დროს თავისი გაქმნდა... არა, დახამინჯიას ნათიასაგან არაფერი დაეწუნებოდა. ამ ახალგაზრდა სპორტსმენს თბილისში ყველანი ხელის გულზე ატარებდნენ — წყალბურთის მცოდნენიცა და მოყვარულნიც და ისინაც, ვინც წყალბურთს ხეირიანად ფეხბურთისაგანაც კი ვერ არჩევდა და უხალისოდ ფიქრობდა, რაკი ამ ახალგაზრდას ამდენი ხალხი აღმერთებს, რაკი გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზორში გაუთავებლად მაგაზე ლაპარაკობენ, ალბათ, ასეცაა საჭირო და ვინც დიხამინჯიას თავყანს არა სცემს, ეს ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანიაო. ჰოდა, შემდეგ, თავის დროზე დიხამინჯიას არც ნათიას სამუშაოზე მოწყობა გაუჭირდებოდა, თუნდაც ისეთ დაწესებულებაში, სადაც მოხვედრა ყველა თბილისელი ახალგაზრდის სანუკვარი ოცნებაა — რომელიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. ნომალი დიხამინჯიას ყველა მინისტრი ისე იღებდა და ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ქვეყნის მომავალი მართლაც ამ ჰაბუჯზე იყო დამოკიდებული. ერთი სიტყვით, რას შეეძლო დიხამინჯიასათვის ხელის შეშლა? არაფერს. ეპვიც არ იყო,

რომ ეს ბრგე და საკუთარ თავში დარწმუნებული ახალგაზრდა თავის გზაზე ყველაფერს წალეკავდა.

„ინტურისტში“ ქეიფის მეორე დღეს ბესარიონი და მისი მეგობრები ჩვეულებრივად ლადიძის წყლებთან შეიკრიბნენ. ბესარიონს თვალები ავად ჩალამებოდა და დანა კრიკას არ უხსნიდა, მაგრამ ცდილობდა არაფერი შეემჩნია. მირზა ჭირაქაძე რატომღაც საგულდაგულოდ გამოწყობილყო, — კრემისფერი შალის შარვალი და ახალთ-ახალი იმპორტული საზაფხულო ფეხსაცმელი ეცვა. ესეც უგუნებოდ იყო, თავის ტკივილი მოიმიხეზა. დანარჩენებს ჩვეულებრივად ეცვათ, ოღონდ ყველა მიმხედარი იყო, რომ მათს ცხოვრებაში რაღაც მოულოდნელი და უსიამოვნო რაღაც ხდებოდა. ყველას აინტერესებდა, როგორ მიიღებდა ბესარიონი დიხამინჯიას გამოწვევას.

მეგობრები ერთხანს უმნიშვნელო ფრაზებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. მერე ბესარიონმა ნაძალადევად ვაზ-მორა და, რამდენადაც შეეძლო, სასხვათაშორისო კილოთი თქვა:

— თავაზიანი ბიჭი კი ყოფილა ეგ... დიხამინჯია.

დანარჩენებმა ერთმანეთს წამიერი მზერა შეაუღეს როგორ გაეგოთ ბესარიონის სიტყვები? ხომ მთელმა თბილისმა იცის, რომ ოთხი თუ ხუთი წელაწადი იმ გოგოს ფეხდაფეხ დასდევდა და უკვე თავისად თვლიდა. ვერა ვის წარმოედგინა, თუ ბესარიონ მაგრაქველიძეს ნათიაში ვინაჲ შეეცილებოდა და ახლა... რა, უკვე ფარ-ხმალი დაჰყარა? რომ ჰკითხო, დედამიწის ზურგზე არავისი მესინიაო და მართლაც, შეშინებული ბესარიონი ჯერჯერობით არავის უნახავს, თუმცა ბევრი დავიდარაბა კი გადახდომიათ.

— თავაზიანობა ჭირდებოდა და იმიტომ იყო — თაზო ბულესკირია უგემურად დაიჭლანა და ბესარიონს მისებურად, შუბლქვეშიდან მიაჩერდა.

მირზა ჭირაქაძემ დაცინვით ჩაიღი-

მა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— პირიქით! — თუნაგის ჭვევლიძემ ხელი ჩაიქნია, — სწორედ დროს უბიჭვარი ვინმე იქნება, აქაოდა, ისა ვარო... რა ქვია...

— რატომ, რატომ... მაგას ნუ იტყვი. — არ დათმო ბესარიონმა. და ვერაფრით მეგობრები ვერ მიუხედნენ, ამას გულით შერებოდა, თუ ნაძალადევად. — ძალიან კარგად იქცეოდა. არაფერი უქადრებია. ზოგი მაგის ადგილზე თავს გაგვალახვინებდა.

— ეგ მაგას მინც არ აცდება. — ივარაუდა ჭვევლიძემ. „მანამდე არაფერი ჭამეთ ერთმაც და მეორემაც, სანამდე თქვენ დიხამინჯიას ვერაფერი გაუბედოთ. — გესლიანად ვაიფიქრა მირზა ჭირაქაძემ, — ან მეტი რაღა უნდა, ეკადრებინა, გოგო თვალწინ აგაცალათ“.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. თაზო ბულესკირია ბესარიონს მისჩერებოდა და რაღაც თავის საფიქრალს ფიქრობდა. მერე მიიხედ-მოიხედა და ბესარიონს ისევე თვალეშში მიაჩერდა.

— მე ერთი რამ ვერ გამიგია... შენ რა, მართლა ვერ ხედები, წუხელი რამბავიცი მოხდა?

— რა ამბავი? — ვითომც აქ არაფერი, ბესარიონმა ცხვირსახოცი ამოიღო და კისერი მოიწმინდა.

— რაღა რა ამბავი! ეს გადაპატიყება, გადმოპატიყება და ამისთანები... მეტი რაღა ამბავი გინდა?!

— მერე მაგაში ისეთი რა არის?! ერთი თაობის ხალხი ვართ, ერთმანეთს ვიცნობთ, ზოგი გადაგვიპატიყებს, ზოგი გადმოგვიპატიყებს... — ბესარიონმა ახლა შუბლი შეიწმინდა, მაგრამ მეგობრებს მზერას არიღებდა.

— კმ!.. — დიხამინჯია ბესარიონს შიგ თვალეშში მისჩერებოდა.

ბესარიონმა ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიყო და შარვლის ტოტზე მიკრული რაღაც წკიპურტით მოიშორა. ჭროლა თვალეშში კი ავად უელავდნენ.

— მაგაში ისეთი ის არის, რომ ეგ დიხამინჯია ნათიას უმიხეზებს, მოკრ-

ხით? თუ შენ მართლა გგონია, რომ ეგენი უჩვეოდ ღვინოს ველარ დაღევდნენ?

— დაუმიზნოს, ბატონო ... — ბესარიონმა მხრები აიჩეჩა. — შერე მე რა, ეგ ნათიას უმიზნებს?!

— არაფერი?!

— არაფერი!

— ჰმ!..

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ვერავის ვერაფერი გაეგო. ნუთუ ბესარიონი ასე ადვილად დათმობს ნათიას?!

„ყოველთვის ვიცოდი, რომ მხდალი და უტიფარი იყავი.“ — გაიფიქრა ჰირაქაძემ.

— ეხლა ეგენი უნგრეთში მიდიან. — ანზორ კუპატაძემ ეს ფრაზა სულმოუთმელად წამოისროლა.

— ვინ ეგენი?

— წყალბურთელები. მერე კიდევ მოსკოვში სპარტაკიაც იწყება. თბილისში ორ თვეს ველარ გამოჩნდებიან.

„ამ დეგენერატმა კი უკვე ყურები ჩამოყარა, — ისევ გესლიანად გაიფიქრა მირზა ჰირაქაძემ, — ავი ძალდი არც თვითონ ჰამს და არც სხვებს აქმეესო“.

— ერთი სიტყვით, ეგენი მე არ ვიცი. — ბულესკირაის შუბლზე ძარღვი დაებერა. მაგრად შეერული მუშტი კედელს შიშოდ მიადო. — სპარტაკიანები და ეგენი მე არ მეკითხება. მე წუხელის არც მაგ თქვენი ნათიას კლავნა მომეწონა. ის ბიჭი ლამის თვალეზით შეჭამა. დაიცა, მე ვიცი, რასაც ვაპირებ. და ჩვენ მაგოდენა რამეს ვერ გადავყლაბავთ ვერა! თბილისი გვიცნობს და ხალხი გვეჭია. ჩვენ თავებს ვერ მოვიტყობთ და ვისაც ეს არ ესმის, იმან ... ჰო!..

— რა ვქნათ! — ბესარიონის კილოში უმწეობა გაისმა.

— მოვიფიქროთ. ეგ ნათია ისეთი რა ყოფილა, რომ ... დაიცა! დიხამინჯიას თავი დაანებე. მთელი საქართველო ხელოს გულზე ატარებს, რამე რომ ვუყოთ, ჩაგვქოლავენ. მილიციამდე არც

კი მიგვიყვანენ. ნათია კი ... ნათია ვინ მიგდია ავდგეთ და მოვიტაცოთ.

— ა?!..

— რაც გაიგე! მანქანა და მაგის ჯანი! აქვე იმერეთი, აქვე ფასანაური. მიდი და ... მერე გინდა დიხამინჯიას ვაყვეს და გინდა ბაბუამისს.

— ნამდვილად იმსახურებს! ამ სიტყვებს ჯაველიძემ სამსართულიანი გაუნება დააყოლა.

მირზა ჰირაქაძემ თავი რამდენჯერმე უხმოდ ჩაიქნია. მაგრამ ამით რა უნდოდა, ვერაინ გაიგო.

ბესარიონ მაგრაქველიძე დაბნეულად იღვა.

— თანაც შენ იცოდე, — ბულესკირამ ბესარიონს თითი დაუქნია, — შენ იცოდე, რომ ამ საქმეში მილიცია, სასამართლო და ამისთანები სუფთად გამოირიცხებოდა. ეგ ნათია თავის დღეში არ იჩივლებს.

— არა, არა, არ იჩივლებს. — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

— ერთი ისეთი თავმოყვარე ვინმეა.

— მთავარია, ხელიდან არ წაგვივადეს.

— მოდი, ბესარიონ!

— ა?

ბესარიონი გონზე ჯერაც ვერ მოსულიყო, ნათიას დამორჩილება სულთ და გულით უნდოდა, მაგრამ ... რომ არ დანებდეს? კვილით რომ ქვეყანა შეძრას? სულ უკაცრიელ უდაბნოში ხომ ვერ წაიყვანენ?

— რას განუგებულხარ, ბესარიონ!

— გუშინ ჩემს „ვოლგას“ ასსამოცი გამოვწვლე. თუ დამპირდა, მეტსაც წავალ.

— მერე ყველანი რიგში ჩავდგეთ.

— დაიცა! იქნებ, ამ კაცს ცოლად უნდა.

— იცით, რა? ამ საქმეს უფრო დინჯი ლაპარაკი ჰირდება, მოდი, აი, „დარიალში“ ჩავიდეთ.

„დარიალში“ თითქმის არავინ იყო. მეგობრებმა კუთხის მაგიდა დაიკავეს, მწვადი შეუკვეთეს და პატარა ჰიქებით ცაგი ღვინო დააქაშნიყეს.

— კარგია!

— შენ ჩივამეს უთხარი, მწვადს ხახვი ბლომად დააჭრას. ან, თუ გინდა, ხახვი ცალკე მოგვიტანოს.

— აბა, სმენა იყოს და გაგონება!

— თენგიზ, შენ ითამაღე! ისე, რა, ლიპად.

— ბატონი ბრძანდები. გაგიმარჯოს! ყველა სახეირო საქმეში ღმერთი შეგვეწყოს!

— ერთი სიტყვით ახლა საქმე ასეა.

— ბუღესკირიამ აივად მიმოიხედა და ხმას კიდევ უფრო დაუწია. — იმ დიხამინჯიას... იმას ჩვენი გადაპატივებაც არ უნდა გაებედნა. ვინ მივდია?! მაგრამ ისე უცბათ მოხდა, ვერც ვერაფერი მოვასწარი. მაგრამ რაც იყო, იყო. მალე გაიგებს, რომ ჩვენი მღვდელი ეგრე არა სწირავს. ძალიან მალე პო! ახლა-რა? ახლა ჯერ ცოტა ხანი გაეყურდეთ. ვითომც აქ არაფერი. ნათიასაც არაფერი ვაგრძნობინოთ. მართლაც, ისეთი რა მოხდა? გადაგვიპატიყეს, თითო ჭიქა ღვინო დავლიეთ და წავედ-წამოვედით, მეტი არაფერი მომხდარა. პო! თანაც ეს ღლავე მართალს ამბობს, ეგენი ახლა ჯერ უნგრეთში მიდიან და მერე აქეთობას მოსკოვში კიდევ ერთ თვეს დარჩებიან. ასე რომ, საჩქარო არაფერია. ახლა: იმერეთის ვარიანტი უფრო სახიფათოა. იმერეთში რომ ქალი გაიტაცო, თვითონ ქალი თანახმა უნდა იყოს. რატომ? აი, რატომ: თუ ქალს არ უნდა, ნატახტარს რომ გაივლი, მცხეთასაც რომ გასცდები, ქალი არ იკითხავს, სად მივდივართო? რა უნდა უპასუხო? მცხეთის იქით პურის საქმელად სადღა უნდა წახვიდე? ქალი რალაცას იაზრებს და... მორჩა! იქნება, კვილით მთელი ქვეყანა შეძრას. მაგ ნათიას ხასიათიც ხომ ვიცით, სანამ დანის წვერზე არ ააგებ, აღარ გაჩერდება პო! ამიტომ-რა? ამიტომ — ფასანაური. ფასა-ნა-ური! სად მივდივართ? ფასანაურში. რატომ? ხინკლებისა და კალმახების საქმელად. მთელი თბილისი იქ დადის, სულ ერთი საათის გზაა, არც საეჭვოა და არც არაფერი. იქ, კიდევ, ფასანაურის შესასვლელთან,

შავი და თეთრი არაგვი რომ ერთმანეთს უერთდება. იქ რომ ხიდიც ხომ იცი! იქიდან მარჯვენა მხევი ურთავის გაყოლებაზე, გულამაყრის გზის პირად ერთ ჩემს მაგარ ძმაცაც კოხტა ორსართულიანი სახლი უდგას. თითო კედლის სისქე მეტრნახევარია. წინ არაგვი, აქეთ-იქით კი ბუჩქნარები და კლდეები. კაციშვილი არ ჰქაჩანებს. ვერაინ ვერაფერს გაიგებს. მორჩა და გათავდა!

ბუღესკირიამ სათქმელა გაათავა სკამის ზურგს მიაწვა და ბესარიონს მიაჩერდა.

გეგმა უბრალო, კარგად მოფიქრებული და ადვილად განსახორციელებელი ჩანდა. ნათია ამით ყველგან გაპყებოდა და ფასანაურშიც წაპყვებოდა. გულამაყრის ხეობაში კი გოგოს დამორჩილებას რა უნდა? ათასი ხელფებიც რომ იქნოს, ბოლოს ხომ დაიღლება? ბესარიონი დთვია, ბატონავს და... მაგრამ ყველანი გრძნობდნენ, რომ საქმეში მთავარი როლი ბესარიონს უნდა ეთამაშნა და საქმე რთვორც არ უნდა გათავებულყო, მთავარი პასუხისმგებლობაც მასვე უნდა ეტვირთა. ამიტომ ხმას არაინ იღებდა. გადაწყვეტილი სიტყვა ბესარიონს უნდა ეთქვა.

— მოდი, ბიჭებო, ერთხელაც გაგიმარჯოს! — წაილაპარაკა ჯაველიძემ და ჭიქა ასწია.

— გაგიმარჯოს!... კარგად ვიყო!...

— ჭიქა ყველამ დაცალა.

— რას იტყვი, ბესარიონ?

ნათიას გატაცების ამბავი ბუღესკირიამ ისე უბრალოდ და ცოცხლად დახატა, რომ ბესარიონს ტანში აერყოლებდა. ახლა მას აღარაფერზე ფიქრი აღარ შეეძლო, გარდა იმისა, თუ ეს და ნათია როგორ... ტყეში განმარტოებულ სახლი, სიჩუმე, ფართო და სუფთა ლოგინი, და შემკრთალი დაბნეული, თითქმის ბედს შერიგებული ნათია... მერე კი... ბესარიონი ხმაამრულებლად იჯდა, დაცლილ ჭიქას ჩასკეპროდა და

იღიშებოდა მისი წელანდელი უგუნე-
ბობა უკვალოდ გამქრალყო.

— ყაბულია! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— რა, ცუდია ნათიასთან ჩაკორია-
ლება?

— შენ რას იტყვი მირზა? — ბუ-
ლესკირიამ მირზას აღმაცერად გაჰხე-
და. — რას განუძებულხარა?

— მე რა უნდა ვთქვა... რაკი სხვა
გზა აღარ არის, გავაკეთოთ. ოღონდ...

— ოღონდ-რა?

— ცოტა დავაცადოთ. იქნება, ის
კაცი სულაც არაფერს ფიქრობს. ბესა-
რიონმა ჭერ ოფიციალური წინადადე-
ბა მისცეს.

— ვის?!

— ნათიას. უთხრას, ცოლად გამომ-
ყვირო. ამაში ცუდი რა არის. იქნებ,
მოკვცევა ეგ გოგო?

— არა! — ბულესკირიამ თავი მი-
მედ გადააქნია. — არა. ბესარიონს არ
ეწყინოს და — უარი ხელში აქვს. ვი-
ცი.

— საიდან იცი?

— ვიცი. ისეთი მომენტია. მაგ დე-
კნერატ დიხამინჯიას მთელი თბილი-
სის გოგოები სიზმარში ნახულობენ.

— მანქანა რამდენი დაგვკვირდება?

— ორი „ვოლგა“ თავსა გვდის.

— რას იტყვი, მირზა?

— მირზასთან რა გინდათ, მე ხომ არ
ვიტაცებ? ხომ ვთქვი, გავაკეთოთ,
ოღონდ ცოტა დავიცადოთ-მეთქი.

— დავიცადოთ, მაგაზე ვინ რას ამ-
ბობს?!

— აბა, დღესვე, ხომ არ დავეჭკერე-
ბით.

— შენ რომ ამბობ, წინადადება მის-
ცესო... უარს ეტყვის და თანაც უფრო
გაფრთხილდება. იქნება, მერე აღარც
სადმე წამოკვყვეს.

— ნამდვილია!

— ა, ბესარიონ?

ყველანი გაჩუმდნენ და ბესარიონს
მიაჩერდნენ. ბესარიონმა თავი აიღო,
ამხანაგებს მზერა მოაგლო და ხმამალ-

ლა, მხიარულად და კმაყოფილად გა-
დაიხარხარა.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ანზორ კუბატაძის ნათქვამი მართალი
გამოდგა: ოთხი თუ ხუთი დღის შემ-
დეგ ყველა თბილისური გაზეთი იტ-
ყობინებოდა, ქართველ წყალბურთელ-
თა გუნდი უნგრეთის დედაქალაქში,
ბუდაპეშტში დიდ საერთაშორისო ტუ-
რნირზე მიემგზავრებოდა. სამ თუ ოთხ
გაზეთში მხიარულად მომღიმარე ნომე-
ლი დიხამინჯიას სურათები და ინტერ-
ვიუ იყო დაბეჭდილი. დიხამინჯიას კო-
რესპონდენტებისათვის უთქვამს, არა-
სოდეს ქართველ ვატერპოლისტებს
ასეთი ძნელი და საპასუხისმგებლო ტუ-
რნირში არ უთამაშიათ. შეხვედრები
მოგვიწვეს მასპინძლების, იუგოსლავი-
ის, იტალიის მეტად ძლიერ გუნდებ-
თან, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ქარ-
თულ სპორტს არ შევარცხვენთ და შინ
სახელოვნად დავბრუნდებითო.

— მომავალ სპარტაკიადაზე რას გვე-
ტყვი?

— სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი, აღ-
ბათ, უჩემოდ ითამაშებს.

— რატომ?

— საკანდიდატო მინიმუმის საგნები
მაქვს ჩასაბარებელი.

— განა ეს გუნდის შედეგებზე უარ-
ყოფითად არ იმოქმედებს?

— დარწმუნებული ვარ, რომ არა.
სხვანაირად რომ ვფიქრობდე, უთუოდ
ვითამაშებდი. მაგრამ ჩვენ ძალიან სა-
იმედო რეზერვი გვყავს. ჩვენს გუნდს
ასეთი გრძელი სკამი ჭერ არასოდეს
ჰქონია.

— ბუდაპეშტში რომელი ადგილის
დაკავებას ფიქრობთ?

— ძნელი სათქმელია. საპრიზო სა-
მეულში კი უთუოდ უნდა მოვხვდეთ.

— რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის
მკითხველებს?

— ჯანმრთელობას, წარმატებას საქ-
მიანობაში და ბედნიერებას პირად
ცხოვრებაში.

— გმადლობთ!
ბუდაპეშტში გამგზავრების დღეს, და-
ახლოებით დილის თერთმეტ საათზე
დიხამინჯიამ ნათიას დაურეკა.

— ნათია ბრძანდებით?

— დიახ!

— ნომალი დიხამინჯია გაწუხებთ.

— ოპ, გამარჯობათ, ნომალი!! რო-
გორ გიკითხოთ?

— გმადლობთ, არა მიშავს. უნებარ-
თვოდ დარეკვისათვის ხომ არ მიგავრ-
დებით?

— როგორ გეკადრებათ! როდის მი-
ემგზავრებით?

— დღეს, საღამოს რვა საათზე.

— მიფრინავთ, ხომ? თუ მატარებ-
ლით?

— თვითმფრინავით.

— ოპ! აეროპორტი ცოტა შორსაა.
მაპატიეთ, რომ ვერ გაგაცილებთ.

— რას ბრძანებთ, არც მიფიქრია. მე
მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ.

— მე და ჩემს ამხანაგებს გვინდა,
რომ თქვენ გამარჯვება გვისურვოთ.

— ო, დიდი სიამოვნებით! სულითა
და გულით გისურვებთ გამარჯვებას,
ოქროს მედლებს და შინ სახელოვნად
დაბრუნებას.

— გმადლობთ! აი, ახლა კი დარწმუნ-
ებული ვარ, რომ მართლა გავიმარ-
ჯვებთ.

— მართლა? თუ ასეა, ყოველი გამ-
გზავრების წინ დაგირეკავთ ხოლმე.
მე ყოველთვის ამასვე გისურვებთ.

— ძალიან კარგი. უთუოდ დამირე-
კეთ ხოლმე. ახლა კი ... ნახვამდის! შე-
იძლება ჩამოსვლის შემდეგ დაგირე-
კოთ?

— რა თქმა უნდა!

— თუ პირველი ადგილი ვერ ავი-
დეთ?

— მაინც, მაინც უთუოდ დამირეკეთ.
ადგილს არავითარი მნიშვნელობა არა
აქვს.

— ძალიან კარგი! ახლა უფრო მშვი-
დად ვარ. მაშ, ნახვამდის, ჯერჯერო-
ბით, ქალბატონო ნათია!

— ნახვამდის, ნომალი, ნახვამდის!
ნათიამ ყურმილი დასდო და უკლ-
ნძელ ლოყებზე ხელი მოიკვია. რა
ემართება? მას ნამდვილად სიამოვნებს.
ამ თავაზიანი და სახელოვანი ჭაბუკის
ყურადღება. მაგრამ მერე რა მოხდა?
ბოლოს და ბოლოს, ნათიაც ადამიანია,
ზოგი რამ ესიამოვნება, ზოგი რამ კი
არა და არაფერი საჭიროა ყველა წერი-
ლმანისაგან პრობლემის შექმნა.

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა. წყა-
ლბურთელები უკვე ბუდაპეშტში იყე-
ნენ და პირველი თამაში მოიგეს კიდევ
და ერთ დილას ნათიამ გაზეთიდან ამო-
კრილი ასოებით აწყობილა: ანონიმურა
წერილი მიიღო. მან ჯერ წერილის წა-
უკითხავად დახევა და გადაურა გადა-
წყვიტა, — ანონიმებს თუ აყუყვი, სა-
ქმეს აღარ გამომილევენო. მაგრამ სუ-
ლმა წასძლია, წაიკითხა და ... თვა-
ლებს არ დაუჯერა, მერე ერთხელაც
ჩაიკითხა და ... ისტერიული სიცილი.
აუტყდა. თავშეუკავებელი სიცილისა-
გან გული ამოუჯდა და თვალბუზე ცრე-
მლი მოადგა კიდევ კარგი, რომ სახლში
არავინ იყო, თორემ იმ გიჟური, წრეს-
გადასული კისკისის გამგონახი თვითო-
ნაც გაგიჟდებოდნენ.

უცნობი ავტორი ჯერ არწმუნებდა,
მე თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მინ-
დაო, და მერე აფრთხილებდა, ბესარი-
ონ მაგრაქველიძეს და მის ამხანაგებს
ერიდეთ, შორს ნურსად გააყვებით,
თორემ დანამდვილებით ვიცი, რომ
მძიმე შეურაცხყოფის მოყენებას გიპი-
რებენო. ბოლოს ანონიმი ითხოვდა,
ბესარიონს და მის ამხანაგებს ნურა-
ფერს აგრძნობინებთ და თავი მათთან
ძველებურად გეჭიროთ, თორემ თუ
ვამიგებს, რომ გააფრთხილებთ, ისე გა-
მაქრობენ, რომ ამბის მთხრობელსაც
ვერაინ იპოვისო.

ნათია ყველაფერს ელოდა და ამას კი
არა. ის ნერვიული სიცილიც ამიტომ
აუტყდა. როგორ, იგი, ნათია ავალი-
შვილი ბესარიონმა უნდა შეურაცხყოს?
ნათია მშვენიერად მიხვდა. ანონიმი
„მძიმე შეურაცხყოფაში“ რასაც გუ-

ლისხმობდა. არადა, ბესარიონი იმდენად ჩერჩეტია, რომ ამის მოფიქრებასაც კი ვერ გაბედავდა, ვიღაც სხვამ ჩააგონა. მაგრამ ვინ? ან ეს წერილი ვინ-ღა გამოუგზავნა? ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ სწორედ გუშინწინ საღამოს ნათია ბესარიონსა და მის აგანჩავანებს რუსთაველზე შეხვდა. ისე ჩვეულებრივად შეეგებნენ, თითქოს აქ არაფერიო. ვერაფრით ვერ იფიქრებდით, თუ გულში ასეთი ზრახვები ჰქონდათ. ჯერ რესტორანში დაპატიჟეს, მერე, რაკი ნათიამ ეს არ ინდომა, მამ კინოში, ან ფილარმონიაში შევიდითო. ნათიამ არც ეს ინდომა. ისინიც აღარ ახირბიან, რუსთაველის მოედანამდე გააცილეს, ტაქსი დაუპირეს, ფულიც გადაუხადეს და დაემშვიდობნენ.

აბა, იქნებ ტყუილია? იქნებ, ეს ვიღაც ანონიმი უბრალოდ ინტრიგანობს? ესეც ხომ შეიძლება. მაგრამ ისეთსაც რომ არაფერს სწერს. ნუ ჩამოშორდებით, ოღონდ ქალაქგარეთ ნუღარ გაჰყვებითო. აქ რა ისეთი ინტრიგანობაა? თანაც იმ საღამოს, წყალბურთელებმა რომ გადაიპატიეს, ბესარიონი და მისი მეგობრები ფერდაკარგულნი, კრიჭაშვიტულნი ისხდნენ და აღარაფერი სიამოვნებდათ. ეს დიხამინჯიაც ასე აშკარად მოიწვეს ნათიასავე... აბა, ბესარიონს სრული მიზეზები აქვს საიმისოდ, რომ გულში ნათიაზე ავი რამ იფიქროს, მაგრამ...

ახლა ნათიამ რაღა ჰქნას?

საღამოს ნათია აღრე დაწვა და სინათლევ ჩააქრო, მაგრამ ძილი არ მიჰკარებია. თვალბეზახელილი იწვა და ანონიმი ავტორის გამოცნობას ცდილობდა. ეპვიც აღარ ეპარებოდა, რომ ის კაცი სიმართლეს წერდა, იქნებ სწორედ რომელიმე ბესარიონის ამფსონთაგანი იყო? ნათიამ მშვენივრად იცას, თუ რა ფასი აქვს მათ მებგობრობას, შეიძლება, სწორედ იმათგანია.

ნათიამ გვერდი იბრუნა, ნიკაბი მოხრილ მკლავს დააყრდნო და ისევ ფიქრს მიეცა. დავუშვათ, მართლაც ერთი იმათგანია, მაგრამ — რომელი? თაზი ბუ-

ლესკირია? ა? არა! ეგ მაგათში ყველაზე უშიშარი და დაუნდობელი, სულის სიღრმეში ბესარიონ მაგრაქველეთეს მხლად, ბაქიად და უტკინოდ თვლის და არაფრად ავდებს. ბულესკირია თავს ისე არ დაიმცირებს, რომ ანონიმური წერილები სწეროს. თუ რაიმეს თქმა დაჭირდა, ნათიასაც დაურიდებლად ეტყვის, ბესარიონ მაგრაქველიძესაც და მამა — ღმერთსაც. არა თაზი ბულესკირია აქ არაფერ შუაშია.

მამ, თენგიზ ჯაველიძე? არა. არც ეს. ეს, ჯერ ერთი, ზარმაცი და ფლეგმაა, თავს არაფრისათვის გაიცხლებს, და მეორეც, იმდენად შეზღუდულია, რომ ბესარიონისა სჯერა. ბესარიონი კაცო ჰგონია, მისი ერთგულია, და არაფრის გულისათვის არ გაჰყიდის.

ანზორ კუბატაძე ოპ, არა! ნათიას ხშირად კი მიაჩერდება ხოლმე ძალივით ერთგული თვალებით, მაგრამ ბესარიონისა და სხვებისა იმე ეშინია, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმას ბილშიც კი ვერ გაჰბედავს.

მირზა ჭირაქაძე? ჰმ!...

ნათიას თვითონვე გაუკვირდა, რომ მირზა ყველაზე ბოლოს გაახსენდა. ეს ნატიფი, დახვეწილი, რაფინირებული არისტოკრატი... ბესარიონს სულის სიღრმეში ესეც არაფრად ავდებს და დარწმუნებულია, რომ თუ საქმე არჩევანზე მიდგა, ნათია სწორედ მას აირჩევს და არა ბესარიონს. ამაში ბატონი მირზა პირდაპირ ურყევად და დარწმუნებული. ანონიმურ წერილს კი...

ჰმ!.

და ნათიამ სრულიად მოულოდნელად, გასაოცარი სიციხადითა და უბრალოებით დაინახა, რომ... დიახ, რომ ანონიმური წერილის ავტორი მირზა ჭირაქაძე იყო. სწორედ ამიტომაც, რომ დარწმუნებულია, ასეთ სიმდაბლეს მე ვერაფერს დამბზრალეხსო. ნამდვილად ია არის! მაგრამ თუ ასეა, ბესარიონი ნათიას „შეურაცხყოფის მიყენებას“ მართლაც უპირებს? ხა-ხაბა-ხა!... საინტერესოა!..

— ნათია, შენა ხარ, რომ იცინი?! —

მოისმა მეორე ოთახიდან შეშფოთებულნი ნინოს ხმა.

ნათიამ არაფერი უბასუხა. საბანი ფრთხილად გაისწორა.

მეორე ოთახში საწოლი აპრაკუნდა. ალბათ, ნინო წამოჯდა.

— ნათია, შენ არ გძინავს?

ნათიამ საბანი თავზე წაიფარა და გაიხუსა.

დილით ჩაის რომ სვამდნენ, ნინომ რამდენჯერმე ყურადღებით ჩაჰხედა ნათიას თვალებში. თქმით კი არაფერი უთქვამს. მერე ანდროს მიუბრუნდა და სთხოვა, შაქარი მომეწოდეო.

ანდროს წუხანდელი ამბავი, ალბათ, გაგებული ჰქონდა: შეშფოთებულმა ნინომ ნათიას რომ ისე ხმამაღლა გამოსძახა, იქვე გვერდით მწოლიარე ანდროს უთუოდ გაიღვიძებდა. მაგრამ მაშინაცვალი ხომ არასოდეს ერეოდა ნათიას პირად საქმეებში. ახლაც — საშაქრე ნინოს მიაწოდა და ისევ თავის ერბოკვერცხს დაუბრუნდა. მაგრამ მაშინვე იგრძნო, მგონი, ახლა კი ნამდვილად ზედმეტი უნდა ვიყო. ერბოკვერცხი სწრაფად მოათავა, მერე ერთი ჰიქარძიანი ჩაი ორ თუ სამ ყლუხად მოსვა და წამოღვა.

ნინომ გაკვირვებით შეჰხედა. ის და ანდროს სახლიდან დილით მულამ ერთად გადიოდნენ.

— ცოტა მეჩქარება. — ანდრომ საათზე დაიხედა. — სალამოს კი დროზე მოვალ და ხილსაც მოვიტან. სხვა ხომ არაფერი გვინდა?

ეს „გვინდა“ ცოტა არ იყოს, ნაძალადევი გამოუვიდა. ეს თვითონაც იგრძნო და წარბები შეკუმუნა. იმავე წამს ოხვე საათზე დაიხედა.

— არა, არაფერი.

— აბა, სალამომდე! — ანდრომ თმაზე ხელი გადაისვა და სწრაფად გავიდა.

— ნეტავი, ეს ადამიანი შენ როდესმე თუ შეგეცოდება? — იკითხა ნინომ და თვითონვე უბასუხა:

— ალბათ არასოდეს!

— ერთი და იგივე რამდენჯერ უნდა მკითხო?

— დიდ ბოდიშს ვერხდები, მითხარი, იმ ნაშუალამევს რა გაკისკისებდა?

— გეტყვი. ერთი სულელური წერილი მივიღე.

— წერილი?

— რატომ გიკვირს?

— სულაც არ მიკვირს, მაგრამ ...

— რა-მაგრამ?

— ნათია, თუ შეიძლება, გვეცი პატრივი და პროვინციაში წუ დაგვეკარგები. ანდროს სამსახურს მალე გიშოვის

— სამსახური აქ არაფერ შუაშია.

— ვისი წერილია, არჩევანიძის?

— არჩევანიძის?

— ნათია მე მშვენიერად ვიცი, რომ შენ ვილაც ... სტუდენტ არჩევანიძესთან... ერთობოდი. ის ყმაწვილი ახლა პროვინციაშია. მე ესეც ვიცი. თუ გინდა იცოდე, მას მიქებენ კიდევ. მაგრამ შენ პროვინციაში გაძლებ? შენ თბილისშიც სული გეხუთება.

— იქნებ, პროვინციაში თბილისს აჯობოს.

— ნათია!

— წერილი მე სხვისგან მივიღე.

— სხვისგან?! ვისგან?

— არის ერთი, მაგრამ ... ერთი მითხარი, მე მოვალე ვარ, ყველა ჩემი წერილი შენ წაგაკითხო?

— რა თქმა უნდა, არა.

— ნამდვილად, ხომ?

— ნამდვილად! მე ეგ არც მიფიქრია.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ახლა ლოყა მომეცი. შენ მაინც ჩემი კარგი დედიკო ხარ.

ამ მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილ ნინოს ნათიამ ლოყაზე აკოცა და თავის ოთახში გავიდა. ნინო კი დიდხანს იჯდა გარინდებული და ისიც კი დააეწიყდა, რომ სამსახურში უნდა წასულიყო. ვინ იცის, რამდენი ხანია, ნათიას მისთვის აღარ უყოცნია?

ნათია მალე ოცდასამისა გახდებოდა. ბუნებით უყარებასა და ამაყს მაინც ბავშვივით უმანკო შეურყენელი სულა

ქონდა და ამიტომაც იყისკისა ისე მხარულად იმ ანონიმური წერილის კითხვაზე, რომელიც სხვას, ალბათ, მოსვენებას დაუკარგავდა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა. ნათიას სულის სიღრმეში იმდენად ეზიზღებოდა, ბესარიონ მაგრაქველიძე, ამ ახალგაზრდის ყოველი სიტყვა და საქციელი მასში ისეთ უნაბირო და გულგრილ ირონიას იწვევდა, რომ ვერც კი წარმოედგინა, თუ ასეთი მდაბალი ბუნების ადამიანს როგორ უნდა გაეგზავნა და თუ კიდევ გაბედავდა, როგორ უნდა მოეხერხებინა მისი პატიოსნებისა და უბიწოების ხელყოფა. მაგრამ ამავე დროს ქალური ინსტინქტით ხედებოდა, რომ ბესარიონ მაგრაქველიძეს ზედმეტად ვალიზიანებაც. მთლად, აშკარად აბუჩად აგდებაც არ ივარგებდა: იცოდა, თუ გუმანით ხედებოდა, ლაჩარმა თუ ერასხელ აიწყვიტა, მერე ძნელი დასაბმელიაო.

ანონიმური წერილის მიღებას ნათიასთვის მთლად უკვალოდ მიიჩნევდა არ ჩაუვლია. ნათიამ მთელი სეროზულობით თითქოს პირველად ახლა იგრძნო, რომ იგი ქალი, — ბავშვი კი არა, ზრდადსრულდებული ქალი იყო, და ცხოვრებაში, — აქამდე თუ არა, ამას იქით მიიჩნევდა. — მეტი წინდახედულება მართებდა.. ახლა საკუთარ თავს სარკეშიც კი სხვა თვალებით შეჰხვდა და საკმაოდ მხიარულად და კმაყოფილებით გაიფიქრა, თუ ქალის სილამაზისა რაიმე გამოეგება, მგონი; მართლა კარგი უნდა ვიყო. მაგრამ რაკი ნათია თავისი ბუნებითა და აღზრდით მიიჩნევდა ინტელიგენტი იყო, თავის სილამაზესა და მოხდენილობაზე სწორედ ამდენ ხანს იფიქრა, რამდენიც ასეთ ქალებს შეეფერებათ. მერე კი ისევ ის ანონიმური წერილი ამოიღო. ერთხელაც გადაიკითხა შიშითა და კრთომით და ახლა კი მართლა საბოლოოდ, დარწმუნდა რომ წერილის ავტორი მართლაც მირზა ჭირაქაძე უნდა ყოფილიყო. ნათიას ბევრი ძალღონის დახარჯვა არ დასჭირებია იმის წარმოსადგენად, ღვინით გა-

ლემილმა ბესარიონ მაგრაქველიძემ როგორ დაიტრახა თავის ამტკონებში, თუ ნათია სხვა ვინმეში გამტკონის, ასე და ასე დაემართებო; როგორ გამოიწვია ამ ქალიშვილმა ბესარიონის ამტკონების აღტაცებული ღრანცელი, და როგორ ჩაიხვია გულში ეს ყველაფერი მუდამ მდუმარე, მუდამ თავიზიანად მომღიმარე მირზა ჭირაქაძემ. ნათიამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად განჰვრტა და გულში იმასლა ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო და თავი როგორ დაეჭირა. ანონიმური წერილის ავტორმა ბესარიონისა და სხვა თავის ამხანაგებს უორგულა, თორემ ნათიასათვის სრულიად არაფერი დაუშავებია. პირიქით, დროზე გააფრთხილა, საშიშროება მოგელისო, ამიტომ ნათიაც მოვალეა, იმ კაცის — ანონიმის თხოვნას ანგარიში გაუწიოს, ბესარიონსა და მის ამტკონებს არაფერი აგრძნობინოს. მაგრამ ნათია გრძნობდა, რომ ამის გაკეთება გამოუთქმელად გაუჭირდებოდა. იგი ბუნებით ფიცხი იყო და ამხელა საიდუმლოს გულში დიდხანს ვერ შეინახავდა. ადვილი შესაძლებელი ... არა, ადვილი შესაძლებელი კი არა. სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბესარიონ მაგრაქველიძეს თავისებური დამცინავი კილოთი და უმოკლესი ფრაზებით ყველაფერს ჩაუთვლიდა და მერე, ვინ იცის, ამას რა ამბავი მოჰყვებოდა. თუ ნათია მიხვდა, რომ ანონიმური წერილი მირზას დაწერილია, ისინი ველარ მიხვდებიან? ჰოდა ...

აი, ასეთ დროს სჭირდება ადამიანს ნამდვილი მეგობარი. ეს საქმე ერთი ან ორი თვის წინათ რომ მომხდარიყო, ნათია, ალბათ, ყველაფერს თეიმურაზ არქვეანიძეს გაანდობდა. ახლა კი, ცოცხვა გატეხილი სჯობია, ამ დღეებში ნათია თუ ვინმეზე ფიქრობდა, ახლა მეგობრად და მესაიდუმლედ სწორედ იგი გამომადგებო, ეს კაცი ნომალი დინამინჯია იყო. არა, თეიმურაზი კარგი ბიჭია და არც მშვიშარაა, ნათიას გულისთვის, ალბათ, ათას კაცს არ შეეპუება,

მაგრამ... არა, ნომალი უკვე სახელოვანი ვაქცაცია და მთავარიც სწორედ ეს არის. ის ნაძირალეები რატომღაც ყველაზე უფრო სახელოვან ხალხს ერიდებოან. ნომალის გვერდით ნათია ამ ბეწვის ხიდზე ისე გაივლიდა; რომ სრულიად არაფერი მოხდებოდა, მაგრამ ის კაცი ახლა უნგრეთშია და ვინ იცის, როდის ჩამოვა, მანამდე კი ნათიამ რა ჰქნას? ეს ოხერი მძიმე წინათგრძობაც რომ აღარ შორდებას...

არა, სხვა გზა აღარ არის. მანამდე ნათიამ ისევე უნდა იცხოვროს, როგორც აქამდე ცხოვრობდა. ბესარიონსა და მის ამხანაგებს ძებნას არ დაუწყებს, მაგრამ არც დაემალება. გაბედვით კი ბესარიონი — ასე უმიზეზოდ, ალბათ, ვერაფერს გაჰბედავს, ამასობაში ნომალიც ჩამოვიდა და...

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ნათიას ცხოვრებაში ისეთი ცვლილება მოხდა, რომ ქალიშვილს ერთი ხნით ნომალიც გადააეწყდა, ბესარიონიც, მისი ამფოსონებიც და თეიმურაზ არჩევანიძეც.

ორშაბათ საღამოს ნათიას ტელეფონთან უხმეს. დეიდა ბაბო იყო: ნათია, ჩემო ძვირფასო, იქნებ ხვალ დილით ჩემთან შემოიარო.

— დეიდა ბაბო, განა კიდე გახსოვართ? — ამ ქალის ხმის გავრეხვა ნათიას გამოუთქმელად ესაიშოვნა. — თეიმურაზ არჩევანიძე მოკითხვას ვითვლით.

— ვინა? პო, თეიმურაზი... მაღლობა შეუთვალე. მამ, მოხვალ, ხომ?

— რა თქმა უნდა!

მეორე დილით ნათია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისე წაეიდა, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რატომ მიდიოდა. ბაბო შეეგება, შუბლზე აკოცა, მხრებზე ხელი მოჰხვია და რატომღაც თავის მაგიდასთან კი არა, ოთახის კუთხეში მიიყვანა.

— ერთი მითხარი, ისევ ის ამაყი გოგონა ხარ?

ნათიამ მხრები აიჩეჩა და გაილიმა.

— ან კი რა შეგცვლიდა!.. მაგრამ... ერთი სიტყვით, მგონი რაღაც მოგიხებრხე... სამსახური..

— სამსახური?! — სიხარულის ელდამ ნათია ყაყაჩოსავით გააწითლა, იმავე წამს ეს გაიფიქრა, ჩემს დღეში მყოფისათვის ახლა სამსახურზე უკეთესი მართლაც არაფერი იქნებაო. ღმერთო, რა დიდებული ადამიანია ეს დეიდა ბაბო!

— აქ მოდი. — ბაბო თავის მაგიდას ახალა მიუჯდა, ნათიას სკამი გაუწია, დიხარა და ხმადობლა აღაპარაკდა. — შეიძლება, დიდად სასარბილო არაფერი იყოს, მაგრამ...

გიორგი თენგიშვილის კათედრაზე ერთი ლაბორანტი დეკრეტულ შევებულებაში მიდის. შემდეგ, ალბათ, უფასო შევებულებას აიღებს და თითქმის ერთაწელიც გამოვიდის. შენს შესახებ იცის ბატონმა გიორგიმ. ახსოვს და სიამოვნებითაც გლბულობს, რომ იცოდეს, ძალიან გამჭირავი კაცია, შავას არაფერი შეეშლება. არიან სხვა მსურველებიც მაგრამ არა თენგიშვილი შენ გლბულობს. თითქმის ერთი წელიწადი სამუშაო გექნება. მერე კი შე არ მახსოვს შემთხვევა, რომ კათედრაზე რაიმე შესაძლებლობა არ გამოჩენილიყოს. ჯერ არ მომხლარა, რომ კათედრას ასე დროებით. მოწყობილი ადამიანი. მერე ლეთის ანაბარა გაეშვას. შე კი შენში ექვიც კი არ შეგეპარება, რომ ამ ერთ წელიწადში თავს კარგად გამოიჩენ, თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, დეიდა ბაბო, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— თქვენ რომ მითხარათ, სხვებსაც უნდათო, ისინი...

— ეეჰ! ლაბორანტის ადგილი ახლა ათას კაცს მაინც უნდა. ყველას შენ უნდა დაუთმო? რათა ხარ უანმეზე ნაკლები? ისიც დიდი სირცხვილი ჩვენი, რომ ჯამბაყურ ავალიშვილის ასული დღემდე უმუშევარი დადის. მამაშენა,

ხემო ძვირფასო დიდი ადამიანი იყო, ახლა ის ან აკადემიკოსი იქნებოდა ან შრომის გმირი და ვინ იცის კიდევ რა... დიახ! თანახმა ხარ?

— რატქმა უნდა!..

პროფესორი გიორგი თენგიშვილი სწორედ იმ დღეს გაიცეხულიყო ნათიას დანიშნვის ბრძანება ხელმოსაწერად ბაბომ სახლში თვითონვე წაუღო. ოქროს სათვლიანმა ლოჯიაში თხლად ჩაფუთულმა, ყელშეხვეულმა, პროფესორმა ბრძანებას ხელი მოაწერა, ბაბოს ხელებით უთხრა, ამ გოგონას შეცვიცნობ, თვალბში ღვთიერი ნაბერწყა-

ლი უღვივის, სწორედ ისეთი, მე რომ მიყვარსო, და რაკი თქვენც მოცემენ ჯანჯიციას უწყევთ, სხვა რაღა მინდაო, და გამოისტუმრა.

ხუთშაბათს ნათია დილის შვიდ საათზე ადგა. ისეთ გალაღებულ ხასიათზე იყო, რომ სულ სიმღერა და ცეკვა უნდოდა. ოთახებში დარბოდა. გულაუყებულ ნინოს რამდენჯერმე აკოცა. ნასაუხმევს მშვენიერად, მოხდენილად ჩაიცვა და ქუჩაში — პირველად თავის სიცოცხლეში დედასა და მამინაცვალთან ერთად გამოვიდა.

თავი IV

ირინე და ჯიბრაილი თვითონაც კარგად ჰხედავდნენ, რომ მოხუცებს ცხოვრება აუფროაქვს. მაგრამ მოხუცებისთვის როგორ-ღა ეშველათ, როცა იმასაც მშვენიერად გრძნობდა, რომ ერთმანეთშიც ვეღარ რიგდებოდნენ და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ერთმანეთს სულ უფრო და უფრო ნაკლებ თანაუგრძნობდნენ. მათი ექვსწლიანი სიყვარული და მეგობრობა ერთის დაკვრით დაირღვა და გააცმტვერა.

განათლების განყოფილებიდან გამოსვლისას ირინემ აცრემლებული თვალები ცხვირსახოკით ამოიწმინდა და ქალაქის ბაღისკენ ისე გაუხვია, რომ ჯიბრაილისათვის სიტყვაც კი არ უთქვამს. ცეცხლმოკიდებულ სახეზე აშკარად ეწერა, მე კი იქით მივდივარ და შენ გინდა წამომყევი და გინდა არაო. ჯიბრაილი, რა თქმა უნდა, უკან გაჰყვა. მთელი ბულვარი ისე გაიარეს, რომ ირინეს უკან, ჯიბრაილისკენ ერთხელაც არ მოუხედავს, იგი წინ მიდიოდა და ჯიბრაილი მხლებელივით უკან მაჰყვებოდა. ზაღშიც ასევე შევიდნენ. აქ ირინე შეჩერდა. ბაღის შორეულ კუთხეში ცარიელი სკამი დალანდა და იქით წავიდა. ჯიბრაილი უკან დაედევნა. ერთი

წუთის შემდეგ ცოლ-ქმარი სკამზე იჯდა. ირინე მარჯვენა იდაყვით სკამის ზურგს დაყრდნობოდა, ნაკაპი მუწტში ჩაერგო და ბაღისა და ბულვარზე მოზიშნიშე ქუთაისლებს გამოუთქმელი სიბრაზით გასცქეროდა. ჯიბრაილი პაპაროსს აბოლებდა და მზერას ხან მისკენ მკერდშეჭკვევით მჯდომ ცოლს შეაღებდა, ხან აკაკის ძეგლს, ხან ვეებერთელა ქადრებს და ხანაც ბაღის გარშემო აღმართულ შენობებს, იმ უზარმაზარ ხეებში ძლივს რომ მოჩანდნენ. ხმის ამოღებას არც ერთი აპირებდა და არც მეორე.

ან, კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო რაღა იყო? ეს უბედურება მათ დღეს და გუშინ კი არა, იმ საღამოს ეწია, როცა ჯერ ცოლ-ქმარი არც კი იყვნენ, მაშინ, ჯიბრაილმა ფერწასულ და აცახცახებულ, მაგრამ მაინც ნაკვერჩხალივით მხურვალე ირინეს ხელი რომ მოხვია და მდინარის ნაპირზე ჩაიყვანა... იქ, ქვანახშირის ქალაქში... ირინეს რაღა უნდა ექნა? ახალგაზრდა, ლამაზ, ვაჟკაცურ უბნის უფროსს მაშინ ირინე მტკიცედ ეპყრა მკლავებში, თავდავიწყებით, გაშმაგებით ჰკოცნიდა და რაღაც გაუგებარს ჩაპბურტყუნებდა. მე-

რე ირინეს აღარც რაიმე ახსოვს. ან რა უნდა ახსოვდეს? სიყვარულისა და ვნებათღელვისაგან თავგზადაკარგულ ვაჟკაცს იმას ხომ არ ჰკითხავდა, — შენ, ამხანაგო, ზვევანა-კოცნით რომ ლამის მახრჩობ და მეაღერებსები, ჯერ ერთი ის მიბრძანე, სამთო ინჟინრის ან ტექნიკოსის დიპლომი ხომ გაქვს, თუ ეგ თანამდებობა შემთხვევით გიკავიაო? მაშინ ირინე ... მაშინ ირინე გათამაშული, თითქმის გონებაშიზდილი იწვა სურნელოვან ბალახზე, განძრევისა ეშინოდა და ჯიბრაილის ყოველ შმაგ კოცნას შიშნარევი უძალო კოცნითვე პასუხობდა და...

რა იცოდა მაშინ ირინემ, რას იფიქრებდა, თუ ცხოვრება ასე მალე გაუმწარდებოდა? რაღაც ექვსი წელი გავიდა და ...

ახლა ირინემ რაღა ჰქნას? სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რაც მართო თავის მოხუცებულებს ატყუა და თვალი უხვია, იმას რაღა ეშველება? უბრალო და უსწავლელი ხალხია, ამ უბედურების გაგებაზე შეიძლება ან ერთსა და ან მეორეს რაიმე დაემართოს. ირინე პირდაპირ ბავშვურად, მიამიტად ფიქრობდა, ქუთაისში ჩავირბენთ. ატესტატის საქმეს მოვავაპირაკებთ და ქაიხოსრო და დარეჯანი ვერასოდეს ვერაფერს გაიგებენო. ახლა? ახლა ერთი-ღა დარჩა — ირინე მოხუცებს ყველაფერში გამოუტყდეს და ჯიბრაილი გარეთ გააგდოს. მაგრამ გოგუტუნა? გოგუტუნას მამა დაუკარგოს?

რა ადვილი სათქმელია!..

კაცმა რომ თქვას, ჯანდაბას ამ დღის, ამ მართლა უვციისა და უსწავლელის თავი ირინე არც უბრალო მესანგრის ცოლობას იუკადრისებს, ოღონდ გოგუტუნა კარგად ეყოლოს. მაგრამ სწორედ იმ გოგუტუნას თავი ასე რომ მოაქვს თავის ტოლ-ამხანაგებში, მამაჩემი დიდი კაცაა, ყველას უფროსია, ყოველდღე გაზეთში სწერენო? იმას რაღა ეშველება? პატარა ბავშვებს რა ჰქვია მოეკითხებათ! ახლა, უკანვე რომ დაბრუნდებოან, ბავშვები გოგუტუნას

შემოესევინა და აბუჩად აიგდებენ, ამდენი ხანი როგორ გვატყუებდით! მკაშენი არაფერი უფროსიც არ უფიქრობა. ბავშვს სიცოცხლე გაუმწარდება.

ან, რაღა ბავშვი? ირინეს თვითონაც თავი მოჰქონდა სახელოვანი ვაჟკაცის ცოლი ვარო. ტოლ-ამხანაგებში თავს იფასებდა, ამყობდა. და ან რა იყო ამაში ცული? მის ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. ახლა? რამდენი ვინმე სხი-თხითდებდა ბოროტად და დაცივნიო? ირინემ ახლა ხალხს თავი უნდა არიდოს, თვალეში ველარავის უნდა შეპხედოს? და ეს ყველაფერი რატომ? იმატომ, რომ ამ დათვის ენდო, შეიყვარა, მარგალიტივით შეილი გაუჩინა? მხოლოდ ამიტომ?!..

— რას იტყვით ... ბატონო ... უბნის უფროსო?

ჯიბრაილმა ამ კითხვაზე ირინეს არაფერი უპასუხა კარგად იცოდა, რაც უნდა ეთქვა, ირინე ყველაფერზე გაანჩხლდებოდა და იქნება პირდაპირ შეპგულ ბაღში აკივებულობო. იცის ჯიბრაილმა თავისი ცოლის ამბავი, მაგრამ სულ გაჩუმებაც არ ივარგებს. შეიძლება, ირინე ამან უფრო გადაიხოს.

— დაწყნარდი, ირინე.

— მე წყნარად ვარ.

— წავიდეთ, თუ გინდა, გავიარ-გამოვიაროთ, გული გადავაყოლოთ.

— სად? რიონის ნაპირზე? მდინარის პირას შენ ერთხელ უკვე გყავდი.

— ეგ რა გასახსენებელია?! ..

— შენ აღარც კი გახსოვს, ხომ?

ჯიბრაილმა იყუჩა. ამაზე რაღა უნდა ეპასუხა? მერე ამოიხენეშა:

— ყველაფერს ეშველება.

— როდის? და რანაირად?

— როდესმე და როგორმე.

— მაინც?

— ქმარი მაინც და მაინც მინისტრი უნდა გყავდეს?

— არა!

— აბა?

— არ მინდა, მაღლიდან კისრისტეხით გადმოვარდეს და მერე ველარე წამოდგეს.

— წამოდგომას შენ რას უძახი?

— წამოდგომას მე იმას უძახი, კაცი რომ წამოდგება, წელში გაიმართება და გასვრილ ტანისამოსს გაიბერტყავს.

— მე არსად გასვრილივარ.

— ხვალ გაისვრები.

— ირინე!

და აქ სწორედ ის მოხდა, რასაც ჯიბრაილს ასე ეშინოდა: ირინეს უეცრად მხრები აუცახცახდა, ყბა მოექცა, თვალებში სასოწარკვეთა ჩაუსახლდა და ხმამაღლა, აქვითინდა.

ასეთი მწარე, მტანჯველი წუთები ჯიბრაილს თავის სიცოცხლეში არ განუცდიდა. სიმწრის ოფლმა დაასხა, აითქოს მთელს სხეულზე ჭიანჭველები შეესაფენო. სუნთქვა ეკვროდა: ირინესთან დალაპარაკებისაც ეშინოდა, ვაი, თუ უარესი დაემართოსო და გარშემომყოფებისაც რცხვენოდა. ხალხი უკვე ამათყენ იყურებოდა შორიასხლო მდგარი ახალგაზრდების ჯგუფი ერთმა ვიღაცა გრძელცხვირამ უკეთურად ჩაიჭირქილა, ამხანაგებს ამაზე ანიშნა და ჭღანვით რაღაც, უთხრა. ახალგაზრდებმა მოიხედეს, ირინე და ჯიბრაილი ოდნავი გაკვირვებით შეათვალიერეს და მერე ყველამ ერთხმად გადაიხარხარა. ჯიბრაილს მიწა გასკდომოდა, ის ერთხინა, მაგრამ რა ექნა? იმ ტუტუტებს ხომ ვერ აპყვებოდა? ირინე კი გაჩერებას ვეღარ ახერხებდა: გული ამოუვარდა და სულს ძლივს-ღა ითქვამდა, ცრემლები კი ღვარად ჩამოსდიოდა ფერმიხდილ, თითქოს მობერებულ სახეზე. ბაღის შემოსასვლელთან აქამდე უსაქმურად მდგარი, ჩასუქებული მილიციელი ჯერ დაბნეული იყურებოდა აქეყენ, მერე დაიძრა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა.

ლაზღანდარა ახალგაზრდების ჯგუფი განისუხა. ახლა სეირი უნდა დატრიალებულიყო. ცრემლცხვირამ ამხანაგებს თვალი ჩაუტყრა.

მილიციელი ჩექმების მძიმე ჭრატუნით შორიასხლოს გაჩერდა. იმანაც არ იცოდა, რა ექნა. რაიმე ხულიგნობა

და ძალადობა თითქმის არაფერი შეუმჩნევია, ისე კი ...

— რაშია საქმე, მოქალაქენო?

— არაფერი. ცოტა ნერვები აუშალა.

— ჯიბრაილი ოდნავ მიიწია ირინესკენ და ხელი ხელზე დაადო. — ირინე! გესმის, ირინე!

— აქ სამაგისო ადგილი არ არის. — მილიციელი მიხვდა, რომ მის წინ ცოლქმარი იჭდა. ჩარევა ზედმეტად მიიჩნია. გატრიალდა, გატრუნული ახალგაზრდების ჯგუფი შეათვალიერა და ფუთიანი ჩექმების ჭრატუნით ისევ ბაღის შემოსასვლელისაკენ გაემართა.

ახალგაზრდებმა ირინესა და ჯიბრაილისადმი უცბათ ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს და ისევ წელანდელი ლაზღანდარობა გააბეს.

— ადექი, ირინე. მთელი ქუთაისის სალაპარაკო ნულარ გავხდებით.

ირინე კიდევ ორიოდ წუთი იჭდა. ცდილობდა, დაწყნარებულყო. მერე უხმოდ წამოდგა. ტაქსმა ჩაჯდომაზე უარი სთქვა. სახლისკენ ფეხით წავიდნენ. ირინეს არ უნდოდა, შინაურებს რაიმე შეემჩნიათ, და გოგუტუნასი ისე არ ერიდებოდა, როგორც მოხუცებულების.

რა სწრაფად იცვლება კაცის ცხოვრება? ქუთაისიდან სულ რაღაც რამდენიმე საათის სავალზე, ქვანახშირის ქალაქის ბაღში რომელი მილიციელი შეუბედავდა ჯიბრაილს ჭკუის დარიგებას, — აქ სამისო ადგილი არ არისო? აქ კი შეუბედეს, კარგადაც გააწითლეს და ხალხით სავსე ბაღიდან საქციელ-წამხდარი გამოისტუმრეს. და ჯიბრაილიც, გუშინ თავი ამ ქვეყნის სამაყოფილიც რომ ეგონა და ბატონ პატრონიც, იმ ბაღიდან ჭირის ოფლმოდენილი გამოიჭრწა და უკანაც არ მიუხედნია. შინ გულამოჭდარი ცოლი მიუძლოდა და თვითონ უკან მისდევდა.

ქაიხოსრო და დარეჯანი ირინეს და ჯიბრაილის დაბრუნებას სულმოუთქმელად ელოდნენ. ჭიშკრის ჭრიალის გაგონებაზე გოგუტუნაც კი უკანა ეზოში

მიატოვეს, — არა, სულ ერთი წუთით, რა თქმა უნდა, — ამათ შესაგებებლად გამოეშურნენ და შორიდანვე მოასახეს, ხომ კარგი ამბავი მოგაქვთო.

სიმართლე უნდა ითქვას, ირინე ყოველწინარად შეეცადა, მოხუცებისათვის არაფერი ეგერძობინებინა. უბრალოდ, მოწყვნილი ხმით უთხრა, ალბათ, ქუთაისში ეგ საქმე არ გაკეთდებაო, და სახლში შევიდა. ქახოსრომ და დარეჯანმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვითომ რატომ არ გაკეთდებაი?!

— ადამიანი სადაც მუდმივად ცხოვრობს, ატესტაციც იქვე უნდა აიღოსო. მაგრამ არა უშავს, ქახოსრო ბიძია, რაღაცას იქაც მოვახერხებ.

— აბა, ლომკაცია რომ დაგვიპირდა?!

— ქახოსრომ უმწეოდ მიმოიხედა.

— კანონს ვერც ლომკაცია შეცვლის.

— რა ამისთანა კანონი და ჭირი აუტყდათ?

— ასეა!

ჯიბრაილმა ქახოსროს გვერდი აუარა და სახლში შევიდა. უნდოდა, ამ გზით ეგერძობინებინა, მაგ საქმეზე ლაპარაკის თავი აღარა მაქვსო.

ქახოსრო მიუხედა. მაგრამ მაშინვე ცეცხლიც წაეკიდა, — ლომკაცია ჯიშიაშვილისაგან მეტი პატივისცემა თუ არ შეეკუთვნის, მაგასაც ვიკითხავო. სასწრაფოდ ჩაიცივა და ლომკაციასთან გაიქცა.

ლომკაციამ უკვე ყველაფერი იცოდა.

— კაცო, ძმაო, ჩვენი ნათესაობა და მოყვარეობა ეს არისი? — ქახოსრო სკამზე მიუპატივებლად დაეშვა და ლომკაციას მრისხანე მხერა შეავლო. დაღლილობისაგან სულს ძლივს-ლა ითქვამდა. — ან რა ამისთანა უსაშველოს ეგ ბოეშვები ითხოვენ?!

— კმ!

— რაი?!

— ქახოსრო, შენ მე მაკვირებ, იმ მამაჩემის სული ნუ წამიწყდება!

— რითი, რითი გაკვირებ?!

— კარგი, ახლა, ქახოსრო, თუ ღმერთი გწამს, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ერთი ეს მითხარი...

— მაცალე! მაცალე! უჯერავდა! სხვა რამეზე სალაპარაკოდ მსალა... მე არ მცალია. და თუ სხვა რამეზე მკვლავა... რადი, ქახოსრომ ლომკაციას თითი მუქარით დაუქნია, — იმ სხვა სალაპარაკოსაც მე თვითონ შევარჩევ.

— ქახოსრო, თავი მუ მომიკვდება...

— მაცალე! მაცალე-მეთქი! ერთი ეს მითხარი, რა დიდი ამბავი მოხდა, რომ იმ ბიჭს ის რაღაცა ერთი ფარატიწა ქაღალდი გადმოუგდოთ და ცხოვრებაში გზა-კვალი არ აუბნითო?! რაეა, ლომკაცია ჯიშიაშვილო, შენ აი, სწორედ შენ და იმ შენს რწყილიტყავია ნემსი-წვერიძეს ამისთანები გაგიკეთებიათ? თუ თქვენი კანონებით მაინცადამაინც ის ბიჭი უნდა დაახრჩოთ?

— ქახოსრო, ახლა... მართლა იმ ჩემი დედ-მამის სული ნუ წამიწყდება...

— დედ-მამას მოეშვი, შე ფაშვასი-ებულო, იმათი ხსენებით ხელფებს ნუ მიბორკავ! თუ მართლა და მართლა მთლად სულელი გგონივარ, ა? უნაგერა მთიდან სამი საეენი დარჩეული წაბლი რომ გამომაზიდიენე და ზღვის ნაპირას, სადღაც ლიძეაშიო, ნაპარაგსავე მიწაზე რომ აგარაკი აიშენე, კანონები მაშინ დაწერილი არ იყო? თუ შენ აღარ გახსოვდა? რაჭაში უსწავლელ გლეხებს სადღაც კურში ნაპოვნი ვერცხლეულობა კაპიკად რომ დასტყუე და მერე მუზუუმს ათასებად რომ მიჰყიდე, ენაც კანონმა გიკარნახა? რომელი ერთი ჩამოგითვალო? აგერ სულ ამასწინებზე ნახშირღელელი თავმჯდომარის ბენტერა შვილს...

— ქახოსრო! ღმერთმანი...

— მე სამოცი წელიწადია, ქახოსრო ვარ! მალაზიაში რომ შეხვალ და — თორმეტი კაპიკის ბაქმაზი ამიწონეთო, ვითომ ამით თვალს ვის აუხვეე? სახლში მილიონის ქონება დააგროვე და ბაქმაზში თხუთმეტი კაპიკი ვეღარ გადავიხდია. თუ ხალხს პატიოსნებას ასწავლი, გიცნობ! შენ მე თვალებს ვერაფერში ამიბამ! შენ გყავს, ვისაც შენი სჯერა და კაცად ვთვლის, და ისინი უკმარე.

მე კი ... გასწი ახლავე, იმ ბიჭს ის ატესტატი თუ რაღაცა თქვენის ხელით გამოუწერეთ და აი, აქ მომიტანე, აი, ათი წუთი მომიცია, აქ დაგელოდები. გესმის, თუ არ გესმის?

ლომკაცია ჯიშიაშვილი პუტუნა, ნაღებისფერ სახეზე ერთი ნაკვეთი კი არ შერხეულა. რაღაც ქაღალდები აუჭქარებლად გადააწყ-გადმოაწყო და ქაიხოსროს ავი, ცილისმწაამბელი თვალთ გამოაშხედა.

— ქაიხოსრო!

— ლომკაცა, მე შენ ...

— ქაიხოსრო! ლომკაციას ხმა იოტისოდენადაც არ აუმაღლებია. ამ გამოთავვანებულ ბებერს იგი იმის ღირსადაც კი არ თვლიდა, რომ მასზე გაბრაზებულყოფო. ოღონდ თვალებს კი ისევე ბოროტად ათამაშებდა. — ქაიხოსრო!.. აი, მართლა დედ-მამის სული ნუ წამიწყდება ... ამხანაგო .. აგერ, ერთი საათია, შენგან სულ დაუნსახურებელ ლანძღვა-გინებას ვისმენ. ახლა კეთილი ინიბე და ჩემი, ცოტა უფრო დამჭდარი სიტყვა შენც მოისმინე. აქ სამსახურია, ჩემო ძვირფასო, მე შენ ვერ აგყვები და წივილ-კივილს ვერ გავმართავ.

— ლომ ...

— უკაცრავად! ჯერ ერთი, იმ წაბლის თაობაზე. აი, მართლა, აღაშინაა რომ არ იცი, სად რა დაგისვდება! მე შენ რატომ ათჯერ არ გითხარი, თუ საჭიროა, ახე გავაფორმოთ, როგორც საჭიროა-მეთქი. შენ, ჩემო კეთილო, თვითონ არ ჰქენი და ახლა აქეთ მედავები? მ რაჰველების ვერცხლეთულობაზე კი შენ არც უნდა ილაპარაკო. არა, ეს ჩემგან ნუ გეწყინება, მაგრამ... ეგ მეცნიერებისა და სწავლულების საქმეა. იმ ვერცხლეთულის ნამდვილი ღირებულება არავინ იცის და მე საიდან მეცოდინება? პირაქით, სახელმწიფო ჩემი შადლობელიც არის იმისათვის, რომ ვერცხლეთული ხალხს არ დაუუქარვე და, შენ ხარ ჩემი ბატონი, შევუნარჩუნე და ამასთან ლანძღვა-გინება შენგან სწორედ არ შეკადრება.

— მოიცა, მოიცა ... წაბლის გაფორმებაზე მე უარი გითხარი?

— უარი, შეიძლება, არ გინებამს, მაგრამ ... არც გავაფორმებია და შენს მაგიერ მე ზომ არ გავაფორმებდი? ამ ქვეყანაზე, ჩემო კეთილო, ყველას საკუთარი საქმე გვაბარია. ნაჩუქარი მე არავისი არაფერი მინდა.

— ბიჭო, შე მართლა ჯიბიდან გავარდნილო, ლაპარაკი არ ატყდეს-მეთქი და იმ წაბლის ფასი კაპიკ-კაპიკ მე თვითონ გადავიხადე.

— ისევე ლანძღვა-გინებაზე გადაღიხარ?

— ლანძღვა-გინება ...

— მე არც მაგ ფულის შეტანის ამბავი გამიგია.

— ახლა — გატყუებ?

— მე მაგას არ გუბნები — ესე იგი, მე შენი ფული მმართებია. მაცალე, მივიხედ-მოვიხედავ და ...

— მე ახლა წაბლზე კი არა, ატესტატზე გელაპარაკები.

— ატესტატებს, ჩემო კეთილო, მე არ ვარიგებ. ატესტატების საქმეს განათლების განყოფილება განაგებს.

— ყარამან ნემსიწვევრიძეს მაგისი გაკეთება არ შეუძლია?

— ნემსიწვევრიძე მე არ შემოჩილებია.

— ესე იგი, ასე, ზომ?

— ქაიხოსრო, იმ მამიჩემის სული ნუ წამიწყდება ...

— ასე, ზომ?

— ქაიხოსრო, ჩემო კეთილო ...

— კარგი! ლომკაცია ჯიშიაშვილო, კარგი! ნახშირღელელი თავმჯდომარის ბენტერა შვილს თუ ატესტატი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილზე უფრო ეკუთვნის, მაგასაც გავიკითხავ! — ქაიხოსრო წამოხტა და ასე — დამუქრებულად, დაუმშვიდობებლად წამოვიდა.

მაგრამ რაი მერე? ქუჩაში რომ გამოვიდა და ლაღიძის „კახური“ გული გაივრია, თვითონვე მოისაზრა, რომ ჯიშიაშვილ — ნემსიწვევრაძეებისთანა გაქნილ მელაკედებს ვერაფერს დავაკლებო, და ხელი ჩაიქნია.

სახლში ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა; ვითომ, მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა. ჯიბრაილს მხარზე ხელიც კი მოუთათუნა, გული არ გაიტეხო, აქ თუ არ მოხერხდა, სხვაგან მოხერხდებაო. იმ დღეს ისე ისადილეს, რომ სუფრაზე არავის ხმა არ ამოუღია.

შვებულების დღეები თანდათან იწურებოდა. თავისი საქმეებისთვის ქვანახშირის ქალაქში ჯიბრაილსაც უნდა მიეხედა. ცოლ-ქმარი თავის ოთახში რამდენჯერმე მკვახედ წალაპარაკდა იმის თაობაზე, ქაიხოსროსა და დარეჯანს ყველაფერი ვუთხრათ, თუ არაო. ირინეს ამისი გაგონებაც კი არ უნდოდა და ჯიბრაილს დაემუქრა კიდევ, ეგ თუ გაგიბედნია, იმ დღესვე რიონში თავს დავიხრჩობო. ჯიბრაილი კი ამოოდ უმტკიცებდა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, სამართლეს ადრე თუ გვიან მაინც გაიგებენ და ვინმე გარეშემ შეიძლება ყველაფერი ისე უკუღმართად უამბოს, რომ მოხუცებს პირდაპირ თავზარი დავცეთო. ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ და ირინე ჯიბრაილს თითქმის აღარც ელაპარაკებოდა.

დღეები უსიხარულოდ ვადიოდა.

ერთ საღამოს ლომჯაცია ჯიშაშვილმა დარეჯა და ქაიხოსრო იკითხა.

— ქაიხოსრო ხარ? აი, ჩემო კეთილო, შენ მაშინ რა უსამართლოდ მომექეცი. კარგი, ახლა კარგი, ანგარიშის გასასწორებლად კი არ გირეკავ. ეს იმერლები ფიცხი ხალხი ვართ და ერთმანეთს თუ აფეყვით, ვინ იცის, რა დაგვემართება. ერთი რომ გაფიცხდება, მეორემ უნდა მოუთმინოს. ჰო! ახლა მომისმინე: მე ველაპარაკე ყარაშან ნესტოროვიჩს. მითხრა, ქუთაისში რომ იყოს ჩაწერილი, მაგაზე ერთ წუთსაც არ დაგალაპარაკებდი, მაგრამ ახლა მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელიაო. ოღონდ ... გეყურება? ოღონდ სამაისოდ. სკოლებში რომ გამოცდები დაიწყება, ერთხელაც შემახსენეთ და თუ რაიმე საშუალება იქნა, წამდვილად არ დაგზარდებითო. მაცალე, ჩემო კარგო, მაცალე! მე ვუთ-

ხარი, მაგ ადამიანებს საშახტრი აქვთ, საკუთარი მოვალეობები აკისრით და ასე ყოველ გაზაფხულს შეზღოდრებაზე ქუთაისში სირბილი იქნება არც კი მოუხერხდეთ-მეთქი. ე, კაცო, მაცალე-ადამიანო! ჰოდა, ამაზე ასე მითხრა: თვითონ ეგები ნურც ჩამოვლენ, თუ ადგილზე ვერაფერი გაახერხეს, მოიწერონ და ვნახოთო. ეს ცუდი სიტყვა არის? ქაიხოსრო, ჩემო კეთილო, რაც არ უნდა მოხდეს, მე თქვენს ოჯახს მაინც არ დავკარგავ, მაგრამ ის ლანძღვა-გინება შენგან მაინც არ შეკადრებოდა. დარეჯანი როგორ ბრძანდება?

— «წაბლის ფულის გადახდა არ გინდა აქ რალაც ლათაიებს მიყვები ... — გაიფიქრა ქაიხოსრომ, — ჩამოვიდნენ, ნუ ჩამოვლენ, მოიწერონ ... შენც ჩამახრჩობი ხარ და ის შენი ნესტოროვიჩი!» — ლომჯაციას მოკლედ უთხრა დარეჯანი კარგად არისო და ყურმილი დააგდო.

დარეჯანის უსიტყვო შეკითხვაზე ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში გავიდა დაღვა განშორების დღეც.

ამ დღისათვის ოჯახში, ცოტა არ იყოს, უცნაური ვითარება შეიქმნა: ქაიხოსრომაც და დარეჯანმაც უკვე იცოდნენ, რომ საქმე მართო ატესტატის აღებაში სულაც არ იყო, რომ ირინეს და ჯიბრაილს გაცილებით უფრო მძიმე უსიამოვნება შეემთხვათ. თავის მხრივ, ირინეცა და ჯიბრაილიც ჰხედავდნენ, რომ მოხუცები ყველაფერს მიხვდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, ახალგაზრდებისათვის არაფერი ეგრძნობინებინათ; გატყდომით კი მაინც არ უტყდებოდნენ. ჰოდა, ასე: ყველამ ყველაფერი იცოდა და არავინ არაფერზე ლაპარაკობდა. მოხუცები ახალგაზრდების თაქმოყვარეობას ზოგავდნენ, ახალგაზრდები მოხუცების სიმყუდროვეს უფროთბილდებოდნენ, ცალ-ცალკე კი ყველა იტანჯებოდა და აქედან ერთადერთი გამოსავალი ის-ღა იყო, რომ ახალგაზრდები თავის გზას დადგომოდნენ. მაშინ ხმამაღლა ამოხენესი მაინც აღარავის შეეშინებოდა. მერე დრო ვაი-

ელიდა, პირველი შეურაცხყოფა, წყენა და გულსტკივილი მიყურდებოდა. ოჯახის წევრები — ახალგაზრდებიცა და ხანდაზმულებიც ისევ ერთად შეიყრებოდნენ, ერთმანეთს ყველაფერში გულახდილად გამოუტყდებოდნენ და, ბოლოს და ბოლოს, რა არის ამ ქვეყნად ისეთი, ადამიანმა რომ გულით მოინდომოს და ვერ გააკეთოს? სწავლაზე ჩვენს ქვეყანაში უარი ვისთვის უთქვამთ? თუ იმ აფერისტსა და წამგლეჯლომკაცის შერი ალარავინაა, რომ ამით დახმარების ხელი გამოუწოდოს? თუ საპირო ვახდა, ქაიხოსრო თვითონვე ჩავაქვანახშირის ქალაქში. ერთი დრო იყო, ქაიხოსრო ქარცივაძეს წიფის გვირაბს გამოლმა ყველა იცნობდა და პატივსაცემდა. ახლა, რა ღმერთი ვაწყრება, რომ ერთი ნაცნობი მაინც არსად გამოიძენოს? მოგვარდება, ყველაფერი მოგვარდება.

დადგა განშორების დღეც. იმ დღეს უზრუნველი და მხიარული მარტო გავგუტუნა იყო. მოხუცებს ახალგაზრდებთან განშორება და მარტო დარჩენა უმძიმდათ, ირინეს და ჯიბრაილს კი — ქვანახშირის ქალაქში დაბრუნება. ირინეს გული ეკუმშებოდა. იმის წარმოდგენაზე, თუ რა ამაცი და ბედნიერი იყო იმ ქალაქში სულ ცოტა ხნის წინათ, და როგორ გულმოკლული ბრუნდებოდა, ახლა იმავე ქალაქში. ვის რა პასუხი გასცეს? ქუთაისში რატომ გამოიქცა და ახლა უკან რა მიაქვს? ზოგიერთი უკეთურის დამცინავი ღმეკა და ნამალავი ჩურჩული როგორ მოითმინოს? უმტერო სხვა ვინაა ამ ქვეყანაზე?.. და ეს ყველაფერი სანამდე გაგრძელდება და როდის დასრულდება? ან დასრულდება კი როდისმე?

ჯიბრაილსაც დილიდანვე დანა კრიკას არ უხსნიდა. ქვანახშირის ქალაქი ახლა ერთადერთი ადგილი იყო ამ ქვეყანაზე, სადაც იგი უთუოდ უნდა წასულიყო, და იგივე ქალაქი იყო ერთადერთი, სადაც მას მიბრუნება სიკვდილით არ უნდოდა. წამოსვლით კი დაე-

რა ფეხი და წამოვიდა ამ ქუთაისში, მაგრამ ახლა მიბრუნებით ქვანახშირში რუნდეს? ამხანაგები მიატრყა, საკადნიონი — აღარც კი უნახავს. ვინ რისი, გულში ისინი ჯიბრაილზე რას არ ფიქრობენ? სხვასთან კი ვისთან მივიდეს? სად იმუშაოს? ირინეს გაუთავებელ ცრემლებს და გააღმასებულ თვალებს სანამდე გაუძლოს, ეპ, ღმერთმა დასწყევლოს და შეაჩვენოს ის დღე, როცა ჯიბრაილი სარდიონმა გამოიძახა და უბნის უფროსად დააყენა. თორემ ჯიბრაილი ახლა ბედნიერი კაცი იქნებოდა. ყველაფერი თავსაყრელი ექნებოდა და არაფერი შეაწუხებდა, ეს ზევით ასვლა და შერე იქიდან ასე კისრისტებით ჩამოვარდნა კი მართლაც ძნელი ყოფილა. რას ერჩოდნენ? ადამიანი თავმოყვარეა, ეს ოხერი! შელახულ თავმოყვარეობას და სიამაყეს ვერსად დამალე-ბი.

მატარებელი საღამოს რვა საათზე გადიოდა. ირინემ თავი მოიკლა, სადგურზე ნუ გაგვაცილებთ, ტყუილად ნულარ დაიღლებითო. ქაიხოსრო და დარეჯანი მახედნენ, განშორებისას გულის აჩუყების და ატირების ეშინიაო. ნებას დაჰყვენენ. შეიდი საათი იქნებოდა, ირინემ და ჯიბრაილმა შეკრული ჩემოდნები რომ აიღეს და ჭიშკრისკენ წავიდნენ. კიდევ ერთი ყვითელი ჩემოდანი და კალათი ქაიხოსროს მოჰქონდა. დარეჯანს კი გოგუტუნა აეტატებინა, ჩუმიად იცრემლებოდა და ბებინს ასეთი საქციელით გაკვირვებულ ბავშვს გაუთავებლად კოცნიდა.

ჭიშკართან შეჩერდნენ. ჩემოდნები ძირს დადგეს. იმავე წუთში ტაქსის მწვანე სინათლე გამოიკიმციმდა მოსახვევში დადგა განშორების წუთიც. ყველანი ერთმანეთს არიდებდა მშერას, ჯიბრაილს ყბის კუნთი გაუთავებლად უთამაშებდა. ირინეს ძალა აღარ ეყო უეცრად აქვითინდა, ქაიხოსროს კისერზე შემოვჭდო და სახე მის მკერდში ჩამალა.

თავი V



ნათია, გამარჯობა!

ჩემს უკანასკნელ წერილზე შენგან პასუხი არ მიმიღია და ახლა მე რომ მაინც ვწერ, შეიძლება ითქვას, რომ მე თავმოყვარეობა არ გამაჩნია, შეიძლება, ისიც ითქვას, რომ არის ცხოვრებაში მომენტები, როდესაც თავმოყვარეობაზე აღარ ფიქრობენ; და ბოლოს, შეიძლება ითქვას ისიც, რომ ჩვენი ფოსტა ჭერჭერობით უნაკლოდ სულაც არ მუშაობს და ისიც კი ხდება ხოლმე, რომ რესპუბლიკის დედაქალაქიდან პროვინციაში ვაგზავნილი წერილი სრულიად უკვალოდ იკარგება, არც ადრესატთან მიდის და აღარც გამგზავნის უბრუნდება. რალა თქმა უნდა მე ყველზე უფრო ეს უკანასკნელი ვარიანტი მაწყობს. შენ?

გამოგიტყდები: ჩემს ახალგაზრდობაში (უკვე დადებერდი?) ჩემს ჰაბტუობაში, არაფრად მომწონდა ის ხალხი, თავიანთ ფიქრებს და განცდებს ეგრეთწოდებულ დღიურებს რომ ანდობს ხოლმე. ეფიქრობდი, რომ ეს სრულიად არაეფექტური საქციელია და ნამდვილ ვაეკაცს (და ნამდვილ მანდილოსანსაც) უთუოდ უნდა ჰყავდეს მეორე ადამიანი, რომელსაც თავის ჭირ-ვარამს მუდამ თამამად გაუზიარებს. დღიურის წერა მე მუდამ ერთგვარ პოზად მიმაჩნდა. მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დღიურის წერისას ადამიანი უთუოდ ერთ კონკრეტულ ადამიანს ესაუბრება, სწორედ იმას, ვინც თავის უახლოეს და უანგარო მეგობრად მიანია. ყველა დღიური უთუოდ ვინმე ცოცხალ სულიერისათვისაა გამიზნული, უამისოდ არცერთი დღიური არ დაიწერებოდა.

ასე რომ, შეგიძლია ეს წერილი ჩემზე დღიურის ფურცლებად მიიხნო. თუონდ წინდაწინვე უნდა გითხრა, რომ ეს არის ჩემი უკანასკნელი წერილი შენდამი. თუ პასუხს არც ამაზე მივიღებ, მაშინ მივალ იმ დასკვნამდე, რომ

წლან ჩვენი ფოსტის წინაშე უღმერთოდ შევცოდე, ხოლო კავშირგაბმულობის მუშაკები სულაც არ არიან მოვალენი, წერილები იმათ მაგივრად სწერონ, ვინც ამას ამა თუ იმ მიზეზით თვითონვე უნდა აკეთებდეს.

ჩემს ცხოვრებაში უამრავი სიახლეა, გარდა იმისა, რომ იმავე ოთახში ვცხოვრობ და ჩემს მეზობელს ძველებურად ვძულვარ (ან იქნებ, უფრო მეტადაც). მანდოდა, დამეწერა, ჩემი უბანიც ძველებურადვე მუშაობს-მეთქი, მაგრამ... ეს ასეცაა და მთლად ასეც აღარ არის. და რაკი შენც სამთო ინჟინერი ხარ, მოდი, აქედანვე დაივიწყებ.

უპირველეს ყოვლისა: ჩვენს შესახებ პარტორგანიზაციის წლიური საანგარიშო კრება ჩატარდა. მოგვხსენება მე უპარტიო ვარ, მაგრამ, როგორც ვადმომცეს, ამ კრების დღის წესრიგიცა და საერთო შინაარსიც ვაცილებით უფრო ნაკლებად საინტერესო იქნებოდა, მე რომ აქაურობას არ მოვევლინებოდი. საანგარიშო მოხსენებაში, თურმე, პირდაპირ ითქვა, ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე შესხტის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა — უსწავლელი ხელთუფლიშვილი მოვხსენით და მის მაგივრად სწავლული, წითელდიბლომიანი ინჟინერი დავაყენეთ, რომელსაც თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და უბანი წინ წაიყვანაო. ამ განცხადებას დარბაზში ისეთი გამოცოცხლება გამოუწვევია, რომ თავჯდომარე იძულებული გამხდარა, ზარი დაეწკარუნებინა.

ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ კრებას ჭალაჭკომის პირველი მდივანი ლონგინოზ ფეიქრიშვილი ესწრებოდა. როგორც ვიცი, თავის დროზე მას შავი დღე დაუყრია პარტკომის მდივნისათვის, შინაგო ჩარკვიანისათვის, ხელთუფლიშვილი ასე განუკითხავად რატომ მოხსენით და ამ უსიამოვნო

ფაქტის წინაშე ასე დაგვიანებით რატომ დამაყენეთო. როგორც ჩანს, ფეიქრიშვილს ეს ამბავი დროზე რომ გაეგო, საქმე მართლაც სხვანაირად წავიდოდა. მინავო ჩარკვიანი, თურმე, იმ დღის აქეთ სულ უხანძროდ დადიოდა და ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, პარტკომის მდივნად ახალი ვადით აღარ ამირჩევნო. ყოველ შემთხვევაში, რაიკომი ამას ნამდვილად აღარ მოინდომებდა. ნეტავი, ყველაფერი ისე აუხდეს პატივცემულ მინავოს, როგორც ეს წინათგვრძობა აუხდა. მე ძალიან მესიმპატიურება ეს პატიოსანი და გულისხმიერი ადამიანი, მაგრამ საქმეში კი მართლაც ცოტა რბილი უნდა იყოს. სარდიონ რაჭველიშვილისთანა სპილოს ძალას ეგრძას გაუძღვება!..

კამათი კრებაზე, თურმე, უღიმღამოდ მიდიოდა. ხელთუფლიშვილის საქმეც ყველამ იცოდა და ისიც, რომ ამ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველებოდა. სხვაფრივ კი შახტზე ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის და სალაპარაკო მართლაც არაფერია. მერე კი სიტყვა ლონგინოზ ფეიქრიშვილს უთხოვია, უქია ჩვენი შახტის კოლექტივიც, ხელმძღვანელობაც. — ჩვენი ქალაქის სიამაყე ხართო. დიდი საყვედური არც პარტკომის მდივნისთვის უკადრებია, მაგრამ ის კი ხაზგასმით უთქვამს, რასაც ამ ამხანაგმა ჩარკვიანმა შახტის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამალემა და გაუმჯობესება უწოდა, სინამდვილეში, შეიძლება, ასეთ სახელწოდებას არც კი იმსახურებდეს, მაგრამ ამაზე უფრო ზუსტ პასუხს უახლესი მომავალი გავცემსო, ერთი სიტყვით, დღე არ გავა, რომ რომელიმე მოსახვევში რამე ეკალს არ წავაწყდე. მერე სხვებს ისიც გახსენებიათ, რომ მინავო ჩარკვიანი ჯანსუფი, ავადმყოფი კაცი, პარტკომის მდივნისათვის ძირითადად თანამდებობასთან შეთანხმებით — უკვე სამი წელიწადი იმუშავა და — მის მავიერად ამ პოსტზე ადგილკომის თავმჯდომარე ტერენტი ჩაგუნავა აღრჩევიათ. მე რომ უბნის უფროსად მნიშნავდნენ,

ეს ტერენტი ჩაგუნავა პრეზიდენტში იჯდა და რამდენადაც მახსენებდა, ბოქარ ამბებში არავითარ შემთხვევითობას არ იღებდა.

ასე რომ, ჩემი პერსონა უკვე რაღაც გავლენას ახდენს ზოგი აქაურა ამხანავის ბიოგრაფიაზე. ძალიან ხშირად — ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად ცოლონდ ერთი კი უნდა გითხრა: თუ ჩემი დანიშვნისათვის ვინმე უნდა დასჯილიყო, ეს ვინმე მხოლოდ და მხოლოდ სარდიონ რაჭველიშვილია. მე ასე ვფიქრობ. მაგრამ იქნებ დასჯით არც მინავო ჩარკვიანი დაუსჯიათ? უბრალოდ, ვადა გაუვიდა და გადაიჩინეს. მორჩა და გაათავდა. ვინ იცის... ისე, ჩვენი ქვანახშირის ხარისხს ისევე მინავო და მისი ტექნიკური კონტროლის ინსპექცია ამოწმებს და მე ამ სიმპათიურ კაცთან საქმე მაინც ხშირად მექნება.

მაგრამ უფრო საინტერესო რამ ახლა უნდა გიამბო.

წინა წერილში მე შენ ვინმე გრამა ოდიბაშვიცი გიხსენე — უბნის მემონტაჟების ბრიგადირი, — ნატიფი, დახვეწილი და თან მეტად ვერცხლისმოყვარე არისტოკრატია-მეტეი. გუშინწინ, საღამოს, ჩემს კარზე ვილაკამ მეტად თავშეკავებით, რიდიტ დააკაუნა. გავაღე და ბატონი გრიშა ბრძანდებოდა. ასეთი უხადო გემოვნებით ჩაემული. ადამიანი იშვიათად თუ მინახავს. ასეთივე უხადო ზრდილობით იქცეოდა. შემოვიდა, დაჯდა, მომიკითხა, იმპორტული სიგარეტი შემომთავაზა და ბოლოს — უკიდურესი მორიდებით მითხრა, თუ ჩვენთან, უბრალო ხალხთან საღამოს გატარებას იკადრებთ, ნამდვილად ძალიან გავიხარდებო. რაღაც თქმა უნდა, ვიკადრე. სადგურის რესტორანში დიდებული სუფრა გავშალათ. ამ სუფრაზე უხვად იყო ყველაფერი, იმის ჩათვლით, რაზეც ჩვეულებრივ მოკვდავებს რესტორნებში მუდამ უარს ეუბნებიან — კალმახითა და ხიზილალით დაწყებული და პირდაპირ ზღაპრული, ბადავიით ტკბილი და შემრგე

„ოჯალმით“ გათავებულნი. დროსტარებაც უაღრესად კორექტულ ფორმებში მიმდინარეობდა. სუფრაზე — არც ერთი მთვარალი, არც ერთი ხმამალალი სიტყვა, არცერთი შეკამათება, არც ერთი გადაჩურჩულება, — მხოლოდ მოკლე და თავაზიანი სადღეგრძელოები, მხოლოდ სასიამოვნო და მზიარული ამბების მოყოლა, მეტად კომპეტენტური და ამავე დროს ყველასათვის გასაგები მსჯელობანი სპორტზე, ჩაცმა-დახურვის თანამედროვე ტენდენციებზე, თეატრზე, ქალისა და ოჯახის დანიშნულებათაზე. ერთი სიტყვით, ამ ახალგაზრდებმაც სულ თხუთმეტამდე იქნებოდნენ, — მშვენიერად იცან, გუშინ სად იყვნენ, დღეს სად არიან და ხვალ სად იქნებიან. მშვენიერ ხასიათზე ვიყავი და, ალბათ, სახლშიც ისევე ზედნიერი წავიდოდი, მაგრამ ... სწორედ დროსტარების დამთავრებისას პატონმა გრიშამ არც თუ ძალიან გრძელი, მაგრამ მეტად ღრმა და ამავე დროს მეტადანათელი გასაგები ქვეტექსტით აღჭურვილი სადღეგრძელო წარმოთქვა, საიდანაც მე მშვენიერად გავიგე, რომ მემონტაჟებმა — მაინც განსაკუთრებული ჩაღბია (ამას ცუდად ნუ გავიგებთ!), ისინი საგანგებო მოპყრობას იმსახურებენ. მეტად თავაზიან და გულისხმიერ მოპყრობას, ხოლო რაც შეეხება მათს გასამრჩელოს, აქ საკითხი ნათელია: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მემონტაჟემ იმაზე ნაკლები მიიღეს, ვიდრე მას საკუთარ სულელებს და მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდება; არა, ნუ შეეკრთებით, ეს მოთხოვნილებანი არც თუ ისე დიდია, ხოლო საბედობარ — რამდენი, ეს მშვენიერად იცოდა უზნის წინანდელმა უფროსმა, სრულიად უსწავლელმა ჯიბრაალ ხელთუფლიშვილმა, და მემონტაჟეებს ვისი სახელითაც ახლა გრიშა ოდიბაშევი ლაპარაკობს (მსუბუქი თავის დაკვრა თანამომხეთა მისამართით!) — მემონტაჟეებს სრული იმედი აქვთ, რომ უზნის ახლანდელი უფროსი, ბრწყინვალე სამთო ინჟინერი თეიმურაზ არჩევანი-

ძე თავის წინამორბედზე ნაკლებ არ გაერკვევა ამ, არც თუ მსქე რისთვის! საკითხში.

ამ სადღეგრძელომ გუნება ისე მომიშამა, რომ მაშინვე წამოხტომა და გაქცევა მომიინდა. აი, თურმე რისთვის! დაუპატიენივართ! მაგრამ ადგომა და გამოქცევა აღარც კი დამჭირვებია. ეს სადღეგრძელო დაილია თუ არა, სუფრაზე მაშინვე აიშალა. დანახარჯი, რა თქმა უნდა, უკვე გასტუმრებული იყო. მანქანაში იმავე ნატიფი თავაზიანობით ჩამსვეს და სახლამდე მიმაცილეს.

არ ვიცი, დამიჭირებ თუ არა, ამის შემდეგ მთელი ღამე თვალი აღარ მომიხუჭავს. როგორ ახერხებდა ჯიბრაალი ხელთუფლიშვილი იმას, რომ მემონტაჟეები მუდამ მაღალ გასამრჩელოს იღებდნენ, დამოუკიდებლად იმისგან, უზანი კარგად მუშაობდა. თუ ცუდად? უზანმა თუ კარგად იმღევა, მაშინ კი, მაგრამ თუ უზანი შეფერხდა? შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მისი პასუხი, თითქმის, ვიპოვნე. (თუ სადღაც გაგონილი მქონდა და გამახსენდა?) გამომუშავების თითო-ორთა პროცენტი სხვა მემშახტეებს უნდა მოაკლო და მემონტაჟეებს დაუმატო, თორემ მემონტაჟეები თავს იმავე ნატიფი თავაზიანობით დამიკრავენ და სხვა შახტებზე ან უზნებზე გადავლენ, მე კი საჭირო და კვალიფიციური ხალხი დამაყლდება.

მაგრამ რითი სჯობია მემონტაჟე მეზიგეს, ამწმენდს, ჩამომხგრავს? არაფრით. პირიქით, ესენი შეუღარებლად უფრო ძნელსა და სახიფათო საქმეს აკეთებენ. მაშ, რაშია საქმე? ვინ და როგორ გაათამაშა მემონტაჟეები ასერიგად? განსაკუთრებულ პრივილეგიებს რატომ სხვა პროფესიების მემშახტეები არ თხოულობენ?

ჩემი მდგომარეობის მთელი ტრაგიკომიკურობა იმაშია, რომ ხმამალა ამ კითხვებით ვერავისთვის მიმიმართავს. მეშინია, ვაი თუ ამ ამოცანის ამოხსნა მეტად მარტივი საქმე იყო და სიცილი არ დამაყარონ, ეს უბრალო

რამე როგორ არ იციო. რა ვქნა მაშინ, სად წაიღოს შერცხვენილი თავი წითელდილობიანმა ინჟინერმა? ეს ჯიბრაილ ხელთფულიშვილი ზაინც მანახა, ვკითხავდი და იქნებ იმას აეხსნა. აი, როგორ დღეში ვარ. ჭერჭერობით კი მხოლოდ ის ვიცი, რომ შემონტაჟების პრეტენზიები უსაფუძვლოა და თუ უბანი ჩამოვარდა, მაგათ მე არავითარ განსაკუთრებულ ანგარიშს არ გავუწევ-ჭერჭერობით ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.

ახლა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: დამტკიცებული, თეორიულად და პრაქტიკულად ათასჯერ შემოწმებულია, რომ ტექნოლოგიური პასპორტის მიხედვით ჩემი უბანი ახლა ასე მუშაობს: სანგრევის მთელ სიგრძეზე (დაახლოებით 100 მეტრი) ქვანახშირის გამომღებ კომბაინს ჭერ ერთხელ გავატარებთ, მერე მეორეჯერ და პერე შესამეჯერ. როგორც აქაური შემახტეები ზემორობენ, ქვანახშირის ფენას სამპირ ტყავს ვაძრობთ. ამის შემდეგ, უკერი რომ ჩამოინგრეს, ქვანახშირის ამოღება ერთი ან ორი ცვლით წყდება და გამომღებულ სივრცეში ჭერს ჩამოვამტყვევებთ ზოლზე. შენ იცი, ეს რა სახითააო საქმეა. მაგრამ უამისობა არ შეიძლება. ამის შემდეგ ყველაფერი ისევე თავიდან იწყება.

ამასწინათ, ქვანახშირის ფენას „მესამე პირი ტყავი რომ ავაძრეთ“, მე განკარგულება გავეცი, ნახშირის ამოღება შეწყვიტეთ და ჭერის ჩამოსაქცევად მოვემზადოთ-მეთქი. სანგრებში, კონვეიერზე ვიჯექი. სად იყვნენ და სად არა, სიბნელიდან ორი თუ სამი შედარებით ახალგაზრდა შემახტე გამოძვრა, ახლოს მომიჩოჩდნენ და ნართაული ლაპარაკით „მიმახედრეს“, ასეთ დროს ჯიბრაილი ზოგჯერ ჭერს შეამოწმებდა და, თუ საშიში არაფერი იყო, ქვანახშირის ფენას „მეთხე პირ ტყავსაც“ ამოვამტყვევებდი ზოლზე. წარმოგიდგენია? დაბნეულობისაგან რომ გამოვერკვიე, იმ ქაჯლანა იორამ ნოსელიძეს

ვიციხე, ჯიბრაილს მაგ საქმის გაკეთების არ ეშინოდა-მეთქი.

— ჯიბრაილი არასოდეს არაფერში შემეცდარა! — ამჟამად, ოდნავ გამომწვევად კი მიპასუხა ჩემმა ზელქვეითმა და მისი სიტყვები იმ სხვებმაც ღიმილითა და თავის ქნევით დაადასტურეს.

რა უნდა მექნა? შენ ხომ წარმოგიდგენია, რას იძლევა ფენისთვის „მეთხე პირი ტყავის აძრობა“, ზედმეტი ქვანახშირი, დროის ეკონომია, ხეტყის ეკონომია, შემახტეებს ზედმეტი თუმინიანები... მაგრამ რომ არ ვამომართლოს? ჭერი რომ თავზე ჩამოგვენგრეს?

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და უბანზე ჩემს მთავარ დასაყრდენს მებიგე გერასიმე ცნობილამეს მივვარდი, — ასე მიჩვენებ და რა ვქნა-მეთქი. უნდა გენახა ბერიკაცის გაფიცება. იმ ახალგაზრდებს პირდაპირ კეტით გამოეკიდა, რალაც კაპიკების გულისთვის კაცს სწორი გზიდან აცდენთ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, ახლავე სარდიონთან წავათრევთო. იმ ბიჭებმა ფაცხა-ფუცხით მოუსვენეს სანგრევიდან.

არ ვიცი, საიდან და როგორ, მაგრამ სარდიონს ეს ამბავი მაინც გაუგია. სალამო ხანს სამორიგეოში შემოვიდა და გამაფრთხილა, არასოდეს არაფრის გულისთვის ტექნოლოგიური პასპორტი არ დაარღვიოთ. შემაქო, სწორედ მოქცეულხარ, გერასიმესათვის რომ გიკითხავსო. ესე იგი, ხალხის ცნობა შეგძლებიაო, და სხვა ამგვარები. მინდოდა, ბარემ ისიც შეკითხა, შემონტაჟეებს ასეთი განსაკუთრებული პრეტენზიები რატომა აქვთ-მეთქი, მაგრამ ველარკითხე. თავის დროზე ყველაფერი გამოირკვევა.

აი, მოკლედ ჩემი თავგადასავალი. რას იტყვი, სამთო ინჟინრის კარიერას კარგად ვიწყებ, თუ არა? შენ რალას აპირებ? ჩემი მისამართი ჭერჭერობით არ შეცვლილა.

თეიმურაზ არჩევანიძე.

„გამარჯობა, თეიმურაზ!

როგორა ხარ? სწორედ შენზე ით-

ქმის, პირდაპირ ცხოვრების შედეგულში გადაეშვაო. ვფიქრობ, რომ სამთო ინჟინრის კარიერას კარგად იწყებ. უაქმოდ აღარც შე დავდივარ. ქალბატონმა ბაბომ დროებით ლაბორანტის ადგილი მომიხერხა. მართალია, ამან ერთი ფრიადოსანი სტუდენტის უზომო გოცემა და მხრების აჩეჩვა გამოიწვია. ის ქალიშვილი ინსტიტუტს გაზაფხულზე ამთავრებს, და დარწმუნებული იყო, რომ კათედრაზე სწორედ მას დატოვებ-

დნენ; მან ხომ ჯერ ისიც კი არ იცის, თუ „ოთხიანი“ რა არის, მაშინ როცა ჩემი დიპლომის დანართი „სამსახურში-თა“ გადაჭრელებული. მაგრამ რა ვქნა, იმ გოგოს ბედი რატომღაც სულ არ მაწუხებს. ჩვენ ბეჩავმა „სამოსნებმა“ ვიკითხოთ, თორემ „ხუთოსნებს“ მუდამ რამეს მოუხერხებენ. სხვა ჩემს ცხოვრებაში ახალი არაფერია. მოიწერე ხოლმე.

ნათია ავალიშვილი.

თავი VI

სამსახურის დაწყების დღეებში ნათიას ერთი პატარა უსიამოვნება შეემთხვა. ის ფრიადოსანი ქალიშვილი, რომელსაც ინსტიტუტი ჯერ დამთავრებულიც კი არ ჰქონდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, ინსტიტუტისა და პროფესორ მიქაბერიძის კათედრაც მოვალენი არიან, ლაბორანტის ადგილი მე შემინახონ, თუნდაც ინსტიტუტის დამთავრებამდე კიდევ ხუთი წელიწადი გავიდესო, არ ისვენებდა და იმას მიადრწობდა, რომ ნათია ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში გამოიძახეს. განყოფილების გამგემ, თავისი ახალგაზრდული ასაკისათვის მეტად მსუქანმა, თავდაჯერებულმა და ლოყებლავლავა აგული მედიტარიანმა საჭიროდ დაინახა, ნათია თავით ფეხებამდე მკაცრად შეეთვალიერებინა და აგდებული ტონით ეკითხა:

— თქვენ როდის გაფორმდით?

— ბატონო?! — ნათია მართლაც ვერ მიხვდა, თუ ეს „გაფორმდით“ როგორ უნდა გაეგო.

— მე გეკითხებით, ლაბორანტის თანამდებობაზე როდის დაინიშნეთ-მეთქი. ნათიამ ზუსტი რიცხვი დაუხსახელა.

— ვისი რეკომენდაციით?

— ქალბატონი ბაბოსი.

— ვისიო?! — მედიტარიანის კროლა თვალეხი უკიდურესი სარკაზმით ავღარადა.

— ქალბატონი ბაბო ფავლენაშვილისა. განა არ იცნობთ?!

— ვიცნობთ! ბაბო ფავლენიშვილს ყველანი ვიცნობთ. — სიტყვა „ქალბატონი“ მედიტარიანმა შეგნებულად, ნაზ-გასმით გამოსტოვა და, თითქოს ახლა-ღა გაახსენდაო, ნათიას სკაპზე მიუთითა. — დაბრძანდით, ჩვენ ზრდილობის კანონებიც გვესმის.

— მაგასი მე ეჭვი არ მეპარება. — ნათია არ დაჯდა. — რისთვის გამოიძახებთ?

— რა ბრძანეთ?

— განა კადრების განყოფილებამ არ იცის, მე როდის დამნიშნეს?!

— როგორ არ იცის! ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ... შეცდომისაგან აღ-ღვეული არაინაა. კათედრის გამგე, პროფესორი მიქაბერიძე ამჟამად ავად-დაა, უიმისოდ კი კათედრაზე თანამშრომლის მიღება ... არ ვიცი ... გარდა ამისა, ჩვენ გვეყავს ახალგაზრდები, რომლებსაც უკეთესი მაჩვენებლები აქვთ როგორც სწავლაში, ისევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ... დიახ!

— მაჩვენებლები აქვთ — ცხოვრებაში?!

— დიახ! აბა, როგორ? აბა, ჩვენ აქ რისთვის ვზივართ?!

— თქვენ აქ, ალბათ, იმიტომ ზიხართ, რომ ასე საჭირო. მე მაგას ვერ გან-

სჯი. პროფესორმა მიქაბერიძემ კი კათედრაზე თვითონ მივიღო.

— თვითონ?! მართლა?! — შეიფარინანი აშკარად წახდა. ის დაეღაღა ლოყები უეცრად ჩაეფერტლა და თვალები უაზროდ ააცეცა. — როდის?!

— ჩემს განცხადებაზე პროფესორის შუამდგომლობა აწერია.

— მართლა?! ო, მაშინ... კი, რასაკვირველია... გასაგებია... არა, ჩვენ ამას შევამოწმებთ, მაგრამ... ეს, პირიქით, სასიამოვნოა.

— შემძლია, წავიდე?

— დიხხ, რასაკვირველია, ნახვამდის! არა, თუ დაგკვირდით ჩვენ ისეც გამოვიძახებთ, მაგრამ... რას იზამ... — თქვენი ნებაა!

მაგრამ აღარავის გამოუჩახნია. ნათიამ ამ უსიამოვნო ინციდენტით გამოწვეული წყენა თანდათან გულში ჩაიღო და თავისი ახალსაქმიანობა განაგრძო. სახლიდან დიღოს რვა საათზე გადიოდა, შესვენებისას ინსტრუქტის ბუფეტშივე საუზმობდა და სახლში ექვსი საათისათვის ბრუნდებოდა. კათედრაზე სამუშაოთი ჯეოჯგრობით მინცდამინც არავინ ტვირთავდა. ზოგჯერ მთელი დღე ისე გაივლიდა, რომ ერთი უბრალო გამოანგარიშების შეტი გასაკეთებელი სრულიად არაფერი ქონდა ხოლმე. წლის ბოლო ახლოვდებოდა, კათედრის თანამშრომლებს საკუთარი საქმეებიც თავსაყრელი ჰქონდათ და ფიქრობდნენ, პროფესორი გამოვა და ავალიშვილს საქმესაც ის გაუჩენსო. ნათიაც ასევე ფიქრობდა. სამსახურეობრივ დისციპლინას კი მაინც ზუსტად იცავდა და თანდათან რწმუნდებოდა, თუ ჩემი ცხოვრების მოწესრიგებას მართლა ვაპირებ, საამისოდ ეს კათედრა სწორედ კარგი ადგილიაო.

ის ანონიმური წერილი ნათიას თითქმის სულ აღარ ახსენდებოდა, ჯერ იყო და იფიქრა, ეგეთ წერილებს ჩემი ასაკის ქალიშვილები, ალბათ, ათეულობით იღებენ, მაგრამ მაგაზე დარდს ჯერ არავინ გადაჰყოლიაო. მერე ის იყო, რომ ვერაფრით იმისი დაჯერება ვერ შე-

ძლო, ბესარიონ მაგრაქველიძე მართლა რამეს გაბედავსო. ამის წმინდადგენაზე ისევე გულთანად ეციწმნარდა. მითი, ლოყებდაეღაღა, მუდამ ოფლიანი ბესარიონი მაცდურისა და მოძალადის როლში! ერთხელ ამის წარმოდგენაზე ნათიას სიცილი სამსახურშიც კი აუტყდა და კათედრის თანამშრომელთა გაკვირვებული ყურადღება მიიპყრო, რაც დრო გადიოდა, ნათია იმაშიც შეეკვდა, ნეტავ, მაშინ კირაქაძეზეც ტყუილად ხომ არ შევედიო. მართალია, სხვებზე უფრო გულჩახვეული და ქვებუდანაა, მაგრამ ანონიმურ წერილს დაწერდა კი? ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა აღრე თუ გვიან, ამ გზით თუ იმ გზით უსათუოდ მელაენდება და მირზა კირაქაძეს ეს სხვაზე ნაკლებ არ ეცოდინება. ფრიად წინდახედული და ფრთხილი ვინმე ბრძანდება. კირაქაძის საწინააღმდეგო ყოველ არგუმენტს ნათია სათანადო კონტრარგუმენტს თვითონვე დაუყოვნებლივ მოუძებნიდა, ხოლმე. ბოლოს, ისიც მობეზრდა და ხელი ჩაიჭნია. გადაწყვიტა, ამას იქით ანონიმურ წერილებს აღარც კი გავხსნა და თავს აღარ გავიცხელებ, ბესარიონ მაგრაქველიძეს კი, თუ მართლა ღმერთი გაუწყრა და რაიმე გამოიბედა, კარგ პასუხსაც მიიღებსო.

გაზეთებში. რადიოსა და ტელევიზიაში კი ნომალი დიხამინჯიას სახელი ჰქუხდა. თბილისელმა წყალბურთელებმა ბუდაპეშტში იტალიის საქვეყნოდ აღიარებულ გუნდს სძლიეს და ამით მთელი ქვეყნიერება ააღაპარაყეს. თავდაპირველად თამაში უფრო გამოცდილი იტალიელების სასარგებლოდ წარიმართა და ანგარიშიც მათ წაიყვანეს — ჯერ 1:0, მერე 2:0, 3:0.... იტალიელებს საქმე უკვე გაკეთებული ეგონათ და ოდნავ მოეშვენენ. ორი უძლიერესი წყალბურთელი უფრო ახალგაზრდებით შეცვალეს, რადგან წინ სახიფათო მეტოქეებთან — უნგრეთის ვატერპოლისტებთან შეხვედრა ელოდათ და ძალებს უფროთხილდებოდნენ. და აი, სწორედ ამ უძძიმეს წუთებში იჩინა თავა ქართველთა

კაპიტნის მედგარმა, უდრეკმა ხასიათმა და უმაღლესმა სპორტულმა ოსტატობამ. ყოველ შემთხვევაში, ასე იტყობინებოდა სპორტული პრესის სპეციალური კორესპონდენტი. დიხამინჯიამ ჭერ თვითონ გაიტანა პირველი საპასუხო ბურთი, მერე, სულ წუთ-ნახევარი შემდეგ საუცხოოდ გაჭრილ სულამანიძეს ბურთი ზუსტად მიაწოდა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. იტალიელებმა სასწრაფოდ დააბრუნეს აუზში ერთი იმ უძლიერეს წყალბურთელთაგანი, ჯაკობო ჭერალდინი. მაგრამ თბილისელთა კაპიტნის შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო. კიდევ ორწუთნახევარს შემდეგ მან თბილისელთა გუნდს ოთხშეტიანი საჯარიმო ტყორცნის უღლება მოუპოვა და ეს უფლება თვითონვე უზადოდ გამოიყენა: 3:31 ხოლო თამაშის დამთავრებამდე ოცდაჩვიდმეტი წამით ადრე უმეთვალყუროდ დარჩენილმა ნადიბაიძემ (დამარჩენი იტალიელები დიხამინჯიას ღარჯობდნენ) შეხვედრას გამარჯვების წერტილი დაუსვა.

ეს მსოფლიო მნიშვნელობის სენსაცია იყო. საერთაშორისო სარბიელზე სრულიად უცნობმა გუნდმა, რომელიც სულ ახალგაზრდა წყალბურთელებით იყო დაკომპლექტებული, სახელგანთქმული, უძლეველი იტალიელები დაამარცხა. მატჩის შემდეგ ჯაკობო ჭერალდინიმ სპორტსმენებს განუცხადა — როდესაც მწვრთნელი ჩემთან მოვიდა და აუზში დაბრუნება მთხოვა, შეეძრწუნდი, რაღაც შინაგანმა ხმამ მიკარნახა, ყველაფერი ამოა, თბილისელთა კაპიტანს ახლა ვედარაფერი შეაჩერებსო. მაგრამ თანავუნდელებს ვასპირაში ხომ ვერ მივტოვებდი, წყალში გადავეშვი და ხუთიოდე წუთის შემდეგ იქიდან დამარცხებით გულდამძიმებული, მაგრამ ამავე დროს დიხამინჯიას საარაკო შემართებითა და ოსტატობით მოჯადოებული ამოვედიო. ამის შემდეგ, — იტყობინებოდნენ კორესპონდენტები, — ჯაკობო ჭერალდინიმ მარჯვენა ხელის ცერი ზევით აიშვი-

რა და სამეგრ შესძახა: დიხამინჯია — პრიმა! პრიმა! პრიმა!

ნათია ავალიშვილს წყალბურთის არაფერი გაეგებოდა, არც როდესმე ენახა და, ცოტა უკვირდა, კიდევ თუ ბურთის თამაში უნდათ, რაღა წყალში ჩაღიან, სადმე ბალახიან მინდორზე რატომ არ თამაშობენო. მაგრამ გაზეთების ფურცლებზე ლაღად, ძლევაში ილაღად მომღიმარე ნომალი დიხამინჯიას სურათების ცქერა და გაუთავებელი ქება-დიდებას კითხვა და მოსმენა ზაინც ძალიან სიამოვნებდა. არა, ნომალი დიხამინჯია მას ახლა აღარც არაფრად ღიარდებოდა. ჭერ ერთი, ნათია უკვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სახელგანთქმულ კათედრაზე მუშაობდა და ასე ვაგლახად ხელს ვერაფერს წამოჰკრავდა და მეორეც, ბესარიონი და მისი ამხანაგები აღარსად ჩანდნენ და, როგორც იტყობოდა, ნათიას „მძიმე შეურაცხყოფით“ აღარ ემუქრებოდნენ. არა, საქმე იმაში სულაც არ იყო. უბრალოდ, ნათიამ რომ იცოდა, ნომალი დიხამინჯია... აი, როგორ გამოთქვას... ნომალი ნათია! უფრო მეტი ყურადღებით ექცეოდა, ვიდრე ბევრ სხვა თბილისელ ქალიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ესენი ნომალი დიხამინჯიას ფოტოებს ძილის წინ პირდაპირ ბალიშქვეშ მალავდნენ... და ნათია ამას აფასებდა. მის ადგილზე ყველა ნორმალური ადამიანი ასე მოაქცეოდა და ნათიაც ასე იქცევა. ბალიშქვეშ კი ნათია არასოდეს არავის სურათს არ დამალავს, არასოდეს!

ერთი სიტყვით, ნათია ავალიშვილი ახლა სულაც აღარ გრძნობდა, თავს ისე უბედურად, როგორც ცოტა ხნის წინათ. კაცმა რომ თქვას, ადამიანს ამ ცხოვრებაში სულ ცოტა სჭირდება. ნათიას აგერ სამსახური აქვს. ჰყავს მეგობრები. თანატოლებიც და უფროსებიც. და ჭრჭერობით მეტი არაფერი უნდა.

ერთხელ სამსახურიდან გამოსულმა ნათიამ ტროტუარის გასწვრივ ორი ნაცნობი „ვოლგა“, ხოლო

თვითონ ტროტუარზე, ჭადრის ჩრდილში მომღიმარე ბესარიონი და მისი ამხანაგები დაინახა. ინსტიტუტშივე მიბრუნება და დამალვა აღარ შეიძლებოდა. ბესარიონი უკვე დაიძრა და ნათიასკენ წამოვიდა. ნათიამ ანგაოიშმი-უცემლად უკან, გამოსასვლელი კარებისაკენ მიიხედა, ვინმე ნაცნობი. ან დეიდა ბაბო მაინც ხომ არ მოდისო. მაგრამ არავინ ჩანდა. სხვა რაღა გზა იყო, ნათია ისევ ბესარიონისაკენ მიბრუნდა და ხაზგასმული გულგრალობით მიესალმა.

* * *

მირზა ჭირაქაძემ ჯერ გაუგზავნა ნათიას ის ანონიმური წერილი და მხოლოდ მერე-ღა, ისიც კარგა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მოისაზრა, რომ ეს საქციელი მას ბევრს არაფერს შესძენდა. ვთქვათ, ნათია მიწერილს დაიჭერებდა და გაფრთხილდებოდა. მერე? მირზას რა? არაფერი. უფრო მოსალოდნელი კი ის იყო, რომ ნათიას ბესარიონისა არც ახლა შეეშინდებოდა, ისევე, როგორც აქამდე არ ეშინოდა. ისიც მოსალოდნელი იყო, რომ ეს თავნება და დაუურიდალი ქალიშვილი ბესარიონს პირდაპირ მიახლიდა, ჩემს დევნას ის გირჩევნია, შენს ამხანაგებს დაუეკვირდე და გამოარკვიო, ორ შაურად რომელი გყიდისო. ამას ეტყოდა არა თანაგრძნობის გამოსახატავად, არამედ, პირობით, იმისათვის, რომ დაენახებინა, აი, ასეთი არარაობა ხარ და ნეტავი, ერთი ის გამაგებინა, მე შენ ცოლად რატომ უნდა გამოგყვეო. მაშინ დაიწყებოდა გამოძიება, ეჭვები, — ვინ, რატომ და რა გზით შეატყობინა ნათია ავალიშვილს ყველაფერი. მირზა ჭირაქაძეს ამისი მაინცდამაინც არ ეშინოდა, მასზე ეჭვი არც კი უნდა მიეტანათ. და თუ საქმე ძალიან გაჭირდებოდა, მირზა ყველაფერს ანზორ კუპატაძეს გადააბრალედა, — ამ მათხოვარს თავიანთ წრეში მხოლოდ იმისთვის ითმენდნენ, რომ ჭუჭყიანი ხელები მასზე შეეწმინდათ ხოლმე. ეს პირველი შემთხვევა არ იყო და არც უკანასკნელი იქნებოდა,

მით უმეტეს, რომ ყველანი ამჩნევდნენ, თუ როგორ ძალიან ერტყული იყო ანზორი ნათიასი და როგორ ეძებდა ხოლმე შემთხვევას, რომ ეს ერთგულე-ბა დაემტკიცებინა. არა, ამ მხრივ საშიში დიდი არაფერი იყო, მაგრამ თვითონ ნათიამ რომ რაიმე იაზროს? აი, მაშინ კი მშვიდობით, მირზა ჭირაქაძის იმედებში: ანონიმური წერილის დამწერს ნათია ავალიშვილი ცოლად გაჰყვება კი არა, ზედაც არ შეხედავს.

ახლა ესეც ვიკითხოთ: რა იქნებოდა, მირზას რომ წერილი არ მიეწერა? ალბათ, არაფერი. მირზა კარგად ხედავდა, რომ ბესარიონს ნათიას გატაცებისათვის გამბედაობა აშკარად არ ჰყოფნიდა, და ამ გეგმის უბრალო გახსენებაც კი არ სიამოვნებდა. როგორც იტყვიან, ფეხს ითრევდა და ხან რას მოიმიზებებდა, და ხან რას. დრო კი გადიოდა. წყალბურთელებმა ბუდაკეშტის ტურნე დაამთავრეს, — მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ, — და ახლა უკვე მოსკოვში იყვნენ. იქ დიდი შეხვედრა მოუწყვეს. ნომალი დიხამინჯია დღე-დღეზე თბილისში გაჩნდებოდა. მირზა ჭირაქაძე დარწმუნებული იყო, რომ სახელოვანი და ქუდბედიანი ჭაბუკის შეტევას ნათია ავალიშვილი ვერ გაუძლებდა და, თუ დიხამინჯია მოინდომებდა, ცოლადაც გაჰყვებოდა. ან ეს ამბავი დიხამინჯიას ვითომ რატომ არ უნდა მოენდომებინა? ნათია ავალიშვილი თბილისის ყველაზე გამორჩეულ ქალიშვილთა რიცხვს ეკუთვნოდა და მასზე თვალი ძალიან ბევრს ეჭირა.

არადა, მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ბესარიონი ნათიას ელაციცებოდა, მირზა ჭირაქაძე სულის სიღრმეში თითქმის სულ შეეჩვია იმ აზრს, რომ ეს ლამაზი ქალიშვილი, ბოლოსდაბოლოს, სწორედ მას დარჩებოდა. ნათია მირზას ყოველთვის უფრო მეტი პატივისცემითა და გულისხმიერებით ექცეოდა, ვიდრე დანარჩენებს. ქალიშვილი ხედავდა, რომ მირზა ყველაზე უკეთ აღზრდილი, დახვეწილი და განათლებული იყო. არც ოჯახის შვილობით დაი-

წუნებოდა. არა, მირზას მამა რომ მექრთამე იყო, ეს მთელმა თბილისმა იცოდა, მაგრამ მექრთამე და არამზადა ხარო, ამის პირში თქმას ვერავინ უბედავდა; დამტკიცება არავის არაფრისა შეეძლო. ისე კი, ზურგსუქან ლაპარაკს რა აზრი ჰქონდა? ჰოდა, მირზა ჰირაქაძე მაინც კულტურული, ინტელიგენტური ოჯახის შვილად ითვლებოდა და ისიც ყველამ იცოდა, რომ აღერ თუ გვიან მამამისის მოწახვევი მას დარჩებოდა. ასე რომ... არა, ეს დიხამინჯია, მართლაც უდროო დროს გამოეჩინა. მირზამ ახლა კი უნდა იმოქმედოს. მოცდა აღარ შეიძლება. იმ ანონიმური წერილის გაგზავნა, იქნებ, დიდი სიბრძნე არ იყო, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ადამიანი მუდამ ისე უნდა მოიქცეს, როგორც შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს.

იმ საღამოს მეგობრები ისევ ლადიძის წყლებთან იდგნენ და გულისგარეთ ბქობდნენ, ეახშმად სად წავიდეთო. ყველას ეტყობოდა, რომ გულში სულ სხვა სამეზე ფიქრობდნენ. თანო ბულესკირიამ სიგარეტის ნამწვავი ურნისკენ მოისროლა და თავისებური ავდებული, უდიერი კილოთი წაილაპარაკა, სადაც გინდათ, იქ წავიდეთ, ოღონდ „ინტურისტში“ ნუღარ შევალთო.

— რატომ? — მირზას გულმა რაღაც უგრძნო.

— როგორ თუ რატომ?! მაგას კიდევ კითხვა უნდა? თუ შენ ძალიან გსიამოვნებს იმისი გახსენება, რაც იმ დეგენერატმა წყალბურთელებმა ვკიქნეს?

— ჰოო!...

ყველა გაჩუმდა. მიიხედ-მოიხედეს. მერე ქურდული მზერა ხმამოუღებლად მდგარ ბესარიონს შეავლეს.

— მართლაც, ან რამე ჰქენი, ძმავ ბესარიონ, ან კიდევ... — ნაძალადევი გულგრილობით წარმოთქვა მირზა ჰირაქაძემ.

— ალბათ, მთელი თბილისი ჩვენზე ლაპარაკობს.

— რაქვია... — სახეაწითლებულმა, გაოფლიანებულმა და დაბნეულმა ბე-

სარიონმა ფეხი შეინაცვლა. — ჩვენზე თბილისმა რა უნდა ილაპარაკოს?!

— როგორ თუ რა უნდა ილაპარაკოს?

— უსაქმო ხალხის ამბავი არ იცი? დგანან და ენებს იფხანენ.

— ჩვენ კი — ვითომც აქ არაფერიო! — და იმ ნათიასაც რომ საბოლოოდ ჰკარგავ? — თენგიზ ჭავჭავაძემ მსუქანი ხელები ვაოცებით გაშალა. — აჰა, ხვალ არა, ზეგ დიხამინჯია ჩამოვა და მორჩა... —

— ნამდვილად!

— გაზეთში მაინც ჩაიხედე.

— გაზეთებში ახლა... რა ქვია... — ბესარიონმა ახლაც ის ჰქნა, რასაც ასეთ დროს მუდამ აკეთებდა, — ცხვირსახოცი ამოიღო, თავი დაღუნა და შეოფლილი სახე შეიწმინდა. ეტყობოდა კი, რომ მხოლოდ დაბნეული კი არ იყო, თანდათან ბრაზიც ეკიდებოდა.

რჩოლია მოზვერივით თავჩაღუნულმა ბულესკირიამ სიგარეტის ნამწვავი წიკბურტით მოისროლა და ბესარიონს მზერა გაუსწორა.

— ერთი, თუ ძმა ხარ, აქეთ მოიხედე! — ბულესკირიას ცოტა ჩახლეჩილი, რაღაც ავისმომასწავებელი, ფარული მუქარით სახეს ხმა ჰქონდა. — შენც ხომ იცი, რომ ჩვენ ახლა რესტორანზე და ვახშამზე ვლაპარაკობთ, ფიქრით კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობთ? იცი, თუ არა?

— ახლა... მე...

— თქვი, იცი, თუ არა?

— მე... — ბესარიონმა ფეხი შეინაცვლა. — ესე იგი...

— იცი! — ბულესკირიამ ხელი ჩაიქნია. — ჰოდა, ეს კეკემალულობა რიღას მაქნისია? მოიცა! მათქმევიწინე! შე კი კაცო, სადაც კი გაიღვ-გამოიფლი, ყველგან პირველ კაცად ითვლები. მაშ, იმ წინტლიანმა გოგომ და იმ ვიღაც წყალბურთელმა ეგ უნდა გაგიბედოს?! ეს შენი ამხანაგები რაღანი ვყოფილვართ?! არაფერი უბრალო ლოგავის საქმე არ არის? თუ შენ არ ვარჯიხარ, არც ჩვენ ვვარჯებივართ და — მორჩა!

— ნამდვილია, ბესარიონ — მირზა ჭირაქაძემ ბესარიონს თავი რაღაც ლმობიერი ღრმა-აზროვნებით დაუქნია.

— სწორია, ძმაო!

ბულესკირიამ ერთ ხანს იყუჩა. მთლად განადგურებულ, „მომსპარ“ მაგრაქველიძეს ბოროტი ღიმილით მისჩერებოდა. მერე რატომღაც მირზას მიუბრუნდა:

— უკვე ერთი თვე გავიდა, რაც ამაზე ვილაპარაკეთ. მაშინ მე ჩემი სათქმელი ვითხარით და ყველას მოგეწონათ. თვითონაც ძალიან მოგეწონა. — ბულესკირია ისევე ბესარიონს მიჩერდა. — ახლა რაღა მოგივიდა? რას ელოდები. სანამ ის დიხამინჯია არ ჩამოვა? მაშინ — ფიცი! ქალის კუთხა თხამ შექვაშაო, არ გავიგონია? ერთი უნგრული საკაბე, ერთი ავსტრიული „ბასანოეკა“ და — მორჩა! შენი ნათია — ფიცი! დაიცა, დაიცა, დაიცა! მათქმევინე! შენ მაშინ საქმე ორ ვინმესთან გექნება — ცალკე ეს ნათია და ცალკე ის დიხამინჯია. არა სჯობია, სანამ ეს ნათია მარტოა, ხელი მოჰკიდო და გაათავო? ამას რაღა ბევრი ლარი და ხაზი უნდა. ზურა მიგრიაულა: გუშინაც აქ იყო. მითხრა, როცა გინდა და ვინც გინდა, ჩემი თავი გენაცვალოსო. არადა, გვითხარ, ხელს რა ვიშლის? ძმაცაცები არა ვართ?

— ნამდვილია!

— ისე კი რომ იცოდე, ბესარიონ, ეგ გოგო შენ არც კი გიჩივლებს.

— ტო, გიჩივლებს რომელია, სამი წელიწადია, სულ ჩვენთან ვდია! არ ეტყვიან, რას დადიოდით?

— ამაზე ნაღდი საქმე აღარ იქნება!

— აგერ, ფსანაური, ხეზე აღი და დაინახავ. ზურამ მითხრა, შუა ოთახში შეგყვან და ჩაკეტავ, აქეთ და იქით ჩვენ ვიქნებით. გოგომ კი თუ უნდა, იმდენი ივივლოს, სანამ გაიფხრაიწება.

— და თუ ცოლად არ გინდა, ნუღარ მოიყვან. შენი ნება არ არის?

— რაქვია... ეგ ჯერ ვნახოთ... — ბესარიონი ხედავდა, რომ უკანდასახვევი გზა აღარ ჰქონდა. და თავს იმხნევებდა, ოთახში შემწყვდეული, შველივით და-

მფრთხალი ნათიას წარმოდგენამ გულსთქმაც თუშალა. — ოფლო სახიდან ღვარად ჩამოსდიოდა პერანგის საყუღო-ზე. — ცოლად... ვნახოთ... ა?

— მორჩი, რაღა!

— შე კაი კაცო, ჩვენ შენი გულისთვის ამოდენა რისკზე მივდივართ და შენ... რა, განძრევაც არ გინდა?

— ვინ ვითხრა, არ მინდაო?!.. რა-ქვია... მე...

— სიტყვაზე გეუბნები.

— მორჩა! გადაწყვეტილია ვინც ამის იქით უკან დაიხიოს, იმისი... ბულესკირიამ ზუთსართულიანი გინება მიაკვდა.

ჯიბეები მოიხზრიცეს, „დარიალში“ ჩავიდნენ და მწვადი შეუყვეთეს. რამდენიმე ბოთლი ღვინო რომ დაილია, თაზო ბულესკირიამ თავისებურად თავი ჩალუნა და ორივე მუშტი მძიმედ დასდო მაგიდაზე. ყველანი ამჩნევდნენ, რაც რესტორანში ჩავიდნენ და სმა დაიწყეს, თაზოს გუნება კიდევ უფრო დაუმძიმდა. თვალებს ისე ავად აბრიალებდა, რომ შეხედვა შეგზზარავდათ. მირზა ჭირაქაძეს გულში უსიამო ექვმა გაჭრა, მაგრამ ბულესკირიას რას გაუბედავდა!

— რაკი გადაწყვეტილია, საქმეში აბდულაც გავიყვანოთ. — ეს სიტყვები ბულესკირიამ ისე წარმოთქვა, რომ სახეზე არავისთვის შეუხედავს.

— ვინ აბდულა?

ეს სახელი აქამდე არავის გაეგონა.

— აბდულა არ იცით? — ბულესკირიამ მძიმედ ამოიხენწეშა და თავი გადააქნია, აქაოდა, რა ჩამორჩენილ ხალხში ვზივარო. — მაგასაც გეტყვით. გიზო ბასკანჩილამემ სოკოლავა რომ მოიტაცა, აბდულა იქ იყო, ის სოკოლოვა სპორტსმენი გოგო იყო. ბასკანჩილამეს ხელი სტაცა და ძირს დააყირავა. მაგრამ...

— ეგ აბდულა ჩაერია?!

— ჩაერია, თუ რაცა ჰქნა, იქ იყო.

— მერე?! — აბდულას სახელი მართლაც არავის გაეგონა და რისი მომქმედი იყო, არც ეს იცოდნენ.

— არაფერი.

— მე მგონია... — ბესარიონის ცხვირსაბოცი ოფლისაგან ერთიანად სველი იყო, მაგრამ მაინც სახეზე ისევანდა, — ახლა... ამ საქმეში — მესამე პირი... ა?

— ხუთნი ჩვენ ისედაც ვართ.

— ჰოდა, აბდულაც შეეჭვეს იყოს. — ბულესკირიას აღარაფრისთვის შეუხედავს, სკამიდან ისე წამოვდგა.

— რა ქვია... მე მგონი, მესამე პირი არ უნდა დამპირდეს. მაგრამ, თქვენ თუ გინდათ, პაეტლუსტა! რას დამიშავებს?!

„ყველაფერზე თანახმა ხარ, ოღონდ ეს საქმე გადაიდოს. — გაიფიქრა მირზამ. — მაგრამ ვითომ ამას ჩემს მეტი ვერაფერი ჰხედავს?! ვერც ბულესკირია?!”

აბდულა სადღაც ჩულურეთში ცხოვრობდა. ღამის პირველი საათი იქნებოდა, დაბალი აგურის სახლს რომ მიადგნენ. ბულესკირიამ ღია დარბაზზე დააბრაზუნა, და მაშინვე გვერდზე გადაგა, სრულიად დარწმუნებული, რომ მეტი საქმე არაფერი იყო და მას დაუყოვნებლივ გამოეხმაურებოდნენ. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ სახლიდან მთქნარებით გამოვიდა შუახნის, წელამდე ტიტველი, ძალიან დაბალი და ძალიან ჩასხმული, უსაშველოდ დიდთავა კაცი. აბდულას თმა სუფთად გადაეპარსა, — ალბათ სიცხემ შეაწუხა, — ხმა კი ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ მაინც თბილი, დაბალი, საამოდ მოსასმენი ჰქონდა.

— ვაჰ, თაზოჯან, შენა ხარ? როგორ გაგახსენდი?

— სიკვდილსაც დაეიწყებოხარ. — ბულესკირიამ აბდულას ხელი ჩამოართვა. — გაიცანი. ესენი ჩემი ამხანაგები.

აბდულამ სათითაოდ ხელი ჩამოართვა. თან შორეული ნათურის ყვეთელ სინათლეზე ერთადერთ ოქროს კბილს აელვებდა.

— სახლში მობრზანდით!

— არა. პატარა საქმე გვაქვს.

— საიდუმლოა?

— თითქმის.

— ჩემთან სულ საიდუმლო საქმე-

ბისათვის მოდიან. ისე, სახლში ჩემს გარდა მაინც არავინ არის, მსგებამ! — როგორც გინდა, აი, ხის ქვეშ დასუფთავს ეს ჩვენი ჩულურეთი ხომ დალოცვილი ადგილია. დადექი და ილაპარაკე. ხე-ხე!..

ხის ქვეშ აბდულას გარს შემოეხევივნენ და ბულესკირიამ ყველაფერი მოკლედ აუხსნა.

— მასლას! — ნამძინარეც აბდულას გაზმორება უნდოდა, მაგრამ მოახერხა და თავი შეიკავა. — ეგეც ვაცოდი. ამ თფილბში ეს ერთი თათარი კაცი რომ არ ვიყო, ვერაფერს ცოლები ვეღარ შეირთავდიო! — და აბდულამ მოკლედ, დაზეპირებულად ჩაიხარხარა. — ხა-ხა-ხა!..

— ეგრე გამოდის. — ბულესკირიამ პირქვეშად გაიღიმა.

— რომლისთვის გინდათ?

ბესარიონ მაგრამქველიცემ ხარის კისერი გალანტურად მოიდრიკა და ქუსლები ერთმანეთს მიუტყაპუნა.

— შე კაი კასო... — აბდულა თან იღიმებოდა და თან მთქნარებას ვეღარ ერეოდა. — ამოდენა ვაყკასი ხარ. ათი და რომ მყავდეს, ათივე შენ მოგათხოვებდი. ის ერთი გოგო ვერაფერი გააკეთე?

— ჰე, ჰე! — ბესარიონს უგემური ჩაცინების მეტი აღარაფერი დარჩენოდა?

— როდისთვის გინდათ?

— პარასკევს.

— პარასკევს.

— პარასკევს შეიზღება. ვოგო რამდენი წლის არის?

— ოცდაორი-ოცდასამის.

— ჰე!..

— ა?

— ნაღდი იყვირებს.

— ტყეში ვიქნებით.

— ეგ ვიცი. მაშ, ოპერაში ხომ არ იქნები! მაგრამ გურჯისტანში ახლა ტყეც აღარსად არის. ადამიანს რომ გგონია, ტყეა, ვახედავ და — პასტაუოი გაკიმულა. ხე-ხე! გოგოს დედა, მამა, რამე?

— მამა არა ჰყავს, მამინაცვალი.

— ეგ კარგი. შენ... გოგო სულ არ უნდობარ?

— დანამდვილებით... — ბესარიონმა მხრები პატოსნად აიჩეჩა. — რა მოგახსენო!

— შე კაი კასო, ერთხელ მაინც გეკითხა. — აბდულამ მზიარულად გადაიხარხარა. — იქნება, ტყე არც კი გინდა?

— არა. — დაუბეჭდა ბულესკირიამ. — უნდა.

— ჰო, მაშინ.. მახლას! ჩემი მახანდააი, თაზო იცის. ფული წინდაწინ.

— ჩვენ, რა ქვია... ფულს არ გავეჭვებით, ოღონდ... — ბესარიონმა ვერ იქნა და ვერ მოისაზრა, ან ეს თავკომბალა აბდულა ვინ იყო, ან ეს კაცი მას, ბესარიონ მაგრატეელიძეს, რაში უნდა გამოდგომოდა. — ესე იგი, ბოდიში და — ფული სულ წინდაწინ. არა, მე თქვენ, რა თქმა უნდა, გენდობით, მაგრამ.

— სულ! დო კაპეი! ზატო — ყველაფრის ატვეჩაი მე ვარ.

— რის ატვეჩაი? — ყველანი სულ უფრო და უფრო იზნეოდნენ. ვერავის ვერაფერი გაეგო. ყველაფერი, ალბათ, მარტო თაზო ბულესკირიამ იცოდა.

— ყველაფრის! — ერთხელაც დაუბეჭდა აბდულამ.

— ჰე!.. ერთი, აბდულ... — ბესარიონმა სიმწრის ოფლი სახიდან ახლა იდაყვით მოიწმინდა. — ძმურად, ყველაფერი აგვისსენი.

— ვაჰ! შე კაი კასო... — აბდულამ ბულესკირიას მოკლე მზერა შეაელო, ეს რა უტვინო ვინმე მოგიყვანიო. მერე ბესარიონს მიუბრუნდა — ყველაფრის! გაიგე? ვაჰ! მილსია? პაქალუსტა! მილიციაშიც მე მივდივარ და ვამბობ, რომ გოგო ჩემი ხელებით დაღუპვებულა.

— მერე, შენ არ ჩავსვამენ?

— აბდულას თავის დღეში აღარ ჩასვამენ. აბდულა ერთხელ უკვე იჭდა. მა-

ხლას, ეგ უკვე ჩემი საქმეა. აბდულამ აშკარად მოიწყინა. ანა იქნებმახელი ძალიან მოერია. სახეზე ორივე ხელი ჩამოისვა და ბესარიონს კითხვით მიაჩერდა, კიდევ რაზე ვითხრა, თუ აღარაფერიო.

— მილიციაში კაცი გყავს? — ბესარიონი ნახევარ სიცოცხლეს გაიღებდა, ოღონდ კი აბდულას გეგმას რაიმე ხინჯი აღმოჩენოდა. ეს ბულესკირიამაც იგრძნო და მირზა კირაქაძემაც. ერთმანეთს მოკლე მზერა შეაეღეს და ისევ აბდულას მოუბრუნდნენ.

— არა... — ბესარიონი სიტყვებს ველარ ჰპოულობდა. — ეს იმიტომ გეითხე, რომ არავინ დაგაღალატოს.

— აბდულას თავის დღეში ვერავინ დააღალატებს!

— ნამდვილად! — ბულესკირიამ სიგარეტს მოუყიდა.

— მახლას! — არა, აბდულას მარტოც უღმერთოდ ეძინებოდა. — ახლა ბოდიში. უკვე ყველაფერი გითხარიო. პარასკევამდეც ჭერ კიდევ დროა. ოღონდ მანქანები — მარტო „ვოლგა“.

— „ვოლგები“ იქნება — მყისვე დაუდასტურა ბულესკირიამ.

— ჰოდა, ეგრე. ახლა კი... — აბდულამ ორივე ხელი მკერდზე მიიღო, მოსულეებს სამივე მხრივ თავი მძიმედ დაუქრა და ჩაბნელებულ ეზოში უხმოდ გაუჩინარდა.

— მაინც ვერაფერი გამიგია. — ჩაბურტყუნა ბესარიონმა.

— რა ვერ გაგიგია? — ბულესკირიას ხმა ვესლით იყო გაყუნთილი.

— ეს კაცი რას გამიყეთებს?!

— თუ ნათიამ გიჩივლა, საქმეს თავის თავზე აიღებს. ცოტაა?

— და თუ არ მიჩივლა?

— მაშინ ის ხუთასი თუმანი ეითომ არ გჭონია. — ბულესკირიამ თვალები შხამიანად დააბრიალა.

— ეგრე მითხარი!

— ზოგი რამ შენ თვითონაც მოისაზრე!

ოლია ხოზარია

ბაიაკოვსკის გზსენება

შენს ლექსებს მუდამ დიდებით ველოს,
შუქს ნუ მოაკლებ, მზევე სხივოსანო,
გულით გიყვარდა შენ საქართველო,
რევოლუციის დიდო მგოსანო!

მეგობრისადმი იყავ მიმნდობი,
არ აჩვენებდი სახეს ნალვლიანს,
ამ სიბარულით და მონდომებით
ქართული ენა შეგისწავლია.

ალარ იცოდი მაშინ თუ რაზე,
მოწყენილიყო ფერმკრთალი მთვარე,
მამის საფლავზე, ოდასკურაზე...
პატარა ბიჭმა ცრემლი დაღვარე.

ბაღდადის ზეცას უმღერდი ოდეს,
ისევე გასძახი მძლავრ ხმის გუგუნით,
განმარტოებულს იმ წაბლის ოდას
ღღეს ხანისწყალის ესმის დუდუნი.

ასე ყოფილა...

ბუნება, შეების მომგვრელო,
რა სილამაზით ირთევები,
გულდიად შესაღმებთან
აფეთქებული კვირტები...

რა ხმებს გამოსცემს ვერ ვხვდები,
ურიცხვ ფრთოსანთა გნიასი,
ხის ძირს ციმციმებს ფოთოლი
მორცხვად გაშლილი იასი.

ვუცქერ და ალარ მასვენებს
იდუმალება ვრცეული,
ვიყავ ნათელი ფიქრებით
სულ მუდამ გატაცებული.

ხანდახან ჩემს უნებურად
ეს სული შფოთვას დამიწყებს
ო, მიწავ, მიწავ, მშობელო,
შენს ამაგს რა დამაგიწყებს!

ჩემგან ისმინე, ეს გწამდეს
მიყვარხარ, ამ გზას მინათებ,
ხანამ სიცოცხლის ნიშანი
მექნება, არ გიღალატებ.

ამ ქვეყნად კაცის ცხოვრება
ასე ყოფილა, — ვიღვევი,
წავალ და ცრუმს დამაფრქვევენ
სამარის კართან შეილები.

შენ იხოხე...



წელს მზემ გვიან შემოდგომას
თითქოს სხივი შეაღია,
ზეცამ თოვლი გადმოყარა,
ფანტელების შრიალია.

და ჩახლართულ ხის ტოტებზე
თიფთივებენ ბელურები, —
მონაგარდე ნაკადულის
ჩურჩულიც არ მეყურება.

მოვა ღამე, ცივი ღამე,
და გაჰკივის საღდაც ქოტი,

გამძაფრებით დააცხრება
ტრიალ მინდვრებს ჭარაშოტა.

გასარკულ ცის შორეთიდან
მთვარე მიწას დაკაშკაშებს,
გათუნდება და მზის სხივი
მოელ მიღამოს დასთამაშებს.

სათნობით, სიყვარულით,
ისევ რწმენით, აემღერდება,
მზეო, მზეო, შენ იცოცხლე!
შენ იყავი ჩვენი ღმერთი!

საღიძებელი


შენს სადიდებლად ლექსისათვის ძალას არ ვზოგავ,
სად დამეკარგე სანეტარო ახალგაზრდობაჟ!

წვიმის წვეთები ეცემოდა ფანჯრის მინაზე.
ო, როგორ თბილად მამშვილებდა შენი სინაზე.

გპოვებდი რაღაც საოცნებოს, დიადს, მე მაშინ,
ნაცნობ ხეების და ყვავილთა იმ ჩემ შრიალში.

და სევდანარევი განვილილ დღეებს ვიგონებ, ღმერთო,
წმინდა სანთელი პოეზიის, რომ სულში ენთო.

რას არ ვუძლებდი, შეუპოვარ ბედს შევეცილე,
ძალა არ მეყო, ვერ დაეთმე და ლექსს შევეწირე.



ზურაბ რაბინანი

მგლები, ღათვი და ალაშიანი

მოთხრობა

უკვე ბინდდება.

არა და არ ჩანს.

„არა, მგელი ვერ დარეველა პირს ლაფმას. ისიც დღისით“.

ერთხანს ისევ ტყე-ტყე იარა.

„ღალამდა და ეგაა, ვაი თუ... არა, არა!“

ტყე გაილია. ტიალ მინდორზე გავიდა. დიდ მინდორზე. მარტო მუხა იდგა. იქით გასწია. ხმაური შემოესმა, ჯერ ყრუდ. გაძლიერდა.

„მგლები ყმუიან!“ — გადაკრა შიშმა.

მიმოიხედა. არაფერი დაუნახავს. მაინც გაიქცა მუხისაკენ. უკან იხედება. იხედება და... შიშნაქამი მიწას აღარ აკარებს ფეხს. მთელი ზროვა მისდევს. უკვე დაბნელდა და თვალეზი ნათურე-ბივით ანათებენ. მირბის, არა, მიჭრის!

„ვე-ერ დამეწვეით... ვე-რა... ვე-რა!“

ბევრი ვერ დაიტრაბახებს, ამაზე ჩქარა მირბენიაო. უკვე კბილების კაწკაწიც ესმის.

„თუ შეჩვენება?!“

ახლა ამის გამორკვევის დრო აღარაა.

სულ ცოტა დარჩა. ოციოდე ნაბიჯი, ალბათ. აბა, ქშენაც კი შემოესმა. მიიხედა და გააერტოლა. სიბნელეში აშკარად გაარჩია ბრიალა ყვითელი თვალეზი და თეთრი წვეტიანი კბილები. ან რაღა გარჩევა უნდოდა. ორიოდე წამიც და...

ახლა კი ისე მოუსვა, კინაღამ შებლით შეასკდა მუხას. დაბლა ტოტზე შეხტა. ემძიმა სხეული. მარჯვენა ფეხი ნამეტნავად. მგელი შარვლის ტოტს ჩაფრენოდა და ჰაერშივე ეკიდა. ლამის ხელეზი გაეშვა. მარცხენა ფეხი ჩააზილა და ამჩატებელი სხეული ადვილად აიტანა ზევით. ჩაიხედა. მთელი ზროვა იქ წრიალებდა. ყმუოდნენ, ხტოდნენ. ყვითელი ბრიალა თვალეზი... თეთრი წვეტიანი კბილები. არა, აქ ვერ მეწვედებიან. მაინც იწვევს ზევით. ვინ იცის, — იქ უფრო უხიფათოა. კარგა მალლა ავიდა. ზროვა ისევ იქვე წრიალებს, ყმუის რაღაც სიმყრალე იგრძნო. საშინელი სიმყრალე. გაახსენდა, — მგლები მსხვერპლს ამით აგდებენ ზიდან. ქამარი შეიხსნა და სხეული მაგრად მიიბა მსხვილ ტოტზე. ახლა აღარაა საშიში სიმყრალე. ხელეზი გაუშვა ტოტებს. მგლები არა და არ მიდიან. ღამეც რომ სამგლეა. კუნაბეტი ჩამოწვა.

„არა, აქ უხიფათოა,“ — მაგრამ... დანას მაინც შეავლო ხელი. ერთხანს გჭორა. ისევ ჩააგო ქარქაშში, — „არა, აქ უხიფათოა“.

არც ძალიან ცივა. მხოლოდ ბნელა და ხანდახან ეს სიმყრალე. ჩაძინებებს არ ეშინია. ან რა ჩააძინებს.



— იყავით და იყმუვლეთ. ხახვი არ დამპკრათ ყურებზე!

ნელი სიო უბერაეს. ნორჩი, ახლად აშლილი ფოთლები ნელაღვე შრიალებენ. პატარა ღეროები ირწყვიან კიდეც, ტოტები ოდნავ. დიდები სულ არა.

ზედა ტოტი შეირხა. აიხედა. არაფერი ჩანს. ბნელა. ტოტი ისევ ირხვეს. აკვირდება.

„ქარი თუ ამოვარდა“.

სხვა ტოტები არ ირხვეიან. ისევ აკვირდება. არაფერი.

„ან კი რა უნდა იყოს!“ — გულს იმაგრებს.

„არა, აქ უხრფათოა“.

ორივე ფეხით ტოტს ებჯინება. ხელები კი თავისუფალი აქვს.

მგლები იქვე დაძრწიან. „მგონი ერთმანეთს დაერივნენ, ისეთი ყრიალი ატეხეს“.

— იქნებ დაჭამოთ ერთმანეთი!... — ახლა ერთობა კიდეც მათი ცქერით, უფრო კი სმენით, რადგან იმ სიმაღლიდან არაფერი ჩანს, გარდა ყვითელი თვალებისა. თურმე მგლებიც ყმუილითაც შეიძლება გაერთოს კაცი.

მგლებმა უმატეს ყმუილ-ღრენას! ზემოთ ისე ისმის, თითქოს დიდი ღრეობა ქონოდეთ.

„რა უხარიათ ამ სათოფეებს?!“

თავზე იგრძნო რაღაც. მოისვა ხელი. რაღა მოისვა. გაუშეშდა, ხელიც და კისერიც. თვითონაც გაშეშდა. გაიყინა. ისევ გრძნობს თავზე... და ახლა თითქოს თოვლის პაპა იწყებს დნობასო, ცივი ოფლი ასხამს. ისევ გრძნობს რაღაცას... ოფლმა თუ შეაღწო ყინული, ასწია თავი. ასწია და არა, არაფერი დაუფერიო. პირი დალო მაგრად და პერი ამოუშვა; ხმა კი, ხმა კი არა, რაღაც ხავილი ამოუვიდა...

უხარმახარი, ბანჯკვლიანი, თვალბლაკყეტილი და ხახადაფნენილი...

ერთხანს მხოლოდ ქამარი იჭერდა. იჭერდა ხურჯინივით გადაკიდებულ კაცს და რაღაც სასწაულით არ წყდებოდა.

დათვი უხროდ გამტერებულყო.

კაცი უგონოდ ეკიდა.

პირქვედამხობილმა, თვლები გაახილა. ერთხანს ვერ გამოერკვა. მაგრამ მალე ყნოსვა მოეწალა. მერე სმენამდეც მიატანა ღრიალცელმა, თვალბლაკყარჩიეს ყვითლად მოელვარე რგოლები... და დათვიც გაახსენდა. გააცივა. დაუსხა.

„იქნებ მომეჩვენა?...“ — მაგრამ ზევით ახედვა მიინც ვერ გაბედა.

„ნამდვილად მომეჩვენა... თორემ აქამდე ასე ჩუმად“...

„აბა, რაღა მითათუნებდა?!“

„ჩაგდება რომ ნდომებოდა, რა დაუშლიდა“...

ძლივს ასწია ტყვიასავით დამძიმებულ და გახურებულ თავი. ვერაფერი გარჩია. დათვი დანაშაულზე წასწრებულევით გატრუნულიყო, თითქოს რაიმესი რტხვენიასო. შიშნაჭამი თვალბი ისევ მგლებს დააშტერა. მერე ისევ ზევით აიხედა. ისევ იგრძნო თავზე თათი. უთათუნებს ნელა და ნაზადაც კი.

„დათვი თვითონ არ ერჩის ადამიანს“, — თავი დაიიშვდა.

„არაფერსაც არ მერჩის“ — ხელს უწვდის...

დათვი ახლა ხელზე უთათუნებს. თან მიყუყულა და მობუზულა. კაცი აკვირდება. „დაპატარავდა, თუ რაა...“ — შეეცოდა კიდეც.

„ალბათ ესეც მგლებს გამოექცა“.

ალბათ.

„აი რატომ მისვამდა თავზე ხელს, — ჩუმად იყავიო. მე ხომ ისედაც ჩუმად ვიყავი, არა, ალბათ, მოეწყინა მარტო, თუ... თუ შეეშინდა, როცა ის სამიწეები ასე აყრიალდნენ. შეეშინდა ალბათ, მარტო... ჩემი იმედი მიეცა, ჩემი იმედი... თავზე რაღად გადამისვა ხელი? ამით ხომ მე მამშვიდებდა, მეფერებოდა. მე შევეცოდე? დათუჩა... დათუჩა... კარგა ხანს ისხდნენ უძრავად.“

ღამე კამეჩივით მიიზღაზნება. მგლებს, ალბათ, არაფერი ბეზრდებათ.

— ვერ მოგართვეს ამაღამ ვახშამი!

— უ უ უ!... — ესმის პასუხად.

— უი შენ და ცხელი ტყვია!

— უ უ უ!—

ისევ იგრძნო დათვის თათი.

— რაო, დათუჩა... — მიეფერა.

დათვის, ეტყობა, ეამა. პასუხად ისე მოუსვა ტორი კეფაზე, ჭამარი რომ არა...

— ე ე ე!... — მოიცილა ტორი შეშინებულმა.

დათვმა თითქოს რაღაც ჩაიბურტყუნა.

მერე ისევ დაჩუმდნენ. ქვევით კი... კარგა ხანი გავიდა.

ისევ ახედა დათვის. ერთ ტოტზე მოკალათებულა. ტოტი მსხვილია, მაგრამ მაინც ჩამოხნიჭილა. დათვის ყოველ მოძრაობაზე ირხევა მძიმედ.

„ნეტა რას ფიქრობს ახლა დათუჩა? დათვი ახლა უძრავად იჯდა.

„ან თუ ფიქრობს რაიმეს?“ თითქოს ქანდაკებააო.

— ასე უძრავად რომ ზიხარ, ჩაგთვლემს და ჩავარდები, — ხმამაღლა მიმართა.

დათვი შეაკრთო შიშნარევა ხმამ.

— მტერი ჩავარდა მაგათ დამშეულ ხახებში.

თითქოს ყველაფერი გაიგოო, დათვი მაგრად შემოეკლო ხეს.

— უნდა გავძლოთ, დათუჩა, ამაღამ, უნდა გავძლოთ... — პასუხად დათვმა ისევ თავზე გადაუსვა თათი და ამ შეხებაში კაცმა რაღაც დიდი იგრძნო, რაღაც ძალიან ახლობელი... იგრძნო რომ მარტო არ იყო.

„ნეტა რა ფერია ე ჩემი ძმაცაი? კმ... ძმაცაი, კო, აბა რა... რა ოხერი დამეა, საკუთარ ცხვირსაც ვეღარ ვხედავ. აი, რომ ინათებს...“

ალბათ მალე ინათებს...“ ისევ მგლების ყმული. კაცის ხმა. დათვის აღერსი.

ისევ...

ისევ...

... ვარსკვლავებმა ციმციმი დაიწყეს. ახლა საკუთარი ცხვირის დანახვაც შეიძლება.

„ჭერ ფერი ვერ გავარჩიე. მუქი ფერისაა...“

— აღარც ახლა წახვალთ, მგლებო?

„რომ წავიდნენ, მერე ეს...“ ახლალა შეხედა ეკვის თვალით.

„ჩამიშვებს?!“ — ისევ ახედა.

დათვი თითქოს მიუხედა ეკვს და იწყინა. ისევ კეფაზე წამოუსვა ტორი.

— რას შვები, მხეცო?... არ ჩამიშვებს ეს ოხერი!

დათვმა ამჯერად ნელი გადაუსვა თათი. ახლა ამანაც გააღიზიანა.

„რას ჩამიცივდა. არ ჩამიშვებს... რომ ჩამიშვას, მაინც დამეწევა. ესეც რა, მგელია, ხეზე რომ ავასწრო?“

„იქნებ არაფერიც არ მავნოს. ან რატომ უნდა მავნოს? რატომ?... მოდი და მოკითხე ქკუა დათვის...“

რიყრაყი ძალაში შევიდა. სიციფე ძვლებში.

— კიდევ დიდხანს იძუძულებთ ამ მუხის ქვეშ?

„ცოტაც და, გათენდება. მერე ვნახოთ... მაინც რა გაძლება აქვთ ამ ოხრებს...“

მგელი, აბა, რის მგელია.

„მე კი ლამის ძვლები გამეყინოს. უუპ, რა მოუტირა...“

კარგი და, რომ წავლენ, ეს? ეს რა, ასე დარჩება აქ ბაიყუშივით? სანამ ის დასაბყავებლები აქ წრიალებენ, ჩუმიდაა, მაგრამ როცა წავლენ? ერთიც ვნახოთ და, მომიღეროს ე ფუთიანი ტორები! ან კი რა დაუშლის, ა? ვითომ?!“

თენდებოდა. დათვსაც მოუსვენრობა დაეტყო. სულ უფრო ხშირად ქანაობდა ტოტი და უფრო მძიმედ.

„არა, ამას ვერ შევწირავ თავს...“

დათვმა ოდნავ შეახო თათი და ფიქრი გააწყვეტინა. კაცმა ახედა.

„მგლები სადაცაა წავლენ, მაგრამ ეს?!“

დათვი სიცივისაგან მობუზულიყო. კაცს ძალიან შეეცოდა. შეეცოდა წუთით და: „ახლა მეცოდება, მაგრამ მერე შევეცოდები?! რას დაეუჭერო, ვის ვენდო?“

„ჩქარა, თორემ ეს მგლებიც წავლენ და მერე... მერე?! ჩქარა... ჩქარა!“

თითქოს სხვისი ჭიბიდანო, ისე ამო-
აცოცა დანა. დათვი უფრო მეტად მო-
ბუზულიყო. ჭერ გაუბედავად აუსვა
ბასრი ფოლადი დამძიმებულ ტოტს.
დათვი თითქოს თვლემს. ნელ-ნელა
უსვამს. თვლემს თუ მობუზულა. ქერქს
ზევით თეთრი მერქანი ძნელი საჭრე-
ლია. დათვი არ იძვრის. მუხა მაგარია
და მძიმედ იჭრება. ოფლმა დაასხა. დაი-
ღალა? არა, ტოტი მსხვილია, მაგრამ
ცოტაც რომ მიაჭრას, დათვი თავისივე
სიმძიმით ჩატეხს. ცოტაც, დათვი შეინ-
ძრა. კაცი გაქვავდა. დათვმა თავზე გა-
დაუსვა თათი. პასუხი არ მიიღო. ისევ
გადაუსვა. ახლა კაცმა ძალა მოიკრიბა
და აკანკალებული ხელი თათს შეახო.
დათვი დამშვიდდა.

— დამშვიდობა?

ჰმ...

ისევ იწყებს ჭრას, სულ ცოტაც...
ტოტი მიწისკენ შუილით დაქანდა და
მინატრელში ღრჭიალით გადატყდა.

ბურთავით შეიკრა მთელი ხროვა.
ერთი კი გაისმა შემზარავი ღმუილი და
რალაც წამების შემდეგ თქველფის ხმა-
ლა ისმოდა.

— ახლა კი ნამდვილად უხიფა-
თია, — ჩაილაპარაკა დამშვიდებულმა.
წელში გასწორდა. ამოისუნთქა.

უუჰ, რა ღამე გადავიტანე. წინ წყა-

ლი, უკან მეწყერიო, ე მაგ დღეში ვიყუ-
ვი... გადავრჩი და ეგაა... მანამდე ვერ მოვიფიქრე ამ ბანჯველი-
ანის მოცილება?!

გათენდა. ალბათ, მალე მზეც ამოა-
ტანს.

მგლებმა სული მოითქვეს და გაი-
ტურწნენ.

ერთხანს ვერ ბედავს ჩამოსვლას.

„ვაი, თუ ტყეში ჩამოსადრდნენ?“

მზის ამოსვლამ თუ შემატა სითამამე.
ჩამოვიდა.

მუხის ძირას დათვის დაფლეთილი
ტყავიდა გდია.

„წაბლისფერი ყოფილა... ეჰ, ე რა-
ლა? მგლის ტყავი?! ორი მგლისა იქ-
ნება. ალბათ, ამან ესენილა გაიყოლა და
მგლებმა ტყავებილა დატოვეს დახოცი-
ლების“...

რალა ალბათ.

მინდორს შეუყვა. ბოლოში ცხენის
თავ-ფეხს წააწყდა.

— ჩემი ლაფშა!... — იცნო იმწამს.
ბრაზი მოაწვა.

— რა ცხენი გამიფუქეს! ეეჰ... მარ-
თლა მგლები არიან ეგ გადასაშენებლე-
ზი, მხეცები!... ლაფშა... ჩემი ლაფშა...
რა ცხენი იყო! — თითქოს ცრემლმო-
რეული ბუტბუტებდა.

ცხენი მართლაც კარგი იყო.



ლია სტურაბა

ზღვის მოქცევა

პოემა

ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი.
ბალური ანდაზა

პორიზონტზე დგას ჩემი ორეული
კუზიანი,
გამომწვევად ტურებ და ფრჩხილებშეღებილი
და სიციხის კოლტებისგან შენივთული
ფართო წითელი ფოთლები გვალვის
აცვივა მხრებზე...
ერთ ასეთ ზაფხულს მე ის შეგქმენი
ჩემივე ხორცის, ჭრელი კაბების
და ბათქაშის ნაკუწებისგან,
სულის მაგივრად
ლაზერივით ღურჯი და გამჭოლი,
ვიოლინოს უმაღლესი ბგერა ჩაებერე
და გვალვისაგან გატანჯული,
გაოგნებული ხალხის თვალწინ
წყალში ჩაეგდე.
ეს იყო შეგლა ერთადერთი — თიხის ლაზარე,
კვერცხის გულივით გამოწმრალ
და ხორკლიან სასას
მთელი მდინარეც არ ეყოფოდა,
მაგრამ ისეთი მწარე იყო ლოდინი წვიმის,
ისე ტეხავდა ქალებს მხრებზე ფრთების ადგილი,
ისე ტირიდა
წითელ ფოთლებში გახვეული ბავშვი — ლაზარე,

რომ ის მოვიდა,
 დაკუნული მილიონ წვეთად
 და პირველად ჩემს სიცოცხლეში
 არ აღიშართა შვეულები
 ქოლგებისა და ლაბადების
 წვიმის თითო წვეთს
 ცვლიდნენ ღვინოში, თაფლსა და რძეში,
 ჭურჭელს უდგამდნენ, აძლევენ ფორმას
 და ბავშვივით ეფერებოდნენ-
 მე, რა თქმა უნდა, აღარავის აღარ ვახსოვდი,
 მდინარის პირას
 გაბუნებულ წითელ ფოთლებში
 იწვა ჩემი კუზიანი და...
 მან ლაპარაკიც არ იცოდა,
 არც რძის გამო, არც სიარული,
 მარცხენა გვერდიდან
 ნეკნიანად და კაბიანად
 ამოვიგლიჯე ხორცის ნაჭერი,
 სული ჩავბერე და გაეწირე
 მაგრამ ის, თურმე, არ მომკვდარა,
 კუში გაუნდა დაცემისგან
 და ერთ საათში ოცი წელი მოემატა.
 მან ლაპარაკი არ იცოდა
 და არც თავისი სიმახინჯე ჰქონდა შეგნებული,
 ამიტომ აღგა
 და გამომწვევად ტურებ და ფრჩხილებშეღებილი
 შუაგულ ხალხში გაერია.
 წვიმდა...
 თხელი ცომივით
 დუნე მასად ქცეულ სხეულებს
 დრეკადობა დაეტყვოთ, ნელნელა ამოძრავდნენ,
 იგრძნეს ხაზები საკუთარი ტანის,
 რომლებიც მტკიცე საზღვარს უდებდნენ
 მეორე ტანის სიახლოვეს,
 გაახსენდათ თავისი სულ ღვთაებრივი,
 ხმა, მიხვრა-მოხვრა, დახვეწილი მანერები,
 ამ აფუებულ საერთო ცოშში
 რომ აიზილა და ჩაიკარგა
 და ამოზიდეს მამაკაცებმა
 ამჩატებული სილუეტები ცხელი მასიდან
 და გაფრინდნენ თავის ქალებთან,
 ხოლო ქალები
 ვერცხლისფერ ფრთებს აფრთხილებდნენ
 და მათ ტურებზე უკვე დნებოდა
 ლედის შაქარი იისფერი...
 ისინი ისე იყვნენ გართული ერთმანეთით,
 რომ კარგა ხანს ვერ შეამჩნიეს,
 როგორ იდგა დაბლა, გუბეში

მათი მსხნელი, ულამაზესი თიხის იდეა,
 მახინჯ ჩენჩოში ჩაკეტილი
 და ტუჩებიდან და ფრჩხილებიდან
 სისხლი ხდოდა.

მას შეუმცდარმა ქალურმა ალლომ
 უკარნასა ეს სისხლისფერი,
 ალბათ იმიტომ, რომ შეემჩნიათ
 და შეამჩნიეს:

ერთ-ერთი კაცის სილუეტმა
 ხორცი შეისხა, მიწაზე დაეშვა და გახევედა:
 ათი ფრჩხილი და ტუჩები, ზედა და ქვედა
 ისრუტავდნენ ამ ნოტიო, წვიმიან გარემოს
 და თორმეტი გაძეძგილი სისხლისფერი წურბელა
 წითელი სახადის სვირინგებივით
 ენთო ბავშვის უფერულ ტანზე...

კაცმა იგრძნო საკუთარი ტანის სიმძიმე,
 შიში უსაგნო და უმიზეზო,
 ფიორივით გაიტოტა

თმის ძირებიდან ნიკაპის ფუქემდე.

მან აიხედა ზევით, ცაში

სადაც ნებიერ ფრენას განაგრძობდა

მისი ინტელექტუალური მაღალი წრე

წრის გულში იდგა მისი ქალი,

რომელიც იმით განსხვავდებოდა სხვა ქალებისაგან,

რომ რამდენიმე ფორმულა ეწერა

ვერცხლისფერ ფრთებზე...

კაცს გაახსენდა, რომ წვიმის მოსვლამდე,

შუბლის თეთრი ფირფიტის მიღმა,

მას ჰქონდა ტვინი ანალიტიკოსის;

ის სულ ოდნავ ახცილდა მიწას,

ისვე შემჩატდა, რადგან მიწაზე

შიშის და ბევრი რამის გამო

ჩვეულებრივ, მარტივ კაცად მიაჩნდა თავი

და წარმოხოტკვა:

— უშნო ქალებს (მან შეარბილა სიტყვა „მახინჯი“)

არ შეფერის სიყვარული მკვეთრი ფერების.

ლოგიკის უღმობელმა და დიდმა სინათლემ

ძირში მოცელა უცნაური არსება,

რომელსაც ასწავლეს ჯერ თავგანწირვა,

მერე ლაპარაკი, აზროვნება და სიარული,

მას ნელ-ნელა შემოეცალა ხორცი,

კაბის ჭრელი ნაკუწები, შშრალი ბათქაში,

მოულოდნელად

ლაზერივით ღურჯმა და გამჭოლმა,

ვიოლინოს უმაღლესმა ბგერამ გასერა ცა,

ნაღებივით თეთრი და შესქელებული,

ზედ მოსეირნე ოჯახებით,

შუა ადგილას



გულივით მიხატული ლეღვის ნაყოფით
და მიწას მიაღურხმა...

II

ხომ შეიძლება,
ლეღვის ფოთლებით მოფენილ ვზოში ვიკდე,
ზღვა მივლიდეს გარშემო,
როგორც ხმელეთს
და საკუთარი სრულყოფილების
შეგრძნებას მაძლევდეს,
ხოლო ხეებიდან ბინდივით დიოდეს
ლეღვის შაქარი იისფერი...
და სწორედ ამ დროს
მოვიდეს ამბავი ჩემი სიკვდილის...

პირველი ვლდა:
წყლის უკუქცევა ქორიზონტისკენ,
სრული უკუქცევა
და კვერცხისგულივით გამოშრალ ქვიშაზე
გამორიყული ჩემი ტანი,
წყლისგან და სისხლისგან
უკანასკნელ წვეთამდე დაცლილი
ხმელეთის ნაგლეჯი...

და მერე ხილვა:
უწყლო და უზრდილო
ქალაქის ახალ გარეუბანში
სტერეოდინამიკების ფორმის სახლებიდან
კივის, წრიალებს, კედლებს აწყდება
ჯანსაღი სხეულების მოძრაობით.
და ტკივილის ბლიცებით დაწვევტილი
ატონალური მუსიკა კაცის აგონიის
და მიიქცევა ქორიზონტისკენ,
სადაც ეგულება წყლის წვეთები უკანასკნელი...

ამ ქალაქში
მე მოვისმინე ორი აგონია:
კაცის და ძაღლის
და არც ერთხელ არ შეყო ძალა
გადამეწია საზღვარი — ფარდა
და დამენახა
როგორ ებრძოდა ხორცის არტახებს
აღისფერი დაუნაწვევრებელი მასა ბგერების
აზრის კი არა, ტკივილის ხორცი,
ერთი ჩასუნთქვა ქაერისთვის,
რომელიც კრიალა ცით ბოლოვდება...
მაგრამ მნახველებს
თანაგრძნობის თაფლი სდიოდათ
შიშით მოღრეცილი პირებიდან,
ეგლისებოდა თაფლი კედლებს, ქერს და იატაკს



პატარა ნახერცის არ ტოვებდა
 და იგერებოდა ოთახი ფიჭად
 თანაგრძობის, სიბრალულის და შიშის შრეშრეობისაგან,
 ზედ ნარკოტიკის თეთრი ბლანდი ედებოდა
 და თაფლის ბლანტე ტკბილ სივრცეში
 ჩაფლული ხული
 ხორხისმიერი ტირილით და სინათლით იცლებოდა,
 მერე ვიღაცამ მოიფიქრა,
 დაანგრია ცვილის შენობა
 და ჭკრამდე ხანთული აანთო,
 ხანთლის აღმა უცნაურად
 შესუცვალა ფორმა ყველაფერს;
 ფარდის ნახატზე
 ლამაზაქებივით გაბრტყვლა ვაშლები,
 ხოლო ხეების მოცულობა
 ზედ მისატული ჩიტებიანად
 ოთახის შუამდე გამოიბურცა.
 ერთი ამოსუნთქვაც
 და დეფორმირებულ სამოთხის ბაღს
 წმენდი მოედო...
 უსატად იგივე გამეორდა
 ამ ფარდის მიღმა,
 როცა ქუჩაში ტაქსის მძღოლმა
 ძაღლი გასრისა;
 პირველმა ბგერამ,
 ვიოლინოს უმაღლესი ნოტივით
 გამჭოლმა და გამჭვირვალემ,
 გული შემოკუმმა
 და უცნაურად ამტკივა ნეწი,
 საიდანაც ჩემი კუზიანი ორეული ამოვიგლიჯე
 და მერე პირველი ტკივილის
 გამჭვირვალე, ვერცხლისფერ ჭერქვეშ
 შეფარებული, დაბალი, ალისფერი,
 შედედებული ბგერები ზვინივით დაბროვდა
 და მის ხაძირკველში
 ხისხლის და ტკივილის ბრმა სტიქიებისაგან
 გაღვივდა ულამაზესი სტიქია-ცეცხლი...
 მაგრამ მე ისევე არ მყოფნის ძალა,
 აბრიალებული ფარდა გადავწიო
 და თავს ეუშველო.
 მე ბრმას ვთამაშობ
 და არ შემოძლია ვებრძოლო ცეცხლს,
 მე ვებრძვი ბგერებს
 ამიტომ მძღოლის მსუევი სიცილს,
 ბუღალამისა და არყის სურნელით შეზავებულს
 და ძაღლის ყმუილს,
 საოამოგლეჯილი ხავერდით ყელიდან გამოეოინის,
 ჩემთვის აერთიანებს ერთი ფონოგრამა აგონიის.



მე მივდივარ როიალთან და ვუკრაე ბახს,
 პირველს, რაც მაგონდება
 მუსიკის გაკვეთილებად ქცეული
 ჩემი ბავშვობიდან
 და ცეცხლმოდებული ფარდის იქიდან
 მასწავლებლის ხმელი და სწორხაზოვანი სილუეტი
 მიყვირის, ალფერო, ალფერო!
 გადაჩვეული თითები აღარ მემორჩილება,
 წინათ მე ვჭკარობდი
 და ის მაჩერებდა
 და ჩემს ლტოლვას მუსიკისაკენ
 ტაბუსავით ედო ერთადერთი სიტყვა მოდერატო.
 ახლა კი...

ცეცხლი უკვე როიალს მოედო,
 იბზარება ღვკა,
 მე ისე მეშინია, დაწვევტილი სიმების ხმა
 არ გავიგონო,
 რომ გავრბივარ გარეთ,
 ძალი მენაგვეებს წაუღიათ,
 ქუჩა მოურწყავთ
 და სადღაც მიგნით, ძალიან ღრმად,
 სულაც ცრემლებისაგან შენივთული
 ვერცხლისფერი ბირთვის ეპიცენტრში,
 ყელში რომ გამეჩხირა,
 ჩნდება იმედი ზღვის მოქცევის...

III

რა დარჩება ჩემი სიკვდილის მერე?
 აი ეს ბირთვი, გამჭვირვალე,
 რომელსაც გაადნობს ხორხის სიმშურვალე
 და მდინარედ ან წვიმად აქცევს,
 ჩემი გაოცება მზესუმზირას უმკვრივეს სხეულში
 მიჯრით ჩაწყობილი მუჭი თესლით
 და ცვილისფერი სკების კონსტრუქციით გამოწვეული,
 გაოცებად დარჩება,
 რომელსაც სულივით ჩაბერავს ქალი
 თავის შვილებს,
 არ დაირღვევა არცერთი რგოლი
 საყოველთაო შეხამების და ქარმონიის.
 ოჯახის წევრებს ეყვარებათ ერთმანეთი
 შეიძლება უფრო მეტადაც, რადგან
 მოსცილდებათ მძიმე ტვირთი
 კიდევ ერთი სისხლისმიერი სიბრალულის,
 რომელსაც დიდხანს, წლების მანძილზე
 სიყვარულს ეძახდნენ,
 ულამაზესი შრიფტით გაჭედული გაზეთის
 ფრთებს პირდებოდნენ

და მისი ცრემლის ჩრდილში დადიოდნენ,
 მაგრამ მუჭარა მარადიულობის
 აღუნებდა მათ ნებისყოფას,
 ნათ თავგანწირვის და ერთგულების
 აღისფერი სისხლი სდიოდათ
 და მზრუნველობის ფლუიდებთან ერთად
 ცხენის ყალიბში იხმებოდა
 ეს ბლანტი მასა,
 ემატებოდა ერთის ხორცი, მეორის ძვლები (ოჯახის
 წევრების)

და ახალშობილ თიხის ცხენებს
 მოვალეობა უჩნდებოდათ:
 ყოფის სიმძიმის შემსუბუქება-
 ისინი გამზმარ ნიადაგს ტკეპნიდნენ,
 მიწას ხნაფდნენ
 და რძესაც კი იწველიდნენ,
 მაგრამ გაფრენა არ შეეძლოთ...
 სიკვდილის ელდამ
 უკანასკნელ მიჯნამდე მიიყვანა სიბრალული,
 გაზეთის ფრთებს
 მოულოდნელად ძლიერი ქაერის ჭავლი
 ნაკუწებად რომ აქცევს
 და შერე სიჩუმე
 ბნელი ოთახების, თაფლიანი ხორბლის,
 შავი ტანსაცმელის...
 მაგრამ შავი ფერი
 შეიცავდა თავისთავში
 ისეთ აფეთქებას და მოზღვაებას აღისფერისას,
 რომ ჭირისუფლებს მოეჩვენათ:
 ადამიანის ტანისა და თიხის ნაკუწებისგან
 შენიეთულ ცხენებს (მარადულ მოვალეობას, ახლა
 თავაშვებულს).

მომეზრდათ ტკეპნა ნიადაგის,
 ეზოს ოთხკუთხედი,
 უმშვენიერესი ბალახით გატედილი,
 რძეც კი გაუმრათ
 და გაუნდათ სურვილი გაფრენის...
 მე მოვდივარ საკუთარ პანაშვიდზე
 და ვჯდები სკამზე,
 რაც მთავარია, არავის არ უკვირს
 არც ჩემი მოსვლა, არც კაბა,
 ბავშვობისდროინდელი,
 ჩრჩილნაკაში და ცეცხლივით წითელი,
 არნაბული დარღვევა ეთიკეტის,
 არავის არ უჩნდება კითხვა,
 რა დევს ამ თავდაბურულ კუბოში:
 ძირში მოჭრილი მუსესუშირას ღერი,

მკვდარი ჩიტი,
 თუ ხილა, ზღვისუკუცვევის მერე დარჩენილა.
 ხალხის ნაკადი
 მდინარესავით იცვლის მიმართულებას
 და ახლა ჩემსკენ მოედინება.
 ვალი და ცნობისმოყვარეობა
 ერთ გრძელ პლასტიურ ცხოველად კრავს
 ამ უამრავ, სხვადასხვა ფერის
 და ფორმის სხეულს,
 ის ამწუთიერია,
 არ შეიძლება მისი გაჩერება
 და მოქცევა დროის სიბრტყეში,
 რადგან, სულერთია,
 ოთახის ყველა ბზარსა და ღრიტეში
 წყალივით გაჟონავს
 და გახვედება
 ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში:
 თუ ცხელა, გატოტილი ხეების ჩრდილში,
 თუ ღამეა, მიწის მონაკვეთში,
 რომლის თავზე
 მზესუმზირებივით ხვაიანი ვარსკვლავები ჩხრიალებენ...
 ბუნდოვანი იმედი ზღვის მოქცევის ქრება...
 სამაგიეროდ ჩნდება აზრი,
 რომ ამდენ ხალხში მე ვარ ერთადერთი,
 ვისთვისაც შავი არ შეიცავს
 არავითარ პერსპექტივას ალისფერისას
 და პირველივე კაცს, რომელიც მიახლოვდება,
 მადლობის ნაცვლად ვუბნები:
 — რა უფლებით გადაახვიეთ ჩემი სიცოცხლე
 ათი ან იქნებ ოცი წლით წინ
 მაგნიტოფონის ლენტეხით
 და ურიტმო, აჩქარებული,
 განუსაზღვრელი სიმაღლის გამო
 კივილამდე მისული ბგერები რომ არ მოგესმინათ,
 ორღანის ნაჯერი და გაწელილი
 მუსიკის ჩრდილს ამოეფარეთ...
 თავის გასამართლებლად კაცი მაჩვენებს
 გაყვითლებული და ტიანაჭამი
 გაზეთების, ჟურნალების და წიგნების, დასტას
 რომლებშიც ჩემი გვარია დაბეჭდილი
 და მეუბნება, რომ
 უკანასკნელი წიგნის გამოსვლიდან
 რვა თუ ათი წელი გავიდა,
 მე ისევ ვგრძნობ ტკივილს მარცხენა გვერდში,
 საიდანაც კაბიანად და ნეკნებიანად
 ჩემი კუზიანი ორეული გამოვიგლიჯე...
 ვინ იცის, იქნებ სწორედ ის წევს
 ამ თავდახურულ კუბოში,

ის ერთადერთია, ვის გამოც შეიძლება შემრცხველ
 ჩემი სისხლისფრად შეღებილი
 ტურების და ფრჩხილების...
 მე გაგიფიქრე და მზრუნველი ჭირისუფლები
 უკვე მაცლიან წითელ საღებავს,
 უმარილს მისვამენ
 მზით და ჭარით გაელენთილ კანზე,
 მე ვიცი, რა წამს ჩენჩოსავით გამაცლიან
 ჩემს მფარველ ალისფერს,
 მე დავრჩები სრულიად უმწეო და უსუსური
 შავი ფერის და სიცივის წინაშე,
 არ გამათბობს ეს გაზეთებიც,
 მონდომებით ტანზე რომ მახვევენ,
 კაბის ფერის დასაფარავად,
 ან იქნებ ფრთებისთვის...
 და ვევედრები ქალს, რომელიც
 რიგის მიხედვით მიახლოვდება,
 რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა
 სისულელით და კეთილი გულით:
 — ამ გაზაფხულზე, როცა ჩემს თვალწინ
 ძალღი გასრისეს,
 მე ქუჩაში ვერ გადავიხედე,
 ნაგრამ ისეთი მაღალი იყო
 ტკივილი-ძაბვა მისი აგონიის,
 რომ ხეს ფანჯრის წინ,
 ჩემს ფარდას და როიალს,
 რომელზედაც ვუკრავდი ბახს,
 ცეცხლი წაეკიდა...
 მე ისე მცივა,
 ახლა პირდაპირ იმ ცეცხლში რომ ჩამაგდოთ,
 არ დავიწყები
 ნუ გეშინიათ, ეს არ იქნება შარავანდედი,
 არამედ მხოლოდ მფარველი ჩენჩო...
 და უცხრად ვგრძნობ, რომ თითხი განათდა,
 ვუყურებ როიალს,
 რომლის თავზე ცეცხლი მეგულება,
 მაგრამ როიალი ისევე უნუგეშოდ შავია,
 როგორც სამოსელი პირველი ჭირისუფალთა,
 სინათლე კი ისე ასხივებს, რომ თვალებს მჭრის
 და უცებ ვბედავ,
 სინათლის წყარო ამ ქალის მუცელშია,
 ოდნავ გამობერილ, მომრგვალებულ,
 ნაოჭებსა და რუშებში ჩამალულ მუცელში.
 მომზიბლავია ჩემსკენ მოშვერილი
 სამართლიანი ხელის ფესტი,
 ქალი წარმოთქვანს,
 რომ მე არ მაქვს იმის უფლება,
 ჩემი უცნაური და გაუგებარი

და ფარშევანგივით შეფერილი სახეებით
 ხალხს თავბრუ დაეახსა,
 რომ ჩემი სისხლისფრად შეღებილი
 ტურნებით და ფრჩხილებით
 და უმაღლესი, გაწყვეტამდე მისული ბგერებით,
 გამოვიწვიო სული გვალვის
 და ნაყოფის მოლოდინში
 ბედნიერად განაბული ადამიანები
 დავაბერწო უმსგავსო ხვატით...
 მაგრამ ჩემი კუზიანი და,
 რომელმაც არ იცოდა ლაპარაკი,
 არც რძის გემო, არც სიარული,
 ჩარცხენა გვერდიდან რომ კაბიანად
 და ნეკნებიანად ამოვიგლიჯე ხორცის ნაჭერი,
 სული ჩავბერე და გავწირე?!
 მე ველი განაჩენს იმ ქალისგან,
 რომელსაც ოდესღაც, ჩემს სიცოცხლეში,
 უჭკუო, მაგრამ კეთილი გულის ქალად ვიცნობდი.
 შუჭი, რომელიც მზესავით მოდის
 მისი მუცლიდან,
 ქვევით, ფეხებისკენ ვიწროვდება,
 და სხივებად იქცევა,
 ის მეუბნება, რომ თიხის ლაზარე
 ისეთივე უჩვეულო და გამოგონილია,
 როგორც ყველაფერი, რაც ჩემგან მოდის,
 რადგან ქალს, რომლის სული და საძირკველი
 ლაზერით ლურჯი და გამჭოლი
 ვიოლინოს უმაღლესი ბგერაა,
 არ შეიძლება მუცელში აქონდეს
 სინათლის წყარო,
 მას არ შეუძლია საზღვარი დაუდოს
 თავის სიცრუეს,
 რომელსაც ის შთაგონებას ეძახის,
 შემოავლოს ოთხი კედელი
 და ჭერი დაპხუროს
 და სიმყუდროვე დაუმკვიდროს
 თავის ახლობლებს
 ნან მეწველ ძროხას, ერთადერთ მარჩენალს,
 შეუძლია წაუსვას ლურჯი საღებავი,
 რადგანაც სიფრცეს
 ლურჯი ძროხები უფრო უხდება,
 ვიდრე ყავისფერი,
 მას შეუძლია საკონცერტო როიალს,
 რომელსაც ორი წლის ხელფასი დასჭირდა,
 ცეცხლი წაუკიდოს,
 რადგან ცეცხლმოკიდებულ როიალზე
 შესრულებული ბახის ფუგა
 გაცილებით შთამბეჭდავი და მტკივნეულია,

რადგან მას ახლავს მოლოდინი
 სიმების დაწვევების და
 უჩვეულო ბეგრების შობის...
 ამიტომაც უწყლო და უჩრდილო
 ქალაქის ახალ გარეუბანში
 ამ უტკეუო, მაგრამ ნათელი ქალის ბრძანებით,
 ყველა მოქალაქე გამოიტანს სახლებიდან
 თავის კაკტუსებს და დადგამს ქუჩაში,
 რადგანაც ფორმით (პირობითი და წამახსული)
 თანამედროვე ქალაქს კაკტუსი უფრო შეეფერება,
 ვიდრე პალმა და თუთის ხეები,
 გარდა ამისა ჩნდება უდაბნოს ილუზია,
 ხოლო მე უნდა დამტანჯოს გრძნობამ დანაშაულის,
 რომ მოვევლინე ქალაქს უდაბნო...
 მე ვერ ვხედავ, მაგრამ კანით ვგრძნობ
 კაკტუსის ეკლებს,
 რომლებიც სისხლის სინჯს მიღებენ,
 ვგრძნობ გულს, რომელიც მოძრაობს
 მკერდის თალოვან დიაფრაგმაში,
 და აღისფერი ბაირადივით
 მოაქანებს სისხლს,
 ხოლო თეთრ ეკრანზე
 მისი მოძრაობის პარალელურად
 ჩნდება გრადაციის შვეული ბორცვები,
 მოულოდნელად ძირს დავარდნილი შვეული ხაზით
 რომელიც გადაკვეთს ტკივილის დაბლობს,
 სისხლძარღვების ლურჯი ბალახით გაჭედდის
 და ისევ იწყება მისი ზეაღსვლა
 უმარტივესი ემოციიდან
 ოთხივე პარკეტის გაგლეჯამდე...
 ამ დახვეწილ გრაფიკულ ნახატს
 გეოგრაფიული რუქასავით ვკიდებ კედელზე.
 კარდიოგრამა — ისევე ქღერს ამ გარემოში,
 როგორც ფრაზატერეოტიპული:
 ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.
 ის ამწუთიერია, როგორც ცხოველი,
 რომელიც ლოკავს პატრონის ფეხებს...
 ხალხის ნაკადს მზარი ეცვლება,
 მე არავის აღარ ვახსოვარ,
 კედელზე თეთრი ეკრანი კი დია,
 მას გაურკვეველი წარმოშობის ცეცხლი ანათებს
 და ხალხი უყურებს
 ჩემი ცხოველი ორგანიზმის ზეაღსვლის გოთიკას,
 მისი ტირილის დამრეც კალთებს
 და სისხლის დროშას,
 რომელსაც გულის ყოველი ბიძგი
 ქარივით არხვეს...
 მე კი ქუჩაში გამოვდივარ,

ხეებზე უფრო უხდება ჭალაქს
ასიმეტრიული ფორმის კაკტუსები
და თითქოს ყურებიდან
ცვილის საცობები ამოშაცალებს,
ისე ხმაურობს დაწმენდილ ნიჟარებში
ზღვის მოქცევა...

და მე ვიცი რომ ისევ შემოძლია
ლელვის ფოთლებით მოფენილ ეზოში ვიჯდე,
ზღვა მივლიდეს გარშემო, როგორც ხმელეთს
და საკუთარი სრულყოფილების შეგრძნებას მაძლევდეს,
ხოლო ხეებიდან ბინდივით დიოდეს
ლელვის შაქარი იისფერი...



ნიკოლოზ ბაბოცო

აივნისანი ქალაქი

რომანი

2. გ ლ ა ხ ა

ასი ვლახა რომ იდგეს კარებზე
ვეელას ხელში ჩამოეფრიაგებ.

გაბრაიელ სუნდუჯიანი, „ქეპო“.

ქუჩაში მოულოდნელად ჩოჩქოლი
ატყდა. სოვდაგრებმა უცნაურ სანახაობას
შეასწრეს თვალი. ცელქი ბავშვები
ქვების სროლითა და ყიყინით მოსდევ-
დნენ გლახას, რომელიც ტორტმანით
და ბურტყუნით თავდალუნული მოდი-
ოდა, მაგრამ უფრო ნაწიმიშლილესა და
მოქანცულს გავდა, ვიდრე მთვრალს.
თავზე ნაპოლეონის დროინდელი გრე-
ნადერის ქუდი ეხურა, დაგლეჯილი
ქუდის კალთები ძლივს ფარავდნენ მის
გაბურძენულ ქერა თმებს. მწითული
წვერი გასჩეჩოდა, გატალახიანებული,
დაკონკილი ფარაჯა ეცვა. ლურჯ თვა-
ლებს აქეთ-იქით აციცებდა, გასაქცევ
გზას ეძებდა და ვერ პოულობდა, რად-
გან ანც ბავშვებს არ ებრალებოდათ.
ყველგან გზას უპრიდნენ, მის გარშემო
კინკებივით დაბტოდნენ, ყვიროდნენ,
უსტვენდნენ, იღმეშვებოდნენ და ლენჩ
გლახას თავგზას უკარგავდნენ. ანაზღად
ერთი ბიჭი გამოჩნდა ვებერთელა

ბანჯგელიან ძაღლთან ერთად. ძაღლს
ტყავის საყელურიდან გრძელი თასმა
სწრაფად მოხსნა და გლახას ზედ სტე-
ნით მიავდო. მაწანწალა განწირულივით
აღრიალდა. ყვირილით და ძახილით
წაქეზებული ძაღლი მას ხან შიშველ
კანკებზე კბენდა, ხან მკერდზე ებობ-
ლებოდა და მის წაქცევას ლამობდა.

სოვდაგრები გერმანულ ბავშვებთან
ერთად ხარხარებდნენ.

გრიგოლ ზანდაროვი საშინლად გაფი-
თრებული იდგა და იმ გლახასავით
ცახცახებდა.

რამდენიმე გერმანელი მოქალაქე და
ვახტანგ ტაშირელი ლენჩ გლახას მიე-
შველნენ, ძაღლი გაავდეს, ბავშვები
დატუქსეს და შეარცხვინეს.

გრიგოლი ძაღლისაგან დაკბენილ
გლახას მიუახლოვდა, აკანკალებული
ხელით ქისა გახსნა, იქედან მუქით ვერ-
ცხლის ფული ამოიღო, გლახას გრენა-
დერის ქუდი მოკრძალებით მოხადა და
შიგ ჩაუყარა.

— ვაჰ!... — ერთხმად აღმოხდათ
სოვდაგრებს და გაკვირებულბმა პირ-
ყვარი ვადაიწერეს.

ვახტანგ ტაშირელი ჯერ გრიგოლ ზან-
დაროვის სულგრძელობამ გააოცა, მერე

აღლევებული მივარდა მას და ხელი მაგრად ჩამოართვა, ივანე ჰუგინოვმა ხელეპი გაშალა, თავი გაიქნ-გამოიქნია, ვიშვიშით წარმოთქვა:

— გაგონილა ხალხო? გინახავთ სადმე? ზანდაროვები ფერშანგოვის წყალობით გამდიდრდნენ. მაგათ სომეხმა უშველა. ღმერთმა აცხონოს მელქუა უმისოდ ეგენი რას გახდებოდნენ?

— მაშ! მაშ! ფირუზაც, არ გახსოვთ ან ქალებს დასდედა, ან ქეიფობდა. კქუა მაშინ მოემატა, როცა სომხურად მოინათლა — იძახდა ხარფუხელი ევანგულოვი.

— კუტრი, კუტრი გიე ვრაცუა! — დაციწვით დაამღერა ჰუგინოვმა და ზანდაროვს ზიზლით ზურგი შეაკცია. დანარჩენი სოვდაგრებიც უფრო მიიმალ-მოიმაღნენ, ვიდრე წავიდ-წამოვიდნენ.

ზანდაროვი დიდხანს დაფიქრებული დადიოდა.

მთელი დღე მოწყენილი და დაღონებული იჯდა სასტუმროში.

მხოლოდ საღამო ხანზე გავიდა სასტუმროდან. გამხიარულება მოუნდა ხალხმრავალ ლუდხანაში შევიდა და ციე-ციე, არაყგარეულ ლუდს დაეწაფარათა იმაზე აღარ ეფიქრა, რამაც რალა-ცნაირად ააფორიაჭა და სოვდაგრების წინაშე წონასწორობა დააკარგვინა:

8. იოსების ლანდი ვიკინელ ლუდხანაში.

კმა, სტომაქის მოთხოვნილება, სმა სულისა.

კლოდ ტილიე, „ჩემი ძია ბენეამენი“

ლუდხანა ხალხით იყო გაჭედილი. შემთვრალეული სტუმრები იცინოდნენ, ხუმრობდნენ. ახლადმოსულნი კი ჯერ მხოლოდ მღუმარედ შეიქცეოდნენ აჭაფებულ ლუდს მაღალეკლიანი თიხის ტოლჩებით. ზოგსაც წინ რაინული ღვინით გავსებული ორთომელა ედგა და ნელ-ნელა ყლუპით დაუსრულებლად აგრძელებდა მის დაცლას.

ხმაური, ყაყანი, ქრიაშული და ღრიაშული თანდათან მატულობდა. ბოლოს სიმღერაც გაისმოდა. ზანდაროვმა გარსონს მოზელის ღვინო მოატანინა.

ღვინოს მიეტანა. გერმანულის არაფერი გავეგებოდა, მაგრამ მთვრალეების სიმღერას თავის კანტურით ჰყვებოდა.

მთვრალეები ხან ხარხარებდნენ, ხან მღეროდნენ:

ღვინოდნენ შეზარხოშებული მოქალაქენი, რომელთა შორის უნივერსიტეტის პროფესორიც იყო, ბიურგერიც, ხელოსანიც, ფრანტიც და მეფავი ქალიც. ზოგი დასასვენებლად და დროს გასატარებლად იყო მოსული ლუდხანაში, ზოგი გროშის საშოვნელად.

გაისმოდა სულ უფრო და უფრო გამხიარულებული მოქალაქეების სუფრული მოქალაქეების, რომელიც მთელი დღის განმავლობაში კრინტს არა სძრავდნენ და თავაუღებლივ მუშაობდნენ.

ზანდაროვიც თავის ორთომელს მღელა სწევდა იმ დროს, როცა საერთო ქრიაშულში ერთი და იგივე რეფრენი კვლავ დაიგუგუნებდა ხოლმე და სწრაფად ცლიდა.

ღვინო თანდათან ეყიდებოდა. თერებოდა. ილეშებოდა.

ღვინით რალაციის ჩახრჩობას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. პირიქით, წარსული უფრო ცხადად ელანდებოდა და ძველ, მივიწყებულ ურვასა და ვარამს უარესად უშლიდა. ნაიოსებარი გრიგოლს ეთიშებოდა და ისევე ფანდურაანთ სოფელ ზიკად ხდებოდა. გლახის ძონძებით იმოსებოდა და სოვდაგრობა ავიწყდებოდა. ნაშუადღევს დაღვენებული იოსების ლანდი ისევე თავზე დაადგა, წინ აეტუზა, მისი გვერდიდან ფეხი აღარ მოიკვალა. სხვისი სახელი და გვარი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი, მაგრამ ის შორეული, ცხრა მთას იქით დარჩენილი და დიდხანს

წინათ დავიწყებული იოსები თავს მაინც აგონებდა. ახლა მას მისი თავიდან მოშორება ისევე არ შეეძლო, როგორც ცხვირის პირიდან მოჭრა.

ამგვარი რამ დიდი ხანი იყო რაც არ განეცადა.

საერთოდ კი, გლახის გამოჩენა, განსაკუთრებით თუ წვიმა კიდევ, მასზე ისე მოქმედებდა, როგორც მდინარეში ერთხელ გადავარდნილზე ხიდზე გავლა და წყლის დანახვა მოქმედებს.

გრივოლ ზანდაროვი უფრო ღონიერი და ძლიერი იყო, უფრო გამოცდილი და ცხოვრების წარდავში გამოსული, ვიდრე ის სოფელი მთავრით ბიჭი-მავრამ ათასში ერთხელ მის ცნობიერებაში უკვე ნავლწყარილი და ჩაბეჭუტებული იოსები ისეთნაირად იღვიძებდა რომ გონებაც ეკარგებოდა და მისთვის ჩვეულებრივ უცხო, მტანჯველ ფიქრებს რაღაც გაურკვეველი ძალით ემორჩილებოდა.

ასეთ დროს სევდაც ეუფლებოდა და ბრაზიც.

მაგრამ ახლა უფრო ბრაზწყვილებული იყო, ვიდრე დასევდიანებული. დღევანდელი საქციელის გამო ველი უბრაზდებოდა და რცხვენოდა. რცხვენოდა, რადგან მისი სისუსტის უნებლიე მოწმენი ნაცნობი სოფდაგრები იყვნენ. სოფდაგრები კი, ძალიან კარგად იცოდა ფირუზას ნაშეგირდალმა, არასოდეს არ ჰყვებოდნენ ადამიანურ გრძნობებს.

ღვინოს იგი სევდის გასაქარებლადაც მიეძალა და სირცხვილის დასაფიწყებლადაც.

შუალამე გადასული იყო, როცა ღვინით უგრძნობლად გალუშოლი სოფდაგარი „ოქროს ლომის“ სასტუმროში შეიტანეს.

4. ოქროსმადელი სწავლის ლურჯი ხარბი.

მას ხუთი მილიონი აქვს, უნდა ათი ჰქონდეს. იწორე დე ბალზაი, „ნუხინგენის სახლი“.

მაინის-ფრანკფურტში ერთი ოქრომჭედლის მალაზიაში ზანდაროვს ძვირ-

ფასი მანიაკი მოეწონა. ოქრომჭედლმა მანიაკი ასი ათას მარკად დააფასა და თან დასძინა, რომ ამ პატრონი სხამკაჟულს თავის დროზე ეოზეფინა ატარებდა და პრინც შვარცენბერგის მეჯლისზე გაჩენილი ხანძრის დროს თავის გადაჩრჩენელს უწყალობაო. ზანდაროვმა არაერთხელ უყადლება არ მიაქცია. მის სიტყვებს, თავისთვის გაიფიქრა: „ეს დედაკაცი ვინმე დიდკაცის ცოლი ან საყვარელი იქნებოდაო“. ასეთი განმარტებები მას იმდენად ხშირად ესმოდა ოქრომჭედლების მალაზიებში, რომ ეს ჯერ სამკაულების ფასის აწევის უბრალო ფანდად ჩათვალა, ბოლოს კი, დიაცების და მათი სამკაულების ურთიერთობას საკუთარი ახსნა მოუძებნა. მისი აზრით დიდკაცების დაბერებულნი საყვარლები თავიანთ თვალ-მარგალიტს, ბეჭდებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, გულქანდებს და მანიაკებს ისევე უნდა გამოთხოვებოდნენ, როგორც თავიანთ ახალგაზრდობას და სილამაზეს ეთხოვებოდნენ.

ასეთი დასკვნა დიდად არ იყო დაშორებული სიმართლეს. თუ დაბერებულნი ცოლების სამკაულები მეგვიდრეებს რჩებოდათ, ხანგადასული საყვარლების სამკაულები მევაზმეებს და ოქრომჭედლებს უვარდებოდათ ხელში. სამკაულები მრავალთა ცხოვრების უტყუარი მოწმენი იყვნენ, ოდესღაც კეკლუცი ქალების აღზევებისა და დამხობის, ბედნიერებისა და უბედურების, სიხარულისა და მწუხარების მოსწრენი და თანადამხედურნი. ხან დიბა-ატლასში გაბრწყინებული, ხან მევაზმის ჩვრებში გამოხვეულნი, ხანაც ვაჭრობის საგნად გამხდარნი პატრონებთან ერთად ისინი ჰყვებნებაც იცვლიდნენ: ევროპელი ოქრომჭედლების მალაზიებში ნაყიდი სამკაულების პატრონებად ზანდაროვის წყალობით თბილისელი კნეინები და მდიდარი ვაჭრები უნდა გამხდარიყვნენ, რადგან უამისოდ თბილისში მზითვის გრძელი სია არ დაიწყებოდა.

ზანდაროვმა ოქრომჭედელს სამოც-



დაათი ათასი მარკა შეაძლია. ოქრო-
მჭედელმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.
— მანიაკის ყურებით ვატაცებულმა ზან-
დაროვმა ოქრომჭედელს ფრთხილად გა-
ხედა და შეკრთა. ასეთი მანინჯი, ძრწო-
ლის მომგვრელი სახე არასოდეს არსად
ენახა. ოქრომჭედლის დიდრონი ელამი
თვალეები ერთმანეთზე გადაბმულ, ხში-
რსა და დაფანჩულ წარბებს ქვემოდან
მომწუნსხველად იყურებოდნენ და ადა-
მიანს სულში უძებრებოდნენ. პერგამე-
ნტის მსგავსად ვაყვითლებულ შუბლზე
მსხვილი ნაოჭები დაკეცოდა. ისეთი
დიდი, გრძელი და ჭიშინი ცხვირი ჰქო-
ნდა, როგორც XIV საუკუნის გერმანელი
მხატვრების გლუხეცებს აქვთ. მისი
სქელი, გადმობრუნებული ტუჩები შე-
კალარაგებული უღვაშების ბანჯგვლიანი
ბოლოებით იყო დაფარული. არაჩვეუ-
ლებრივად დიდი ყურების ბიბი-
ლოები ხუჭუჭ წვერებში ჩამალული-
ყვნენ. წვრილი თოკებივით დაგრებილი
წვერები მკერდამდე სწვდებოდა და
მხოლოდ გვერდიდან მოჩანდა მისი
ვეება თეთრი საყულო. მასთან შედარე-
ბით დიდცხვირა, გონჯი და შეუხედავი
ბართლომე კურტანიძე ზანდაროვს სან-
დომიან ხანდაზმულ მამაკაცად მოეჩ-
ვენა

ოქრომჭედელი შავ ხავერდგადაკრუ-
ლი, ფართო და ღრმა, ჩუქურთმებიანი
შავი ხის სავარძელში იჯდა. ვანიერი
მუქთალხი ხალათი ეცვა, თავზე კი სწა-
ვლულის ლურჯი ბერეტი ეხურა. მის
გვერდით მაგიდაზე მძიმე წიგნი იდო,
რომელსაც იგი მუშტრების შემოსვლა-
მდე კითხულობდა. მთელი თავისი გარე-
გნობით ხანდაზმული ოქრომჭედელი
ბრძენსაც ჰგავდა და გულცივ ვაჟარსაც.
მისი მკაცრი და მახინჯი სახის გამომეტ-
ყველებას კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა
ნახევრად ბნელი მალაზია, რომლის
მრუმე სინათლეში თვალისმომჭრელად
ბრწყინავდა ოქრო და ვერცხლი, მარგა-
ლიტი და ბრილიანტი, სადაფი და ალ-
მასი, ზურმუხტი და ფირუზი. გრიგოლ
ზანდაროვს გულს ურევდა მალაზიის
უცნაური პატრონის მახინჯი სახის ყუ-

რება. ვახტანგ ტაშირელი კი მას ისეთი
მშვიდი ნიჟით უყურებდა, როგორც
რობინე მახინჯებს. „De Nature“-ს
უქანასკნელ თავში. თან შექსპირის შეი-
ლოკიც აგონდებოდა.

— ერთხელ კიდევ უთხარი, რომ მე
სამოცდაათი ათას მარკას ვაძლევ მაგ
მანიაკში, — მიუბრუნდა ზანდაროვი
ტაშირელს, — თუ უარი სთქვა, გამოემ-
შვიდობე და ჩქარა წავიდეთ ამ მალაზი-
იდან.

— მე თანახმა ვარ — წარმოთქვა
ქართულად ოქრომჭედელმა.

ზანდაროვმა და ტაშირელმა გაკვირ-
ვებისაგან პირი დააღეს.

— თქვენ ქართული იცით? — ჰკითხა
ოქრომჭედელს ტაშირელმა, რომელსაც
მყისვე დააეიწყა რობინეც და შეი-
ლოკიც.

— დიახ, ჩემო ბატონო! — უპასუხა
თავდაჭერილი ღიმილით ებრაელმა
ოქრომჭედელმა, — მე ხომ ევროპელი
ვაჟარი ვარ! ელჩმა, მისიონერმა და ვა-
ჟარმა აუცილებლად უნდა იცოდეს
უცხო ენები. ჩემს კონტრაგენტებს მსო-
ფლიოს ყველა კუთხეში შეხვდებით.
მაპატიეთ. ბატონებო, თუ ჩემი ქართუ-
ლი გეხამუშებათ. ეს ენა მც წიგნებიდან
შევისწავლე და თქვენ პირველი ქარ-
თელები ხართ, რომლებსაც მე ქარ-
თულად ველაპარაკები. თქვენს ქვეყანას
მე მისიონერებისა და სწავლული მოგ-
ზაურების თხუხულებიდან ვიცნობ.
ამიტომ მეტად მოხარული ვიქნები, თუ
ამ საღამოს სახლში სტუმრად მეწვევით.
ჩემი მეუღლეც მაღლობელი დარჩება.
ქართველ ქალებს ის ინგლისელი პოე-
ტების ლექსებიდან და პოემებიდან
იცნობს. ვთხოვთ უპატივი დაგვდოთ და
მობრძანდეთ. უცხოელ სტუმრებს მე
ისე ვხვდები, როგორც საზოგადოდ
ელჩებს ხვდებიან.

ტაშირელმა თანხმობის ნიშნად თავი
დაუკრა. ზანდაროვმა თავის თარჯიმანს
მიბაძა.

ერთმანეთს კარგი ნაცნობებივით და-
შორდნენ.

— ეგეთი უსახური კაცი ჩემს დღეში

არ მინახავს, — ეუბნებოდა გზაში სოც-
დაგარი თარჯიმანს, — ქართულად რომ
დაილაპარაკა, კინაღამ გავშტერდი. მაგ
საშინელ კაცსა, ნიძლავსა ედებ, უარესი
შეხედულების ცოლი ეყოლება. ვახ-
ტანგჯან, ეინძლო ღამე არ დაგვესიზმ-
რონ და არ შეგვაშინონ.

სოცდაგარი იცინოდა. მზიარულ გუნე-
ბაზე იყო. ნაეპკრით კმაყოფილი და გა-
ხარებული.

— ეგ საშინელი კაცი მილიონის
მფლობელია! — უთხრა ტაშირელმა.

— რას ამბობ? — წამოიძახა ზანდარ-
ოვმა, რომელსაც თარჯიმანის ნათქვა-
მმა შურთან ერთად ოქრომკვედლისა-
ღმი მოკრძალებული პატივისცემაც გა-
უღვიძა.

— ეგ ოქრომკვედელი თვითონაც
მდიდარია და ნათესავეებიც მდიდრები
ჰყავს, — ამბობდა ტაშირელი, — გოლ-
ღზაკები განთქმული ბანკირები არიან.

ზანდაროვი დაეკვდა, თარჯიმანს
სიტყვა დამცინავად მოუტკრა:

— მილიონერები მალაზიაში არ სხე-
ლან.

— ეგ კაცი მარტო მარგალიტებით არა
ვაჭრობს, — განუმარტა ტაშირელმა, —
მალაზიაში მთელი ქვეყნიერების სოცდა-
გრებს ხვდება და იმათთან გარიგებებს
ახდენს. ჩემის აზრით, ამიტომ კითხუ-
ლობდა თბილისის ქარგასლების ამბებს.

— თუ ეგრეა მაშინ უნდა ეშვევალ
ვესტუმროთ მაგ საკვირველ ოქრომკვე-
დელს. — თქვა დაინტერესებულმა ზან-
დაროვმა, რომელიც მილიონერად ვახ-
დომას ოცნებობდა.

6. შრავა გოლღზაკის საღონი

შიღონი და კოცხუ — სრულყოფილი და
ღირსეული წარმომადგენლები არიან: ერთი
უოცელივე წმიდათაწმიდისა, ადამიანურისა, ან
ეპოქაში რომ იყო წარმოქმნილი. მეორე უო-
ცელნაირი კუჭყისა და საზიზრობისა, წარ-
მოშობისთანავე რომ იბრწინება და ღვება.

* აგრეთვე „კაპრიზები და ფიქრები“

ოქრომკვედელ გოლღზაკის სახლის
სასტუმრო დარბაზში სტუმრები ხმა-
დაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკ-
ობდნენ. მასპინძელი ტყავის ღრმა სა-

ვარძელში ჩამჯდარიყო და ყურს უგდებ-
და რაბინს, რომელიც მას გვეჯანის
ებრაელებისადმი მიწერილი წერილის
ტექსტს უკითხავდა ეს წერილი სოც-
დაგარ ზანდაროვისათვის უნდა გაეტა-
ნებინათ საქართველოში და სწორედ ამ
მიხნით იყო იგი მიწვეული ოქრომკვე-
დლის სახლში.

ჭერ მხოლოდ თითო-ორილა სტუ-
მარი იყო მოსული.

კედლებთან მიდგმულ სავარძელში
მდუმარე მანდილოსნები ისხდნენ. ფან-
ჯრებთან და დარბაზის კუთხეებში შე-
ჯგუფული მამაკაცები შეთქმულებივით
საუბრობდნენ. ოქრომკვედლის ახალგაზ-
რდა ცოლი, ცისფერ თხელ კაბაში ჩაც-
მული ღამაში ჭერა ქალი. შეფრფი-
ნვით უსმენდა ყმაწვილ კაცს, რომელიც
მარჯვენა მკლავის იდაყვით მაღალი
სკამის ზურგს დაყრდნობოდა. მეტად
ფერმკრთალი სახის ახალგაზრდა მამა-
კაცს შუბლზე წაბლისფერი კულულები
დაუდევრად ჩამოჰყროდა. ტბის ტალ-
ღასავით კამკამა ლურჯ თვალებში კი
იდუმალი სევდის გამონაკრთობი აღბე-
კდოდა. იგი გატაცებით მოუთხრობდა
რალაცას ფრაუ გოლღზაკს და თხრობით
გატაცებულს სხვების თანაყოფა ავიწ-
ყდებოდა. ხან სევდიანად იღიმებოდა,
ხან გულფიცხად ლაპარაკობდა. ამ
ღროს მისი მეტყველი თვალები სიძუ-
ლელის და ზიზღის ცეცხლით ნათდე-
ბოდნენ. ერთხელ ფრაუ გოლღზაკი
იძულებული იყო თავისი ნაზი თეთრი
ხელით მის ხელს შეხებოდა და წყნარი
ძახილით გამოეფხიზლებინა.

— გოტფრიდი!

პოეტი გამოერკვა. გარშემო მიმოი-
ხედა. აქ ყველა უცხო იყო მისთვის.
მხოლოდ ეს კეთილი ქალი იყო მისი
მეგობარი, მხოლოდ ამ ქალს ესმოდა
მისი. ფრანკფურტელი ბანკირები და
კომერსანტები მას „ებრაელების სირ-
ცხილს“ უწოდებდნენ, გერმანელები,
„თახედ ურიას“, გერმანულ გაზეთებში
ლანძლავდნენ, ზოლო სინგოგვებში
წყევლიდნენ.

უცხოელი სტუმრების მოსვლამ საე-

რთო ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. მათმა გამოჩენამ სასტუმრო დარბაზში მონოტონური მყუდროება ერთი წამით დაარღვია. სტუმრების მოწყენილი და მოღუშული სახეები გამოკოცხლდნენ და თითქოს ვინმემ ხელით ანიშნაო, ყველამ ერთსა და იმავე დროს მიაბრუნა თავი ახლად მოსულუბასაკენ.

ოქრომჭედელი მათ თავაზიანად მიეგება და სანამ სტუმრებს გააცნობდა, ცოლს წარუდგინა. გრიგოლ ზანდაროვი ახლაც ისე გაშტერდა, როგორც წყლან ოქრომჭედლის მაღაზიაში. სანამ გონზე მოვიდოდა, დაბნეული უყურებდა ამ საოცარ ცოლ-ქმარს და გაკვირვებული ფიქრობდა: „ნუთუ ეს ცისფერთვალეება ანგელოზი ამ მახინჯის ცოლი არისო“. არანაკლებ განცვიფრებულ ვახტანგ ტაშირელს ოქრომჭედლის ლამაზმა და კაჟანდარა ცოლმა გოეთეს ლოტე მოაგონა.

ზანდაროვი ოქრომჭედელმა და რაბინმა მეორე ოთახში გაიყვანეს. მათ თარჯიმანი არ სჭირდებოდათ. ვახტანგ ტაშირელი კი ფრთხვ გოლდზაკის და პოეტ გოტფრიდის გვერდით აღმოჩნდა.

ახალგაზრდა ტაშირელი უზომოდ გაახარა პოეტ გოტფრიდის გაცნობამ. გოტფრიდიც მალე დაუახლოვდა ბაირონის და შელის თავყვანისმცემელ ტაშირელს. მათ სწრაფად გაუგეს ერთმანეთს და გულწრფელი საუბარი გააბეს. მათი საუბარი ლიტერატურას და ხელოვნებას ეხებოდა. პოლიტიკას მხოლოდ კოცებუს გახსენების დროს ვადასწვდნენ. რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ტაშირელმა თავი შეიკავა რაიმე ეთქვა რეაქციონერი მოღვაწის და კომედიოგრაფის მკვლელობის გამო, მაგრამ გერმანელმა პოეტმა აღფრთოვანებით მოიგონა უშიშარი სტუდენტი ზანდი. იგი ბერძენი ტირანის მკვლელებს ჰარმოდოს და არისტოგიტონს შეადარა და ახალგაზრდა მილანელებს ვისკონტის, ოლგიატის და ლამბუზინანს, რომელთაც ვალეოკო სფორცა ტამარში მოკლეს.

— კოცებუს თქვენს ქვეყანაში ორ-

დენები უნდა მიეღო, იოჰან კლარტიკი გაგიყებულებო, — ეუბნებოდა გოტფრიდი ტაშირელს, — სატროსკი ჩვენსა საუკუნეში ცხოვრება აუტანელი და მოსაწყენი გახდა, რადგან არ შეგვიძლია ადამიანური ღირსება უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე ამას ჩვენი ყოველდღიური უფერული ცხოვრება მოითხოვს. თქვენ თვითონ განსაჯეთ ჩემო კეთილო ბატონო! პატიოსნება ხასიათის სისუსტედ არის მიჩნეული, საკაცობრიო მისწრაფებანი კი სიგიჟედ მოქალაქეობა აკრძალული გვაქვს, რადგან პოლიტიკურ პოლიციას ეშინიან რომელიმე გარეუბნის მანსარდიდან ახალი რომესპირი არ ჩამოვიდეს მოედანზე. დესპოტური მმართველობის დროს პოლიცია და ეკლესია მუდამ დიდ სიფრთხილესა და სისასტიკეს იჩენს. გონიერი ადამიანისათვის აწყმო ცარიელია და წყვედიადით მოცული, მომავლის განჭვრეტას კი შიშით და ეკვიტ ცდილობს. ამიტომ ისევე წარსულს ებლაუჭება. მართალია, ნიკიერი პოეტების ლექსებში ბევრი ცრემლია გარეული, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ისინი მხდალები არიან? ბაირონი მისოლუნგში მოკვდა, შელი ზღვაში დაიხრჩო, თქვენი პუშკინი და ლერმონტოვი დუელში დაიღუპნენ. ისინი ახალგაზრდები დაიხოცნენ, რადგან არც იტალიელ მეწაღე პეტრო არტინოს ჰგავდნენ და არც ინგლისელ კარისკაცს ტენისონს, რათა სიმღერებით ევაჭრათ და გაყიდული სონეტებით ეცხოვრათ. ოჰ, ეს სევდიანი საუკუნე! შთამომავლობამ მოკვიტევოს, თუ თავდავიწყებას გიჟურ გართობაში ეძებთ, სიყვარულით და სიძულვილით აღტყინებულნი!

ფრთხვ გოლდზაკმა კვლავ მოაგონა გოტფრიდს ხმადაბლა ელაპარაკა, რათა სტუმრები არ შეეშფოთებინა.

— პო! — წამოიძახა პოეტმა მწარე ღიმილით, — მე ვაეიწყებდა, რომ ჩვენ დუმილი გვაქვს დაკისრებული!

ვახტანგ ტაშირელმა მას თანამედროვე რუსული მწერლობა გააცნო. მერე ევროპელ მწერლობაზე ჩამოაგ-

დეს სიტყვა. პოეტმა გოტფრიდმა აღიარა, რომ მას ბალზაკი არ უყვარდა, სტენდალი არ ესმოდა, ხოლო ვიქტორ ჰიუგოს ლექსებსა და დრამებს უფრო მაღლა აყენებდა. ვიდრე მის რომანებს და პუბლიცისტურ წერილებს. „ჩვენ ისედაც უბედურნი ვართ, — ამბობდა გულისტკივილით პოეტი, — ამიტომ არაერთარ საჭიროებდას არ წარმოადგენს უკუღმართი ცხოვრების მოვლენები და უაჩაღური თვისებების ადამიანები რეალური ფერებით გადავიტანოთ რომანებში. უნდა გამოვტყდეთ, რომ მე უორჯ ზანდი უფრო მომწონს, მიუხედავად მისი მრავალსიტყვაობისა. ეს მწერალი ქალი, როგორც თვითონ ამბობს „ემშაკის გუბეში“, ადამიანებს სინამდვილიდან კი არ იღებს. არამედ თავის საკუთარი შეხედულებიდან და ისე ზატავს, როგორც ნამდვილად უნდა იყვნენ ადამიანები ანდა ყოფილიყვნენ მოწესრიგებულ საზოგადოებაში“.

ბელინსკის თაყვანისმცემელი ვახტანგ ტაშირელი გოტფრიდს არ ეთანხმებოდა და საწინააღმდეგოს უმტკიცებდა. ამ საუბარში ფრაუ გოლდზაკიც ურთავდა მოსწრებულ შენიშვნებს და თავისი გონებასახვილობით აღტაცებაში მოაყავდა ახალგაზრდა ტაშირელი. და რაკი ვახტანგს სიყვარული ჯერ არ განეცადა, ნატრობდა თავისი მომავალი სატრფო იმავე თვისებებით ყოფილიყო შემკული, რომლითაც ეს ჰკვიანი და სათნო ქალი ასე უხვად იყო დაჯილდოებული.

პოეტმა გოტფრიდმა ყურადღება მიაქცია გრიგოლ ზანდაროვის გარეგნობას და შენიშნა:

— მაგ ბატონს ძველი ბეზძენის თავი აქვს.

— და ვაჭრის სული! — აღნიშნა ტაშირელმა.

გოტფრიდმა ირთნიულად გაიღიმა.

— ესლანდელ დროში სჯობია მალაზიის მფლობელი იყო, ვიდრე ლექსებს წერდე. დარწმუნებული ვარ, ვაჭარი უფრო ბედნიერი ვიქნებოდი.

ფრაუ გოლდზაკმა მას საყვედურით შეხედა.

არქონული
ნიკოლოზ ვაზაიანი

მ. ბაზაიანი ცოლ-ქმარი

ნუთუ ჩემი თავი უნდა გავუღო ჩემი მშობლების გულისათვის?
გაბრიელ სუნდუაია, „დამძევალი ოჯახი“

ამ დროს სასტუმრო დარბაზში მოხუცებული ცოლ-ქმარი შემოვიდა დიდის მოკრძალებით. მათმა მოსვლამ ფრაუ გოლდზაკს სახე გაუნათა, ფეხზე წამოიქრა, სიხარულით მიეგება მათ. დედაბერს პირზე აკოცა, ბერიკაცს შუბლი საკოცნელად მიუშვირა. ტაშირელი მიხედა, რომ ისინი ფრაუ გოლდზაკის მშობლები იყვნენ. საერთო მისალმების შემდეგ დედაბერი და ბერიკაცი დარბაზის შორეულ კუთხეში დასხდნენ საესებით განცალკევებით. ამ მორიდებული და უმწურო ცოლ-ქმარის შემყურე ვახტანგ ტაშირელს გული სიბრაღულით ევსებოდა. დედაბერი გაშეშებული იჯდა თავის სავარძელში. მზიარული ფერებით შესრულებული პოლანდიური სურათის ქვეშ, დამქვანარი ხელები სავარძლის ხელსაჭიდებისათვის განწირულივით ჩაეელო და თხელი, გაცრეცილი ტუჩები ისე მტკიცედ მოეკუმბა, გეგონებოდათ არასოდეს, თავისი ცხოვრების გრძელ მანძილზე ჯერ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. ბერიკაცს ძველისძველი გახუნებული ფრაუ ეცვა, გაცვეთილი შავი ფესსაცმელები. ნახევრად უსინათლო თვალებიდან განუწყვეტლივ სდიოდა ცრემლი: მდიდარი ოქრომჭედლის ლატაკი სიმაპრს მალ-მალე მიჰქონდა ხელსახოცი თვალებთან, დიდხანს იწმენდა ცრემლს და ყრუდ ახველებდა, როგორც მოხუცებს სჩვევიათ.

— ღმერთო ჩემო, რა საბრალონი არიან! — წამოიძახა გულწრფელად შეწუხებულმა ვახტანგ ტაშირელმა.

— კი. ვარგნობა ყოველთვის გვატყუებს! — გაბრაზებით წარმოთქვა გოტფრიდმა.

ტაშირელს არ გამოეპარა, რომ წელან მისმა თანამოსახლებრემ ფრაუ გოლდზაკის

მშობლებს ზიზლით ზურგი შეაქცია. ამიტომ ნიაზით ჰკითხა!

— ეგ რაზე ბრძანეთ, ბატონო?

— ბატონო ჩემო, მაგ საბრალო მოხუცებმა საკუთარი ქალი ოქრომჭედლის ფულებზე გაყიდეს.

ეს სიტყვები დაუფარავი ზიზლით წარმოთქვა გოტფრიდმა, მაგრამ სათქმელი მოათავა თუ არა, საშინლად გაწითლდა შეიძლება იმიტომ, რომ ასეთი რამ უცხო ეაცთან წამოსცდა, ანდა იმიტომ, რომ ფრაუ გოლდზაჰი უკვე ახლოს იყო და მისი სიტყვების გაგონება შეეძლო. დიასახლისი მომხიზველელი ღიმილით შეუერთდა მათ და წელანდელი ადგილი დაიკავა. „მას არაფერი გაუგონია“ — გაფიქრა ტაშირელმა, რადგან დიასახლისის კეთილსა და სუფთა თვალებში საყვედურის ნატამალიც ვერ ამოიკითხა. მაგრამ მათი საუბრის ძაფი გაწყვეტილი იყო. სამთავენი მდუმარედ ისხდნენ. ტაშირელი ამჩნევდა, თუ როგორ არცხვენდა და აწამებდა თავის თავს გოტფრიდი მასთან წამოცდენილი სიტყვების გამო. იგი ეტყობოდა, მწარედ ნანობდა ფრაუ გოლდზაჰის უბედური ქორწინების ამბის ახლად გაცნობილ მამაკაცთან გამომეღვენებას.

ფრაუ გოლდზაჰი უხმოდ ადგა. ფორტეპიანოსთან მივიდა. თითები კლავიშებზე გაასრიალა და აამეტყველა.

— მე საზიზლარი ვარ! — ყრუდ წარმოთქვა გოტფრიდმა.

დაბნეულმა ტაშირელმა მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— მე მივხვდი... მე ყველაფერს მივხვდი...

— თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, უნდა მომიტყუოთ.

გოტფრიდის ხმაში მუდარა გაისმა.

— ბატონო ჩემო! — მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა შეწუხებულმა ტაშირელმა.

— პო. მთვრალეხსა და პოეტებს არა სჯიან! — ნაძალადევი ხუმრობით სცადა აღელვებულმა გოტფრიდმა არანაკ-

ლებ აღელვებულ ტაშირელის დამშვიდება.

პიხინანული

ფრაუ გოლდზაჰი ფაქიზად ასრულებდა და ბახის პრელუდიებს და ბეთოვენის ვარიაციებს. სტუმრები სმენად გადაიქცნენ. ზოგნი მუსიკის წრფელი სიყვარულის გამო, ზოგნი ზრდილობის საჩვენებლად და თავის გამოსაჩინად. ვახტანგ ტაშირელმა თვალები დახუჭა. მუსიკის ჯადოსნური ჰანგებით დატყვევებულს წაიკითხული წიგნების ყველაზე ნატიფი სულისკვეთების და ამაღლებული მისწრაფებების ადამიანები აკონდებოდა. ოცნების მორევში გადაშვებული ცხოვრების სილამაზეზე და მშვენიერებაზე ფიქრობდა. ადამიანით ამყობდა და ადამიანის მომავალი სწამდა. თან უკვირდა, რომ მუსიკა მას უფრო მეტად ამხნევებდა და უფრო მეტად უკავებდა მომავლის რწმენას, ვიდრე ყველაზე საყვარელი წიგნის ყველაზე ამაღელვებელი სტრიქონები. თვალებდახუჭული უსმენდა მუსიკას და ვერ ამჩნევდა გრიგოლ ზანდაროვს, რომელიც ოქრომჭედელსა და რაბინს შორის ნემსებზე იჭდა მოწყენილი და მობეზრებული.

მასპინძელმა ზანდაროვს ბევრი რამ გამოჰკითხა კავკასიაზე, თბილისის ქარვასლებზე, იქაურ მუშტრებზე და მათს მოთხოვნილებებზე. საქმიანი საუბარი ზანდაროვისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ ოქრომჭედელმა გოლდზაჰების სახლის სახელით მას კრედიტის გახსნა შესთავაზა. ეს თბილელ სოვდაგარს საშუალებას მისცემდა დიდი რაოდენობით შეესყიდა სამკაულები. მასპინძელიც და სტუმარიც კმაყოფილნი დარჩნენ. გამზიარულბულ ზანდაროვს სასტუმრო დარბაზში ერთბაშად შეეცვალა გუნება. ყველა მუსიკას უსმენდა ან თავი ისე ეჭირა, თითქოს მუსიკით ყოფილიყვნენ დაინტერესებული. თავის გასართობად ზანდაროვი ხან ვახტანგ ტაშირელს უყურებდა, ხან პოეტ გოტფრიდს, როცა გოტფრიდი ფორტეპიანოსთან მივიდა, მის კიდეს დაეყრდნო და დამკვრელ ქალს შეფრფ-

ვინცით მიაკვრდა. ზანდაროვმა მრავალმნიშვნელოვნად ასწია ცალი წარბი. ახალგაზრდა კაცის სახეზე გამოხატულ კმუნენისა და სიხარულის სწრაფ ცვალებადობას ცნობისმოყვარეობით უტყვეროდა და თან თავისთვის ამბობდა: „მაგ კაცს ეგ ქალი უყვარს. სახეზე ეტყობა რანაირად იწვის და იღაგება. ქალისას ვინ რას გააგებს, მაგრამ ოქრომჭედლის ცოლსაც უნდა მოსწონდეს: მაშ არა და ამ ეშმაკს გაუჩერდებოდა. ტყუილად კი არ ამბობს ფირუზა: „ბერიკაცის ლამაზი ცოლი, გაღმა სხვა კაცსა ჰყავდაო“. გრიგოლმა ფირუზასავით ფლიდურად გაიღიმა და კინალამ ქალაქურად ჩაიღიღინა. რა თქმა უნდა, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ „ლამაზი“ დიასახლისი ახლა მენდელსონის ვარიაციებს ასრულებდა. იგი ძლივ ძლივობით იშვარებდა თავს, რათა თავისი უადგილო სიცილით ამ უცნაურ საზოგადოებაში არ შერცხვენილიყო.

ნაშუალამევს სასტუმროში სოვდაგარი თავის თარჯიმანს ეკითხებოდა:

— განა სავეირველი არ არის იმ ქალის საქციელი? თვალები სადა ჰქონდა, როცა იმისთანა ეშმაკზე თხოვდებოდა? ვახტანგი დუმდა.

გრიგოლმა მისი დუმილი თავისებურად ახსნა:

— ეტყობა ეგ ლამაზი ქალი დიდი ვინმე კახა არის!

ვახტანგი წყრომით მიტრიალდა მისკენ, თვალი თვალში გაუყარა და გააფრთხილა:

— მეორედ არ გაიმეოროთ ეს საშინელი სიტყვები. მე ვიცი, რომ თავისი უბედური ქორწინებით მაგ ქალმა თავისი ვალატაკებული მშობლები ოქრომჭედლის ვალებიდან დაიხსნა.

— ღმერთმანი, მართალი ხარ! — წამოიძახა გრიგოლმა და სიცილით მოიგონა თბილისური ქორწილების ბებერი ნუფეები და ნორჩი პატარძლები.

7. ო. მს სავადანი XIX საუკუნე

მე — ნათიცი რეზონერი ქვენი ქვეყნის მესმის აღძვარებისა, რომლებიც უნდა ახსნან ჩვენს იმ დროს, როცა ხალხები სისხლი ეტრავენ და გარშემო მაკერალნი ვერ აჩვენენ იმას, რაც მათ თვალნი ზღება.

ა. ვერცენი, „ერთი ახალგაზრდა კაცის ჩანაწერები“

ერთი კვირის შემდეგ როცა ზანდაროვი და მისი თარჯიმანი სტრასბურგისკენ მიმავალ დილიციანსში სხდებოდნენ, ერთმა მგზავრმა მეორეს უთხრა:

— ბატონო, თქვენ აღზათ უკვე გაგონილი გექნებათ ახალი ამბავი?

— რის შესახებ, ბატონო ჩემო?

— განა არ იცით? წუხელ პოეტმა გოტფრიდმა დამბაჩით თავი მოიკლა.

დილიციანსში მგზავრმა მონაზონმა, რომელსაც ერთ ხელში ლოცვანი ეჭირა, მეორეში კი კრიალოსანი, ამის გაგონებისთანავე თვალები ზეცისკენ აღაპყრო და ვალოებით წარმოთქვა:

— პოეტები ცეცხლის წრეში მოქცეული მორიელეზებით იხოცებიან, მაგრამ ქრისტიანებმა უნდა ვილოცოთ ღვთის ამ გზადაკარგული შვილების... — მონაზონს პირჯვრის წერის დროს უცებ ხელი ჰაერში გაუჩერდა, მერე სწრაფად დაუშვა კალთაზე და ზიზლით განაგრძო, — ღმერთო, ნუ მიიღებ ჩემს ლოცვას, მე მომავონდა, რომ გოტფრიდი ებრაელი იყო!

ვახტანგ ტაშირელი ძალზე შეაწუხა და დააღონა პოეტ გოტფრიდის თვითმკვლელობამ. გრიგოლ ზანდაროვმა უდარდელად დაიბუხუნა: „გიყი ყოფილაო“ — თქვა და არბეინად მიუჯდა დილიციანის პატარა სარკმელს.

როდესაც ქაქანი თოვარდნილმა დაგვიანებულმა მგზავრმა დილიციანსში ასვლისთანავე დიდის ამბით დაიძახა: „ახალხო, ფრაუ გოლდხაკს საწამლაგი დაუღევია და ექიმმა ცოცხალს ვეღარ მიუსწროო“, ზანდაროვი არც ამან ააღვლევა, ტაშირელს ეს ამბავიც გულგრი-

ლად მოუსმინა და მთქნარებ-მთქნარე-
ბით დამარცვლა:

— მე მაშინვე მივხვდი, რომ ეგენი
შეყვარებულნი იყვნენ. ქმარი უსახური
იყო, მაგრამ არც საყვარელი ბრძანდებოდა
დიდი მათა. სახეც ცოტა ნაყვავი-
ლარი ჰქონდა.

— არიან სულით ლამაზი ადამიანე-
ბი, — უპასუხა მას თარჯიმანმა, რომე-
ლიც მწუხარებისაგან ისე იყო გაოგნე-
ბული, რომ არ შეიძლებოდა მოჰკონე-
ბოდა, თუ რამდენად უსარგებლო იყო
კამათი კოპწია, მაგრამ მაინც ზეპრე ვა-
ჭართან, — პოეტ გოტფრიდს მდიდარი
და ლამაზი სული ჰქონდა.

ზანდაროვმა ცხვირამზეყით გადმოუღე-
ლო:

— ეგ სიმდიდრე რითი იწონება? ბა-
ჯაღლო ოჭროთი თუ სიჭა ვერცხლით?

— ადამიანობით.

ამ სიტყვის მნიშვნელობა სოვდაგარ-
მა ვერ გაიგო, ისევე განზე გაიხედა და
დამთქნარა.

მეზავრები ყაყანით ლაპარაკობდნენ,
ტაშირელმა კორიკანა ფანჯურტე-
ლებს თვალი მოაშორა და დაღონებულ-
მა დილიჯანსის პაწია სარკმლიდან დაუ-
წყყო ყურება იმ ადგილებს, სადაც ვაი-
მარელ ბრძენს თავისი ბავშვობა და
ყრმობა გაეტარებინა.

პარი მთოთხეზაძე

1. პარიზი.

თოთხეზაძე მოვედით პარიზში, 7 საათზე.
ვიორვა ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა
ევროპაში“

გრივოლ ზანდაროვისათვის პარიზი
ისეთივე აღმოჩნდა იყო, როგორც მოს-
კოვი, სანკტ-პეტერბურგი, ბერლინი და
ვენა.

პარიზი მაინც საოცრებას წარმოად-
გენდა ევროპულ ქალაქებს შორის.

მხარგანიერი, თვალწარმტაცი, კმაღლ-
ცი და კობტა ქალაქი ყველას ერთნაი-
რად იზიდავდა და ხიბლავდა.

გაოგნებულ ტაშირელს კარლოს V
ნათქვამი აგონდებოდა: „ყველა ქალაქი
ქალაქია, მაგრამ პარიზი ქალაქზე მე-
ტია, ის მთელი სამყაროა“

ამ სამყაროში მოხვდნენ მოსკოველი
ქართველი აზნაური და თბილისელი
ახალგაზრდა ვაჭარი.

ზანდაროვიც ცნობისმოყვარეობად
იყო გადაქცეული, მაგრამ ტაშირელის
აღტაცება მას არ ეტყობოდა. მხოლოდ
ის უყვირდა, რომ არც ამ ქალაქს ჰქო-
ნდა „ბალკონები“. თვალბს აცეცებდა
და ამოოდ დაეძებდა იმის მსგავსს, რაც

თბილისის თითქმის ყველა ქუჩაზე და
მტკვარზე იყო გადაკიდებული. თვალე-
ბის ცეცებამ მალე გაუარა, რადგან პა-
რიზში იგი თავის ღურღურა შორევი
ჩაითრია.

დილიდან საღამომდე მუხლჩაუეცე-
ლი ზედიზედ ყიდულობდა ფუფუნების
საგნებს იმ ქვეყნის ქალაქში, სადაც
თვით მეფე საუფეთესო ბუღალტერა
და მეტყვე იყო.

მეფაბრიკებს აბრეშუმის ქსოვილებს
ატლასს, ზავერდს, შალეულს, მაუდს,
ავეჯს, სერვისს, პარიზულ თავსაბურავს,
ტანსაცმელს და საცვლებს უყვეთავდა.
ყიდულობდა დაგვირისტებულ ბაბთე-
საც, მოჭარგულ ქომებსაც და ლამაზ
ფესსაცმელებსაც. ყველაზე ნაზსა და
ტურფას, რათა თბილისის ქარვასლებსა
და მალაზიებში მათ მდიდარი მანდილო-
სნები დასეოდნენ. იძენდა იმასაც, რაც
წინათ სოვდაგრებს დიდი რაოდენობით
შემოჰქონდათ საქართველოში აღმოსა-
ვლეთის ქალაქებიდან. თვით ნოხ-ფარ-
დაგები ევროპის ფაბრიკებში ახლა
უფრო იაფად მზადდებოდა, ვიდრე აღ-
მოსავლეთის „ქარხნებში“, ამ ძველის-

ძველ და ტრადიციულ სახელოსნოებშია. ცხრა მთას იქით მდებარე ევროპის მანუფაქტურებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გამოიწვიეს აღმოსავლური „ქარხნების“ კრიზისი, ხოლო მანქანურმა მრეწველობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოლო მოუღო აღმოსავლური ექსპორტის მთავარ საგნებს: ძვირფასეულობას, ოქროქსოვილებს, ხალიჩებს, ნოხ-ფარდავებს.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ თბილისელმა სოციალებმა.

ზანდაროვი თბილისში გზავნიდა ყველაფერს, რასაც ქართველი კნეინენი და გამდიდრებული ვაჭრების ცოლები თხოულობდნენ: ქინძისთავეებიდან დაწყებული ქალის ფართო ფარფლებიან ქუდიამდე. უნახავს არ ტოვებდა ფაბრიკებს და მაღაზიებს. ყველგან იხედებოდა. ყველაფერს გულდასმით სინჯავდა და ათვლიერებდა. ეცნობოდა ფაბრიკანტებს, მაღაზიის მფლობელებს, ბანკირებს. ხან სად ტრიალებდა და ხან სად. ხშირად იყო ქალაქის შუაგულში იმ ბაზარზე, რომელსაც „პარიზის კუქს“ უწოდებდნენ (დაკვირვებული გრიგოლი ამჩნევდა, რომ გაცილებით მცირე თბილისის შუაბაზარი უფრო გამაყრუებლად ხმაურობდა, ვიდრე უზარმაზარი ქალაქის ეს უშველებელი „კუქი“). ზოგჯერ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, პარიზის ბირჟაზეც გამოჩნდებოდა ხოლმე. აქ იგი ისევე იწაფებოდა ალბ-მაკემობასა და ვაჭრობაში, როგორც ოდესღაც თბილისის ბაზრებსა და ქარვასლებში იწვრთნებოდა, ოღონდ იქ ოსტატად ფირუზა ჰყავდა, აქ კი დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად ერკვეოდა ადამიანთა კიდევ უფრო რთულსა და დახლართულ ურთიერთობაში, ვიდრე ეს თბილისის ვაჭრებისა და სოციალებსათვის იყო დამახასიათებელი.

ახლა გრიგოლმა მეტი იცოდა, ვიდრე ფირუზამ.

ვათამამებული ახალგაზრდა ვაჭარი თანდათან რწმუნდებოდა თავის ძალასა

და გამჭირაზობაში. საკუთარი თავის მიმართ რწმენა სულ უფრო უმტკიცდებოდა. შეუმცდარი ალღოთი ხედებოდა, რომ იგი უფრო ფაქიზი და დახვეწილი ვაჭარი ხდებოდა, ვიდრე სუფთად წვერ-გაპარსული, მაგრამ ძველებურად მხრებზე ყოშებგადაგდებული და ყურთომაჯებიანი ფირუზა ზანდაროვი იყო.

ამგვარი აზრები იმ დროს უტრიალებდა თავში, როცა მაღაზიების ვიტრინების მინებსა და კედლის დაჯ სარკევებში რედინგოტში ან ფრაკში გამოწყობილ ბატონს დალანდავდა ხოლმე.

ეს ბატონი თვითონ იყო. თავად გრიგოლ ზანდაროვი. ახალგაზრდა, ღონიერი, თამამი და შეუბოვარი.

2. მოაზრული ნარგალინი

დღე, მე ნელაჩაინ მომატყუავს, მეც აღარაინ მოვატყუებს.

გაბრიელ სუნდუქიანი, „სათამაშა“.

კონფლიქტი ტაშირელსა და ზანდაროვს შორის ერთი პარიზელი ოქრომჭედლის მაღაზიაში მოხდა.

ოქრომჭედელს ზანდაროვმა რამდენიმე გილანური ფირუზი და ინდური მარგალიტი მიჰყავდა. ფირუზები და მარგალიტები წმ. მარინეს და წმ. გერასიმეს ხატებზე იყო აძრობილი. გაჭირებული თავადის ასულების სამკაულები მევახშეებს უყარდებოდათ ხელთ. ასე მიიტანა ხატებზე აძრობილი ფირუზები და მარგალიტები გერმანოზისვილების გამღელმა ფირუზა ზანდაროვთან. მარგალიტი მასთან მიქონდა ყველას. ვისაც უჭირდა ან მზითვის წიგნის შესადგენად ფული სჭირდებოდა. ასეთ თვალ-მარგალიტს ფირუზა გრიგოლს დროდადრო უგზავნიდა საფოსტო ეტლით და საეაქრო ხომალდით თბილისიდან პარიზში.

ფირუზა სოციალებურად ანგარიშობდა.

მუშტრები თბილისში მალრიბულ თვალ-მარგალიტს თხოულობდნენ, პარიზში მაშრეყულს.

პარინელ ოქრომპყვედელს ფირუზებიც მოეწონა და მარგალიტებიც. მაინც დიდხანს ივაჰრეს. ბოლოს როგორც იქნა მორიგდნენ. ოქრომპყვედელმა ელვანტურად ჩაცმულ მუშტარს ტყეცელა ასფრანკიანები გადაუთვალა. სწორედ ამ დროს მალაზიაში ხანდაზმული ცოლ-ქმარი შემოვიდა, ამერიკელებს ჰგავდნენ. ისინი გულდასმით ათვალერებდნენ ვიტრინებში გამოფენილ სამკაულებს. ოქრომპყვედელს, როცა ზანდაროვს ფულს უთვლიდა, ცალი თვალი მათზე ეპირა და ფულის დათვლას ჩქარობდა. ერთი სული ჰქონდა სანამ მათ გამოელაპარაკებოდა და თავისი სამკაულებით დააინტერესებდა. ჭიბესქელ ამერიკელებს ყველა მალაზიაში კალთება აგლეჯდნენ და რაც ხელთ ჰქონდათ ყველაფერს დიდი ფახა-ფუხით თავაზობდნენ. ოქრომპყვედელი თვალს ვეღარ აშორებდა მათ. ისინი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ დახლს. რომელზეც ჯერ ისევ იყო დალაგებული ზანდაროვის მიერ გაყიდული ფირუზები და მარგალიტები.

ზანდაროვმა, თავის მხრივ თითების ჩქარი მოძრაობით გადათვალა ასფრანკიანები, ერთი წამით, მხოლოდ რალაცნაირად მიაკეჭრა ოქრომპყვედელს და ფული ტყავის ჩანთაში ჩაალაგა.

ოქრომპყვედელმა მას ზრდილობიანად დაუკრა თავი. „ორე ვუარ“ დააყოლა და გაბადრული სახით ამერიკელებს მიუბრუნდა.

— საიდან ბრძანდებით, ბატონებო?

— ახალი ორლეანიდან.

— ფრანგები ხომ არა? — წამოიძახა გახარებულმა ოქრომპყვედელმა.

— წარმოშობით, ბატონო! — უპასუხა ქალბატონმა.

ვაემატონმა თვალი დახლზე დალაგებულ ფირუზებს და მარგალიტებს დაადგა, მოწონება არაფრით არ გამოუხატავს, ოქრომპყვედელს გულგრილად ჰკითხა:

— რამდენს აფასებთ? ოქრომპყვედელმა იმაზე ორჯერ მე-

ტად დააფასა ვიდრე წაიღო. ოქრომპყვედელმა ჰქონდა ნაყიდი.

ტაშირელი ცნობისმოყვარეობამ შეაჩერა.

ამერიკელმა გულდასმით გასინჯა ყველა ფირუზი, კარგა ხანს ათვალერა მარგალიტებიც, ბოლოს აუჩქარებლად წარმოთქვა:

— თანახმა ვარ.

ტაშირელმა მხრები აიჩეჩა. ერთბაშად ვერ გაერკვა ვითარებაში. ვერ გაამტყუნებდით. მან ზეპირად იცოდა ადამ სმიტის წიგნი და არა ინგლისელი ეკონომისტების მოღვაწეობა ბირჟაზე.

გვიან გაახსენდა ზანდაროვი მალაზიაში იგი უკვე აღარ იყო. არც მალაზიის წინ დახვედრია მას. ქუჩის გასწვრივ ყველაფერი მოათვლიერა, მაგრამ ვერსად ვერ შეამჩნია, თვალი გააყოლა ყავახანების წინ გამოფენილ მაგიდებს, ფეხს აუჩქარა, აქეთ-იქით იხედებოდა, თვალს ჰკიდებდა ყველას, ვისაც გრძელი, ღია ფერის რედინგოტი ეცვა, თავზე კი შავი აბრეშუმის პრილა ცილინდრი ეხურა. ზანდაროვს ქუჩის ბოლოში დაეწია. წაბლია ხესთან იდგა და ეტყობოდა თავის თარჯიმანს უცდიდა.

— რა მოხდა? რაზე გამოიქეცით?

— ჰკითხა განცვიფრებულმა ვახტანგმა.

— ისეთი არაფერი, ცოტა ფეხს აუჩქარე, — ერთხანს შეყოყმანდა გრიგოლი, მაგრამ მაინც სიმართლის თქმა ამჯობინა — მალაზიის პატრონმა სამასი ფრანკი გადმომაყოლა.

— მერე? არ უნდა დაუბრუნოთ?

— დაუბრუნო?... — გაუკვირდა ზანდაროვს.

— ჰო, ჰო. ეხლავე, ეხლავე უნდა შეტრიალდეთ და დაუბრუნოთ. მადლობას გეტყვით.

— იმის მადლობა მე რათ მინდა?

— თქვენ შექლებული კაცი ბრძანდებით. სამასი ფრანკი განა რა არის, რომ მაგის გამო სინდისი დაიმძიმოთ.

— ჩემთვის ერთი სუც ფულია, არა მარტო ფრანკი და ლეიდორო.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტაშირელმა ხელეები გაშალა და შესძახა:

— მაგით რა გინდათ თქვათ?

— დაკარგული მშოვენლისაა!

— მერე, სინდისს არ ეკითხებით?

— სინდისი? რომელ სინდისზე მელაპარაკები, — დამცინავად დაუბრუნია სიტყვა თავის თარჯიმანს გრიგოლმა, მაგრამ მყისვე სერიოზულად გამომეტყველება მიიღო და დაფიქრებულმა განაგრძო, — ამას წინათ ერთი ოქრომჭედლის მალაზიაში, როცა შენ, ჩემო კეთილო თარჯიმანო, ძველებურ საათს სინჯავდი, გატაცებით და მე ჩემთვის მარგალიტებს ვარჩევდი, ვერც შენ და ვერც მე ვერ შევნიშნეთ, რა უსამართლოდ მოგვატყუა იმ ოქრომჭედელმა. სხოლოდ სასტუმროში გავიგე, რომ სამი მარგალიტიდან ერთი ყალბი იყო. ეხლა რაღას იტყვი ჩემო პატიოსანო თარჯიმანო? მოპარული მარგალიტი ჩემთვის არავის დაუბრუნებია. მე რაღათ უნდა დაუბრუნო დოჟლაშია ოქრომჭედელს სამასი ფრანკი?

— ამის დაბრუნება სინდისმა უნდა გიკარნახოთ, პატონო ზანდაროვ!

— ვისაც ეპურის ქუდი მაგრად ჰხურავს თავზე, იმას სინდისთან ვაჭრობა არა მართებს.

ეს რომ თქვა, გრიგოლს მაიკო კურტანიძე მოაგონდა და თვალები გაუბრწყინდა.

ტაშირელმა მხრები აჩჩია.

— არ მესმის ეგ რა ქარავნაა!

— ეგ ქალაქში მე ძლივს გამოგებიანს, შენ გინდა ამ შუა ტიჩაში ერთბაშად ვაგაგებინო? შენც ჩემსავით უნდა იცხოვრო, ჩემოდენა ნაბო და გამოსცადო, რომ მიხვდე და გაიგო. ამას სიტყვით ვერ იტყვი, ეს საქმეში უნდა გასინჯო.

— მაგალითი წინა მაქვს.

— რა მაგალითი? — დაინტერესდა ზანდაროვი.

— ოქრომჭედელმა იმ ამერიკელს ორჯერ მეტად მიჰყიდა აქვენი ფირუზები და მარგალიტები.

აქამდე პირმხიარული ზანდაროვი პირბრაზიანად იქცა.

— კარგი ერთი და!

— ეგ, რაც გითხარით, ჩემს თვალწინ მოხდა.

გრიგოლმა გადაადურთხა და რაინაირად შეიგინა, როგორც ასეთ დროს ფირუზა იგინებოდა ხოლმე.

აწითლებულ ვახტანგს თვალი რომ შეავლო, ყვლავ გამოიღარა, პირი გაუმხიარულდა და გულწრფელად წამოიძახა:

— ალალი იყოს მაგაზე, ეგ ხომ იმ ოქრომჭედელივით ქურდი არ არის.

ერთი წამით გაელვებული შური და სინანული მას უკვე მონელებული ჰქონდა და ხუმრობის გუნებაზე დგებოდა.

ტაშირელმა ცივად უბასუხა:

— ჰო, მაგას არც იმისავით მოუპარავს მარგალიტი, არც თქვენსავით დაუმალავს სამასი ფრანკი. კომერციულ აღლოს ან უნარს განა შეიძლება რამე საერთო ჰქონდეს ქურდობასთან და უსინდისო ვაჭრობასთან?

— ის რაც გაყიდულია, ჩემი აღარ არის. — მოკლედ მოუჭრა ზანდაროვმა.

— არ მესმის.

გრიგოლმა სოვდაგრულად განუმარტა:

— მაგის გაგებას რა უნდა? თუ ერთმა არ წააგო, მეორე როგორ მოიგებს?

— შეიძლება, შეიძლება, მაგრამ ყოველგვარ გარიგებას სინდისი და პატიოსნება სჭირდება — ღრმა რწმენით წარმოთქვა აღელვებულმა ვახტანგ ტაშირელმა.

ზანდაროვს გაცივება უნდოდა, მაგრამ არ გაიცინა. ხელჯობით ნელ-ნელა ასწია შუბლზე მაღალი, შავპრილა ცილინდრი; თარჯიმანს სიტყვა ბანზე აუგდო:

— უპ, რაინაირად ცხელა დღესა, მზეც სწორედ ქალაქურად აქერს. ოფელში რათ ვიწურებით? ჩრდილში გადავიდეთ.

ქსრიდან ფერადი აბრეშუმის ხელ-

სახოციტ ოფლი მოიწმინდა და ჩრდილს შეათარა თავი.

8. გოულოფნალი შეხვედრა

პარიკში... ვითხე ვინ არიან ქართველები შეთქი.

გოროცი ერისთავი „ჩემი მოგზაურობა ვეროპიაში“

ტაშირელმა ზანდაროვი ხელით შეაჩერა და გადაჭრით უთხრა.

— ერთმანეთს აქ უნდა დავემშვიდობოთ. მე ანგარიში გამისწორეთ და თქვენ როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით.

ზანდაროვი გაბრაზდა.

— რას ამიხიროდი? რას მყვედრი? შენ რა, ვაჭარს პირველად ხედავ? ტყუილად დაგატარებ აქეთ-იქით? ვერა ხედავ, როგორ იქცევიან აქაური ვაჭრები ალებული ვაჭრები? ან ბირეაზე რა ყვირილი დგას როცა აქციები მალა და დაბლა მიდის? დონე მუა, დონე მუა — მომეცი, მომეცი ყვირიან ერთნი. მონ, მონ — ჩემია, ჩემი, ღრი-ალებენ მეორენი. ლამის ერთმანეთს ყელში სწვდნენ. ყველანი განათლებულნი კი არიან, სუფთად ჩაკმულნი და გადაპრანულნი. მაგათთან შედარებით დაგლეჯილი ბართლომე კურტანიძე ან ფეხებმოდრეცილი ფირუზა ზანდაროვი — გრიგოლს თეთრი ლიზაც და მიაკო კურტანიძეც ვაახსენდა და ისევე გაუღიმა, — მართლა რომ მამა აბრამის ბატყებად მოგჩვენება (შენ არ იცნობ, ქალაქელი ვაჭრები არიან), რაც აქ კეთდება და რასაც აქ აკეთებენ, იმათ ჯერ არ დასიზმრებიათ. დალოცვილო. მიიხედ-მოიხედე, დაუკვირდი, თვალი ვაახილე. მე რა, ნუმრის ერთი მნახე? თავი გინდა გამანებო? კეთილი და პატიოსანი. ვინ გიკერს? უშენოდაც მოვახერხებ აქაურ ვაჭრებთან ლაპარაკს. ერთ წელიწადში სომხური და თათრული ქალაქის ბაზარზე ვისწავლე, სამ წელიწადში ფრანკულს ვერ ვისწავლიდი? ქალაქში ვაჭარს ვერა ნახავ, რომ ხუთ ენაზე არა ლაპარაკობდეს. ვინც ვაჭრის ხელობა იცის, ენე-

ბიე უნდა იცოდეს. წინათ ქალაქელმა ვაჭრებმა სპარსული და თურქული სიტყვები დასწავლნენ, ესლა სხვა დროებამს რუსული სიტყვები სიარულს მოვლხშირეთ, ფრანციულიც უნდა ვისწავლოთ. ჰოდა, თუ ვლაპარაკობ, ისევე შენთვის ვლაპარაკობ. ჩემგან რომ წახვიდე, რითი და როგორ გინდა იცხოვრო? შენი სამსახური აქ არავის უნდა, მამის სახლში კი აღარ მიგესვლება. ისევე ის გირჩენია ჩემთან ერთად ქალაქში წამოხვიდე, სამსახურსაც და ლუკმა-პურსაც გაგიჩენ. თუ გაჯიუტდები და ჯორზე შეჯდები, შენ იცი. მეც ბაშუსტა მითქვია. ანგარიშს როცა გინდა გაგისწორებ, თუგინდ ეხლავე გაგხსნი ქისას და რაც გერგება, იმაზე მეტს მოგცემ. შენთვის ალალია, რადგან პატიოსნად შემსახურე და ბევრი ფულიც მოვიგე. ოღონდ ნუ ცხარობ, სირცხვილია, ხალხი გვიყურებს, იაკაციც ისეთნაირად გვაშტერდება, ალბათ ჰკონია ცხარე ლაპარაკს ზედ მღშტებსაც მივაშველებთ და ერთმანეთს ცხვირპირს დავუნაყავთ.

ზანდაროვი ამას უკვე ხუმრობით და სიცილით ამბობდა, რადგან სიბრაზე თანდათან უცხრებოდა და დავის გაგრძელებაც ზედმეტად მიაჩნდა. მაგრამ სხვა დროს მოკრძალებული და წყნარი თარჯიმანი აღარ უთმობდა, დაქინებით მოითხოვდა ანგარიშის გასწორებას და თავისი გადაწყვეტილებიდან ფეხს აღარ იცვლიდა. ხმამალა, თითქმის ჩხუბით მოლაპარაკე სოცდავარს და მის გაჭირვებულ თარჯიმანს ერთი შუახნის წარმოსადგე მამაკაცი აშტერდებოდა, გაწითლებულა სახით და გაბრწყინებული თვალებით. მას ევროპულად ეცვა, მაგრამ აზიელი კაცის გარეგნობა და იერი აშკარად ემჩნეოდა. ამას კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მისი გრძელი თეთრი უღვაშები, რომლის ბოლოები მას თეთრ საყვლომდე სწვდებოდა. იგი დიდხანს მიადევდა უკან ზანდაროვს და ტაშირელს, ბოლოს ველარ მოითმინა, წინიდან შემოუტრბინა მათ, წინ

დაუდგა და სუფთა ქართულით წამოიძახა:

— ვეთო, თქვენ ქართველები უნდა იყოთ?!

ზანდაროვი და ტაშირელი ახლაც ისე გაშტერდნენ, როგორც ფრანკფურტელი ოქრომჭედლის მალაზიაში.

— ღმერთმანი, თქვენ ქართველები ხართ. — აკანკალებული ხმით გაიმეორა უცნობმა.

— დიას ბატონო, ჩვენ ქართველები ვართ. — აღარ დაუგვიანა პასუხი უკვე გამორკვეულმა და დაინტერესებულმა ტაშირელმა.

ამის თქმა იყო და უცნობი მამაკაცი იქვე, ქუჩაში, ორთავეს სათითაოდ გადაეხვია და გულმზურვალედ გადაკოცნა. ვამუღლებმა ნიაზით დაიწყეს მათკენ ცქერა, მაგრამ აღელვებულმა უცნობმა მათ ყურადღება არ მიაქცია. ხანგრძლივი ხვეწნა-კოცნის შემდეგ თვალებიდან სიხარულის ცრემლები მოიწმინდა და ზანდაროვს და ტაშირელს თავისი თავი გააცნო:

— თავადი ვოსტაშაბიშვილი ვახლავარ!

ახლად ვაცნობილნი ლუქაემბურგის ბაღში ვრძელ სკამზე ჩანოსხდნენ და დიდხანს იმასლაათეს. მერე ახლომანლო ქუჩებში უთავბოლო ხეტიალს შეუდგნენ. ბოლოს ვახტანგ ტაშირელმა რივოლის ქუჩისკენ გაუხვია და ლუვრში შევიდა; თავადი ვოსტაშაბიშვილი და გრიგოლ ზანდაროვი კი კარუსელის ხიდზე გავიდნენ და მდინარეს რომ გადახედეს, ერთდროულად გაჩერდნენ, ხიდის რიკულთან ვაშემდნენ, თვალი ვაუშტერდათ და სენას ისე დააკერდნენ, როგორც მტკვარს აცქერდებოდნენ ხოლმე.

4. პრივოლ ზანდაროვის პარიზული სასტუმრო

მოელი პარიზი ქსანას, როგორც ხელის გულზე, სამინელი მშვენიერი ქალაქი არის. გიორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“

რიზი დახვდა, ვიდრე გიორგი ერისთავს.

XIX საუკუნის 40-იან წლებშიც პარიზი ოკეანე იყო, მაგრამ კიდევ უფრო გოლიათური ვახდა 50-იან და 60-იან წლებში. ამ დროს გაჩნდა ვრცელი მოედნები, ლარიებით გაჭიმული და განიერი ქუჩები. ახალი ბულვარები. სულ სხვა იყო პარიზი ბალზაქია დროს, 40-იან წლების დამლევამდე.

მონმარტრზე ქარის წისკვილები ბრუნავდნენ, ხოლო ქალაქის შუაგულში ვენახებზეც შეხვდებოდათ.

ღრმად მოხუცებულ პარიზელებს კარგად ახსოვდათ ძველი პარიზის სოფლური სურათები.

იქ, სადაც ელისეს მინდვრები იწყებოდა, რუფრის ტყე შრიალბდა. ეს ტყე ბულონის ტყის ნაშთს წარმოადგენდა. ვენსენის ტყის ნაშთი იყო ბონდის ტყე ბასტილიის ნაალაგარის მახლობლად. მათ შორის გადაჭიმული იყო ველები, მინდვრები, მდელოები, ბუჩქნარი, ბაღები, ვენახები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელი ამ სოფლური პარიზიდან ცოტა რამ იყო გადარჩენილი.

ხილის ბაღების გაკაფვას პარიზში XVI საუკუნის მეორე ნახევარში შეუდგნენ. დედოფალი მარკოს ბრძანებით გაკაფეს ლეღების დიდი ბაღი, რადგან ის დაბრკოლებას უქმნიდა მისი ეტლების სწრაფ მოძრაობას. ხეხილის ბაღებს თანდათან დეკორატიული პარკები ცვლიდა. ამ მხრივ ერთი პირველთაგანი იყო ლუქაემბურგის სასახლის შემოგარენი. მარია დე მედიჩიმ ლუქაემბურგის ბაღის შადრევნებისათვის ახალი ვიადუკი გააყვანიდა (რიგით მესამე პარიზის არსებობის ვრძელ მანძილზე). ფრანგი არისტოკრატები უპირატესობას ახლა მარადმწვანე ნარგავებს, გადაკრეჭილ ბუჩქებს და დაბურულ ხეივანებს ანიჭებდნენ. ზედიზედ იჩეხებოდა ბაღები, ვენახები, ალუბლის ქუჩაზეც ამოიძირკვა მონმორანსის მშვენიერი ალუბლები. მათ აღვილს იქერდნენ ის სა-

გრიგოლ ზანდაროვს სულ სხვა პა-

სახლები, ტაძრები და სახლები, რომელთა არქიტექტურული ანსამბლი XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მაგრამ პარიზის ნამდვილი ურბანიზაცია მხოლოდ ლუი XVI დროს დაიწყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თვალა და ხელს შუა გაჰქრა პარიზის განთქმული ხილის ბაღები და ვენახები. იგივე დაემართათ ველებს, მინდვრებსა და ტყეებს. მათი სახელები იმ ქუჩებსაა შერჩათ, სადაც წინათ ისინი ერთიმეორეს გაგრძელებას წარმოადგენდნენ. მრავალსართულიან სახლებს შორის თითქმის ერთმანეთია გვერდით აღმოჩნდნენ: მცირე ველის ქუჩა, ველის ქუჩა, ტყის ქუჩა, ტრამალის ქუჩა, ვენახების ქუჩა, ბაღების ქუჩა, მწვანე ხეების ქუჩა, ბილიკის ქუჩა, ატმის ქუჩა, აღუბლის ქუჩა და მისტანანი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარშივე მეზაღეთა ქონახებზეა, საბძელბოსლების, თავლების და ფერმების მაგიერ სწორი ქუჩები ვაიმართა და მაღალ-მაღალი სახლები წამოიშობათ.

ცოტა უფრო ადრე დაიწყო ქუჩის სახლების ნომერაცია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა ახალი რაიონები, მუშათა გარეუბნები. მოსახლეობა მატულობდა. პარიზის ზრდის ერთ-ერთი შედეგი იყო მამა ლაშეზის სამფლობელოს (1804 წლამდე გასართობად და დროს გასატარებლად რომ ჰქონდათ მოქიფე ქალებსა და კაცებს) სასაფლაოდ გადაქცევა.

იმვე საუკუნის 30-იან წლებში პარიზი პირველად განათდა გაზის ფარნებით.

პარიზი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა იმას, რასაც ბ.ლზაკი ოკენეს უწოდებდა.

მაგრამ ჯერ ისევ არსებობდა პატარა მოედნები, ვიწრო, ბნელი და იკრი-ბოკრო ქუჩები. ივლისის რევოლუციის გამარჯვების მიზეზად იმას თვლიდნენ, რომ ვერ მოხერხდა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებსა და ქუჩაბა-

ნდებში ზარბაზნების გადაადგილება და ჯარისკაცების სწრაფგაწინაგება.

ამ ვიწრო და იკრი-ბოკრო ქუჩებშია გრიგოლ ზანდაროვს რაღაც მშობლიური რამ ახსენდებოდა და გული უნათლებოდა (მონპარნასის აღმართს ჩუღურეთს ეძახდა, ხოლო მისი მაღლობიდან დანახულ სენას და ნოტრ-დამს მტკვარსა და წმ. ნიკოლოზს). საერთოდ კი, თავა პარიზში თავისუფლად გრძნობდა. თარჯიმანი მაინც უნებოდა არ სჭირდებოდა, რადგან პარიზელებს ყველაფერს აგებინებდა და მათგან ყველაფერს გებულობდა. ცხოვლიოს ამ დედაქალაქის მცხოვრებლებს ყველანაირი ფრანგული სათვის ყური ეკვსე ჰქონდათ შეჩვეული, რომ ადვილად უგებდნენ ფრანგულად მოლაპარაკე ბრაზილიელსაც და სპარსელსაც, ალკირულ არაბადაც და კონგოელ ზანგსაც.

ზანდაროვი ხშირად იცვლიდა სასტუმროებს და დაქირავებულ ბინებს. ტაშირელი კი მონმარტრის იმ ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც მისი კერპი შარლ ფურიე იყო დაბინავებული. სენ-პიერის ქუჩა ბირჟის რაიონში მდებარეობდა. ტაშირელი ბირჟის შენობას წინ ისე არ გაუვლიდა ხოლმე, რომ ფურიეს ნათქვამი არ გახსენებოდა: საზოგადოებრივი აზრის კომპასი ახლა ბირჟის ციებცხელება და სპეკულაცია არისო.

მონმარტრიდან მომავალი ვახტანგ ტაშირელი სიტყვადან მომავალ გრიგოლ ზანდაროვს თავს უკრავდა, მაგრამ ხელს არასოდეს არ ართმევდა. ზანდაროვს ეს აინუნში არ მოსდიოდა და, ალბათ, არც ამჩნევდა. გართული იყო. თავისი თარჯიმანი მხოლოდ მაშინ აკონდებოდა, როცა გარიგების ან კორესპონდენციის ტექსტის შედგენა სჭირდებოდა.

ტაშირელს პარიზში ხეტიალი მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. გარშემო უვლდა პარიზის შემოგარენის ტყეებს, მის მოედნებსა და ქუჩებს. მის ყოველ კუნძულს და კუთხეა

ინტერესით ათვალეობდა. დიდხანს რჩებოდა იმ ეკლესიებში, რომელთა კედლებზე ძველი ოსტატების სურათები ეკოდა. ყურადღებით უკვირებდა ყველა ღირსშესანიშნავ ძეგლს, ყველაფერს, რაც წარსული დიდების მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა. მუშტრია თვალთ უყურებდა ძველად და ახლად ნაგებ შენობებს, პარიზის განთქმულ ხიდებს, რომელთა სახელები პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით იცვლებოდა. პარიზული განათლებით და რევოლუციური ნაანდერძეებით აღფრთოვანებულს ასე ეგონა, რომ ამ საკვირველ ქალაქს თავზე რაზეღე დე სობონას და მაქსიმელიან რობესპიერის ამრდილები დასტრიალებდნენ.

პარიზში ხეტიალის დროს თარჯიმანი თბილისელ ვაჭარს ხან სად ხვდებოდა და ხან სად. პარიზის თითქმის ყველა ნაწილში ან მის მახლობლად მდებარე ქალაქებში. ერთხელ სენის სანაპიროებზე სეირნობისას, არკოლის ხიდიდან ლუი-ფილიპეს ხიდამდე, მან სულ ასეაღასხვა ადგილზე მოჰკრა მას თვალი. ერთხელაც ტიულრიის ტერსიდან გარკვევით დაინახა, თუ როგორ მოეგვანა იგი ერთი არისტოკრატიული გარეგნობის ქალს. ისინი ლუი XIV მოედანზე ეტლში ავიდნენ და თვალს მიეფარნენ. რა თქმა უნდა, თბილისელ ვაჭარს არც ეკლესიების ძველი სურათები ანტერესებდა, არც მუზეუმები, არც ბიბლიოთეკები, არც ისტორიული და რევოლუციური ღირსშესანიშნაობანი. მისი პარიზში მოგზაურობის საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ სრულიად სხვადასხვა ძისამართებო ჰქონდათ იმ ქალებს, რომელთაც იგი ეტორდიალებოდა და ისევე დასდევდა უკან, როგორც ფირუზა ზანდაროვი რომელიმე ლამაზმანს თბილისის მტკრიან ქუჩებში.

იმ დღესაც ტაშირელი ზანდაროვის იენას ხიდზე ცხვირწინ შეეფეთა და თვალს არ დაუჯერა. მას ცამეტ-თოთხეტი წლის გოგო ახლდა. ზედია მოაჯირს ხმამაღალი ლაპარაკით მოსდევ-

დნენ, ზოგჯერ ჩერდებოდნენ და ხიდის რიკულზე დაყრდნობილი ზანდაროვი გოგოს გატაცებით რალაცას უყვევოდა.

გოგო მაღალი იყო და ტანწერილი, ლურჯთვალეა და ქორფლიანი. თავზე ლურჯბაბთიანი ყვითელი ჩალის ქუდი ეხურა, ინდური მუსლინის ჭრელი კაბა ეცვა; ფერხითი ზავერდის ალისფერი სატინით გაწყობილი ლამაზი ფესხაც-მელები. ტაშირელს თავში იმ აზრმა გაუელვა, რომ ყველაფერი ეს, თავიდან ფეხებამდე, რაც ამ გოგოს ეხურა და ემოსა, ზანდაროვის ფულით იყო ნაყიდი.

პარიზში მრავალი მცირეწლოვანი გოგონა შეძობდა. ეს აღარავის უკვირდა. რომელიმე ფრანგი არისტოკრატის მემუარებიდან ტაშირელმა ისიც იცოდა, რომ ლუი XV პარამხანაში რვა და ცხრა წლის გოგონებიც იმყოფებოდნენ, მაგრამ წიგნში წაკითხულს მასზე ისეთი შთაბეჭდილების მოხდენა არ შეეძლო, როგორც ახლა ამ ნორჩი, პირზე რქმუქურბოვანი გოგოს ყურება ახდენდა. უნდოდა საჩქაროდ გასცლოდა მათ, მაგრამ ერთხელ კიდევ განიცდიდებელი მოძალბებულმა ცნობისმოყვარეობამ შეაჩერა.

მის წინ არაჩვეულებრივად შთაბეჭედივი გარეგნობის ლამაზი მამაკაცი იდგა. მოხდენილი კაცი პარიზში გასაკვირი არ იყო (სიესი მართალი იყო, როცა ამას ამბობდა), მაგრამ წელგაწყობილი ზანდაროვი თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით გამველელ-გამომველეთა ყურადღებას ყველგან იქცევდა.

ტაშირელს არ შეიძლებოდა არ შეენიშნა, რომ ელევანტური თბილისელი ვაჭარი უფრო უხდებოდა პარიზს, ვიდრე მოუხეშავი და ტლანჭი სამების ეკლესია (ეს ეკლესია, მოუხეშავად იშისა, რომ სასტიკად ამახინჯებდა ახალ არქიტექტურულ ანსამბლს. აუღებელი დარჩა პარიზის გენერალური რეკონსტრუქციის დროსაც).

ტაშირელი კიდევ უფრო გააოცა იმან, რომ ზანდაროვი უფრო სწრაფად

ლაპარაკობდა ფრანგულად, ვიდრე თვითონ — ვოლტერის ფრანგულზე გაზრდილი ინტელიგენტი და მოსკოვის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი. მართალია, ზანდაროვი აუარებელ შეცდომას უშვებდა, მაგრამ ფრანგი გოგონა ისე გულიანად კისკისებდა, რომ ეტყობოდა თავისი კავალერის არცერთი სიტყვა არ ეკარგებოდა.

როცა ვახტანგ ტაშირელი მათ ბოდიშის მოხდით გამოემშვიდობა, გოგონამ სერიოზული სახე მიიღო. უცხო ბატონის გამოსათხოვარ ფრაზაში მან აუზღვრეველი ფრანგული აღმოაჩინა და მისდამი პატივისცემის გრძნობით განიშჰვალა.

ა. გრიგოლ ზანდაროვის პარიზული ცხოვრება

(გაგრძელება)

მე აღბათ ისე მოვეცდები, როგორც პარიზის, ოთახის იმ ქონით (ქრამიტით), რომელსაც მეხუთე საათის ფანჯრიდან უკბოლო ღედებერი გაღმავდებს.

სტიქიალი, „ლუსიან ლენინი“

პარიზში სხვა თბილისელი ვაჭრებიც იყვნენ. თითოეულ მათგანს ვახტანგ ტაშირელი კარგად იცნობდა, რადგან ზოგჯერ მათ თარჯიმნად უდგებოდა ზანდაროვივით ნატიფი არავინ იყო. რუმბივით დამსხვილებული სოვდაგრები ზანტი მიხვრა-მოხვრით დაიზღაზნებოდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ დიდგაჭრის კაბის გახდა. პარიზის ბულვარებზეც ისეთივე თავმოწონებით აფრიალებდნენ ყურთმაჯებს, როგორც თბილისის ყაფანზე. ისინიც ათასნაირ ზიზილ-პიპილოებს ყიდულობდნენ. საქონელს მარსელში ხომალდებზე ტვირთავდნენ და ტრაპიზონისკენ ან რედუთ-კალესკენ მიეშურებოდნენ. ბევრ თბილისელ სოვდაგარს ეს გზები უკვე ბატკანპილი ჰქონდა, რადგან თბილისში მღარიბული საქონლის მუშტარი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

გრიგოლ ზანდაროვი პარიზიდან ფეხს აღარ იცვლიდა. არც ფირუზა აჩქარებდა. რასაც უმცროსი ზანდაროვი პარიზში დიდი მოგებით ყიდულობდა, იმას

უფროსი ზანდაროვი თბილისში დიდ მოგებით ჰყიდდა. ხომალდებზე გზავნილი ბართით (საქმიან მარაგში) სტრეთი ლიზას და მიეკო კურტანიძის „პირზე კოცნა და მოკითხვა“ იყო დაეწეული) ფირუზა ფორტეპიანოსთან და ნაირ-ნაირ ავეჯთან ერთად ქალის ქუდების, ბაბთების და თვით ქინძის-თავების გამოგზავნას მოითხოვდა. გრიგოლი ყველაფერს უკლებლივ შოულობდა და თბილისში გზავნიდა.

სხვა სოვდაგრებივით იგი საქონელს რედუთ-კალეს ვარდა ტრაპიზონისკენაც ისტუმრებდა. აქ მისი კონტრაგენტი იყო არზრუმელი სომეხი არშაყ ბერბერიანი, რომელსაც თავრიზის გზით ზანდაროვების საქონელი თბილისში შეჰქონდა. აქ მის რეალიზაციას ფირუზა ზანდაროვი ახდენდა. ნაწილს კი, უმთავრესად ქსოვილებს, ჩრდილოეთ ირანის ქალაქებში არშაყ ბერბერიანი ასაღებდა.

გრიგოლ ზანდაროვი დღისით მაღაზიებსა და ფაბრიკებში დარბოდა საღამო ხანზე დიდ ბულვარებზე დასეირნობდა და აკვირდებოდა ყველას, ვინც კი გემოვნებით იყო ჩაცმული და ბატონკაცური იერით გამოირჩეოდა. უფრო ზიზიად ოპერის პასაჟის და პალე-როიალის მომჯნავე ქუჩებში ტრიალებდა. გემოგახსნილი ვაჭარი ბულვარებზე, კაფე-რესტორანებში, სამორინეში (მომამაშეთა ყურებით ერთობოდა, თვითონ კი არასოდეს არ თამაშობდა), არისტოკრატიულ უბნებსა და თეატრებში ითვისებდა დახვეწილ მანერებს.

ლამ-ლამობით გაზით განათებულ პარიზში სიარული უყვარდა, გაზის ფარნების გრძელი, დაუსრულებელი მძივების ციმციმს აღტაცებული გასცქეროდა და იმ დღეს ნატრობდა, როცა მისი საყვარელი თბილისი პატარა პარიზად გადაიქცეოდა.

თბილისელი არისტოკრატები და გამდიდრებული მოქალაქენი მღარიბულ გემოვნებას ისე ითვისებდნენ და იქაურ ფუფუნების საგნებს ისეთნაირად ეტა-

ნებოდნენ, რომ ამ ნატერის ახდომას ბევრი აღარაფერი უკლდა.

გამრჯე და თადარიგიანი გრიგოლ ზანდაროვი მოგების წყურვილს ვეღარ იკლავდა.

მაგრამ ვაჭრის გრძელ გზას ფათერაკი და ხიფათი მუდამ თან ახლდა.

ეს ფათერაკიც ისევე მოულოდნელად მოხდა, როგორც ყოველგვარი ფათერაკი ხდება.

პარიზში სავაჭროდ ჩასული თბილისელი სოცდაგრები პოლ ნიკეს სამიკიტნოში თეთრ ლენოს და თევზს მიეძალნენ. ზარფუხელი ოსეფა ცხრაპერანგაშვილი ატლანტიკის ოკეანეში დაქვრივლ თევზს ისეთნაირად მიაძღა, რომ დარეტიანდა და სულის მოსაბრუნებლად გარეთ გაღასღასდა. ქუჩაში სახლების რიგს გაჰყვა და უშველებელი ბაღდადით სან აწეწილ ქოჩორს იმშრალეზდა, ხან ოფლით დასველებულ პირსაბებს და გარმონივით დაკეცილ კისერს. ამ დროს ერთ-ერთი სახლის სახურავიდან კრამიტი გადმოვარდა, თავზე დაეცა და იქვე სული გააფრთხოზინა.

თბილისელი სოცდაგრები ამ ამბავს უდრტვინველად შეხედნენ და მხოლოდ თავის ქნევით გამოხატეს თავიანთი სინანული. გასაკვირი აქ არაფერი იყო: ისინი ჯერ კომერსანტები არ იყვნენ და გულადობით შუა საუკუნეების იმ მოგზაურ ვაჭრებს ჰგავდნენ, რომელთაც ათასნაირი გაქირეების და განსაცდელის გადატანა უხდებოდათ და უდაბნოებსა და ზღვებზე გაკეებულნი შეუპოვარი სულისკვეთების თვისებებს და ტიტანურ ნებისყოფას აქლემის ზურგზე დახომალდის ბაქანზე იძენდნენ.

ყველაზე მეტად თავი გრიგოლ ზანდაროვმა გამოიღო. ვახტანგ ტაშირელს არც ეს გამოჩენია მხედველობიდან. ამჟამად ჩანდა, რომ თბილისელი ვაჭრების მეთაური პარიზში ის იყო ან ასეთად ეგულებოდათ. პოლიციაშიც ის გაიქცა იერუსალიმის ქუჩაზე (აქტებში გარდაცვლილი ოსეფა ცხრაპერანგა-

შვილი ეოზეფ ცარპეროვად ჩაწერეს). რუსეთის პარიზის საკონსულატშიც მან მოაწესრიგა გარდაცვლილს მხედველობის ქაღალდები და ქონების ნუსხები. ოსეფა ცხრაპერანგაშვილი მონპარნასის სასაფლაოზე დამარხეს. წესი პარიზის სომხური თემის მღვდელმა აუგო პირჯვარი ზოგმა ქართულად გადაიწერა, ზოგმა სომხურად. ქელეხი კი ბერძენი დიმიტრიოს პაპანდოპულოს რესტორანში ისეთი ღრეობით გადაიხადეს, რომ ქულები სულ ქერსა ჰქრეს.

სუფრის თავში თამადად გრიგოლ ზანდაროვი იჯდა, მარიფათიანად ირქებოდა და უკვე კარგა მაგრად შეზარხოშებული სოცდაგრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ზანდარაანთ გრიგოლი თამალობით სახელგანთქმულ კონა ფალავანდოვს ტოლს არ დაუდებდა.

სუფრაზე აუარებელი ხორავი ეყარა, მაგრამ არცერთმა სოცდაგრმა თევზს პირი არ დააქარა.

6. სპარბში მანძანა

წველით იმ დღესვე საცერავების მაშინების სანახავად.

გიორგი ერისთავი, „ზემი მოგზაურობა ვეროპოში“

გრიგოლ ზანდაროვმა სხვა მხრივაც გააკვირვა ვახტანგ ტაშირელი.

იმ დღეს მას გრიგოლმა სენ-ანტუანის ქუჩის დასაწყისში მოჰქრა თვალი. ტაშირელი ბასტილიისაკენ აპირებდა გახვევას. შადრეენის პირდაპირ გრიგოლმა ხელით ანიშნა გაჩერებულიყო. ფაცხაფუცხით მიიბრინა მასთან და სახეგაბრწყინებულმა მიაძახა:

— დაიცა. დაიცა, ვახტანგჯან, ერთი რამე უნდა გაჩვენო.

მოუხე-მოუხეიეს და ერთ დიდ მალაზიას მიადგნენ. აქ ზანდაროვმა თავის თარჯიმანს ხელკავი გამოსდო, მალაზიაში შეიყვანა და საცერავი მანქანის წინ დააყენა.

— ერთი უყურე, ვახტანგჯან, რანაირად მუშაობს.

მალაზიის პატრონს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა:

— გვიჩვენეთ, ბატონო, როგორ მუშაობს თქვენი მანქანა.

მალაზიის პატრონმა მანქანა აამუშავა და თან განმარტა:

— საკერავი მანქანა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ვილას ახსოვს ისუბადრუკი მოწყობილობა, რომელიც 1755 წელს ინგლისში ვიზენტალმა გამოიგონა. დიდი ღირსების არც 1804 წელს საფრანგეთში დამზადებული ის მანქანა იყო, რომლის პატენტი სტონმა და ჰენდერსონმა მიიღეს. არა უჭირდია 1829 წელს ტიმონიეს მიერ დამზადებულ მანქანას, რომელიც ქსოვილს ერთი მიმართულების ჯაჭვისებურ ხაზზე კერავდა. სასარგებლო აღმოჩნდა მადერსპეგერის გამოგონებაც. მან გამოიგონა ნემსი ყუნწიანი ბოლოთი. ამ ნემსის გაუმჯობესებაზე მუშაობდნენ ფიშერი, ვიბსონი და ჰანტი. ესლა ჩვენ უკეთეს მანქანებს ვყიდი და, ბატონებო, გირჩევთ მათ შეძენას. თუმცა საკერავი მანქანები სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ამბობენ, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიძლება აღმოჩნდეს ვიბსის, ზინგერის და ვილსონის მუშაობა.

— ფეხსაცმელების საკერავ მანქანაზე რაღას იტყვიან? — ისევ ჩართო სიტყვა ზანდაროვმა.

მალაზიის პატრონმა თავისი ნოქრის დახმარებით ახლა ფეხსაცმელების საკერავი მანქანა აამუშავა და მისი გამოგონების ისტორია ისევე კრცლად აღწერა და დაახასიათა, როგორც ქსოვილების საკერავი მანქანის გამოგონება.

— ფეხსაცმელების საკერავი მანქანა, — თქვა მან, — უფრო გვიან გამოიგონეს, დაახლოებით ამ ორმოცდაათი წლის წინათ. 1790 წელს სენტმა მიილო პატენტი ფეხსაცმელების შესაკერავ მანქანაზე. ათი თუ თხუთმეტი წლის შემდეგ მისი გაუმჯობესება სცადეს სტონმა და ჰენდერსონმა. ქსოვილების საკერავი მანქანის მსგავსად ფეხსაცმელების საკერავი მანქანაც, რაც დრო ვადის, მით უფრო უმჯობესდება. რომელ მანქანას ინებებთ, ბატონებო.

მერწმუნეთ, ორსავე შემთხვევაში კმაყოფილი დარჩებოდა. მალაზიიდან გამოსვლისთანავე ზანდაროვმა ტაშირელს მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა:

— თავში თბილისში ფეხსაცმელების ფაბრიკის გახსნის აზრი მიტრიალებს. ფეხსაცმელების საკერავი მანქანა ხომ ვნახეთ, მამ რაღა გვიშლის ხელს?

სიტყვა ველარ დაამთავრა. მათ წინ ლურჯბლუზიანი ფრანგი მუშა აიტუზა. ასოთამწყობი იყო. მას ტაშირელი „რეველ ინდეპენდანტის“ კითხვის დროს გაეცნო სენ-დენის პატარა სამკოთხველოში.

ლურჯბლუზიანი გადაკრული ჩანდა. მან მხიარულად ჩაუტრა თვალი ტაშირელს. ზანდაროვის მალალ შეაპრიალა ცილინდრს მიაჩერდა და პოლკოვნიკის რიხით შესძახა: მოუხადე ცილინდრი ჩემს ქელდა, დაიჩოქე მუშის წინაშე!

ტაშირელს გაუცინა, შეტრიალდა და თავისი გზა განაგრძო.

ზანდაროვი მას დაძაბული უყურებდა. უფრო სივრცეს უთხრა, ვიდრე ტაშირელს:

— არა, ფაბრიკის გახსნის საქმე კარგად უნდა აეწონო-დაეწონო, პუტკივიარი თავი რაზე უნდა ავიტკივო? ისევ ისა სჯობს აქ იფად ნაყიდი იქ ძვირად გაეყიდო. რა მეჩქარება? კასტელას მაგალითი წინ არა მაქვს?! მუშები საიდან უნდა მოვიყვანო, როცა გლეხებს ქელზე ბატონის უღელი აქვთ დაღამული? არა, არა, მტკვარზე ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ თბილისშიც ამისთანა ლურჯბლუზიანები გაჩნდებიან. თუ ვეღირსე, ქელს ვერც იქ მომხანდევიანებენ. მაიცა, მაიცა, ის რაც ჯერ არ არის იმაზე რათ ვლაპარაკობთ?

ისევ გამხიარულდა, ტაშირელს გაახსენა:

I XIX საუკუნის 40-იან წლებში პარიზში გავრცელებული სიმღერის ტრანკრიპცია.

— კაცო, თავად ვოსტაშაბიშვილს სტუბრობა არ დავბირდით? როდის ვეწვიოთ ვახტანგვან?

პაემანი დათქვეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

7. ოცნება და სინამდვილე

მიმსახურეთ! აჰ, მე მარადეამ ვიქნები თქვენი მალღობელი.

ფლორა ტრისტანი, „მუშათა კავშირი“

ტაშირელი დიდხანს დაფიქრებული იდგა. თვალები მსრბოლავ ეტლებზე უშტერდებოდა. ფიქრით კი ზანდაროვზე ფიქრობდა. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა მას, მით უფრო გაოცებული რჩებოდა.

ზანდაროვი მასში ცნობისმოყვარეობასაც აღვიძებდა და დაუოკებელ სიძულვილსაც.

როცა იგი თავისი ქვეყნის მომავლის განწვერტას ლამობდა, მის აღორძინებას და წარმატებას ყოველთვის გრიგოლ ზანდაროვს უკავშირებდა. დღევანდელი სოფდაგარი მას ხვალისდელ ფაბრიკანტად მიაჩნდა. ფულის ამ უბრალო დამკროვებელს ქორვაკრისჩარჩის, მევახშის და მოვზაური ვაჭრის თვისებები იმ მომეტში უნდა დაეკარგოდა, როცა ფუფუნების საცნების მყიდველთა გვერდით იაფი და ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მომხმარებლები დიდი რაოდენობით გაჩნდებოდნენ. ასე მოხდა დაწინაურებულ ქვეყნებში. ასევე უნდა მომხდარიყო საქართველოშიც. რას მოუტანდა გრიგოლ ზანდაროვი ხალხს? ადამ სმირის თხზულების ფურცლებზე დაფიქრებულ ვახტანგ ტაშირელს პასუხი მზად ჰქონდა: ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად სილატაკესა და უსამართლობას. ეს ისტორიის გარდუვალი, უღმობელი კანონი იყო. მაშასადამე,

მისი ქვეყნისათვის ზანდაროვთან ერთად ფურიეც იყო საქირი ტაშირელმა ამაყად ასწია თავისი კვადრატული პარის წყალობით მან თავისი მოვალეობაც აღმოაჩინა.

გაიღიმა.

ზანდაროვის მიდრეკილებების და ტაშირელის მისწრაფებების შეთანხმება შეუძლებელი იყო.

უკვე ახლა, როცა ჰეგელის ახალგაზრდა მოტრფიალის ფიქრები წინ უსწრებდნენ მისი ქვეყნის მომავალ და აუცილებელ მოვლენებს, ისინი უკვე მტრები იყვნენ.

ამგვარ დასკვნას იგი მხოლოდ წაკითხული წიგნების მიხედვით არ აკეთებდა. ამასვე უკარნახებდა მას დასავლეთ ევროპაში ნანახიც და განცდილიც. გოტფრიდის ვაცნობამ და მისმა თვითმკვლელობამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. გოტფრიდსაც მაინის ფრანკფურტში ის აწუხებდა რაც ტაშირელს მოსკოვში. მაგრამ არც პარიზში, სადაც უკვე ორი რევოლუცია იყო მომხდარი, ადამიანები, აშკარად ჩანდა, უფრო ბედნიერად არ გრძნობდნენ თავს, მაშ სადღა იყო ბედნიერებისა და ურთიერთნდობის კემარიტი ნავთსაყუდელი? სად იყო ადამიანი ნამდვილად თავისუფალი? კონსტიტუციური უფლებების მიუხედავად ადამიანი დამკირებელი, დამდაბლებული და აუტანელი შრომით გაყვლეფილი იყო თვით ისეთ ქვეყნებში, სადაც რევოლუციები სამი საუკუნის მანძილზე ერთიერთმანეთს მისდევდა. ნიდერლანდებში, ინგლისსა და საფრანგეთში. მაშ რა არის საქირი, რათა ადამიანმა მისი შესაფერისი ღირსებით იშრომოს და იცხოვროს — კითხულობდა ტაშირელი და პასუხს სენ-სიმონის და ფურიეს წიგნებში პოულობდა. ამიტომ ადამიანთა ბედნიერების საწინდრად თანხმობასა და თანასწორობაზე დამყარებული საზოგადოების შექმნა მიაჩნდა.

დიდი ქალაქების ქუჩებში ხშირად ხედებოდა იგი დამშეულ და დაღვრე-

¹ ფლორა ტრისტანი — ფრანგი ფურიერისტა ქალი. შარლ ფურიეს თეგადიდებული თაყვანისმცემელი.

მილ აღამიანებს ან აღზნებულ ბრბოს, რომელიც მოედნებზე პურსა და უფლებას მოითხოვდა, ხოლო პოლიცია ხმლებითა და მათრახებით ფანტავდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ნაოცნებარი ევროპა სულ სხვა აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა.

ერთხელ მის თვალწინ ვიღაც ყმაწვილი კაცი ფარნის ბოძზე აცოცდა, ზედ იაკობინელის ქუდი დაკიდა და ხმაშლიდა დაიყვირა: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ ამის გამგონე ტაშირელს თვალები აენთო, ახალგაზრდა რესპუბლიკელს აღტაცებით დაუწყო ყურება და მზად იყო, თუ ბრძოლა გაჩაღდებოდა, სიცოცხლე რევოლუციისა და რესპუბლიკისათვის გაეწირა.

— მე რევოლუციის მოწმე ვხდები!

წამოიძახა ალღევებულმა ტაშირელმა და ასე ეგონა პარიზის გმირი ხალხი დაუყოვნებლივ აღსდგებოდა, ქუჩის ქვაფენილს აპყრიდა, კასრებს მოედანზე გამოაგორებდა და ბარიკადებს აღმართავდა „მარსელიოზის“ გუგუნში. მამაცი რესპუბლიკელი ქანდარმებმა ფარნიდან ჩამოათრიეს, მაგრამ ბრბომ იგი განათავისუფლა. ამ შემთხვევის შემდეგ ტაშირელმა დამბაჩა შეიძინა, რითაც ძალზე გააოცა ზანდაროვი.

ტაშირელი რესპუბლიკელებს გაეცნო და დაუახლოვდა. ბიბლიოთეკის ნაცვლად ახლა უფრო ხშირად ყავახანებში დადიოდა, წიგნი გაზეთით შეცვალა და ფიზიკად აკვირდებოდა პარიზის მღაბიო ხალხს, მის სულისკვეთებას და განწყობილებას. ყურადღებით ათვალეირებდა ლერჯბლუზიან მუშებს. დაეხეტებოდა მარეს უბანში, სადაც ლარიბ-ლტაკინი, საბრალონი და

განკაცხულნი ცხოვრობდნენ და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ. მშვენიერ სახეზე სასოწარკვეთილებას მშვენიერ ტანჯვა-წვალების დათრგუნვის წადილი და ბრძოლის წყურვილი აღბეჭდოდათ. ყავახანებში მის შეინახებად სტუდენტები, ხელოსნები, მუშები და ინტელიგენტები იყვნენ. მათთან საუბრის დროს მას სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ხალხის განთავისუფლება თვითონ ხალხის საქმე იყო, რადგან სიღარიბით და შიმშილით გამოწვეული ტანჯვა ხალხს ლიბოიერს ხდიდა, ხოლო უსამართლობის შეგნება არსებული წყობილების მტრად.

იმედსა და რწმენას კომუნისტური ბანკეტები უძლიერებდა. აქ ორატორები რევოლუციის მოახლოებას ღაღადებდნენ და ქარიშხალის ამოვარდნას ელოდნენ. გარეგნულად ეს ჯერჯერობით გიზოს მთავრობის დამხობის წინასწარმეტყველებაში ელინდებოდა.

უკეთეს მომავალს გზას მღაბიონი და განკაცხულნი უკვლევდნენ და არა ისინი, ვინც მდიდრულ ეტლებში ისხდნენ და ბრწყინვალე სასახლეებში ცხოვრობდნენ.

ამგვარი აზრები ეუფლებოდა ხოლმე ტაშირელს, როცა იგი სენის სანაპიროებზე დასეირნობდა ხოლმე.

დიდხანს სეირნობდა ნათელი ფიქრით და ოცნებით შთაგონებული.

სწამდა და სჯეროდა მღაბიოთა აღდგომა.

საბრალოთა ალაღება, განკაცხულთა ამაღლება, გაყველფილთა განთავისუფლება, სენას მზის უკანასკნელი სხივები თეთრწითლად ეფინებოდა.

პარიზი იისფერ ბინდბუნდში ეხვეოდა, ტაშირელი თავის ფიქრებში.

პარი მეთხუთმეტი

ეროვნული
გზალომთხუთმეტი

1. თამაზის სიზმარი

კახურის ღვინით აღვსილი
აზარფშაია ხელს გვეყურას,
მოთალი, თევზი, მწვანელი
აგვიპრავებდნენ წინ სუფრას.

გრივოდ ორბელიანი, „იარაღის“

იმავე საღამოს სენ-ჟერმენის უბნის მდინარულ პოტელში თავად ანდრეა-დარ გოსტაშაბიშვილს სტუმრად ეწვივნენ გრივოდ ზანდაროვი და ვახტანგ ტაშირელი. მათი მოსვლა თავადს მსახურმა ამცნო. გახარებული მასპინძელი სტუმრებს მოსაცდელ ოთახში გამოეგება. თანამემამულეებს ერთხელ კიდევ გადაეხვია და გადაეკოცნა. მერე დიდის ამბით შეიყვანა სტუმრების მისაღებ დარბაზში. თავადი ცქმუტავდა, იციზოდა, ხუმრობდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და პარიზში ციდან ჩამოვარდნილ თანამემამულეებს აღერსით ეუბნებოდა: „თქვენ გახარებხარ, ერთი კარგი ქართული გამაგონეთ, ერთი ჩვენებურად შესძახეთ და მასიამოვნეთ. ჩემი კნეინა რუსულს ძლივს კადრულობს, არათუ ქართულსა. გულს მუსიო ბროსეტთან ვიოხებდი, მაგრამ იმისმა „ჩუნემა“ გული გამიწყალა, თავი მომაბეზრა. იმის ლაპარაკზე კაცს ეგონება გადაშლილ წიგნს კითხულობსო. ეეჲო, თქვენ ამ ქალაქში საიდან გაჩნდით?“ წარამარა კითხულობდა თავადი.

მათი მოსვლით იგი გულწრფელად იყო გახარებული, მაგრამ თან შეშფოთებულად ჩანდა, მას აგონდებოდა, რომ ტაშირელი პატარა და უფერული აზნაური იყო, ხოლო ზანდაროვი ევაკარი.

თავადი გულს იმით იმშვიდებდა, რომ ამ საღამოს კნეინა გოსტაშაბიშვილი არ ელოდა რუს თავადებს და კნეინებს, ევროპელ გრაფებს და მარკიზებს, სამსახურიდან გადამდგარ გენერლებს და ყოფილ მინისტრებს, ელჩებს და

გამოჩენილ მოვზაურებს, სახელმოხვეპილ პოეტებს, მწერლებს, მუსიკოსებს და მხატვრებს. თავადი გოსტაშაბიშვილი ნატრობდა, რათა მის სტუმრებს სასურველი შთაბეჭდილება მოეხდინათ გოროზსა და თავნება კნეინაზე, რომლის უსიტყვო საყვედურის მას უფრო მეტად ეშინოდა, ვიდრე ზოგიერთ მორჩილ ქმარს კაპასი და ქირვეული ცოლის გაანხლებიხა.

— თავადო, ამ ქალაქში ცხოვრება რამ გაფიქრებინათ? — კითხვა ნიახით ტაშირელმა თავად გოსტაშაბიშვილს.

— ჩემმა კნეინამ, ეგ ბავშვობაში პეტერბურგსა და პარიეს იზრდებოდა და თბილისში ვერ გასძლო. აქ დავსახლდით საცხოვრებლად. ვეჲო, ვერაგზით ვერ დავიყოლიე, ვეხვეწები, მაგრამ აქედან ღუხს აღარ იცვლის. ტალახიან თბილისში ცხოვრება არ უნდა. მე კო ვერ წარმოიდგენთ, რანაირად მომენტრა ჩვენი მტკვარი, ჩვენი თბილის ქალაქი. როგორ, უფალო ვახტანგ, თქვენ არც საქართველო გინახავთ და არც თბილისი? მაჲ, უფალო გრივოლს კითხვით, ეგ გეტყვით ჩვენი ქვეყნისსა და ქალაქის სილამაზეს. ჰა, უფალო გრივოლ, რა სჯობია მტკვარზე, წისქვილებთან, ტივზე ქეიფს? ორთაჲლის ბაღებში დილით დუდუკის საარს ლაზათიან დროსტარებაში სათარას სიმღერების მოსმენას? ესლა კინტოების იარაფებს არ იკითხავთ?! შუა ქეიფზე ცოცხალს სუფრაზე რომ ისვრიან და თან ეშხიანად იძახიან: „გაამოთ კნიაზებო, გაამოთ!“. იფ, იფ, იფ! ეეჲო, ამისთანებს კიდევ სადა ნახავ?

ზანდაროვსაც საღერლელი აეშალა, თვალეზგაბრწყინებული თავადს თავის ქნევით ეთანხმებოდა, მაგრამ სანამ თბილისის ბაღებში ქეიფებს გაიხსენებდა, მანამ მაიკო კურტანიძე დაუდგა თვალწინ თავის ჳახჳახა სიცილით. ზანდაროვს თბილისზე უფრო

მეტად თავისი საყვარლის ნახვა ენატრებოდა.

თავადმა ვაქრის პირწყლიანი სიცილი თავის მოგონებათა დასტურად მიიღო, ენად გაიკრია.

— ორთაქალიდან სატიომდე ბაღს ისე როგორ გაუშვებდი, რომ იქ სუფრა არ გამეშალა! — დაიტრაბახა თავადმა, — სატიოს ბაღში ყოფილხართ უფალო გრიგოლ?

ზანდაროვმა თავიც დაუქნია და ქალაქურადაც წამოსცდა:

— ვყოფილვარ რომელია, იქაურობა სულ აკლებული მქონდა!

თავადი შეკრთა.

ვაქრის კინტოური წამოძახილი არ მოეწონა.

კარებისაკენ ფრთხილად გაიხედა და გაინახა.

ზანდაროვიც უხერხულად შეიშმუშნა და ისევ პარიზული იერი მიიღო.

თავადი ახლა ტაშირელს მიუბრუნდა:

— თქვენც რუსეთში ბრძანდებით, უფალო ვახტანგ? მაშ, ჩემი კნენა გეცნობებათ?

— შეიძლება არ ვიცნობდე, მაგრამ გაგონილი კი მქონდეს. კნენა ვისი ასული ბრძანდება, თავადო?

— როგორ თუ ვისი, ვეკო?! ჩემი სიმამრი პოლკოვნიკი გახლდათ, თავადი დავით სავარსამიძე.

ნად თავს არ ზოგავდა. თავადის ასულის მოვლა-პატრონობამ თავისი გაიტანა, დაქრილმა მოიხედა, მომჯობინდა. ფეხზე წამოდგა. ყავარჯენებით თავადის დიდ ბაღში სეირნობა დაიწყო. თავადის ასული მას ყველგან თან დასდევდა. უფრო ხშირად მთავარ შადრევანთან ქვის გრძელ სკამზე სხდებოდნენ. თავზე კი ცელქი ამურების ქანდაკებები დაპყურებდათ მომარჯვებული მშვილდ-ისრებით. თავადის ასული ზოროდინოს ბრძოლის გმირს წიგნს უკითხავდა ან ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებზე ესაუბრებოდა. მათი ერთად ყოფნა თანდათან უსიტყვო ტრფიალში გადაიზარდა, ტრფიალი მგზნებარე სიყვარულში, სიყვარული კი ქორწინებით დამთავრდა. დავით სავარსამიძეზე დაქორწინებულ თავადის ასულს ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ თვითონ მუცელს გადაჰყვა. დადარდიანებული დავით სავარსამიძე მოგზაურობას შეუდგა. გოგონას კი გამდელად ქართველი დედაკაცი მიუჩინა, სავარსამიძეების ოჯახში გამდელადვე ნამყოფი, რომელიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. დავით სავარსამიძე ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდა. ზამთარს კი ყოველთვის პარიზში ატარებდა. მოგზაურობის დროს მას უკვე მოჩიტული ასულიც თან დაჰყავდა და ევროპულად ზრდიდა. მაგდა სავარსამიძემ ბრწყინვალედ იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ესპანური ენები. ქართულად მხოლოდ მამასთან და გამდელთან ლაპარაკობდა. ბევრს კითხულობდა. მამასთან ერთად თეატრებში დაიარებოდა და სცენაზე სახელგანთქმული მსახიობების თამაშს უყურებდა. მუსიკით, პოეზიით და მხატვრობით იყო გატაცებული. საუკეთესო მასწავლებლებთან სწავლობდა მუსიკას და ხატვას. შამაც ყოველნაირად ხელს უწყობდა მისი მიდრეკილებების და ნატიფი გემოვნების განვითარებას. ევროპის ყველა ქალაქში თავისი ასული მუზეუმებში დაპ-

2. თავადის ასულის თავგადასახალი

კომენდანტის ოჯახში ნათესავივით მაიძღეს.

ა. პუშკინი, „კაპიტანის ქალიშვილი“.

ვახტანგ ტაშირელს მამის ნამბობი მოაგონდა:

ბოროდინოს ველზე მძიმედ დაქრილ დავით სავარსამიძეს მოსკოვის მახლობლად ერთი რუსი თავადის ოჯახში უვლიდნენ. დაქრილ მხედარს თავადის ერთადერთი ასული დასტრიალებდა, უვლიდა, სარეცელიდან არ შორდებოდა, კრილობებს უხვევდა, მის სასთუმალთან დამეებს უძილოდ ატარებდა, მისი სიცოცხლის გადასარჩე-

ყავდა გამოჩენილი მხატვრების სურათების საჩვენებლად. არასოდეს არ აკლდებოდნენ სახელმწიფოები მუსიკოსების კონცერტებს. ნათესაურ გრძნობაზე უფრო მეტად მამა-შვილს წიგნის, მუსიკის და თეატრის სიყვარული აკავშირებდათ. დავით სავარსამიძე საკუთარი პირშმოს მშობელიც იყო და მეგობარიც. თვითონ ცოლს აღარ ირთავდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის. რათა მისი ერთადერთი მაგდა ცხოვრებაში ბედნიერი, კმაყოფილი და ნებაერი ქალი ყოფილიყო. უფრო გვიან ტაშირელმა მაგდა ვოსტაშაბიშვილისაგან გაიგო, რომ დეკაბრისტების დამარცხებამ დავით სავარსამიძე გულჩათხრობილი გახადა. ერთ აღვილზე ველარ ჩერდებოდა, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. ბოლოს ხანგრძლივი მოგზაურობა და ხეტიალი მობეზრდა. თავისი წინაპრების სამშობლოს ნახვა მოსწყურდა. საქართველოში იგი სწორედ იმ დროს ჩავიდა, როდესაც რუსეთის ჯარი ახალციხის ასაღებად იერიშს ამზადებდა. ძველ მხედარს გულმა ველარ მოუთმინა და ახალციხის აღებაში მონაწილეობა მიიღო. იერიშის დასაწყისში იგი თურქებმა მძიმედ დაჭრეს და ქრილობებისაგან სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როცა ახალგაზრდა ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს გამარჯვების ალაში ახალციხის რაბათზე აქონდა. მაგდა სავარსამიძე სულ მარტოდმარტო დარჩა. ამიერიდან მისი ერთადერთი მახლობელი ადამიანი მოხუცი გამძვლი იყო. ღამაზსა და მდიდარ თავადის ასულს ირგვლივ ახალგაზრდა ვაეები ეხვეოდნენ და შესტრფოდნენ. ზოგი მისი სიღამაზით იყო მოხიბლული, ზოგიც სიმდიდრით. მაგრამ რომანტიკული განწყობილების მაგდა სავარსამიძემ თავისი არჩევანით ყველანი განაცვიფრა. იგი ცოლად გაჰყვა ათი წლით უფროს ანდრუყაფარ ვოსტაშაშვილს. რომლის მთელი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოსადგეი შეხედულების და ვაკაცური გარეგნობის მამა-

კაცი იყო. ქორწინება უიღბლო გამოდგა. ასე განსაჯა წმ. გერმანოვსკი და რკობილმა ქინძისთავმა (ფრანგი) გასათხოვარი გოგონები იმავე მიზნით ურკობდნენ წმ. გერგის ტიკიას ცხვირზე ქინძისთავებს, რამიზნითაც თბილისელა გოგონები სუფსარქისის ღამეს საითეს მარილით ავსებდნენ და წუმს ინახავდნენ). ჩვილმეტი წლის მაგდა სავარსამიძეს გატაცება სიყვარულად მოეჩვენა. მისი ქმარი სრულიად გაუნათლებელი აღმოჩნდა. ამასთან მოუქნეული და ტლანქი გახლდათ, თუმც, ამავე დროს, უადრესად გულკეთილი, თვინიერი და მორჩილი იყო. თავრიზის აღებისას სახელგანთქმული ოფიცერი შინ ცოლის წარბის აწევაზე კრთებოდა. მაგრამ ბუნებით ამაყ მაგდას ქმრის მორჩილება უფრო მეტად აღიზიანებდა, ვიდრე სოფლის მღვდელთან გაუპირებული სწავლა და ყრმობისას ეკლესიაში დასწავლილი ყრობა. მაგდამ მოიწყინა. თეატრი, კონცერტები და მუზეუმები მოენატრა. კნინა მზუნთუნის (მანანა გერმანოვიშვილის მამიდის) სიოჯახო საქეტაკლებში მონაწილეობა მას არც ართობდა და არც კმაყოფილებას ჰგვრიდა. მხოლოდ მთავარმართველის მეჯლისები აგონებდა მას პეტერბურგის, პარიზის და ევროპის სხვა ქალაქების მეჯლისებს. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ მეჯლისებიც იშვიათად იმართებოდა თბილისში. ყველაზე ცნობილი ახალგაზრდა თავადები საჰყრობილეში იხდნენ, ამიტომ „ყაზარმობის“ დროს, როცა საზოგადოება რჩეული პიროვნებების დაპატიმრებით იყო შეშფოთებული, მეჯლისების გამართვა და მეჯლისებზე გამოჩენა ყველას უხერხულად მიჩნდა. მაგდამ მოიწყინა. ბოლოს ველარ მოითმინა და ქმარს გადაჭრით უთხრა — ან პარიზში საცხოვრებლად გაჰყოლოდა, ან განშორებოდა. ანდრუყაფარ ვოსტაშაშვილს ცოლთან გაყრა არ შეეძლო, რადგან ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თავი დალუნა და ცოლს იქ გაჰყვა, სა-

დაც იგი თავს სრულიად უცხოდ გრძნობდა.

პარიზში რუსები და ფრანგები მაგდას კნეინა გოსტაშაბოვას უწოდებდნენ, ხოლო ანდრუყაფარს თავად ანდრეი გოსტაშაბოვს.

ასეთი იყო თავად სავარსამიძის ასულის თავგადასავალი.

ამ თავგადასავლიდან ვახტანგ ტაშირელმა ზოგი რამ მამის ნაამბობიდან იცოდა, ზოგიც შემდეგ თვითონ მაგდა გოსტაშაბიშვილისაგან შეიტყო.

— თავად დავით სავარსამიძეს მამაჩემი კარგად იცნობდა თავადო — უთხრა მან თავად ანდრუყაფარს.

თავადს ჰქოდა თვალეები გაუბრწყინდა, გაეხარა, აღტაცებულმა წამოიძახა:

— იქნებ კნეინასაც იცნობთ, ყმაწვილო?

— არა, თავადო, მხოლოდ მისი ვინაობა ვიცი. არც თავად სავარსამიძეს და არც მის ასულს არსად შევხვედრივარ.

— ეხლავე გაგაცნობთ, ვეჟო. სადაც არის კნეინაც გამოჩნდება.

თავადმა ისევ შიშით შეათვალღერა თ. ვისი სტუმრები, განსაკუთრებით კი ვაჰარი ზანდაროვი. მას ეშინოდა ისინი ურიგოდ არ მოქცეულიყვნენ ან ხეპრული სიტყვა არ წამოსცდნოდათ კნეინას წინაშე, რომელიც თავის სახლში მხოლოდ ღირსეულ სტუმრებს იღებდა.

8. კნეინა გოსტაშაბიშვილი

მას მრავალი უცნაურობანი სჭირდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად თავისი მიზიდევლობით გამოირჩეოდა.

ა. პუშკინი, „როსლავლევი“

ღარბაზში კაბის ყრუ შრიალი გაისმა. კარებში კნეინა გოსტაშაბიშვილი გამოჩნდა.

ზანდაროვი კინალამ წამოხტა. უცებ იმ დღე ღარბაზში ევროპულად ჩაცმული მაიკო კურტანიძე მოელანდა.

თვალეები დააქუცია. გაშტერდა და გაოგნდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი საოცრად ჰგავდა მაიკო კურტანიძეს. მათგან ალაფის ცოლს მუქი თანაუწყისეფრიათმები ჰქონდა, კნეინა გოსტაშაბიშვილს ბაცი წაბლისფერი. იმას თაფლისფერი თვალეები, ამას ოქროსფერი.

ტყუბის ცალებს ჰგვანდნენ ისინი. ორთავე დედოფლური აღნაგობით იყო დამშვენებული.

თითქმის შეუმჩნეველ განსხვავებას მხოლოდ მათი პარიზული და თბილისური ჩაცმულობა აძლიერებდა. ამას გარდა, მაიკოს მუდამ პირი უცინოდა, მაგდა კი უქმეხად იყურებოდა.

კნეინა მხოლოდ თავის დაკვრით დაკმაყოფილდა. მინდვრის ოდენა ღარბაზში დედოფლური იერით გაიარა და განმარტოებით მდგარ სავარძელზე დედოფალივით დაჯდა.

თავადის სახლში პირველად მოხვედრილი გრიგოლ ზანდაროვი დამფრთხალი გამოიყურებოდა, არც ვახტანგ ტაშირელი გრძნობდა საკუთარ ქერქში თავს.

თავადი გოსტაშაბიშვილიც შეცბუნებული იყურებოდა და თვალს ვერც სტუმრებს უსწორებდა, ვერც ცოლს.

კნეინა ხმას არ იღებდა, მღუმარედ და მედიდურად იჯდა.

ღუმილი გახანგრძლივდა.

— ვეჟო, ვერ წარმოიდგენ როგორ გამივივრდა, როცა პარიჟში ქართვლები აღმოვაჩინე — სცადა ღუმილის დარღვევა თავადმა.

კნეინამ უგუნებოდ წარმოთქვა:

— საკვირველია, საკვირველი.

— ვეჟო, ჩვენი ყმაწვილი აზნაურის მამას თავადი დავით სავარსამიძე სცნობია.

კნეინამ ისევ რამდენიმე სიტყვა გაიმეტა.

— შეიძლება, ადვილად შესაძლებელია.

კვლავ ღუმილი ჩამოვარდა.

კნეინას მხოლოდ მაშინ გამოეხატა ცნობისმოყვარეობა გულგრილ სახეზე, როცა გრიგოლ ზანდაროვის მოხდენილ გარეგნობას ყურადღება მიჰქცია.

სწრაფად შეათვალე რა ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი და თავისთვის გაიფიქრა: „საკვირველია, როგორ ჰგვანან ქართველები იტალიელებს და ესპანელებს“. შეუმჩნევლად გაუბა საუბარი სტუმარს, რომელსაც მისი ქმარი თბილისელ ვაჟარს უწოდებდა. ამიტომ სიტყვა ვაჟარობაზე ჩამოავდო. როცა ზანდაროვმა უპასუხა, რომ იგი სამკაულებით ვაჟრობდა, კნენამ დაუყოვნებლივ გამოთქვა სამკაულების შეყვანის სურვილი. ზანდაროვს ცხვირში მოკვების სუნის გეჟღერებდა. წელში თამამად გასწორდა და კნენას ის სამკაულები ჩამოუთვალა, რომელთა შოვნა მას პარიზულ ოქრომჭედლებთან შეეძლო.

კნენა გოსტაშაბიშვილი ცივი და ოდნავ ბოხი ხმით ლაპარაკობდა. ეს აკრთობდა ანაზღად არისტოკრატებში მოხვედრილ ვაჟარს, მაგრამ წელანდელივით დამფრთხალი აღარ იჭდა თავის სავარძელში. თანდათან თვალს გაბედულად უსწორებდა გოროზი კნენას ზვიად გამომეტყველებას.

4. მსახიობი

— ვაჟო, ვაჟო, მიდით ჩემთან სადილად. — თქვა მან იმით ერთგვარად შეშფოთებულმა, რომ მის სიტყვებში რაღაცენაირმა სიმკაცრემ გაიფლავა: ეს ქალი არა მარტო კეთილი იყო, არამედ დიდებულიც.

ონორე და ბალზაკი, „მამა გიორი“.

თავადი გოსტაშაბიშვილი და ვახტანგ ტაშირელი ცალკე მუსაიფობდნენ.

— წელან თქვენ უფალი ბროსეტრი ახსენეთ, — მოაგონა ვახტანგმა თავადს, — ეს პატივცემული მეცნიერი თქვენს ოჯახში ხომ არ დაიარება, თავადო?

— დადიოდა, — უხალისოდ უპასუხა თავადმა, — დადიოდა, მაგრამ დამემდურა და გამეჭკვა. ესლა მიზეზს არ იკითხავ, ვეყო? თან დედაჩემის ნაშითი „ვეფხისტყაოსანი“ მქონდა წამოღებული, მარგალიტებით მოჭედდულ ყდაში ჩასმული. მნახველი დიდს ფასს სდებდნენ. ბროსეტრი ხელნაწერებს

უფრო ძვირად აფასებდა. შირშანწინ, გაზაფხულზე, სან-სებასტიანიუსის სასტუმროში დამრჩა და დეკარტის მემორიალიტებს ენაღვლობდი, ბროსეტრი შირებს სტიროდა. შემომიჩინდა და სულ იმას ჩამჩინებდა: სან-სებასტიანის ქუჩის კედლებზე ქალღია გამოაკარა: „მპოვენელმა მარგალიტები თვითონ დაიბრუნა და ხელნაწერი დაგვიბრუნოსო“. ვეყო, ამისთანა სისულელე გაგონილა? მარგალიტები ვინმეს ქისაში ექნება, ბრაზით ვუთხარი, იმ შირებთან კი ბუხარს გააჩაღებენ მეთქი, ამ სიტყვების თქმაზე ბროსეტს თეთრი ქალღლის ფერი დაედო სახეზე, ბოროტად შემომხედა, უზრდელად ზურგი შემომამქცია და იმ დღიდან ფეხი ამოიკვეთა ჩემს სახლში. ვეყო, ფრანგებს ზრდილობა ჩვენ უნდა ვასწავლოთ? — წამოიძახა საყვედურით თავადმა და რაკი შეამჩნია, რომ ტაშირელსაც ქალღლისფერი ედო სახეზე, მხრები გაკვირვებით აჩქინა:

— ვეყო, განა მარგალიტებზე ძვირი ღირს ის შირები?!

— თავადო — ცივი ხმით უპასუხა ტაშირელმა, — „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცისთვის და მეცნიერთათვის ყოველგვარ მარგალიტზე ძვირფასია, რადგანაც თვითონ მისი შირებია მარგალიტები!

— ვეყო! — გაბრაზდა თავადი, — მე ყდაზე შესხმულ მარგალიტებზე მოგახსენებ, შირები რა სახსენებელია? „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ქართველის ოჯახშია, თქვენგან არ მიკვირს, აბა ეგ რა დასაინახებელია? გილანურ მარგალიტებს კი შოვნა უნდა. ეგ მარგალიტები ჩემი ულუპაის პაპის დაუსხამს ყდაზე, სპარსეთიდან გამდიდრებული რომ ჩამოსულა.

თავადი დაკარგული მარგალიტების აღწერას და ქებას შეუდგა, ტაშირელი კი ვონებაში „ვეფხისტყაოსნის“ დაკარგული ხელნაწერის დათარიღებას ცდილობდა. თავადის უვიცობით აღშფოთებული იყო, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა მისთვის ბოლომდე მოეს-

მინა. მან, ეტყობოდა, კარგად იცოდა გილანური მარგალიტების ფასი, რუსთველის მეტაფორები კი საღალბო და თავშესაქცევ შაირებად მიაჩნდა. ბოლოს, როგორც იყო, თავადმა მარგალიტებზე ლაპარაკი მოათავა, პარიზში გატარებულ ცხოვრებაზე ჩამოაგდო სიტყვა და მისთვის ჩვეული გულუბრყვილო განცვიფრებით შესძახა:

— ვეჟო, ჩემმა ცოლმა ევროპელი გამხადა! ეხლა ჩამცივებია, მაგ უღვაშებში ყველის ვაჭარს ჰგებარო, გინდა თუ არა მოიპარესო. ქართველებს, მოგვხსენებთ, უღვაშის მოჭრას თავის მოჭრა გვირჩევნია, ვეჟო, ნემეცების მღვდლად ხომ არ უნდა დავდგე?!

თავადმა ხმამალა გადახარხარა.
— რახედ იცინით, ჩემო ბატონო? — უგულისყუროდ ჰკითხა ცოლმა.

— ჩვენს აზნაურს ჩემი უღვაშების დიდი მტერი გავაცანი.

კნენიან წყნარად გაიღიმა და ვახტანგს ფრანგულად მიმართა:

— ჩემმა ქმარმა ალბათ თავი მოგაბეზრათ ლაპარაკით? მეცოდებით, რადგან ძალიან დატანჯული სახე გაქვთ.

ტაშირელმა კნენიანს ფრანგულადვე უპასუხა:

— არა კნენიანე. პირიქით, მეტად სასიამოვნო საუბარი გქმონდა.

— შეგიძლიათ სიმართლე თქვათ, რადგან ფრანგულად აქ ჩვენს მეტს სხვას არავის ესმის.

ტაშირელი წამოწითლდა. ცოტაოდენი ფრანგული ზანდაროვმაც იცოდა.

კნენიან ახლა ტაშირელისათვის მოიკალა. მან ზანდაროვს საშუალება მიისცა კნენიან გოსტაშაბიშვილი ისე დაეთვლიერებინა, როგორც ფირუზა ზანდაროვი ლამაზ ქალებს ათვლიერებდა ხოლმე. მისი მუშტრის თვალი კნენიანს არ გამოეპარა და ტაშირელთან საუბარი იმაზე მეტხანს გააგრძელა, ვიდრე თავდაპირველად აპირებდა. სანამ ზანდაროვი მის წაბლისფერ კელულებს, ვაშიშვლებულ მხრებს, შავი ატლანისის საღამოს მკაცრ კაბაში გამოწვავთულ თქობებს და ოდნავ გამოჩე-

ნილ ფეხის წვივებს ქურღულად სინჯავდა და ცალი თვალი, ქურღულად ეკირა მის დეკოლტეზე, კნენიან მფარველისა და მწყალობელის ტონით ლაპარაკობდა პოეზიაზე, მწერლობასა და ხელოვნებაზე. მაგრამ ნაძალადევი, ძლივს შესამჩნევი ღიმილი მას თანდთან გაუჭრა ბაგეებიდან, რადგან მალე დარწმუნდა, რომ ტაშირელი ბრწყინვალედ იცნობდა პოეზიასაც, მწერლობასაც და ხელოვნებასაც. ახლა მას გულწრფელად სიამოვნებდა ჰქვიან და განათლებულ ახალგაზრდა მამაკაცთან შეხვედრა.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენისთანა განათლებული ყმაწვილის გაცნობა, — ლმობიერი კილოთი თქვა კნენიან და რატომღაც ქართულად დასძინა, — შეიძლება თქვენ თვითონაც წერთ ლექსებს, უფალო ტაშირელი? ასეთი სევდიანი თვალები მხოლოდ პოეტებს აქვთ.

ამ სიტყვების გამგონე ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილმა ტაში შემოჰკრა და მზიარულად დაიძახა:

— ერიპა! აკი ჩემი მარგალიტები აინუნშიც არ მოუვიდა! უფალი ბროსეტტი პარიეში ქართველს სანთლით დაეძებს და მე მოშაირე ვუპოვნე.

— თავადო, დიდად დამავალბთ, თუ უფალ ბროსეტტის გაცნობის ღირსს გამზდიოთ.

— ადვილი სამსახური გახლავთ ყმაწვილო, მაგრამ ვგონებ უფალი ბროსეტტი პარიეში აღარ არის. კარგა ხანია პეტერბურგს გაემგზავრა. ისიც ვიცი, რომ საქართველოში წასვლას აპირებდა და ჩვენებური ეკლესიების დასათვალიერებლად და წარწერების გადმოსაღებად. დაბრუნდება თუ არა პარიეში, ამას ვერ გეტყვი, გავიგებ და შეგატყობინებ. ვეჟო, რომ იცოდე რაიოგად გაეხარდება ქართველი მოშაირის პარიეში ნახვა!

ტაშირელმა თავადს მადლობა გადაუხადა, გამოსამშვიდობებლად მოემზადა ფეხზე წამოდგა და ცოლ-ქმარს მდაბლად დაუკრა თავი.

ევროპული ეტიკეტის უცოდინარ ზანდაროვს არ მოეწონა ხანმოკლე სტუმრობა, მაგრამ გარემოება მოითხოვდა ისიც წამომდგარიყო სავაჭროდანი და გოსტაშაბიშვილებს გამომშვიდობებოდა.

გამოთხოვებისას კნეინამ ზანდაროვს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— არ დაივიწყოთ, უფალო ზანდაროვო! — მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და განაგრძო, — სამკაულები მოგვითანეთ და გვიჩვენეთ.

აღტაცებულმა ზანდაროვმა კნეინას ისე დაუჯრა თავი, როგორც წელიწადი ვახტანგ ტაშირელმა.

კნეინა ტაშირელს მიუბრუნდა, ფრანგულად უთხრა:

— ოთხშაბათობით, ბატონო ტაშირელო, ჩემს სალონში საინტერესო ადამიანები იყრიან თავს, გახივით მობრძანდეთ.

ტაშირელმა კნეინას ისევ თავი დაუჯრა.

ზანდაროვმა შუბლი შესკუმხნა. ფრანგულად ნათქვამი ფრაზის ვაგება მისთვის ძნელი არ იყო. თავადის სახლში ვაჟარ ზანდაროვს სამკაულების საჩვენებლად იწვევდნენ, აზნაურ ტაშირელს კი ჰპატივებდნენ. გუნება გაუფუჭდა და უხალისოდ უსმენდა თავად გოსტაშაბიშვილს, რომელიც თავაზიანი ვაცილების დროს თავის სტუმრებს ფრთხილი ჩურჩულით ეუბნებოდა:

— ლათინურ ებანში ერთ ჩვენსავით გადმოკარგულ ბერძენს აზიური რესტორანი აქვს გამართული. ხვალ ნაშუადღევს იქ მოდიო და გულის ბუხარი ავანთოთ. მოხვალთ, პა? მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვინძლო ხშირად გეინახულოთ ხოლმე.

თავადი უკან გაბრუნდა, სტუმრებს ახლა ორი მსახური მიაცილებდა. ისინი ნელ-ნელა ჩამოდიოდნენ მარმარილოს მძიმე კიბეზე, რომლის შუაგულშიც შეინდისფერი ნოხი იყო გაშლილი. უცებ ზანდაროვმა კედლის დიდ სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი.

საკუთარი ორეული ნიაზით შეათვალიერა და თავი ამაყად ასწია, სარკეში კმაყოფილებით გაუღიმა ტანადსა და ლამაზ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც მოხდენილად ეცვა შავი ფრაკი და თეთრი ქათქათა პერანგი, მაგრამ მყისვე აემღვრა გუნება. მოაგონდა, რომ სარკეში ვაჟარს უყურებდა, რომელიც თავისი მდგომარეობით უფრო დაბლა იდგა, ვიდრე მის გვერდით მიმავალი ღარიბი აზნაური.

მამასაღამე, ფულის ბედნიერი მფლობელი არ შეიძლება მიეჩნიათ თავადის ან აზნაურის თანასწორად. ამისათვის არც მძიმე ქისა იყო საკმარისი, არც მოხდენილი გარეგნობა, არც არისტოკრატიული ხელგაშლილი ცხოვრება. აზნაურ ტაშირელს, მიუხედავად მისი მდაბიური გარეგნობისა (კნეინა გოსტაშაბიშვილი შემდეგ მას მასწავლებელსაც და ვაზეთის რედაქტორსაც ამსჯავსებდა) მასზე მალა აყენებდნენ იმის გამო, რომ ის აზნაური იყო.

კიდევ მეტი, სამკაულების ჩვენება უბრალო საბაბი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რათა არისტოკრატ ქალს მასთან სერიოზული ურთიერთობა დაემყარებინა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კნეინას საყვარელი გახდებოდა, მას მაინც არ გაუღებდნენ არისტოკრატიული სალონის კარს.

ერთი სიტყვით, მისთვის კნეინა გოსტაშაბიშვილის სარგეკლთან მიღწევა უფრო ადვილი ჩანდა, ვიდრე მის სალონში გამოჩენა.

6. გაპარჯება

მან ერთხელ კიდევ სცადა მისი მკლავებიდან განთავისუფლება, მაგრამ ეს უკანასკნელი გაბრძოლება აღმოჩნდა!

პროსპერ მერიმე, „ორმაგი შეცდომა“.

გრიგოლ ზანდაროვი გამარჯვებულად არ გრძნობდა თავს. იგი დაფიქრებული იჯდა სარკელის კედელზე და შუბლშეკრული უყურებდა კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილს. კნეინა აუჩქარებლად იცვამდა ტანსაცმელს და-

ქირავებული ოთახის პატარა მრგვალ სარკესთან. ზანდაროვი აღარ ახსოვდა და მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი თავმომწონე ვრიგოლს.

მისი კნენასთან წელანდლი მტლაშა-მტლუში სხვებთან მტლაშა-მტლუ-შისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ დღევანდელი ალერსი საჩუქრებით არ იყო ნაყიდი, მაგრამ არც სიყვარულით იყო გამოწვეული. ამპარტავანი კნენა დროის რომელიღაც შუალედში დედაკაცად გადაიქცა, რათა თავისი ვენებათაღელვა დაეკმაყოფილებინა. ეს იყო და ეს.

მსგავსი რამ თბილისშიც ხდებოდა. ვრიგოლს აგონდებოდა, რომ ძაღლისუნუნელი ზაქარა მის ნაცნობ მარიამ-ბეგუმს ერთ ავხორც კნენასთან დაჰყავდა. ამის გახსენებამ თავმოყვარე ზანდაროვს კიდევ უფრო დაუბნელა სახე და კიდევ უფრო გაუქარწყლა გამარჯვების სიხარული.

როცა კნენა გოსტაშაბიშვილმა ჩაცმა მოათავა და ხელთათმანის ღილეზსდა იბნევდა, მან ერთი წამით შეხედა ზანდაროვს და უღიმღამოდ გადმოუვლო:

— გეთაყვა, ერთი გამიგე, ქუჩის აუთხეში ეტლი ხომ არა დგას. სახლიდან მარტო ვავალ.

ისინი ფიჯრის ქუჩის ოთხსართულიანი სახლის ბოლო სართულზე იმყოფებოდნენ.

ზანდაროვი ზღაზენით წამოდგა. კნენას მისი მოღუშული სახე ეუცხოვა, ხელთათმანის უკანასკნელი ღილი შეიბნია და ნიაზით ჰკითხა:

— რათა გაქვს ეგეთი სახე?

ზანდაროვი სწრაფად შემოტრიალდა მისკენ, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, თვალი თვალში გაუყარა და აღარ მოაშორა. ისინი დიდხანს უსიტყვოდ უცქეროდნენ ერთმანეთს. კნენას ბაგეებზე ღიმილი გაუქრა უნებლიედ უკან დაიხია და შემფოთებით იკითხა:

— მაგნიარის თვალეზით რატ მიუქერი?

გრიგოლი უფრო ახლოს მივიდა მასთან, თვალი გაუსწორა და შესძახა:

— მიყვარხარ, მაგდა!

— ყოჩაღ!

წამოძახა კნენამ ირონიული სიტყვით. მაგრამ მყისვე ისეთი მედიდური იერი მიიღო, რომ ზანდაროვს გაშლილი ხელები უკანვე ჩამოსცვივდა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. კნენა ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ოდნე გადასწია, ქუჩის ბოლოში მოსახვევს გახედა.

— აქედან არაფერი ჩანს — თქვა მან, — უფალო ზანდაროვო, ჩაირბინეთ ქვევით და გამიგე, მოვიდა თუ არა ეტლი.

ზანდაროვმა სიტყვა უხეშად მოუქრა:

— მე თქვენი მსახური არა ვარ, კნენავ!

კნენა მისკენ გაკვირვებით მოტრიალდა:

— ეს რას ნიშნავს?

— მე თქვენი მსახური არა ვარ, კნენავ!

მტკიცედ გაუმეორა ზანდაროვმა და თვალი აღარ მოაშორა.

— არ მესმის შენი ქარავამები.

— ძნელი მისახვედრი არ გახლავთ.

— რა გინდა?

— სიყვარული!

კნენა გოსტაშაბიშვილმა ისევ დამკინავად გაიცინა.

— თავი იმიტომ გავიყადრე, რომ მომეწონე. მეტი რაღა გინდა, ჩემო ლამაზო სოვდაგარო?

სოვდაგარის აგდებულად ხსენებამ ზანდაროვს კიდევ უფრო დაუბნელა პირისახე. საშინლად შეურაცხყოფილს უნდოდა უშვარი სიტყვა ეთქვა, რაღაც ისეთი, როგორსაც კინტოები მეფავ ქალებს ეუბნებოდნენ, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. პირიქით, მის ხმას მეტი სითბო და მღელვარება დაეტყო, კნენას სიყვარულით შეხედა და თათქმის ხეყწნით უთხრა:

— შინდა ისეთნაირად გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ, მაგდა!

კნეინას სიცილი წასკდა. მერე შეყვარებული ვაჰარი ერთი წამით ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა და კარებისაკენ გატრიალდა. ზანდაროვი სხარტი ნახტომით გაჩნდა მასთან და მკლავებში მოიშწყვდია. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ კნეინა ისე დააბნია, რომ ერთხანს ვერაფერი აწამა. ზანდაროვი მას თავის მკლავებში იშწყვევდა, გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევდა და წელში ზნექდა. ბოლოს უხეშად წააქცია იმ სარეცელზე, საიდანაც წელან დაღლილნი ადგნენ. კნეინა გოსტაშაბიშვილმა ახლა კი გაიბრძოლა, გაკაპასდა, გააღმასდა და რაკი ველარაფერი მოახერხა. მოძალადეს მაჯაში კბილებით დასწვდა და გამეტებით უკბინა. ტკივილმა ზანდაროვს სახე დაუგრიხა, მაგრამ გაცეცხლებული ქალი ხელიდან მაინც არ გაუშვა. მარწუხებივით შემოაქდო მკლავები, მის ტუჩებს ეწაფებოდა და ცხარე ჩურჩულით ეუბნებოდა: „მიყვარხარ... მიყვარხარ...“ ქალი ამაოდ ცდილობდა მისი ღონიერი მკლავებიდან თავის დაღწევას. გააფთრებული და გააშრებული იბრძოდა, სიბრაზით ტუჩებს იკვნეტდა, მძიმედ სუნთქავდა, იხრჩობოდა და გამწვარებული იძახდა: „შენ ვინდა მედუქნის ხასა გავხდე? არასდროს არ ვიზამ ამას... ბილწო... საზიზღარო.. თავხედო...“ ზანდაროვი მას ხმას აღარ სცემდა. გაშმაგებით უკოცნიდა თვალებს, ყურებს, კისერს, მკერდს, სამკაულს. კნეინა გოსტაშაბიშვილის ოქროს ფერი თვალები ახლა რისხვით იყო გამწვანებული და გამოროტებული. დამცირებული და დამდაბლებული კბილთაღრუხვით იბრძოდა, მაგრამ მისი წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა. ზანდაროვი უკვე გრძნობდა გამარჯვების მოახლოებას და უზომო სიხარულსა და სიამოვნებას ჰგერიდა თავხედური ძალადობის გამოყენება ამ არაჩვეულებრივად ამაყი და მედიდური კნეინას მიმართ. იგი თითქოს პირველ-

ად იმორჩილებდა ქალს, რომელიც კოტახნის წინათ პირველად განშეშლდა მასთან.

როცა ამღვრეული კნეინა გოსტაშაბიშვილი პატარა მრგვალ სარკესთან აწეწილ თმებს ისწორებდა, გრიგოლ ზანდაროვი მას გამარჯვებული იერით მიუახლოვდა და ყელზე მაინის-ფრანკ-დურტში ნაყიდი მანიაკი გაუცეთა.

— ეს რას ნიშნავს?

წამოიძახა კნეინამ და სახეზე აღმურმა გადაჰკრა.

გრიგოლმა არაფერი უთხრა.

ისინი ცივად გაშორდნენ ერთმანეთს.

6. პარიზის ოპერა

სალამოზედ თეატრში ვიჯავი დიდ ოპერაში გიორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ვერკაში“.

პარიზის დიდი ოპერის ლოჯაში სანნი ისხდნენ: კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი, მისი ქმარი თავადი ანდრუყაფარი და გრიგოლ ზანდაროვა.

იმ საღამოს ზანდაროვი პირველად არ უყურებდა „სეველიელ დალაქს“. ოპერა მას უკვე გერმანიის ქალაქებში ჰქონდა ნანახი ტაშირელის წყალონით. მუსიკის არაფერი გაეგებოდა. არც არიების სინატიფე ესმოდა, არც მომღერლების ქაღოსნური ხმების სიკაცსავე, მაგრამ ყოველთვის მღელვარებით მიიწვრავოდა ოპერაში. მისთვის აქ მთავარი იყო არა სცენა, არამედ პარტერი და ლოჯები.

ოპერას თავისი მიმზიდველობა ჰქონდა. სწორედ აქ იყრიდა თავს მაღალი წრის საზოგადოება.

თბილელ სოვდაგარასაც გადიდკაცების სურვილი ისევე უფითარდებოდა, როგორც ყველა დროში და ყველა ქვეყანაში გააზნაურებულ მდაბიოს.

ადვილად მიმზადებელს დიდკაცების სურება უყვარდა, ლოჯებში გამოფენილი ლამაზი ქალების და პარტერში თვალმოკრული ელეგანტური მამაკაცების შეუმჩნეველად თვალიერება.

ახლა კნეინას მხარმარცხნივ, ლონ-

ეს ბარიერიდან ერთი წყრთის დაშორებით ბატონკაცურად იჯდა და უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რადგან პირველად უხდებოდა კენინასთან და თავადთან ერთად ოპერის ლოჯაში ყოფნა.

საოცარი ის იყო, რომ ვაჭარი გრიგოლ ზანდაროვი უფრო მეტად ჰგავდა არისტოკრატს, ვიდრე თავადი ანდრუყაფარ გოსტაშაბიშვილი.

სალუქი და გაკრიალებული ვაჭარი თავისუფლად, შეუზღუდველად ირჯებოდა, თავადი კი ოპერას ლოჯაში ლურსმანზე დატკობილივით იჯდა. სქელი კისერი თეთრ, მაღალ და გულმოდგინედ გახამებულ საყელოში გაშეშებოდა, მუხლის თავები ლოჯის კედლისათვის მაგრად მიებჯინა, ხოლო იდაყვები ლოჯის ბარიერის წითელ ხავერდზე მიწებებულივით დაეყრდნო. დიდ თავსაც მძიმედ და ზანტად აბრუნებდა ყალბე შემდგარ საყელოში. მისი გრძელი უღვაშები ისევე უძრავად იყვნენ ჩამოკიდებული განიერი ნიკაპის აქეთ-იქით, როგორც თვითონ იჯდა უძრავად. სწორედ ეს უღვაშები ანიჭებდა მისი მინდორივით გადაშლილი სახის მსხვილ ნაკეთებს მდაბიო გამომეტყველებას. კენინა გოსტაშაბიშვილის ფრანგი მეგობრების მოსწრებული შენიშვნით, იგი ოპერის ლოჯაში შეგდებულ ბრეტონელ გლეხს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავადს. მხოლოდ მაღალ შებლზე ორბის ფრთხავეთ გადაჩრდილული წარბები, მეტყველი შავი თვალები და კეხიანი ცხვირი მოწმობდნენ მის თავადურ წარმოშობას. ახალგაზრდობაში მის საერთო გარეგნობას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ახლა ეს ვეებერთელა, ორმოც წელს გადაცილებული, ნაადრევად დაბერებული მამაკაცი დამკვლევული თივის ზეინივით ჩამოფხავებული ჩანდა.

თავად გოსტაშაბიშვილს თეატრი არ უყვარდა. მალე ბეზრდებოდა. მტქნარება და ძილი ერეოდა.

კენინა გოსტაშაბიშვილი უნებლიედ ერთმანეთს აღარებდა ქმარსა და საყვარელს. თავადსა და ვაჭარს. ორივენი

აღმოსავლეთის იმ პატარა ქალაქიდან იყვნენ პარიზში ჩამოსული, მისი ორიოდე ხილი იყო მდინარეზე გადებული და სადაც ერთი თუ ორი ეტლი ჩანდა მტერიანსა და ტალახიან ქუჩებში. პირველი მთელი თავისი არსებით იმ ქალაქთან იყო დაკავშირებული, იმ ქალაქისკენ მიილტვოდა მისი ფიჭრები, მეორე კი, პირიქით, დად ქალაქში სრულიად მოშინაურებული იყო და აქ უკვე აღარაფერი ეჩოთიებოდა და ეხამუშებოდა. თავისი მიხერა-მოხერით საქციელით და გემოვნებით გრიგოლ ზანდაროვი პირწავარდნილი ევროპელი იყო, თავადი ანდრუყაფარ გოსტაშაბიშვილი კი ისევე აზიელად რჩებოდა. და თუმცა მასაც ევროპულად ეცვა, მაგრამ დღემდე ვერ შესწევოდა ვერც თავის თეთრ, მაღალ და გახამებულ საყელოს, ვერც სერთუქს, ვერც რედინგოტს, ვერც ფრაკს, ვერც ქალების ხელებზე ამბორს, ვერც აჭაურ საქმელებს და დანა-ჩანგალს. მიუხედავად ამისა, იგი ამ ელეგანტურ ვაჭარზე მაღლა იდგა, რადგან გრიგოლ ზანდაროვს არისტოკრატიულ სუფრაზე დაჯდომის ნებას არა რთავდნენ, თავად გოსტაშაბიშვილს კი ამის უფლება წარმოშობით ჰქონდა მოპოვებული.

7. ფიჭრთა აკიფო

ბომარშეს დროს ფიჭარი კანონს გარეთ იდგა, ჩვენს დროში ფიჭარი კანონდებულა.

ა. ვერცენი, აწერთლები საფრანგეთიდან და იტალიიდან.

მაგდა გოსტაშაბიშვილი ბოლო ხანებში ბევრს ფიჭობდა გრიგოლ ზანდაროვზე. როგორც დედაკაცი, იგი მას ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც კენინა, ძალზე შორს იდგა მისგან. მას სჯეროდა, რომ ეს ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცი არც უყვარდა და არც პატივს სცემდა მას. სიყვარული საერთოდ მისთვის უცხო ხილი იყო, ჯერ ისევე განუცდელი გრძნობა. მან იცოდა, რომ საყვარლებს მოწყენილობის გამო იჩენდა, სიყვარულით კი არაფერ არ უყვარდა, არცერთი საყვარელი მას ისეთ

სიამოვნებას არ ანიჭებდა, როგორსაც მარტოდმყოფს კარგი წიგნი, კარგი სურათი და კარგი მუსიკა. ამიტომ საყვარელი მეტად იშვიათად ჩნდებოდა ხოლმე მის ცხოვრებაში და ჩვეულებრივ ყოველ ახალ საყვარელს რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შორდებოდა ყოველგვარი სინანულისა და სინდისის ჭეჩქნის გარეშე. ამის გამო მას გულცივ დედაკაცად თვლიდნენ. მაგრამ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა, რომ წამიერად მხოლოდ რალაციით განსხვავებულ მამაკაცს შეეძლო მოეხიზლა იგი. ამიტომ უდრტინველად ნებდებოდა საინტერესო მწერალს, მხატვარს ან მუსიკოსს, მაგრამ თვით ასეთ მამაკაცთან დაახლოების შემდეგ დაუყოვნებლივ ექებდა განშორების საბაბს. სამაგიეროდ გრიგოლ ზანდაროვთან განშორებას აყოვნებდა.

სასვებით გულწრფელი განცვიფრებით იგი იმასაც ამჩნევდა, თუ როგორ ღელავდა და ბრაზდებოდა, როცა მისი საყვარელი პაემანზე მოსვლას აგვიანებდა ან, რამდენიმე დღით სადღაც იკარგებოდა. ამ დროს იგი მოუთმენლად, მღელვარებით მოელოდა მის გამოჩენას, მისი ფეხის ხმის ვაგონებას, კარზე ამალღვებულ კაკუნს. იმედის გაცრუების შემთხვევაში შინ ბრაზწყვილებული ბრუნდებოდა და თავისი საქციელით საშინლად გაოცებული თავს ხასიათის სისუსტეს უსაყვედურებდა. რამდენჯერმე მტკიცედ გადაწყვიტა მან აღარ მისულყო სენ-მარსოს გარეუბნის იმ სახლში, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაგრამ მაინც ისევ იქ გარბოდა, სადაც მას ზანდაროვი უნდა დახვედროდა ან თვითონ მოეცადა მისთვის. კნეინას აზიელის უზრდულობად მიიჩნდა ის, რომ მამაკაცი ქალს ალოდინებდა, ამიტომ ეს მის ღირსებასა და თავმოყვარეობას იმდენად არ ლახავდა, როგორადაც საყვარელში შემჩნეული თავხედური გამარჯვების შეგნება, რომელსაც გრიგოლ ზანდაროვი თითქოს არ აჩენდა, მაგრამ გადაკრულად ნათქვამი სიტყვით ანდა ტუჩზე

ერთი წამით ათამაშებული ღიმილით მაინც რალაციანირად ამყვანდებოდა. ეს ამპარტავან კნეინას დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა. მიუხედავად ამისა, გრიგოლ ზანდაროვთან განშორება მაინც უძნელდებოდა. გაკვირვებული თავის გულის სიღრმეში იმის გარკვევას ცდილობდა, თუ რითი იზიდავდა, რითი უმორჩილებდა თავის ნებას ახალგაზრდა ვაჰარი გულმაღალ, უაღრესად თავნება და მორჩილებას მიჩვეულ არისტოკრატ ქალს. მისი ღრმარწმენით, ეს არც თავბრუდახვეული გატაცება იყო, მით უმეტეს, არც ამალღვებული და თავდავიწყებული სიყვარული. მაშ რაღა აკავშირებდა მას ზანდაროვთან? როცა კნეინა გოსტაშაბიშვილი ამას საკუთარ თავს ეკითხებოდა, სერიოზულად შესწოთებული შიშით ფიქრობდა, რომ მასში უხილავად მთვლემარე ავბორცი და გარყვნილი დედაკაცის ინსტინქტი იღვიძებდა, მთელი თავისი ძალით ეუფლებოდა და ყოველთვის თავდაპირილს და დამოუკიდებელს ვენებათაღლევის უბრალო სათამაშოდ ხდიდა. კნეინა ჩქარობდა ხელი აეჭნია ამ შემხარავი, დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ფიქრისათვის და გადაციცებით ექებდა ზანდაროვთან ურთიერთობის უფრო კეთილშობილურ მიზეზს, რათა საკუთარ თავთან, მიდრეკილებებთან და შეხედულებებთან ბრძოლით აფორიაქებული როგორმე დაწყნარებულიყო და დამშვიდებულიყო.

რა მოსწონდა მას ზანდაროვი? მისი ახოვანი აღნაგობა, თუ მისი მეტად თავისებური და ვაჟკაცური სილამაზე? რითი აღლვებდა ეს თავდაჯერებელი და თავხედი მამაკაცი ქალს, რომელსაც აქამდე საერთოდ არც ერთი მამაკაცი არ აღლვებდა? კნეინას ეჩვენებოდა, რომ იგი ლამაზი, ღონიერი და თამამი მამაკაცით იყო მოხიბლული, რადგან მისთვის სრულიად მოულოდნელად მისი უხეში და ტლანქი ძალით აღმოჩნდა დამორჩილებული. ხანაც იმას ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა მდაბიოს,

ისეთსავე თავხედს და მარჯვეს, როგორც აგერ იმ ფიგაროს დიდ სცენაზე, მის მონოტონურ, თითქმის მელანქოლიურ ცხოვრებაში რალაც ახალი რამ შემოჰქონდა, დღემდე განუცდელი და ამდენადვე ამაღლელებელი. არისტოკრატი ქალის მყუდრო და მოწყენილ ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილ ახალგაზრდა თბილისელი ვაჰარი აშკარად განსხვავდებოდა არისტოკრატიული სალონების გულზვიადი, მაგრამ დონდლო და პრანკია მამაკაცებისაგან. ზანდაროვს იგი ყალბი არისტოკრატიული პირობითობის მომაბეზრებელი ერთფეროვნებიდან გამოჰყავდა, რალაცნაირად, თავისდაუნებურად უკავშირებდა მოულოდნელობით აღსავე ცხოვრებას და სიცოცხლის დაუოკებელ წყურვილს უღვიძებდა. მარტო იმისთვის, რასაც ახლა კნეინა განიცდიდა, იმათ ღირდა, რომ იგი მისი საყვარელი გამზდარიყო.

„ჩვენ მხოლოდ იმით ვუქმნით დაბრკოლებას ზანდაროვს, — მიჰყვებოდა თავის ფიქრებს კნეინა გოსტაშაბიშვილი, — რომ მაღლა არ უშვებთ, ჩვენს წრეში არ ვიღებთ, ზემოდან ქედმაღლურად დავყურებთ, მაგრამ ის თვითონ ავა მაღლა და მას ვერავინ ხელს შეუშლის, ისევე როგორც ვერავინ ვერ შეუშალა ხელი აგერ იმ დიდ სცენაზე გალაღებულ ფიგაროს მემკვიდრეებს მაღლა ასულიყვნენ. იმ ცუდლუბი, ჰკვიანი, ენაწყლიანი, მატყუარა და თავხედი მსახურის მემკვიდრეთა ტიტულები ან ნაპოლეონის ომებში იყო ნაშოენი, ანდა უბრალოდ ოქროთა ნაყიდი. ახლა ისინი არისტოკრატების გვერდით ისხდნენ ოპერის ლოჟებში. მაგრამ გრიგოლ ზანდაროვიც ხომ პარიზის დიდი ოპერის ლოჟაში ზის?“

ამის გასსენებამ ახალი მიმართულება მისცა კნეინა გოსტაშაბიშვილის ფიქრებს. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, რომ მას რცხვენოდა მდამიოსთან ერთად ოპერის ლოჟაში ყოფნა, თუმცა დილით თვითონ მან შესთავაზა ზანდაროვის ოპერაში წასვლა. როგორ მოუვიდა?

ან რატომ აჩქარდა? დილით, როცა იგი დაქირავებული ოთახის პატარა მინჯვულს სარკესთან თმებს ისწორებდა, ისევე სხვა განწყობილება ჰქონდა და, როგორც ჩანს, ამ განწყობილებამ ათქმევინა ის, რასაც ახლა მწარედ ნანობდა.

რას ფიქრობდა იმ დროს თავად დავით სავარსამიძის ასული და თავად ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილის მეუღლე? რატომ ერთბაშად ვერ მოისაზრავისთან ერთად მიდიოდა პარიზის დიდ ოპერაში? კნეინას მოაგონდა როგორ დააჰყიტა თვალები მისმა ქმარმა, როცა მას ზანდაროვის ოპერაში დაპატივების ამბავი გადასცა. თავადი მას ამის გამო ვერაფერს ეტყოდა, რადგან მის სურვილებს არასდროს წინააღმდეგობას არ უწევდა. მაშასადამე კნეინას სამართლიანად სძულდა სუსტი ხასიათის, თვინიერი და უნებისყოფო ქმარი.

კნეინა გოსტაშაბი თავს ახლა უხერხულად გრძნობდა. აღელვებული იყო. მისი ფიქრების შეუჩერებელი წაკადი სწორედ ამით იყო აწეწილ-დაწეწილი და დაუღაგებელი. მისი შინაგანი მონოლოგის აზრები ვერ ეგუებოდნენ, ვერ ურიგდებოდნენ თვითონ ფაქტს: ლამაზი და მდიდარი, მაგრამ მაინც ვაჰრის გვერდით ოპერის ლოჟაში ყოფნას. მართალია, კნეინა ბურჟუაზიული მეფის ბურჟუაზიულ ქვეყანაში ცხოვრობდა, მაგრამ არისტოკრატიული ქედმაღლობა ნებას არ აძლევდა აუღელვებლად აეტანა ის, რასაც იგი შინაგანად ამართლებდა და რასაც თვითონ ცხოვრება მტკიცე საფუძველს უქმნიდა ოპერის ბატონის ღირსებით არისტოკრატთან გათანასწორებას.

თუმცე ეს უკვე ივლისის რევოლუციამ მოახდინა. მაგრამ ვინ იტყოდა, რომ საფრანგეთში რევოლუცია დამთავრებული იყო? ოქროს ბატონი მიღწეულის განაღდებას მოითხოვდა, მისი უფლება ნაპოლეონის კოდექსს ეყრდნობოდა, არისტოკრატები კი ისევ ძველისძველი ფეოდალური რეგლამენტით ცხოვრობდნენ. ირონია ბლაგვი

და სისაცილო იარაღი იყო იმათ ხელში, ვისაც ძალაუფლება დაკარგული ჰქონდა და ძველი უფლებები სულ უფრო და უფრო ხელიდან ეცლებოდათ.

ტყუილად არ ლაპარაკობდნენ პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე ახალ რევოლუციას, რომელსაც ერთხელ კიდევ უნდა აღედგინა რესპუბლიკური წყობილება.

ამ აზრმა კნეინა ოდნავ დააწყინარა. გამოიდარა.

იგი ნიაზით დაეცქერდა ზანდაროვის ლამაზ პროფილს და თავის თავს ერთხელ კიდევ გამოუტყდა, რომ ასეთი გასაოცარი სილამაზის მამაკაცი არასდროს არ ენახა არც იტალიაში, არც ესპანეთში. კნეინამ სიამოვნებით გაიღიმა, მაგრამ კმაყოფილების ღიმილი ისევ სწრაფად გაუქრა ბაგედან.

მას უეცრად მოაგონდა, რომ ყელზე ზანდაროვის ნაჩუქარი მანიაკი ეკეთა, შერცხვა, აწრიალდა და ხელახლად აფორიაქდა. შინ კი ტელეტის მაგიდასთან, სარკეში დიდხანს უყურებდა ამ ძვირფას სამკაულს, დიდხანს, დიდხანს ტრიალებდა მრავალტოტა შანდლებით განათებულ სარკესთან, რათა იმავე სილამაზის ოპერის ლოჯიაში უფრო ლამაზი გამოჩენილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ იყო, მაშასადამე, კნეინა ზანდაროვისთვის ლამაზდებოდა და ირთვებოდა. ამის უარყოფა მას არ შეეძლო. ამიტომ თვითონაც არ ესმოდა რა ემართებოდა ან რატომ ცვლიდა მისი ფიქრების დინებაში ასე სწრაფად სურვილს სინანული, ხოლო სინანულს სურვილი. უყვარდა გრიგოლ ზანდაროვი? არა, არა. ეს აზრი მას თავზარსა სცემდა. კნეინას ეშინოდა, რომ როცა მასურბებულთა დარბაზი განათდებოდა, სწორედ ამ მანიაკით აღმოაჩენდნენ მასში ვაჰრის საყვარელს, თუმცა ია, რაც მან იცოდა, არ შეიძლება სხვებსაც სცოდნოდათ.

კნეინას ხელში მარაო გაუჩერდა. დაღონდა.

ზანდაროვის ლამაზმა პროფილმა თავისი მიმზიდველობა დაკარგა.

მხარმარჯვნივ თავადი ანდრეაფარი გოსტაშაბიშვილი ცალკონსტვალთი თვლემდა.

მხარმარცხნივ გრიგოლ ზანდაროვი, ეტყობოდა, აღფრთოვანებით უყურებდა როზინას.

კნეინა ვალურსული იქდა. ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ მხოლოდ გარეგნულად იყო მშვიდი და აუღელეკებელი. შინაგანად აფორიაქებულს ქმარი ეჯავრებოდა, საყვარელი კი ამ ეპიტნაებოდა.

ყველაზე უფრო მეტად მინც საკუთარი თავი სძაგდა კნეინა მაგდა გოსტაშაბს.

მას ერჩივნა ისევ თავის ნაძალადევად თავაზიან საყვარლებს დაბრუნებოდა, ვიდრე ოპერის თეატრის ლოჯიაში თავხედი ვაჰრის გვერდით მჯდარიყო.

განშორება აუცილებელი იყო. კნეინა უკანასკნელად ხედებოდა თავისი უცნაური ტრეფილის კიდევ უფრო უცნაურ დონ-ჟუანს. ამას წინ აღარაფერი დაუდგებოდა. ეს გადაწყვეტილება. ასე ეგონა მას, მტკიცედ იყო მიღებული. თავი ისევ ამაყად აიღო მადლა. მის ხელში ისევ ამოძრავდა მარაო. ის ახლა სხვებთან ერთად ხედავდა იმას, რაც განათებულ სცენაზე ხდებოდა.

8 ეოზუშინა დე ტრასი

როდესაც მან თვალი შემოავლო დარბაზს, შეამჩნია, რომ მრავალ ქალს მისი ლოჯისკენ ჰქონდა ლონჩეტები მიმართულა.

პროსპერ მერიმე, „ორბაგი შეცდომა“

პირველ ანტრაქტში გოსტაშაბიშვილების ლოჯიაში მარკიზი ქალი ეოზუშინა დე ტრასი შემოვიდა. ზანდაროვი იმწამსვე თეხზე წამოდგა, თავი მდებლად დაუყრა მარკიზას, საყვარელი შენთავაზა და თვითონ მოკრძალებით გაჩერდა ლოჯის კარებთან. თავადი ანდრეაფარი ზანტად მოტრიალდა ახლადმოსული ქალისკენ და ისე მიესალმა, როგორც ეს მას ეხერხებოდა. ოდნავ

დაბნეულმა მაგდამ გრივოლ ზანდაროვი მარკიზას წარუდგინა და ყრუდ წარმოთქვა:

— ჩემი თანამემამულე, თბილისელი ბანკირი გრივოლ ზანდაროვი... მარკიზა ეოზეფინა დე ტრასი... ბანკირი პარიზში პირველად, უჩვენოდ გზა ვერ გაიკვლია, ვეთხოვა მისთვის პარიზული სანახაობანი გვეჩვენებინა.

— ბანკირი პარიზს საუცხოოდ იცნობს, — სიცილით უპასუხა მარკიზამ და ზანდაროვს ანცი ღიმილით მიუბრუნდა, არც ჩვენი გაცნობაა საჭირო, რადგან ერთმანეთს უკვე ვიცნობთ.

ზანდაროვმა ისევ მდაბლად დაუჯრა თავი.

კნენა გოსტაშაბიშვილი გაშტერდა. — საიდან? როგორ?

— ბულონის ტყეში, მა შერ!, ცხენებით სეირნობის დროს მარკიზა შარლოტა დე ტრენაგმა გამაცნო.

მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება კნენამ იმას, რომ მარკიზა დე ტრენაგ რატომღაც ხშირ-ხშირად იყურებოდა მისი ლოეისკენ მოპირდაპირე ლოჟიდან.

იუცხოვა. აიმრიზა.

გულში რაღაცამ გაჰკენწლა. მარკიზა დე ტრასიმ კნენა ცნობისმოყვარეობით შეათვალღერა.

— პარიზში აღარ მეგულებოდით, მა შერ, რადგან აღარსად გამოჩნდით.

— პარიზიდან წასვლა არ მიუძეირია, ძვირფასო მარკიზა, ჩემი ნახვა ყველას შეეძლო, ვისაც ჩემი ოთხშაბათები ჯერ კიდევ ახსოვს.

— დამნაშავე ვარ, მა შერ! — ცქვიტად უპასუხა მარკიზამ, — თქვენ ისე ხშირად სტოვებთ პარიზს, არ შემძლო თქვენი აქ ყოფნა მეფიქრა, სამაგიეროდ უფრო ხშირად მარკიზა შარლოტა დე ტრენაგის სალონში ვარ, — და მყისვე ეშმაკური სიცილით დაუმატა, — თქვენს თანამემამულე ბანკირს ბევრი ლამაზი პარიზელი ქალი

უტრიალებს, მა შერ. ბატონო ზანდაროვ, განა ეს თქვენ არ შეგინებდეთ? მარკიზა დე ტრასიმ ზანდაროვს ისევ წელანდელი მაცდური ღიმილით ახედა.

ზანდაროვს ოდნავ გაუღიმა. კნენა გოსტაშაბიშვილი აილანძა.

— საოცარია რომ თქვენს სალონში, მა შერ, ბატონი ზანდაროვი არ მინახავს, თქვენ კი თანამემამულენი ყოფილხართ. უკვე დიდი ხანია რაც ამ ბატონს ვიცნობ.

კნენამ რაღაც უმნიშვნელო ფრაზით დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა.

უცებ მარკიზამ ჯერ კნენას შეხედა, მერე მის მანიაკზე შეაჩერა ხანგრძლივად მზერა და აღტაცებით წამოიძახა:

— რა საუცხოო მანიაკია! რომ იცოდეთ როგორ ვიხდებათ, მა შერ. თქვენც დღეს ძალიან ლამაზი ხართ, ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი, მა შერ. არ შემიძლია ჩემი აღტაცება არ გამოეთქვა.

კნენას გული მოუვიდა. მრავალმნიშვნელოვნად ნათქვამი ქათინაურის აზრს მყისვე მიუხედა. მაგრამ მისი გაბრაზება მხოლოდ მარაოს აჩქარებულ მოძრაობაში გამოიხატა. მან ინგლისურად დაიწყო ლაპარაკი, რათა მისი ნათქვამი გრივოლ ზანდაროვს არ გაეგონა:

— საოცარია, დარლინ! როგორ ახერხებებს ჩემი თანამემამულე ბანკირი თავისი სასაცილო ფრანგულით მარკიზი ქალების ყურადღების მიქცევას?

კნენა ამ სიტყვებით მარკიზა დე ტრასის შესაძლებელი ეჭვია გაქარწყლებასაც აპირებდა და მის დაცინვასაც.

მარკიზამ გაიცინა. კნენას ინგლისურადვე უპასუხა:

— სიყვარულს გრამატიკა არ სჭირდება, მა შერ. ეს ვგონებ ბირონმა თქვა. თუმცა თქვენ უკეთ მოგეხსენე-

1 ძვირფასო (ფრანგ.)

1 ძვირფასო (ინგლ.)

ბათ. თქვენ ხომ ბევრს კითხულობთ? მე კი ლაოს რომანიც არა მაქვს ბოლომდე წაკითხული. სხვების თავგადასავალს უნდა გამოვტყუდე. საკუთარი თავგადასავალი მიჩიქვნიდა. დრო კი უფრო უღმობელია, ვერძე ჩვენ ვფიქრობთ სადაც არის ოცდაათი წლის ვაგებდები. დასამალი არაფერი მაქვს, რადგან ერთად ესწავლობდით მონასტრის სკოლაში. ოღონდ ეს არის, მა შერ, თქვენზე რამდენიმე თვით უმცროსი ვარ. თუმცა ამას აბა რა მნიშვნელობა აქვს?

ახლა ძნელი იყო იმის გამორკვევა, თუ ვინ ვის დასცილოდა, კნენა მარკიზას თუ მარკიზა კნენას.

ეოზეფინა დე ტრასის არასოდეს არ უყვარდა მადრა სავარსამიტე, რომლის უცნაური გვარის გამო მოწაფე ქალები ყოველთვის ოხუნჯობდნენ ხოლმე მონასტრის ინგლიაურ სკოლაში. მის ფარულ სიძულვილს კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა ის, რომ კნენა მასზე ლამაზიც იყო, კეთილშობილიც და მდიდარიც. ამიტომ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რათა მისთვის გული დაეკოდა. თუ ეს ლამაზი მამაკაცი მისი საყვარელია, ფიქრობდა მარკიზა, დაუყოვნებლივ გასცემს თავის, თავს, როცა პარიზის სალონებში დარხეულ ჭორს ვეტყვიო. მან კარგად იცოდა მისი გულფიცხი ხასიათი. ეოზეფინა დე ტრასი კნენასკენ ვადაიხარა და ჟღრში ჩასჩურჩულა:

— მარკიზა შარლოტა დე ტრენაგ, ისეთნაირად ვალამაზდა, რომ უშეშველია, თქვენი თანამემამულე ბანკირი... კნენამ მას მრისხანედ შეაწყვეტინა.

— მე ჭორები არ მიყვარს, ეოზეფინა.

ასეთი იყო თავადის ასული მადრა სავარსამიტე, მოაგონდა მარკიზა დე ტრასის, როცა მონასტრის სკოლაში მოსმენილი ჭორის გამო გულწრფელად იყო ხოლმე აღშფოთებული. ამიტომ მისთვის სიმართლის გამორკვევა ძნელი იყო. არ იცოდა რა ამოეკითხა კნენას მკაცრ გამომეტყველებაში — აღშფოთებული ადამიანის გულისწყრომა; თუ

ეკვიანობით გულდაკოდილი დედაკაცის მრისხანება.

მაგრამ ტაქტი მოითხოვდა არაფის შეემჩნია არც კნენას აღშფოთება და არც მარკიზას უხერხული მღგომარეობა.

ეს ხელოვნება ორთავეს კარგად ჰქონდათ შეთვისებული.

მათ ისევ ფრანგულად განაგრძეს ლაპარაკი. სიტყვა მომღერლებზე ჩამოაგდეს. მარკიზა ისევ ხალისინად ატიტიუნდა. კნენა კი ყალბი ყურადღებით უსმენდა მას. თუმცა მისი „მა შერ“ ისევ აღიზიანებდა, როგორც თავად გოსტაშაბიშვილის „ვეფო“. თავს წელანდელ აჩქარებას უსაყვედურებდა, რადგან ტაქტი მოითხოვდა თვით ყველაზე ზიზღისმომგვრელი ჩამოკრული დამშვიდებით მოესმინა. მაგრამ იგი არა მარტო კნენა იყო, არამედ დედაკაციც. ამიტომ არ შეიძლებოდა გულდამშვიდებული შეხედროდა მარკიზა დე ტრასის ნათქვამს. ისევ ფიქრებმა გაიტაცეს, ისევ გრიგოლ ზანდაროვთან თავისი უცნაური ურთიერთობის ფიქრს დაუბრუნდა. ამასობაში ლოქაში მოსული მარკიზი ქალი სულმთლად ვადაიეწყდა.

— ლაპარაკით ხომ არ დაგლალეთ, მა შერ? — ნაწყენი კილოთი მოაგონა თავი მარკიზამ, გულში კი გაიფიქრა: „არა, რა თქმა უნდა, მე ვცდები. ამ ქალს არც გატაცება შეუძლია, არც სიყვარული. ეს მე დანამდვილებით ვეცი მაგის ყოფილი საყვარლებისაგან. საინტერესოა, ჰყავთ თუ არა მართლმადიდებლებს მონაზონი ქალები?“

კნენა გოსტაშაბიშვილი ფიქრებისგან გამოერკვა, მარკიზას გაუღიმა და მობოდიშა:

— არა, ეგ რა სათქმელია? მე მხოლოდ თავად ესტერგაზის მეუღლეს ვუყურებდი. რატომ ატარებს ეგ ქალი აღრიანა ლეკუერერის კაბას? განა ჩვენ XVIII საუკუნეში ვცხოვრობთ?

ეოზეფინა დე ტრასისათვის ძნელი არ იყო იმის მიხედვრა, რომ კნენა ცრუობდა. მას ეტყობოდა არ ესმოდა, თუ რაზე ლაპარაკობდა მისი ლოქის

სტუმარი, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ამ დროს თვითონ სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა და „არა ვინმეზე“ — დაასკვნა მარკიზამ. კნენა თავად ესტერგაზის შეუღლეს მიაცქერდა. მარკიზა დე ტრასიმ ზრდილობის გამო გაიხედა იქითენ. ცნობისმოყვარე გრიგოლ ზანდაროვმაც შეუმჩნევლად თვალებით დაუწყყო ძებნა იმას, ვისკენაც ლოჯაში მსხდარი ქალები იცქირებოდნენ. მან იცოდა, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც ახლა იგი იმყოფებოდა, უზრდელობად ჩაეთვლებოდა თავად ესტერგაზის და მისი მეუღლის ვინაობის გამოკითხვაც, თვალების უთავბოლო ცეცებაც, და მით უმეტეს, „რომელია, მაგდაჯან“, რომელიც მას ტუჩებზე ეკერა.

ცოტა ხნის შემდეგ მარკიზა დე ტრასი გამოსამწვიდობებლად წამოდგა. როცა მან თავად გოსტაშაბიშვილს თავი დაუკრა და გრიგოლ ზანდაროვს ხელი ღიმილით გაუწოდა, ეს უკანასკნელი ისე მოხდენილად ეამბორა გამოწვდილ ხელზე, რომ კნენას უნებლიედ ღიმილი მოადგა ბაგეზე: გულში კი ისე წარმოთქვა, როგორც მისმა გამდელმა იცოდა ხოლმე: „შენ მომიყვდი, გრიგოლ, აჰანდე!

ამ შინაგანმა მდამბურად წამოქაჩილმა გრიგოლ ზანდაროვმა რატომღაც მისთვის კიდევ უფრო მახლობელი, საყვარელი და სასურველი გახადა. მაგრამ ეოზეფინა დე ტრასის მოეჩვენა, რომ კნენა გამკილავად იღიმებოდა იმ ნურადლების გამო, რომელსაც იგი ახალგაზრდა და ლამაზი, მაგრამ მდამბო მამაკაცის მიმართ იჩენდა. გაბრაზებულმა მარკიზამ კიდევ უფრო მომხიბლველად გაუღიმა ზანდაროვს და არშიყის სინარჩარით შესთავაზა,

— არ გამაცილებთ, ბატონო, ზანდაროვ?

ზანდაროვმა მარკიზას მოკრძალებით დაუკრა თავი.

კნენამ კოპები შეჰკრა.

მოპირდაპირე ლოჯაშიც მარკიზა შარლოტა დე ტრენაგ კოპებშეკრული იჯდა. მასაც ისევე ჰქონდა ხელში მარაო გაშეშებული, როგორც კნენა მაგდა გოსტაშაბიშვილს. ამის შემჩნევა ახლა მისთვის ძნელი არ იყო.

კნენა მართლაც რწმუნდებოდა, რომ სიყვარულს გრამატიკა არ სჭირდებოდა.

□ გაგრძელება იქნება □

ნახი ზედი

პირ-ფურცლობის დღეები

მოჯარებულა ვარდ-ფურცლობით სავსე დღეები,
ჰაუ, რამდენი ყაყაჩოა გაშლილი ველად,
და გაზაფხულის ეს ხანძარი მინდვრის, ტყეების,
იბყრობს ყოველი სულდგმულის მშერას.
გაზაფხულს თავის გრძნეულ ზღვებით,
გადაუხატავს მინდორ-ველები...

...და თავს გვაცვივა ალუზათა თეთრი ფანტელი,
მზე ლორთქო ბალახს უჩვეულო დიმილით ფერავს.
და ჰა... მაისი ყვაელების კორიანტელით
ათასფერებად ბრწყინავს და ელავს...
დადის მაისი სიცოცხლით სავსე
და ვარდ-ყვაელებს შთა და ბარს ასევს.

მოჯარებულა ვარდ-ფურცლობით სავსე დღეები,
გაზაფხულია, ჩურჩულებენ მდინარეები,
ნეტავი დიდხანს, კიდევ დიდხანს გაგრძელდეს ასე,
ვარდ-ყვაელობა იფრთა ცაზე;
და ლოცვა ესე აღსრულდეს ამინ,
დროა ვიზილოთ ცის გახსნის ფაში,
ყურს ჩამძახიან ტუნდამსკდარი კვირტები ნუშის,
დილის ცვარ-ნამი რომ ჩაუკრავთ უჩუმრად გულში,
და გაზაფხულის მზის სხივებით მოქარვულ ხნელში,
მიმოუფანტავთ ყვაელებს ფანტელი,
ფიქრის, დარდების მიმომფანტველნი,
და ნაირფერთა კორიანტელით
არიან ქვეყნად ზარ-ზეიმის გამომსახტველნი...
მოჯარებულა ვარდ-ფურცლობით სავსე დღეები,
გაზაფხულია — ჩურჩულებენ მდინარეები...



უცნობი ჯარისკაცის საფლავი

მოთხრობა

თქვენზე ნარკვევი უნდა დავეწრო-
მეთქი რომ ვუთხარი, უსიამოვნოდ შე-
კმუნხნა წარბები:

— ვითომ საჭიროა კი ეს?

— ალბათ საჭიროა, თქვენ ხომ ომ-
გადახდილი ხართ...

— ომგადახდილი ბევრია, სხვა ვე-
რაინი იპოვნეთ?

— თქვენთან მომასწავლეს, საინ-
ტერესო საბრძოლო თავგადასავალი
აქვსო.

— არაფერი ისეთი, გირჩევთ სხვა
მონახოთ.

შევატყვე, თავს კი არ იპატიებდა,
გულწრფელად მეუბნებოდა, მართლა
არ სურდა დამეწერა მასზე. ვამიკვირ-
და და ახლა უფრო დაეინტერესდი.
ზოგს რედაქციები ფეხად აქვს აღებუ-
ლი, დიდი პორტფელით დაათრევს გა-
ყვითლებულ ფოტოსურათებს, სა-
ფრონტო განეთებს, სამკუთხა ბარა-
თებს, ათასნაირ ნამდვილ და საექვო
დოკუმენტებს, ერთი ასად აზვიადებს
თავის საბრძოლო თავგადასავალს,
ოღონდ გაზეთში მოხვდეს. ამას კი სუ-
ლაც არ უნდა დაიწეროს.

არ მოვეშვი, აუცილებლად თქვენ-
ზე უნდა დავეწრო-მეთქი.

— არა, არ გამოგადგებათ ჩემი თავ-
გადასავალი საგაზეთო თემად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... არ არის საჭი-
რო.

— თქვენ ხომ ტექსტის გმირი
ხართ?

— არა, სხვა მონახეთ, თქვენთვის
ხომ სულერთია.

— როგორ თუ სულერთია!.. აუცი-
ლებლად თქვენზე უნდა დავეწრო.

— უცნაური ხალხი ხართ ეს ეურ-
ნალისტები, — თქვა ეს და შევატყვე
სიბრაზე მოერია. „უცნაური“ კი არა,
რალაც სხვა უფრო მკვეთრი ეპითეტი
უნდოდა ენმარა, მაგრამ თავი შეიკავა,
— კაცს მოსვენებას არ მისცემთ, —
დასძინა ბოლოს და შეეცადა ღიმილით
გაებათილებინა თავისი რამდენაღუკ
მკვახე ტონი.

ვგრძნობდი, თავი მოვაბეზრე ამ
კაცს. მზად ვიყავი განზრახვაზე ხელი
ამეღო და საერთოდ არაფერი დამე-
წერა მასზე, მაგრამ არც წამოსვლა
მინდოდა. იყო რალაც მეტად საინტე-
რესო და მიმზიდველი მის პიროვნე-
ბაში.

— თქვენ ომში ნამყოფი ხართ? —
მოულოდნელად მომიბრუნდა იგი.

— არა, არა ვარ ნამყოფი-მეთქი.

— მით უმეტეს...

— რა მით უმეტეს, რატომ მეკით-
ხებით?

— იმიტომ, რომ თუ ომში ნამყოფი

არა ხართ, საერთოდ არც უნდა წერდეთ ომზე. იცით რა არის ომი?.. რაც კარგად არ იცით, იმაზე არ უნდა დაწეროთ. მეკითხველს ადვილად ვერ მოაბუყებ. ის კი არა, ვინც ომში ნამყოფია, ისინიც ვერ წერენ როგორც საჭიროა. ერთმაც დაწერა ჩემზე... და ძალიან ცუდად. ჩემს შვილიშვილს წაეკითხა, უკვე ათი წლისაა, მესამე კლასში სწავლობს. მოვიდა და მეკითხება: ბაბუ, მართლა თხუთმეტი კაცი გყავს მოკლულით, რატომ მოკალი, არ შეგეცოდო. რა უნდა მეპასუხნა? არ შეიძლება ასე წერა. ვანა შეიძლება ომის დამთავრების ოცდაათი წლის შემდეგაც ვიკვებნიდეთ და ვტრიაბახობდეთ ამდენი და ამდენი გერმანელი მყავს მოკლულით? მაშინ, ომის დროს, აღბათ. შეიძლებოდა დაგვეწერა ასე, მაშინ შურისძიების გრძნობა უთუოდ საჭირო და სასარგებლო გრძნობა იყო, მაგრამ დღეს, როცა ტურისტად თუ საქმეზე ჩამოსულ გერმანელებს მეგობრულად ვუმასპინძლებით შინ და მათ ქვეყანაშიც სიამოვნებით მივდივართ სტუმრად. შეიძლება ასე დაეწეროთ?!

შვილიშვილი მეკითხებოდა, რატომ მოკალით. დღეს, აი ამ კითხვაზე უნდა გავყოთ პასუხი: რატომ ვიყავით იძულებული ერთმანეთი დაგვეხოცა, რისთვისაა დედამიწა მოფენილი უსახელო სათლავებით და შინმოუსვლელთა ობელისკებით. თუ დაწერთ, ამაზე უნდა დაწეროთ და ამ კითხვაზე გასცეთ პასუხი, თუ არა და არაფერიც არ უნდა დაწეროთ.

— ეტყობა, ძალიან გაუბრალებიხართ ეურნალისტებს.

— არა, ცუდად ნუ გამიგებთ, — მოიბოდიშა მან და შეეცადა მშვიდად გამოეთქვა თავისი აზრი, — ჰკუთას კი არ გარიგებთ, თქვენ უკეთ იცით, რა და როგორ დაწეროთ, მაგრამ მე ჩემი შეხედულება მაქვს ამ საკითხზე და მინდა ბოლომდე გულწრფელი ვიყო... მტერი მუდამ უღვევი გყავდა, მაგრამ ომის შემდეგ ჩვენი წინაპრები მტრის მოკვეთილ თავებს კი არ ითელიდნენ,

არამედ „ვეფხისა და მოკამას“ ბალადებს თხზავდნენ... მე შეგონდეს უნდა გაითვალისწინოს ჩვენს ხელოვნებაზე წერს.

შემატყო, დამაინტერესა მისმა ლაპარაკმა და ყურადღებიანი მსმენელი რომ მიპოვნა, მისდაუტყუარად თანდათან ჩამომყვია საუბარში.

— ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით, — მითხრა მან და პაპიროსს მოუკიდა, — ოღონდ დასაწერად კი არა, ისე... პოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის აჯანყების ამბავი გავიხილი გექნებათ. ალბათ, ამ ბატალიონის შექმნის ისტორიაც გეცოდინებათ. 1942 წლის ბოლოს დაიწყეს გერმანელებმა ასეთი ცალკეული ჯანაჯოფების შექმნა სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან. ფაშისტები ვარაუდობდნენ გაჭირვების დროს სამხედრო ძალად გამოიყენებდნენ ტყვეებს, თუ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერა, მოკავშირეთა წინააღმდეგ მაინც, ასეთი მომენტები მალე დაუდგათ. 1945 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა გადაწყვიტეს ქართული ბატალიონის რამდენიმე ასეული მოკავშირეთა წინააღმდეგ გაეყვანათ ფრონტზე. 4 აპრილს გერმანელთა სარდლობის ბრძანება მოვიდა. 5 აპრილს კი ის-ის იყო აჯანყებაც დაიწყო. მაგრამ ეს გრძელი ამბავია. მე კი ერთი მცირე ეპიზოდი მინდა მოგიხროთ, რაც პირადად გადამხდა. ეს იყო ომის დამთავრებამდე ათიოდე დღით ადრე, 29 აპრილს, არასოდეს დამავიწყდება ის დღე. საბჭოთა მეომრები ბერლინის ქუჩებში იბრძოდნენ, ჩვენი ბატალიონი კი სულს ლაფავდა ჩრდილოეთის ზღვის შორეულ კუნძულზე. 750 კაციდან, აჯანყების დაწყების წინ რომ ვიყავით ბატალიონში, მესამედი-ლა დავრჩით ცოცხალი და ახლა, ცალკეულ ჯგუფებად დაქსაქსულნი, ტყვეებს, ხეობებსა და ნაპრალებს, ზოგიც ადგილობრივ მოსახლეობას ვაფარებდით თავს.

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა

დიდძალი მაშველი ძალები გადმო-
სხმა შესძლეს კუნძულზე და საბრძო-
ლო საქურველიც შემოგვაცლდა, ჩვენი
საქმე ცუდად წავიდა. განწირული ვი-
ყავით, ერთადერთი ხსნა გერმანიის
კაპიტულაცია და ომის დამთავრება
იყო, რასაც დღე-დღეზე ველოდით.

მანამდე კი როგორმე თავი უნდა
გაგვეტანა. ეს ახლა ჩვენი მთავარი სა-
ზღვრნავე იყო.

გერმანელები საარტილერიო ცეცხლს
გვიშენდნენ შორიდან, თუ სადმე და-
გვიგულებდნენ, თავდასხმას კი ვერ ბე-
დავდენდნენ. ეს არც სჭირდებოდათ. იმე-
და ჰქონდათ ისედაც ამოწვევდებოდათ
შემშლით. არც თუ უსაფუძვლო იყო
მათი ეს ვარაუდი. ტყეებში გახიზნულ-
ნი ჭაობის მცენარეთა ყლორტებით და
ძირხვეწებით ვიკვებებოდათ, რამდენი-
მე კაცი მოგვიკვდა შემშლით, ზოგიც
მოიწამლა — უცხო მიწაზე ყველა მცე-
ნარეს ხომ ვერ გამოიცნობ, რომელი
გამოგადგება საკვებად და რომელი
არა.

ჩვენმა რაზმმა, რომელშიც 23 კაცი
შევდიოდით, კუნძულის ჩრდილოეთით
ერთ ტყიან გორაკზე დაიდო ბინა. ად-
გილი მოხერხებული იყო. გარეშე მო
თვალსაწიერზე ხელისგულივით მო-
ჩანდა ყველაფერი, თავად კი საიმედოდ
ვიყავით ჩასაფრებული. ბორცვამდე
მხოლოდ ერთადერთი გზით შეიძლე-
ბოდა მიღწევა, სხვა მხარეს ყველგან
გაუვალი ჭაობები გვერტყა. ამ გაჭირ-
ვების დროს ბედმა ვაგვიღიმა და გო-
რაკის სამხრეთ ფერდობზე კლდეში
ამოკვეთილი მშვენიერი გამოქვებულიც
ვიპოვეთ, რომელშიც მთელი ჩვენი
რაზმი თავისუფლად მოთავსდა.

ასე რომ, საჭმელი რომ გვექონოდა,
შეგვეძლო არხინად ვმსხდარიყავით
თავშესაფარში და ომის დამთავრებას
დავლოდებოდით. მაგრამ შემშლის
სადლა დაემალებოდა! ტყეში თუ რამ
შესაჭმელი იყო, ხის ქერქიდან ბალ-
ხის ახალგანედლებულ ძირებამდე,
ყველაფერი შევკამეთ. მერე კი იძულე-
ბული გავხდით დამლამობით თავშე-

საფარიდან გამოვსულიყავით და თავ-
განწირვის ფასად ცოტაოდნენ შევ-
სათ-სანოვავე გვეშოვნა. სურსათს
მეტწილად ადგილობრივი მოსახლეო-
ბისაგან ვშოულობდით. თუ კი რამ
ჰქონდათ, გვიწილადებდნენ, არ ენანე-
ბოდათ, მაგრამ რა ექნათ, თავადაც
უჭირდათ. ამიტომ მუდამ მტრის გა-
ძარცვაზე გვეჭირა თვალი, თუ სადმე
მოვიხეტლებდით. მაგრამ ასეთი შესა-
ძლებლობა იშვიათად გვეძლეოდა.

იმ ღამეს გერმანელების ერთი ობი-
ექტი ამოვიღეთ მიწაში. იგი ჩვენი
თავშესაფარიდან ორიოდე კილომეტ-
რით იქნებოდა დამორბეული. მთელი
სამი დღე ვუთვალთვალეთ, იმ პუნქტს
ჰოგრიტით, ჩვენი ვარაუდით სურსა-
თის საწყობი უნდა ყოფილიყო. ადრე
ამ ადგილას ძელმიწური შეგულბო-
და, სადაც ამ სამიოდე კვირის წინათ
გერმანელთა გარნიზონი ამოწყვიტეს
ჩვენებმა. საწყობად იგი, ეტყობა, მას
შემდეგ აქციეს, რაც მტერმა კუნძულ-
ზე მაშველი ძალები გადმოსხა. რამდე-
ნადაც აქედან ამის დადგენა შეიძლე-
ბოდა, საწყობს სულ ცოტა 10 კაცი სა-
გან შემდგარი გარნიზონი იცავდა. უეჭ-
ველია სადღეღამისო გუშავობა იქნე-
ბოდა დაწყებული.

საწყობზე დაცემის იდეას მიმზიდ-
ველობას ისიც ანიჭებდა, რომ ობიექ-
ტი ახლოს იყო და თუ ოპერაცია წარ-
მატებით დამთავრდებოდა, მთელი ორი
კვირის თავგასატანი სურსათი შეგვე-
ძლო გვეშოვნა ჩვენი რაზმისათვის.
ამასობაში კი, ფაშისტებსაც მოედებო-
და ბოლო და ომი დამთავრდებოდა.

ამასთან, მოსალოდნელი ხიფათიც
უნდა ვაგვეთვალისწინებინა. ადგილი
შესაძლებელი იყო ეს საწყობი გერმა-
ნელთა მიერ ჩვენს მისატყუებლად სა-
განგებოდ მოწყობილი ხაფანგი ყოფი-
ლიყო.

მაინც ვაჩოხინეთ რისკი ვაგვეწიო
და დავცემოდით, შემშლით სიკვდილს
ბრძოლაში სიკვდილი სჯობდა.

მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ
სამნი წავსულიყავით გვიან ღამით. თუ

გავვიმართლებდა, ათ დამხვედურ გერმანელს სამი მარჯვე თავდამხმელიც ვეყოფოდით, თუ არა და მთელი რაზმიც რომ წაესულიყავით, ტყუილუმბრალოდ ამოგვეწყვიტდნენ ყველას.

ჩვენს იღბლად ბნელი ღამე იყო და ძლიერი ქარი ქროდა. ავტომატებით შევიარადით და ორ-ორი ხელუშმაბრაც წავიღეთ, რა თქმა უნდა, პისტოლეტები და დანებიც თან გვჭონდა.

ყველაფერი იმაზე უფრო იოლად და კარგად წარიმართა, ვიდრე ვვარაუდობდით. საწყობამდე შეუფერხებელივ მივედით. ოციოდე მეტრზეც კი არ დაგვეჭირებია ხოხვა. გუშაგი სწრაფად და უხმაუროდ მოვიშორეთ თავში ავტომატის ჩარტყმით. მუქაში ანთებულმა პაპიროსმა ვასცა. ჯარისკაცს მუდამ ძვირად უჯდება დისციპლინის დარღვევა.

მშვიდად დავხვევრეთ იქაურობა. მერე ძელმიწურის შესასვლელთან ჩემი ის ორი ამხანაგი გუშაგად დავაყენე და ავტომატმომარჯვებული ფრთხილად ჩავეყვი კიბეს.

სადღაც სიღრმეში სუსტი შუქი ჩანდა და მძინარე ადამიანების მყარლი ოხშივარი ამოდიოდა.

კიბე რომ ჩავათავე და ზღერბლს მივადექი, შიგნიდან ვიღაც ნამძინარევი ხმით გამომეხმაურა გერმანულად: „რომელი ხარ მანდ? შემოდი“. მაშინვე ჩავიჩოქე, კუთხეში მივიკუჭე და იქითკენ მივეშვი ავტომატის ჯერი, საიდანაც ხმა მომესმა. ამას ერთბაშად რამდენიმე ადამიანის ყვირილი, ღრიალი და კენესა მოჰყვა. სინათლის ის წყაროც, რომელიც სუსტ შუქს იძლეოდა, მაშინვე ჩაქრა და სრულ წყვდიადში აღმოჩნდი. ვიწქი ბნელში და დროგამოშვებით ავტომატის ჯერს იქითკენ მივმართავდი, საითკენაც სიცოცხლის მაუწყებელ რაიმე ხმას გავიგონებდი. ასე ვიქცეოდი მანამ, ვიდრე მიწურში სრული დუმილი არ დამყარდა. ერთხანს სიჩუმეს ვეყურადებდი, მერე ავდექი და ფრთხილად ამოვეყვი საფეხურებს.

უცებ ქვემოდან სროლის ხმა გავიგონე და იმავე წამს მარტყენა-შკლავში ცხლად ვამწვა. მივხვდი, ქვემოთში ვამიარა ტყვიამ. იქვე ჩავემხე, ხელყუმბარა მოვიხსენი და ალაღებელზე გადავისროლე ქვემოთ, სარდაფში. ამის შემდეგ დიდხანს ვიყავი ასე გალურსული, მაგრამ ქვემოდან არავითარი ხმაურობა არ ამოსულა.

ზევით ავბობლდი და სტეცენით მოვეუხმე ამხანაგებს, რომლებსაც ჩემი იმედი უკვე გადაეწყვიტათ.

ვიდრე მკლავს მიხვევდნენ, მოათაბირებაც მოვასწარი. კიდევ ორი ყუმბარა ჩავაგდეთ ძელმიწურში და ჩვენც მაშინვე ჩავეშვით შიგ. დაყოვნების დრო არ იყო. სურსათი უნდა მოგვეძებნა და თუ რამეს ვიპოვნიდით, წამოგველო, ვიდრე სროლის ხმაზე მეზობელ სამხედრო გარნიზონიდან წამოსული მტერი მოგვისწრებდა.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ძელმიწურის ერთი მხარე მართლაც საწყობად იყო ქცეული. აქ თითქმის ყველანაირი პროდუქტი იყო: ფქვილი, ბურღული, ორცხოხილა, შოკოლადი, შაქარი... ჩვენ ყველას ორცხოხილა და შოკოლადი ვარჩიეთ: მზა იყო, ყუათიანი და უფრო დიდხანს გამოვიზოგებდით. თითო ფუთა ავიკიდეთ და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ მოულოდნელად წინ მიმავალმა ამხანაგმა გერმანელ ჯარისკაცს მიანათა ფარანი. იგი იარაღმომარჯვებული კუთხეში იყო ატუხული და ალბათ ჩვენს წასვლას ელოდებოდა შეშინებული. სინათლე რომ არ მიგვენათებინა, ალბათ ხმასაც არ გაიღებდა, მაგრამ თვალში შუქი ეცა თუ არა, მაშინვე რამდენჯერმე გაისროლა ზედიზედ.

ერთი ჩვენი ამხანაგი, ის, რომელიც წინ მიდიოდა და ფარანი ეკირა, უხმოდ დაეცა და მიეხვდი, ტვინში გაუარა ტყვიამ. მეორემ გვერდზე გახტომა მოასწრო, ხელდახელ მივარდა და იარაღი ვაგდებინა მტერს. მაგრამ ერთი ტყვია მასაც მოხვდა. ამჯერად, მე უვნებლად გადავრჩი.

განიარალბულ გერმანელს ფარანი რომ მივანათე, რუსულად დაიყვირა: „ნე სტრელიატე, სდაიუს“.

რალაცნაირი უცნაური აქცენტით, სასაცილოდ და საცოდავად იმეორებდა ამ ორად-ორ რუსულ სიტყვას, რაც, ეტყობოდა, ასეთი შემთხვევისათვის საგანგებოდ ჰქონდა დასწავლილი. მაინც იმდენი მუდარა ისმოდა მის ხმაში, უნებურად შემართული იარაღი დაეუშვი, თუმცა სიბრაღული კი არა, გონიერება მიკარნახებდა ცოცხალი დამეტოვებინა იგი: ახალგაზრდა და ბეჩავი იყო და მოკვლამდე იქნებ გამოშვებებინა რამეში.

მოკლულ ამხანაგზე ფიქრის დრო არ იყო. იმაზე-ღა უნდა გვეზრუნა როგორმე გავველწია აქედან და ცოტადენი სურსათიც წაგველო, რისთვისაც თავი გაფწირეთ და დიდი მსხვერპლიც გავიღეთ.

ახლა ეს იოლი საქმე როდი იყო. ორიენტი დაჭრილი ვიყავით. მე კიდევ არა მიჭირდა რა, სიარულიც შემეძლო და ბარგის ზიდვაც. ჩემი ამხანაგი კი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა, მენჯში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია.

აი, სად გამომადგა ცოცხლად დარჩენილი გერმანელი! დაჭრილის წამოყვანა იმას მივანდებ, მე ერთი ტომარა ორცხოზობილა მანდიკურად გადავიყიდე მხარზე და დავიძარბით.

ორი კილომეტრი ისე გამოვიარეთ ტყემდე, ერთხელაც არ დაემსხდარვართ შესასვენებლად. ორიოდ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, ხოლო როგორც კი თავი სამშვიდობოს ვიგრძენით, მაშინვე მიწაზე დავეყარეთ და დავისვენეთ.

მთელი გზა ხმა რომ არ ამოუღია, ახლა ახლოს მიმიხმობ დაჭრილმა და საიდუმლოსავით მითხრა, გვედებო. კრილობა სიცოცხლისათვის საშიშად არ მიმაჩნდა და დამშვიდებდა დაეუწყე, მაგრამ ჩანს მან უკეთ იცოდა: რამდენიმე წუთში ჩემს მუხლებზე უდრტყინველად დალია სული. ეტყობოდა, სისხლისაგან იყო დაცლილი.

იქვე გავუთხარე სამარე, ჩემი ტყვე ისე გულმოდგინედ მეხმარებოდა, ისე იყო შეწუხებული, თითქოს ჰირისუფალი ყოფილიყოს.

ვიდრე დასაფლავებას მოვრჩებოდით, ინათა კიდევ. გერმანელი უკვე აღარ მჭირდებოდა და ახლა იმის გაფიქრებაზე, რომ იგი უნდა მომეკლა, მთლად გამიფუტკდა ხასიათი.

მე ჩემი დარდი და საზრუნავიც მეყოფოდა, ახლა კიდევ ამ გერმანელისათვის არ ამეტკივებინა თავი, ერთი ტყვია და მორჩა, ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ სწორედ ამ ერთი ტყვიის გასროლა მიძნელდებოდა.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, შიშისა და ტანჯვა-წამებით ერთად გადატანილი ამ ღამის შემდეგ რალაცნაირი სიბზოვის გრძნობა გამიჩნდა ამ ადამიანისადმი. ახლა, როცა მის მოსაკლავად იარაღი უნდა შემემართა, პირველად დაეაკვირდი მას და ჩემდა განსაკვიფრებლად შეენიშნე, რომ ის, ვინც საშიშ და სახიფათო მტრად მესახებოდა და მთელი ღამე ზურგში რევოლვერდამიზნებული მოედევდი, მთლად ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი, 16 წლისაც არ იქნებოდა (ბოლოს, როცა ძალიან გაუჭირდათ, სწორედ მისი ტოლები გაიწვიეს ფაშისტებმა არმიავში). ქერა ყმაწვილი იყო, საულვამზე წამოზრდილი ქინქლი ოქროსფრად უბზინავდა, წვრილ, ყინწილა კისერზე ეფეთსთან ღრმა ღარი ჩასდევდა, როგორც მოზარდებს აქვთ ხოლმე. ფართო, ცისფერი თვალებით ისე შემოგხედავდა, თითქოს შუქს გაფრქვევსო.

ჩვენ ახალამოვსებული საფლავის ბორცვზე ვისხედით და ვისვენებდით. ის, ვინც ახლა ამ საფლავში იწვა, ამ ბიჭის ხელით იყო მოკლული. ამან მომიკლა მეორე ამხანაგიც, იქ ძელმიწურში რომ დაეტოვეთ და მეც, ალბათ, ამან მესროლა. ეს, რაც ჩემი თვალით ვნახე. ვინ იცის, კიდევ რამდენი ეყოლებოდა მოკლული!

და მე ვისხენებდი ჩემს დაღუბულ

თანამებრძოლთ, ფრონტზე დაცემულთ და იმპიატ, ვინც აქ, ამ კუნძულის მიწაში იწვნენ. წარმოვიდგენდი უმაჟიმოდ, უქმროდ, უძეოდ დარჩენილ მათ მახლობლებს, მაგრამ ვერა და ვერა, შურისძიების ცეცხლი ვერ გავიდვივე გულში, რომ ეს ღლაპი ხელისაუკაცნალებლად და შეუხანებლად მომეკლა... თუ შენი სამშობლოს ცა და მიწა რამედ ღირს შენთვის, თუ კი ერთი ადამიანი მაინც გეგულება იქ გულით საყვარელი, ან კი როგორ უნდა აგიკანკალდეს ხელი მტრის მოსაყლავად, ვინც ამდენი უბედურება დაგვატეხა თავს!...

მე გამომიცდია და ვიცოდი, რა არის ომში სამაგიეროს გადახდის წყურვილი, შურისძიების გააფთრება, სისხლის აღების აღტყინება და სიხარული, მაგრამ ეს ბიჭი ხომ ჩემი მტერი არ იყო!

არა, არასგზით არ შემეძლო ამის დაჯერება!

ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, მოულოდნელად მხარზე ფრთხილი შეხება ეგვრძინი და მაშინვე იარაღზე გავივლე ხელი. შემეშინდა, მქონდა კიდევ ამის საფუძველი: მე დაქრილი ვიყავი, მხარი მთლად გამიკავდა. ჩემს ტყვეს რომ ვაგებდა და ხელდახელ შემბმობდა, თუმცა ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, ალბათ მაინც მაჯობებდა, ჩემივე იარაღით მომიღებდა ბოლოს და თავს უშველიდა.

მაგრამ არა, მას ეს ფიქრადაც არ მოსვლია. მას ეძინა. მთელი ღამის ნატეხს, ნაგვემსა და დაღლილ-დაქანცულს ძილს ერთბაშად წაერთმია თავი და მისდაუენებურად მხარზე მოყრდნობოდა და ჩასძინებოდა.

იგი ისე მონდობილად იყო მოყრდნობილი ჩემზე და ისე გულიანად ეძინა, შემაქრყოლა და ტანზე ბუსუსები დამაყარა: ღმერთო ჩემო, როგორ უნდა მოვკლა ის!..

მე მაჟალ შევფეროდი მას. სწორედ მისი ტოლი ბიჭი მელიოდა შინ და ერთბაშად ისეთი გრძნობა გამიჩნდა, ამ

უცხო ყმაწვილისადმი, თითქოს მტერი კი არა, ჩემი ახლობელი ყოფილიყოს.

დღეს, ოცდაათი წლის შემდეგ, თამამად ვამბობ ამას, მაშინ კი მეშინოდა საკუთარ თავსაც გამოვტყდომოდი ამაში. ეს მე ჩემს სისუსტედ მიმაჩნდა.

ახლაც არ ვიცი, იქნებ ეს მართლაც სისუსტე იყო, მაგრამ მე არ მინდოდა და არ შემეძლო ამ ბიჭის მოკვლა.

მხარზე მის თბილ შეხებას ვგრძნობდი, მესმოდა მისი მშვიდი სუნთქვა და ერთბაშად მივხვდი, ამ წუთს მე ვიყავი მისი ერთადერთი იმედი და ნუგეში, დედაც, მამაც, ღმერთიც, დარწმუნებული ვიყავი, რომ გამეღვიძებინა ახლა და მეტქევა: წადი, თავს უშველე, თავისუფალი ხარ-მეთქი, არ წავიდოდა, კვიცივით უკან ამედევნებოდა.

და მე მაინც უნდა მომეკლა იგი. რა შექნა? სად წამეყვანა? ტყვეები ჩვენ არ გვყავდა და არც შეიძლებოდა ვეყოლოდა. სად უნდა შეგვენახა? მით უფრო ახლა, როცა პარტიზანულ ბრძოლებზე გადავედი და ტყე-ღრეში ვიმალდებოდი.

გამეშეა? მაგრამ იგი ხომ თითქმის ჩემს თავშესაფრამდე გვყავდა მოყვანილი. გონს რომ მოვიდოდა, ალბათ ყველაფერს უამბობდა თავისიანებს და იმ ერთადერთი გზით, რომელიც მან უკვე იცოდა, ჩვენსკენ წამოუძღვებოდა.

არა, ყოყმანის დრო არ იყო, უნდა მომეკლა.

ბიჭი გავადვიძე. მკლავზე ხელი მოკვიდე და ნელა შევანჭლრიე. მიუხედავად იმისა რომ მკვდარივით ეძინა, შეკრთა და უმაღლე გაიღვიძა.

არ ვიცი რაზე შემეტყუო, შემომხედა და მაშინვე მიხვდა, რასაც ვუპირებდი.

ღმერთო, რა თვალებით შემომყურებდა! არასოდეს მინახავს ასეთი მეტყველი თვალები. მათში ერთდროულად იხატებოდა შიშიც, მუდარაც, იმედიც და კიდევ რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი.

და კვლავ მიმტყუნა ნერვებში: არასგზით არ შემეძლო მისი მოკვლა ამ წუთს.

ვანიშნე ბარგი აეკიდებინა და წინ გამძლოლოდა.

ერთბაშად სიხარულის და იმედის შეჭი აინთო მის თვალებში და ბარგს ყოჩაღად დაავლო ხელი.

მთელი სულიერი და ფიზიკური ძალები მოვიკრიბე და როცა ბარგი აიღო და წამოდგა, კეფაში დავახალე.

ფუთა დაადგო და შემობრუნდა. ხელებგამოწვდილი წამოვიდა ჩემსკენ, თითქოს შველას მთხოვსო და ჩემს მუხლებთან დაეცა.

არასოდეს დამავიწყდება მისი უკანასკნელი შემოხედვა. აღარც შიში, არც საყვედური, მხოლოდ ვაოცება იხატებოდა მის თვალებში, ვაოცება

და იმედი, უკანასკნელი იმედი...

მისი უკანასკნელი იმედი შეგნევიან იგი კვლავ ჩემგან, თავისთვის შეკვლელისაგან მოელოდა ხსნას. და ისე მოკვდა იგი, ეს იმედი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ ჩამჭრალა მის ფართოდ გახელილ თვალებში.

უგუნურება იქნებოდა მოკლული გერმანელი იქვე დამეტოვებინა, ზედ ჩვენი ბანაკის მისასვლელთან. არა და, რა მექნა! იძულებული გავხდი ახალამოცსებული საფლავის ახლოს სახელდახელოდ მეორე საფლავიც გამეთხარა და ის გერმანელიც დამემარხა.

ბევრი ტანჯვა გადავიტანე ამ ომში, მაგრამ არასოდეს ისე ნათლად არ მიგრძენია ომის მთელი საშინელება, როგორც მაშინ, როცა იმ საფლავებს ეთხრიდი...



ოთარ ზუბინაშვილი

დედა სოფო საავადმყოფოში

მოთხრობა

— დედა მშვიდობისა, დედა სოფო, დედა ხანია არ გვინახავს ერთმანეთს. სად დაიკარგეთ, სად გაქპრით?

— საავადმყოფოში ვიწექი, შვილო, წნევა და იშიაზი ერთად დამეჭახა. ცუდი ყოფილა სიბერე — გული გერჩის და წელი არ მოგდევს, გუნებაში გემღერება და ქოშებს კი აფლატუნებ. ჰაი დედასა! თავის დროზე ვრაკალიდან კავთისხევამდე შაქროს იორლა ცხენს ფეხდაფეხ მოვდევი, ვენაცვალე, ვაცალეზი იმასა. ახლა ტროლეიბუსს ერთი საათის განმავლობაში ვეზომები — ავალ თუ ვერ ავალ! ავალ თუ ვერ ავალ! შერე, რისკის საქმეა, ავბობდები და სახელურს რომ წავავლებ ხელსა, ბავშვივით მიხარია. თუ შაურაანი მუტაში დავიკავე, ცალი ხელით ტროლეიბუსში ვერ ავდივარ, თუ ჭიბეში ჩავიგდე, ვეღარა ვბოლოვ იმ ჯანდაშვარსა, მუნიციპალიტეტის ვეჯეტარიალში. ახლა ვატმანმა თუ უტბაა დასძრა ან დაამუხრტა ტროლეიბუსსა, მოვწყდები სახელურს და, ეს ცენტრზე მძიმე დედაკაცი, იმდენ ხანს ვეხეტები აქეთ-იქითა, სანამ ვინმე მამაკაცის კალთაში არ ამოვეყოფ თავსა!..

დედაჩემს შაქრო არ მოსწონდა — ძალიან ბანჯგვლიანიყო. რა მექნა, შვილო, ხომ ვერ გავბარსავდი თავიდან

ბოლომდე. ამიტომ ფოსტის ჩინოვნიკზე მათხოვებდნენ. ოინი ვუყავა დედაჩემ კატუშასა, ფატაში გამოწყობილი კავთისხევეში გავეჭეცი და შაქროსთან სახლში გავჩნდი. დედამთილს ვეუბნები — მიშველე-მეთქი, თან გული ამოვარდნაზე მაქვს, რადგან ილღაში ფატამოდებულმა ორმოც წუთში ავირბინე კავთისხევეშია. დედამთილმა ლოგინი გაგვიშალა და თვითონ კარებთან დაგვიდარაჯდა. სანამ კატუშამ ხალხი შესძრა, უკვე გვიან იყო. რაღა ექნა ფოსტის ჩინოვნიკსა, მეჭვრისხევეში გადაბარგდა საცხოვრებლად.

— დედა სოფო, ახლა ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით, ექიმებმა ყურადღება არ მოგაკლეს, ალბათ!

— ექიმები სულ ერთ ბუხარში არაა — დააწვავი, როგორც შემეყვანეს, ისე გამომიყვანეს საავადმყოფოდანა. ჭერ წნევას დაეჭიდნენ. რეზერვინი, პაპავერინი მაყლაპეს. რომ აღარა გამოვიდარა, ახლა მაგნეზიის ნეშები დამარტყეს. დამარტყეს და დამიჩირქეს, ვეღარც ვდგები, ვეღარც ვწევი. ახლა იშიაზს მოჰკიდეს ხელი, ჭარჭრობით მუდმივი ტკივილები არ მაწუხებს, შვილო. მაგრამა თუ უხერხულად გადაებრუნდი ძილშია, ხერხემალში სამართებელივით გამჭრის, გამკრავს და ვაი ჩემსა შეუსა დღესა! ბევრ ქოქოლას ვაყრი



ექიმებსა, მაგრამ რა ვქნა, ასინი მაინც ყოველ დღეა სამსახურში დადიან.

— პალატაში თუ ბევრნი იყავით, ალბათ, მხიარულად იქნებოდით! — შევეკითხე დეიდა სოფოს.

— რომ შემეყვანეს, მეორე დღიით უკვე ყველამ იცოდა, თუ ვინ გახლავთ დეიდა სოფო და რა სახლში სცხოვრობს, რომ სავადმყოფოს გამოფიტულ ქათმის ხორცს, უკვე ერთხელ დაღუპილის გემო რომ აქვს, მე შამაია და ლოქის კუდებს ვამჯობინებ. იმასაც მიხვდნენ, რომ მე აბუჩად ვერ ამიგდებდნენ და რომ პასუხის საძებნელად ხუდადოვის ტყეში არ წავიდოდი. ოდნავ რომ გამოვჯობინდი, დერეფანში სეირნობის უფლება დამრთეს. ერთ მშვენიერ დღეს ფანჯარაში გადაეხედე და რა ნახა ჩემმა თვალებმა! ბაღში მარტოდმარტო, ექიმის თვალყურის ქვეშ, მაღალი, ტყვიასავით ჩასმული ვაკეცა ვარჯიშობს. ერთი, ორი, — და ხელებს შლის — სამი, ოთხი, — და იკუზება, გვერდზე იხრება, დარბის, მერე ისევ იმეორებს ვარჯიშსა და ასე რამდენჯერმე. მაგულია ექიმს ვეკითხები. ამ ბუღას რა ვარჯიში სჭირდება-მეთქი? მაგულია უხერხულობაში ჩავარდა. მერე მიპასუხა — გავანდობთ, მხოლოდ მეშინია ქვეყანას მოსდებთო ამ სასირცხვილო ამბავს. — ექიმო, მართალი ხართ, ჩემმა საიდუმლოება ვერა ჩერდება, პალატაში მაინც მათქმევიმეთქი ჩემს დობილებთან. მაგულია შეტრიალდა და გაიქცა. მეორე დღეს ისევ ჩავაცივდი — მითხარი, რად უნდა ამ კამენს ვარჯიში-მეთქი, და მაგულია ექიმი გამომიტყდა: ეგ კაცი ქურაზე ტრამვაიდან გადმოხტა და ზურგით აკაციის ხეს დაეტაკა. რაკი ხერხემლის ტკივილი იგრძნო, მისმა ძმამ, რომელსაც იმ დროს დიდი თანამდებობა ეკავა, რენტგენზე სურათის გადასა-

ღებად ჩვენთან მოიყვანა გადაუღეს სურათი და ქირურგებმა დააკმენეს რომ უმნიშვნელო, მაგრამ ხერხემალზე მაინც რალაც ბზარისმავგარი მოჩანს, და რადგან დიდი კაცის ძმა გახლდათ, ეგ კაცი, თავის დაზღვევის მიზნითა თუ მლიქვნელობით, მყისვე თაბაშირის კორსეტში გაბოქვს და ცალკე პალატაში დააწვანეს. ავადმყოფს გასაგიყებელი მადა აღმოაჩნდა, სავადმყოფოს მაცირონსა და კომპოტს, სახლიდან მოტანილ ცხერის მწვადებთან ერთად, ბლოკადაში ნამყოფივით ანადგურებდა. წონაში მოიმატა, გასივდა, გაფუცდა, კორსეტში ველარ ეტეოდა, თითო ამოსუნთქვაზე ტანზე ემსხვრეოდა თაბაშირის კორსეტი, მაგრამ უმოძრაოდ მაინც იწვა ლოგინში. გაზარმაყდა, გალოხდა, როგორც ანკეტიდან ამოვიკითხეთ, ეგ კაცი პროფესიით დოცენტი გამოდგა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენთან იწვა, საღამოს „თბილისის“ და „ლელოს“ მეტი მას გახეთი არ წაუკითხავს. დანარჩენი დრო იწვა და უმეტესწილად ჰერს მიშტერებოდა.

დაბოლოს, მოიწვიეს კონსილიუმი. რენტგენზე სურათი ახლად გადაუღეს და, რადგან ფირზე ვერაფრითა ბზარი ვერ აღმოუჩინეს, ამიტომ ძველ სურათს შეადარეს და სწორედ ამ ძველ გადაღებულ ფირზე ოდნავი ნაფხაჭნი აღმოაჩინეს. მოკლედ, ფირი ყოფილა დაზიანებული და არა ხერხემალი. აი ახლა მოძრაობას, სიარულს, სირბილს და ხტუნობას ახლად ასწავლის მეთოდისტი მაგ კაცს. პალატაში მოყვები ენ ამბავი და ბევრი იხვიხვინეს დედააკეცებმა.

მარტო ეს იყო მხიარული ამბავი. ვეკეობ, მაგულია ექიმმა ხომ არ გაამაიამუნა? თუმცა ჭვარზე დავაფიცე და მორიგეობის დროს რუხათ-ხურმაც ვაჭამე იმ ქარქალის.

დეიდა სოფო და მისი მეზობლები

გენერალითაჲს

მოთხრობა

ის იყო სადალაქოდან გამოცემი და ეზო გადაცემით, რომ დეიდა სოფოს ნესტოებს სამშაჲურიანი ოდეკოლონი აქოთებულო სუნი მისწვდა და სალამის ნაცვლად მომილოცა — დალაქხანა გაამოს, შვილო.

კვირა დღე მზესაც კი უხარინ და მეც ამიტომ მზიარული განწყობით კაბეზე ჩამოვჯექი, რომ დეიდა სოფოა, ახალი თავგადსაველისათვის მომესმინა — კარგია, კარგი მეზობელი! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დეიდა სოფომ, — ღამის ოთხ საათზე მესამე სიზმარს ძლივსძლივობით რომ თავს აბამ და ამ დროს მეზობელი თავზე დაგადგება, — ვენაცვალე ჩემს იზოლდას, ყლაპვას უშლის და გამოდი ყელში ჩაიედუო. კარგია, სწორე გითხრა! — ეს წინადადება რომ დაამთვარა დეიდა სოფომ სამღება სკამი ეზოში გამოიტანა და ზედ ზენეშით ჩამოჯდა. ისედაც უტუქუნა თვალბში ეშმაკუნები აუთამაშდა და თხრობა განაგრძო. — თებერვალია. სუფსარქისის ატეხილი ქარი დარბებებს ეჭაჭტურება, ჩამოვლუჯასა ლამობს და ამ დროს გათენებისას შენ მესამე სართულზე უნდა აბობლდე ნახევრად შიშველი, რომ ოთხი წლას იზოლდას ხორკლიან ენაზე, კოვზით დააწვე და დაასკენა, აქვს თუ არა მას ყანყანატომი ან ლაყუნებში — სიწითლე! იზოლდა კი პაპას გოქოგიტ განებავრებელი ბაღლია, შუბლზე ჩამოშლული ბაბთა ორივე ზელით აქვს ჩაბღუჯული და, ამავე დროს, შამფურზე წამოვებულებით გაჰკვივის, თანაც თავს შმაგივით ატრიალებს, ყელში ჩაბედვას საშუალებას არ იძლევა. მოკლედ, — გვამაიმუნებს ეს თვითონ ეზოს მაიმუნნი, რადგან ზვალ საბავშვო ბაღში არ უნდა წასვლა და მე კი ლომბარდის ღამის დარაჯივით, თეთრად უნდა ვათენო ღამე!

ეხლა მეორე სართულის მეზობელს

უნდა უგორო კოქი. ის ოჯახით თეატრში მიბრძანდება, მაგრამ წყლის ონკან რჩება ღია და ოთახში წისქვილის რტე რომ შემოგვივარდეს, შენ სპექტაკლის დამთავრებამდე უნდა იყუჩო. მერე მობოდიშებით თუ შეაპარე სიტყვა, — ონკანი დაგრჩათო ღია, მეზობელი გიპასუხებს — ჩვენ რა ვიცოდით, რომ მაინც და მაინც დღეს გამოუშვებდნენ წყალს და ისიც სპექტაკლის მესამე მოქმედების დროსაა? გვერდზე მეზობლების ამბავს, ხომ ნულარ იტყვი. შენ საკუთარი ყურით უსმენ, თუ როგორ აბრჩობს ოჯახის ბურჯი იატაკზე წაქცეულ ცოლს. ის ყვირის, შველას ითხოვს, უკვე ხრიალებს და, როდესაც კარებს შეაღებ, ელდაშეყრილი, თვითონ ცოლი წამოვარდება პარკეტიდან და გაცოფებული შეგყვირებს — შენ, შენს ვეებერთელა ცხვირს ჩვენ კომწო ოჯახში რატომ ჰყოფ? რატომ ერევი ჩვენს საქმეში და მყუდროებას რათ გვირღვევო? აი, მაშინ ვრწმუნდები, რომ შუალამდე გარეთ ნათრევე ცოლს უმეპველად მაგარი ქოთაქი სჭირდება ნეკენებში.

მე დიდიხანია არ მსმენია დეიდა სოფოს გულფარდალა თვითანგარიში და ამიტომ სიცილითაც კი არ ვაწყვეტიანბდი ლაპარაკს.

— ამ წუთში ვალერიანის წვეთები დაეღიე, შვილო. გული ზეფირის ბილაბანდივით მიფრიალებს უძილობათა!

— რა მოხდა, რატომ გაგიფრთხაო ძილა? — ინტერესით შევეკითხე დეიდა სოფოს.

— ვფიქრობდი, მთელი ღამე ვფიქრობდი, შვილო, როგორ მოვიქცე. ვთქვა თუ არა ვთქვა? გავცე ის ვირთხები, თუ გავჩუმდე? შენ გეტყვი, შვილო, მაგრამ არსად წამოგვცდეს, ხეფათს არაფერს წააწყდე, ეს განგსტერები ყელს გამოვლადრინა.

მე სიტყვა მივეცი დეიდა სოფოს, რომ არსად არ გავამხელდი მის ნათქვამს.

— მეორე სადარბაზოში რომ უნივერსიტეტის დირექტორი ცხოვრობს, ვარდენ კაკალია, იცნობ ალბათა? — მე თანხმობის ნიშნად თავი დავხარე. — ამ კაკალიას შვიდი წელიწადია ოჯახში, გოგო ჰყავს აღსაზრდელად მიბარებული. ლიანას იცნობ ალბათა? — მე კვლავ თანხმობის ნიშნად დავუქნე თავი. — უცხო ვინმე არ გეგონოს, ლიანა დეიდა დისწულია ვარდენისა. თორმეტი წელია ხდებოდა, რომ გამოეგზავნეს მშობლებმა კაკალიებს სოფლიდანა, იქნებ ქალაქში კულტურული დიაცი დადგესო. ვერ გაიგებ, შვილო, ქალია ბერძნულთუ მამაკაცი. ასე თუ ისე, უშვილონი არიან კაკალიები და, ამიტომ, ზედმეტად ანებიერებდნენ ლიანასა; ჰაი, ინგლისური ენაო, ჰაი მუსიკა, ახალ-ახალი მინი-კაბები, ცხვირის დაცემინებზე პროფესორებს შეასვედნენ. ვარდენის მეუღლე, აგრაფენა ყოველ დღიით ვერ სკოლის კარებამდე აცილებდა ლიანასა, მერე, მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, ქუჩაში გაიყვანდა და გულაფორიაქებული უცქეროდა, ვადასასვლელზე მანქანამ არ გაიტანოსო. ლიანა კი როგორღაც ჯიბიდან წიგნს ჩაეკარდა. ხელმწიფდობას მიჰყო ხელი. პაპირისა და კონიაკს ურტყამდა და სხვისა ნაჭურდალსაც კიბის ქვეშ მალავდა.

— ნუთუ კაკალიების ოჯახში მომხდარი ქურდობა ლიანას ნახელავია? — გაკვირვებით შევეკითხე მე, დეიდა სოფოს.

— ვახლავთ, ბატონო. წვიმიან დღეს შემოიყვანა ლიანამ ეზოში ეოლგა, თან ორი მუტრუკი ახლდა. მე ფანჯრის ფარდას ვიყავი ამოფარებული და ნებიერთა თუ უნებლიეთ ყველაფრის მოწებე გახვდი.

ჯერა, გენაცვალე შენა, საქსის სერვიზები გამოვიდეს, მერე ლუსტრა ელარუნით გამოატარეს და თან ბროლის ქურქელი მოაყოლეს. კაკალიას,

ეტყობა შავი დღისათვის ფულიც ჰქონდა შენახული და ამ ბეჭეტზე გოგომ თავის ამფსონებს მისდევდა სამყოფელიც მიასწავლა, მაგრამ რაკი კოკისპირულ წვიმაში ეზოში არავინ გამოჩნდა, ახლა ორი ხალიჩა გამოავაგმანეს ლულაქაბაზივით დახვეული და ციმციმ ავტომანქანის უკანა საჭლომზე წააწვინეს.

ვარდენი და აგრაფენა კაკალიები კისლოვოდსკოში აბაზანებს დებულობდნენ. შევატყობინეთ და იმავე დამეს ჩამოფრინდა ცოლ-ქმარი. ჯერ ჩამოხსნილი ლუსტრა და ალაგებული ხალიჩები რომ დაინახეს, მუხლებში ფილინჯა ეცათ საცოდავებს. მერე ორთავეს წყვილად გულსყრა დაემართა. აგრაფენამ კი თავის მიამიტობით ლიანას სოფელში დევეშით აცნობა — საჩქაროდ ჩამოდიო. მეორე დღეს ლიანაც „ჩამოფრინდა“ და უნდა გენახა, რა თავში მუშტების რტყმევით და ვაი-ვიშით შეხვდა ამ ქურდობის ამბავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა ვარდენი და აგრაფენა ასმევედნენ ლიანას ვალოკარდინს.

მითხარი ეხლა, შვილო, მე რა ვქნა? გავჩუმდე, არ შემიძლიან! ვთქვა, შიში მიპყრობს. — შემეკითხა უძილობით თვალჩამორღვეული დეიდა სოფო. — რომ ვთქვა? შემომცვივებდებიან ის ბანდიტები მარტონელა ქალსა, პირზე მუთაქას დამაფარებენ, თან ზედ ჩამოსხდებიან და სანამ სული არ გამძვრება, არ აღგებიან. მერე რალა ქნას დეიდა სოფომ? უკანასკნელი რეისი გააკეთოს კუკიაზე შაქროსთანა? გვერდზე მოუწვეს და მერე თავში ხელი ირტყას, ეს რა სიტუტუცე გავაკეთე ამ სიბერის დროსო?

მე ჩავფიქრდი და ვუჩიე დეიდა სოფოს, — პირადად ვარდენ კაკალიას ჯვარზე დააფიცე და მას გაანდე ეს საქმე, თუ უნდა, მილიციაში თვითონ განაცხადოს-მეთქი.

ცარიელი ჰქონს კოლოფი ყოფილხარ, შვილო, გეთანხმებიო — დასძინა დეიდა სოფომ და კვლავ თვალბში შე-

მპარავე ერთენი ჩაუდგა. მე უკვე ორ კვირაზე მეტი იქნება, რაც ვარდენს გავანდებ ეს საქმე, მაგრამ არც მილიციაში და არც სხვაგან მას არ განუცხადებიაო, მომიგო.

კაკალიებმა ლიანა რომ მშობლებს დაუბრუნეს, განა ამით მოაშორეს მუწუკი წუთისოფელს? დაფლავებულს ახლა ლიანა სოფლის შარბზე ყელმოღერებულს, წმინდა ილიას ეტლის ცხენივით, თითქოს — სპეტაკა და დაუჩრდილავე იყოს.

ერთხანს ჩამაკვირდა დეიდა სოფო და მერე სიტყვა სულ სხვა თემაზე გაიბურთავა.

— შვიგნობარი კაცი იქნები შენა, შვილო. ერთი ხეირიანი მოხზობა რომ დასწერო, ვილაცამ სთქვა, ჯერ საშუალოდ ოთხი წიგნი უნდა წაიკითხოვო. თქვენ დედაჩა-ბუღიახად წიგნი გიყვართ ალბათა. მე კი კასპში შეიღწეულა რომ დავამთავრე, იმის აქეთ ისიც კანტი-კენტად სულ ოთხი წიგნი შექნება წაიკითხული — „მოლოპულ გზაზე“ „უბედური რუსი“, „ბიძია თომას ქობი“ და „როსკობი“. ეგ არის და ეგა! ნასწავლი ან ნაკითხი რომ ვიყო, იმის ნატვრა დღესაც შემჩა. ქართულ: ენის მასწავლებელმა სკოლაში, მშობლების საერთო კრებაზე, პირდაპირ განაცხადა. — აფსუსია ისეთმა ნიჭიერმა გოგომ. როგორც სოფიკოა, განათლება არ განაგრძოსო, მე კი ფიწალით თივის ბუღულების დადგმას და რეჰანის თესვას მასწავლდა შიმშილობით გაბურბებული დედაჩემი. ეპ! თვალი დაუდგა ნაკლებულობასა. თორემ მე ეკატერინე გაბაშვილის ბადალი მაინც უნდა გამოვსულიყავი. შენ თვალში ხომ არ გეპატარაები, შვილო. ამეკვიატება რაიმე ცხოვრებისეული სასაცილო ამბავი და საათობით ჩემთვის ვებუტბუტებ, პანურებში ვთხზავ, მერე ზეპირად ვიძიებ და ვიძიებოვრებ. განა მე რა ვითომ! „მაგდანას ლურჯას“ ვერ დაეწერდი? მე იმ ლურჯას ნიკოლოზის სასამართლოში პირადად თვითონ ვალაპარაკებდი და თავის თავგადასავალს თვითონ ვათქმევინებდი, იქნებ ვირისათვის მაინც დაეჭვებინათ იმ მსაჯულებსა? მოკლედ, ეფანტაზიორობ, რა!

მაგრამ პი გიდი, აბასთუმან, წერაში რომ არა ვარ გაწაფული მცტეხან წინ მისწრებს, კალამი კი უფროსსაგანს უკან დამორთვეს ფლაქანზე. ჩემს ხელნაწერს რომ შეგახედა, ბატიფეტურსა ჰგავს.

უნდა გავიტყუდეთ, რომ დეიდა სოფომ ეს სიტყვები ისეთი დარღითა და გულნადები სინანულით თქვა, რომ ჩემში სიყვარულით სავსე თანაგრძნობა აღძრა.

ტრანზიტის მგზავრით რომ ჩამომქდარხარ ჩემთანა და ახალ-ახალ ამბებს აგროვებ, შემთხვევით, შენ კალამს ხომ არ ეთამაშები? — შემეკითხა, დეიდა სოფო და თან ცალი თვალი ორინაზურად მოქუტა. მე სიხუმით ეუპასუხე და ამიტომ დეიდა სოფომ ეხლა უკვე კმაყოფილებით ანთებულს თვალები შემომანათა. — მაშინ, თუ კალამსნობ, ჩემთან ხშირად იარე, სულ ახალ-ახალ თემების წერაში შეგეშველები. დეიდა სოფოს შენთვის ჯიგრიანი სათქმელი არ მოაკლდება, მაშინ თითო მოთხრობის დასაწერად ოთხი წიგნის წაიკითხვა აღარ დაგჭირდება, შვილო.

— ამ წინადადებაზე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ მაინც ბოდიში უნდა მოგიხადოთ, დეიდა სოფო და შეგეკითხოთ, ასეთი სიამტკბილობით სავსე ქალი თითქმის ყველა მეზობელს რომ აშალაშინებთ, ნუთუ აღარც ერთი... მაგრამ დეიდა სოფომ აღარ დამაცადა წინადადების დამთავრება.

— არა შვილო, ჩემი პირუთვნელობა იცი შენა, სიმახინჯესა და მატრაცეცობას ვერ ვეგუებ. და ნუ დამძრახავ, თანაც ბავშვობიდან, აყვია ვიყავი და ესეც მხედველობაში იქონიე.

მე წამოვდექი და სახლისაკენ გავემართე იმ ფიქრით, რომ დეიდა სოფო მართალი ქალია, მაგრამ მას სამართებელივით ალესილი ენა აქვს, და ვან იცის, იქნებ ცხოვრებაში ასე სჯობდეს.

რომ გამოვემშვიდობე, ასე მიპასუხა დეიდა სოფომ — თუთრად შენი სარეცხი, შვილო! და ბაჯბაჯით ოთახში შევიდა.

ვეფხისტყაოსნის საკითხები

უფრო ღმისი

ტარიელის საძებნელად წასული ავთანდილი ქვაბში მივიდა, რომელიც ტარიელმა დევებს წაართვა და თვითონ დაისადგურა ასმათთან ერთად. იქ მას ასმათი შემოეგება, რომელსაც ეგონა, რომ ტარიელი დაბრუნდაო, მაგრამ რაი ვერ იცნა ტარიელად, უკან გაბრუნდა კივილ-კივილით. ავთანდილი გადმოხტა ცხენიდან და ასმათი „დააბა ვითა კაკაბი მახესა“. ავთანდილი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერას გზით ვერ ათქმევინა ასმათს რაიმე ტარიელის შესახებ. მოკვლასაც კი დაემუქრა, მაგრამ ამანაც ვერ გაქრა. ბოლოს თავი შეაბრალა, მუხლები მიუყარა და პატიება სთხოვა: „მიჯნურისა შებრალება ხაშს, ესეცა გაიგონე“-ო. ასმათმა რომ მიჯნურობის ამბავს მოჰყრა ყური, მაშინვე მოლბა. ავთანდილმა უამბო, რომ მაგ ყმის საძებნელად ჩემმა მშემ გამომგზავნა და ღრუბელიც კი ვერ მივა იქ, რა ქვეყნებიც მე მომივლიაო და

ორსაგან ერთი მიუთ: ტყვე მქმენ, ანუ მახატე,
ან მიკობლე, ანუ მომკალ, ჳირი ჳირსა მომიმატე-ო (251).

ამ სიტყვებმა სულ მთლად მოაბრუნა მისკენ ასმათი და ამის შედეგად

ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა, პირველისა უამესა:
„აგე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი.
წულან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნეიარ ღმსაგანცა უფრო ღმისი“ (252).

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იქცევს უკანასკნელი ორი სიტყვა „უფრო ღმისი“. იგია მეტად ხელოვნური უფროობითი ხარისხის ფორმა და სიტყვისაგან, რომელიც არსებითი სახელია: უკანასკნელი ტაეპის აზრი ასეთია: ეხლა ისეთი მოყვარე გიპოვნეიარ, რომელიც დაზედაც კი უკეთესიაო.

პოემაში უფროობითი ხარისხის ფორმები საკმაოდ გვხვდება როგორც სრული, ისე შემოკლებული სახით. მათი მაწარმოებელია პრეფიქს-სუფიქსა უ— ან უ—ეს, აგრეთვე უ—ოს. მოვიყვანოთ მაგალითები:



- ამო—უამე, უამესი
 რა უამე პირისპირ სავაზრელისა პერეტასა (484, 1)
 ქილმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი (252, 1)
 ა(ღ)რე—უარე, უარესი
 ვინცა იყოს უარესი, თაგ-შიშველი სამი დღე ვლიდეს (69, 4)
 მაგრამ მეტი უარეა არა-თქმა და კიართა შალვა (412, 2)

მისგან მიღებულია კიდევ უფრო შემოკლებული ფორმა უარ:

შინა მივე, უარ გავეხე, სხვა დამერთო კირი კირსა (357, 3)

„უარ გავეხე“ ამის ნიშნავს: უარესად გავეხდი.

- გრძელი—უგრძესი
 ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესთა (195, 3)
 კეთილი—უკეთესი, უკეთესი
 ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია (1219, 4)
 აწ ვინცა იცით უკეთესი შეტყობრცა საგდებელისა (1395, 1)
 ღურჯი—ღურჯესი
 ბროლი და ლალი შევიქმენ მე უღურჯესი ლილისა (399, 3)
 შავარი—უშავარესი
 მე შევეთვალე: შეფეო, ვარ უშავარესი რეალისა (563, 1)
 შართალი—უშართლესი, უშართლესი
 ნუ ამრდებ უშართლესსა, ნუ წაიწყებდ ამით სულსა (959, 3)
 შენ უშართლეს ხარ, უმდურეო, შენ გაეყარე ძმობილსა (849, 1)
 მოყვარე—უმოყვარესი
 ვართ უმოყვარესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-უმათასა (155, 1)
 შევე—უშეველესი
 არ-სასმენლისა მოსმენა არს უშეველესი წმინტისა (896, 4)
 მტკიცე—უმტკიცესი
 მე რად გაეწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა (790, 2)
 მძლე—უმძლესი
 ამა, მზეო, გეაყებო შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა (957, 2)
 მზნე—უმზნესი
 აბლოს უთქს შონა თორმეტი, უმზნესნი სხვათა მზნეთასა (83, 3)
 მჭობი—უმჭობესი
 შითხრა: შენ ჩემთვის, დედო, ხარ უმჭობესი დედისა (1141, 1)
 ნათელი — უნათლესი, უნათლესი
 ტარიელს პირსა ციმციმი ათქს უნათლესი ბაზშისა (1519, 2)
 ვან მზესადა უნათლესა, ასრე ვითა ბროლი ფისსა (1431, 4)
 ტურფა—უტურფესი
 ბახჩა ენახე უტურფესი ყოვლისავე სალხანოსა (341, 1)
 ყვითელი—უყვითელესი
 ბროლი და ლალი გასრულ ვარ ქარვისა უყვითლესად-რე (139, 2)
 ცხელი—უცხელესი
 აწ შემოხვეწე: ნუ დამწვავ კელა წვითა უცხელესითა (927, 1)
 ცხენ-მალი — უცხენმალესი ხუცესი — უხუცესი
 ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს (173, 4)
 მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქნებით (206, 1)
 მცირე—უმცროსი
 უმცროსმან ძმამან შორით-შორ სალამი დავიუფელო (1318, 4)
 სხული—უსხოსი
 ხელთა ნაქედი შათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა (86, 3)
 ტყბილი—უტყბოსი

¹ „ხუცესი“ თვით არის უფროსობითი ხარისხის ფორმა, ხანმეტობის ხანიდან შემორჩენილი.

თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-მეთისა (597, 3)

* ფრელი—უფროსი

მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუბოცია (81, 4)

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ უფროსობითი ხარისხის ცნებები პოემაში გარკვეული წესით ნაწარმოები ფორმებია. არსად არ არის შემთხვევა, რომ უფრო-თი იყოს ნაწარმოები უფროსობითი ხარისხი „უფრო დესი“-ს ტიპისა (ვთქვათ ასეთია: „უფრო ძმესი“, უფრო „გრძესი“, „უფრო ტკბოსი“ და მისთ.); „უფრო“ თვითონ არის აღწერილობითი უფროსობითი ხარისხის ნაწარმოებელი, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ზედსართავს მოითხოვს დადებითი ხარისხის ფორმით, როგორც ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს:

ძნელი—უფრო ძნელი

მე გარდასრულ ვარ, სიბერე მჭირს, ჰირთა უფრო ძნელია (36, 1)

მართელი—უფრო მართელი

მე მოყახენე: ბატონო, გული აწ უფრო მართელია (356, 2)

წყნარი—უფრო წყნარი

უფრო-რე წყნარად ვიამბობ, თუ ეამი ზვენ გვეჭონების (610, 2)

ძვირი—უფრო ძვირი

რა ლარია უფრო ძვირად, ან იფუად რა იხსნების (1064, 2)

მტერი—უფრო მტერი

მოყვარე მტერი უოელისა მტრისაგან უფრო მტერია (1211, 2)

უკანასკნელ მაგალითში „მტერი“ არსებითი სახელია, მაგრამ იგი აქ ზედსართავად არის ნახმარი.

აქედან ჩანს, რომ „უფრო დესი“ სრულიად შეუფერებელი ფორმაა, ყოველგვარი ლიცენციის გარეშე მდგომი. შეუძლებელია, რომ იგი პოეტს ეხმარა. მართალია, ვარიანტების წიგნში რაიმე სხვა ფორმა არ არის სათანადო აღგილას ნაჩვენები, მაგრამ უეჭველია, რომ „უფრო დესი“ გადამწერლისაგან შერყვნილი ფორმაა და საჭიროა, რუსთველისეული მოინახოს და აღდგეს. ასეთად შეიძლება იყოს ან უუდესი, ან მართ უდესი უფრო კი მეორე (მართ უდესი), რადგანაც გაძლიერებული უფროსობითის ფორმა (უუდესი-ის მსგავსი) პოემაში არსად არ არის ნახმარი. მართალია, უდესი-ც ხელოვნური ფორმაა, მაგრამ იგი არსებული წესის მიხედვით ნაწარმოები ფორმაა და ამასია სწორედ შ. რუსთველის გენიალური ოსტატობა.

მაშასადამე, სავარაუდებელია, რომ ზემოთ აღნიშნულ სტროფში თავდაპირველად ეს ეწერა:

აწ მოყვარე ვიპოვნივარ დისავანცა მართ უდესი.

როგორც ცნობილია, ნათესაობის აღმნიშვნელ და სახელისაგან ეფუხის ტყაოსანში დადასტურებულია ზმნის ფორმები, ნაწარმოები აქტიურადაც და პასიურადაც:

აწ, თვმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დაღ ვინცა მადესა (514, 1)

ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდებობა და ხდებობა (1429, 3)

ამით ემატება იმავე სახელისაგან ნაწარმოები უფროსობითი ხარისხის ფორმა უდესი.



პრემია ქარაღიზილი

დიდი სომეხი დრამატურგი

მოკლე სომეხი ხალხი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღნიშნავს თავისი სასიკაძულო შვილის — გაბრიელ სუნდუციანის დაბადების 150 წლისთავს. სომეხი ხალხის ეს ეროვნული დღესასწაული მახლობელია ჩვენთვისაც, რადგან სუნდუციანის მთელი ცხოვრება განუწყველად არის დაკავშირებული საქართველოსთან — მის დედაქალაქთან. სომეხ მწერალს საქართველო თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნედა, დიდი დაუახებელი ქართველი და სომეხი ხალხების სიყვარულს და უფალაფერს გულწრფელად ყუთებდა ამ მეგობრობის განმტკიცებისათვის. ამ მეგობრობაში ზედავდა იგი ორივე ხალხის ნათელ მომავალს.

გაბრიელ სუნდუციანი — ეს რთული და შეტად ხაინტყვესო შემოქმედი — პროგრესულად მოაზროვნე და იშვიათი მოქალაქე იყო. იგი სომხურ ლიტერატურაში შევიდა როგორც დიდი კლასიკოსი, სიტყვის უზადლო ოსტატი, სიყვარული, სამართლიანობისა და ადამიანის ზედნიერების სწორუპოვარი ტრუბადური. გაბრიელ სუნდუციანმა სომხური კულტურის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა, სათავე დაუდო რეალისტურ დრამატურგიას, აღორძინა სომხური თეატრი და მის განვითარებას მძლეობით ხელს მისცა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელ სუნდუციანის მიერ დრამატურგიასა და თეატრში დამკვიდრებული იდეურ-ესთეტიკური პრინციპები ნახევარ საუკუნეზე მეტია ხნის მანძილზე გაბატონებული პრინციპები იყო და რევოლუციური აზროვნების სომხური თეატრის შემოქმედებისათვის თავისებურებას განსაზღვრავდა. მისი პიესები გამოირჩეოდა დემოკრატიული იდეებით, ლიტერატურული და სცენური სრულყოფილობით მხატვრული ხერხების სიმდიდრითა და მიზნადეული სიუჟეტებით. თავისი მადალი

პროფესიონალიზმითა და პროგრესული მიმართულებით გაბრიელ სუნდუციანმა დრამა კვალი დაატყო მთელ სომხურ მხატვრულ აზროვნებას. მისი შემოქმედებითი ტრადიციები დღესაც ცოცხალია და ქმედით გავლენას ახდენს თანამედროვე სომხური დრამატურგიის განვითარებაზე.

გაბრიელ სუნდუციანი დაიბადა 1825 წლის 11 ივლისს ქ. თბილისში. მისი მშობლები აკადემიკოსი მკვიდრი მცხოვრებნი იყვნენ. გაბრიელმა ბავშვობა თბილისში გაატარა, თბილისშივე მიიღო დაწესებითი და საშუალო განათლება.

1832 წლიდან 1838 წლამდე, — როგორც პოეტი ა. ვარშაველი წერს, — იმ დროის ერთ ცნობილ პედაგოგთან სწავლობდა. ამ პედაგოგს ცოლი ფრანგი მყოლია. მისი დახმარებით ბავშვი ფრანგულ ენასაც დასწავლობდა და ზედმიწევნით შეუსწავლია იგი. ამის შემდეგ იგი წელი დიდი სომეხი პატრიოტი მწერლის, „სომხეთის პრილობების“ ავტორის, ხანატურ აბოვიანის კერძო პანსიონში უსწავლია, 1846 წელს კი თბილისის კლასიკური გიმნაზია დაუმთავრებია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რუსეთს გაემგზავრა და სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტდამთავრებული თბილისში დაბრუნდა და მთელი სიცოცხლე აქ გაატარა.

რუსეთში გატარებული წლები გაბრიელ სუნდუციანისათვის შეტად ნაყოფიერი გამოდგა. იგი არ დაკმაყოფილდა უნივერსიტეტის საკურსო საგნებით, გატაცებით დაეწყო რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. ახალგაზრდის მიძიებული სულსათვის განსაკუთრებით მახლობელინი აღმოჩნდნენ პუშკინი, გრიბოედოვი, გუგოლი, რომლებმაც გაუღვივეს სოციალური ბორბებისადმი სიძულვილის

გრძნობა და სამართლიანობის სიყვარული, რუს სამოციანელთა პროგრესულმა შეხედულებებმა კი საბოლოოდ განსაზღვრა მომავალი მწერლის იდეურ-მეტარული მიმართულება.

1860 წელს თბილისში დაბრუნებულმა გაბრიელ სუნდუციანმა სახელმწიფო დაწესებულებაში მთარგმნელად დაიწყო მუშაობა. მაგრამ, იმის გამო, რომ იგი იქ გაბატონებულ ბიუროკრატიზმს, შლიკველიანს, უსამართლობას ვერ ეგუებოდა, ხშირად ხმასაც იმედუბდა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, თბილისიდან გააძევეს და დერბენდში საშხედრო გუბერნატორის განკარგულებაში გადასაწესეს. იქ მისი ცხოვრების დღეები ჩამოვდა და უხელოდ მიდიოდა, შინაურები ბევრს ცდილობდნენ კვლავ სამშობლოში დაეტრუნებინათ, მაგრამ ამაოდ, მათ ცდას შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ პოეტ გრიგოლ ორბელიანის დახმარებით მოხერხდა სამი წლის შემდეგ დაბრუნებულიყო თბილისში (იხ. ა. გრიშაშვილი, თხზულებანი, 1984 წ. ტ. 1, ვკ. 261).

სამწერლო სარბიერება გამოცდილმდე გაბრიელ სუნდუციანმა ცხოვრების დიდი სკოლა გაიარა. თვით დერბენდში გატარებულ წლებსაც ამოვად არ ჩაუვლია, მომავალ მწერალს ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი გაუმახვილდა და საზოგადოებრივი ვითარების ახალი შთაბეჭდილებები შეესინა.

გაბრიელ სუნდუციანს შემოქმედებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თბილისმა. ძველი თბილისი მისთვის იგივე იყო, რაც ძველი მოსკოვი ალექსანდრე ოსტროვსკისათვის. მაგრამ არ შეეცდებოთ თუ ვიტყვით, რომ უფროთი თავისებურებით თბილისი გაცილებით უფრო საინტერესო იყო, აქ ფერმა შეტბინა სახეობა არსებობდა და ეს მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიისათვის ცოტახ რაღი ნიშნავდა. მოსკოვისა და თბილისის სავაჭრო ბურჟუაზია თავისი მგლური ეკონისტური მორალური კანონებით შეიძლება არსებითად ერთ-და იგივე იყო, მაგრამ ხალხის ცხოვრების, წინაგულებების თავისებურებანი, რაც მწერლის შემოქმედებაში მხოლოდ ფონის როლს არ ასრულებს, დიდად განსხვავდებოდა ერთ-მანეთისაგან. ეს განმსხვავებული საზოგადოებრივი და უფროთი ნიშნები ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ ხასიათების თავისებურებაზე. მათ ორიგინალურ „სურმილებსა“ აძლევდა. ეს თუ გნებავთ, იმითობა ვაკისხუნეთ, რომ ხშირად ოსტროვსკისა და სუნდუციანის შორის, ისევე როგორც ოსტროვსკისა და ცავარდლის შორის, პარალელები გაჰყვით, მაგრამ განმსხვავებულ ინდივიდუალურ ნიშნებს საკმაო ურთქლებას არ უმოკვან, ანალოზს არ უკეთენ მათ და არ ანოვადებენ. იმის გაკეთე კი მწერლის თავისთავადობის გაგება შეუძლებელია. ოსტროვსკისა და სუნდუციანის

ვაქართა პერსონაჟებს შორის იმდენი სავართა, რამდენიც სავართო აქვთ უკვლა ერთგნების ვაქართა კლასებს, მაგრამ მათ ხასიათებს შორის იმდენი განსხვავებაა, რამდენსაც არსებობდა იმდროინდელ ვაქრულ მოსკოვისა და ძველ თბილისს შორის.

ოცანეს თუმანიანი 1858 წელს ჩამოვიდა თბილისში და მისი ძველებური ეშის მხოლოდ უკანასკნელ გამოკრთომის შიგნწრო. უნდა ვიფქროთ, რომ ის, რასაც ზოვიერთო დღეს „ძველი თბილისის“ ცნებაში გულისხმობს, სინამდვილის მხოლოდ კარკატურა უფროა, თორემ რა ათქმევინებდა თუმანიანი: „...მეკიდევ მოვესწარი ამ ძველი თბილისის უკანასკნელ დღეებს. ამბობენ, რომ ოზხოციანი წლებიდან თბილისმა შეცვლა დაიწყო...“

ამიტომ იყო, რომ ძველი თბილისის თემა, სოციალურ და ყოფით თავისებურებებთან ერთად, დემოკრატიზმისა და ხალხთა მეგობრობის თემასაც შეიცავდა. შეუძლებელი იყო რამელიმე მწერალს ძველი თბილისის ცხოვრებაზე დაეწერა და, ყოველკარი გაკლენის გარეშე, თავისი შინაგანი მოწოდებით, რაც თბილისის სავართო ყოფით იყო განპირობებულ, დემოკრატიული და ინტერნაციონალური მოტივები არ გამოეხატა. ეს, მოტივები თვით ხალხის ცხოვრების პირობებით იყო მოძალდებული. ხალხთა ძმობისა და მეგობრობაზე ხომ მოსფილის არც ერთ ქალაქს იმდენი საიდერა არ შეუქმნია, რამდენიც თბილისმა დასაბამიდან დღემდე შექმნა!

გაბრიელ სუნდუციანი ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულა, უკვე ორმოც წელს მატანებული იყო, როდესაც პირველი, ერთმკმელებიანი ვოდევილი „სადაზოს ერთი ცხვირი ხეირია“ დაწერა (1868 წ.). ვოდევილი მაშინვე მიიქცია ყურადღება ლაკონიური შინაარსით, ხალხიანი სიუჟეტითა და დრამატურგული ოსტატობით. გაბრიელ სუნდუციანის გამოსვლამ სიმტ საზოგადოებაში დიდი იმედობს აღძრა. მისი სახით გამოჩნდა ცხოვრების მცოდნე და კულტურული ავტორი, რომელიც სახეებით აწროვებდა, შიშველ, უშუალო მსქელობებსა და იოფთახიან „ოხუნქობებს“ ერთდებოდა. სერიოზულმა სიუჟეტმა, მკაფიო ცხოვრებისულმა სახეებმა და ხატოვანმა ენამ ხელი შეუწვეს მაურთხელის კვიოვნების ამაღლებას და მაშინვე განსაზღვრეს ახლადორძინებული საზოფრი თეატრის მიმართულება, მისი რეალისტური სტილი. დრამატურგს „მოსამზადებელი პერიოდი“ სამწერლო სარბიერებაში გამოსვლამდე გავიდა, კარგად ერთობოდა ემოსის მოთხოვნილებებშიც, მწერლობის მოქალაქობრივ დანიშნულებაშიც და თეატრის ინტერესებშიც. ამ პირველ ვოდევილიში უკვე ეგრძნობოდა იმდროინდელი ცხოვრების

მანკერი მხარეების მიხედვით ის სატირული სიმწვევე, რაც დრამატურგის მომდევნო ნაწარმოებებში განსაკუთრებული ძალით გამოვლიანდა. მეწერილმანვე ოსკან პეტროვიჩისა და მის მუდღვე მართას ერთადერთი ქალი პუკა და მისი გათხოვების პრობლემა ტრაგედიალად გადაქცევით. ქვეს სქმრო თითქმის კიდევ გამოუჩნდა. მელანიკამანთ ვაჟი, პალატის მონასახურე უარს არ იტყოდა მეწერილმანის ქალის შერთვანე, თუ მწითად სამასი თუმანი ფული ექნებოდა. მართა თანახმა ვაღლის სამასი თუმანი, თუგინდ შეტერ, ოღონდ ქალიშვილი გაუთხოვარი არ დარჩეს; არც პროფესიას უწყულებს სასიძოს, ამბობენ „ხელმწიფისაგან კარგ ჭამაგირს იღებსო“ და ეს სკეპარისად მიიჩნია შველის ბედნიერებისათვის. ოსკან პეტროვიჩს კი მონასახურის სიძულე მოცილებების გაგონებაც არ უნდა. შეიძლება სამასი თუმანის ქალიშათვის მიცემა არც გაუქარდეს, მაგრამ ჭიუტად გაიძახის — „არა, არა და არაო, შე ცარიელ ჩინოფიცს ქალს არ მიცემო“. ავი ბედავს, რომ ფული მარძანებულე მწვერვადებს იპურობს და დიდ ჩინოფიცს უბრალო „ადგბ-მიცემობის“ კაცი ურჩევნიან. მართა ტყუილად კი არ არის შემფიფიებული — „ფული, ფული, სულ ფული. ნეტა რა გახდა ის წყველი ფული.“

ამ პატარა ვოდევილში მოხდენილად არის გაკიდებული მოდის ბრმადაყოლილი ახალგაზრდობაც — „ბიჭო, საყარველი ხალხია ეს ჩვენი ხალხი. საფრანგეთის ყველა შოდა ისწავლეს და ზრდილობა კი არა...“ ოსკან პეტროვიჩის მონასახურე ქიტებსა ერთი ფრანჟიტი კი — „ძალიან ქვეყანაა, ტყუილი უფრო ვადის კაცი-სა, ვიდრე მართალი“, — დახასიათებულა ვაქართა საზოგადოების მთელი ზნეობრივი ავადობა.

ამ მცირე ფორმის ვოდევილს მალე ოთხმოქმედებიანი სერიაოზული კომედია „ხათაბალა“ (1866 წ.) მოჰყვა, რომელმაც ატორს მანინე იშვიათი პოპულარობა მოუპოვა.

„ხათაბალა“ მოხიბლა მაყურებელი და მთელი მოწინავე ინტელიგენცია. ამ კომედიათ სომხური დრამატურგიის ახალი კარი გაიხსნა. აქ უკვე მთლიანად გამოჩნდა ცოცხალი ადამიანი, მისი მონაგანი ბუნება და ხასიათი, რაც მანამდე სომხურ დრამატურგიაში არ ჩანდა. ატორის თანავარძლობით სარგებლობს კომედიის ერთერთი გმირი — ევროპულად განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდა გიორგი, რომელმაც „ხმა სამხური აქვს და ლაპარაკის ელმო და ქვევა ზრდილობიანი“. გიორგი ფარდის ახილანვე სცენაზე გამოდის. მას განათლება, ეტყობა, რუხეთში მიუღია, მშობლიურ ქალაქში ის-ის არის დაბრუნებულა და მეგობრის სახლს ეძებს. მაგრამ მისი აქ არ ყოფნის დროს ქურჩებს სახე

ისე შეუცვლიათ, რომ გზა აერევა. შემხებევით თვალს მოჰყავს ოცი წლეუქ ნატალიას და მისი სილამაზე მოხიბლავს [ატორი] ნატალიას გათვლელარება. უმაწვალის სითამამე ნატალიას შეაკრობს, შეშინებული ექვე ქმრის ნათესავის მდიდარს ვაქრის გერასიმ ზამხაოვის სახლს მიიშურებს.

და აი, სწორედ ამ უპრეტენზიო შემთხვევით განიწყება კომედიური კონფლიქტი.

მდიდარ ზამხაოვის გიორგი თვალში მოუვა, გადასწვებებს იგი ფულით „იყოფოს“, თავისი გონჯი ქალიშვილი ცოლად შერთოს. ამ საქმეს ზამხაოვი დიდი მონაგანი რწმენით მოყიდებს ხელს, ფული აძლევს იმედსა რა უნდა მოხდომოს გერასიმ იაკულიჩმა, რომ სისრულეში არ მოიყვანოს. ის ხომ ყველაფრის შემძლეა! ნათესავის, ნატალიას მუდღელის ისაიას, რომელიც იმავ დროს გიორგის მეგობარც არის, დახმარებოლ შეუდგება თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. ისაია პირველად შეერთება, როგორ წარმოიდგენს, რომ გიორგი გერასიმ ზამხაოვის გონჯ მარგალიტას შერთავს, მაგრამ მდიდარ მწითევებს რომ გაიხსენებს, იმედი მიცემა და საქმეს თამამად შეუდგება. იგი გიორგისთან შინ მივა და განზრახვას გაუმხელს. იტრუებს, ითვალთმაცეებს, მარგალიტას სილამაზეს ქებას შეასახმს და როცა იმ სახლს დაუსახებლბს, რომელშიც მარგალიტა ცხოვრობს, გიორგის თავბრუ დაესხმება, მაშინვე ის მწვენიერი ოცი წლის გოგონა დაუდგებოთ თვალწინ, ამას წინათ რომ შემოხვევით ნახა და სწორედ იმ სახლში შევიდა. გიორგი ერთხანს უფხვს იორებს, მერე გულწრფელად გამოუტყუებდა ისაიას და გაუმხელს, რომ ზამხაოვის ქალს თვალს მოჰყარა და ძალიან მოეწონა. ისაიას იმედი მიცემა. მან არ იცის, რომ გიორგის შემთხვევით მისი ცოლი ნატალია უნახავს და ის მოსწონებია. ისაია ქალის სიმდიდრეს დახარბებს და წინადადებას მისცემს უკვე ქორწილის დღე დაწინებს. გიორგი უარს იტყვის. იგი მამა-პაპურ ადათს არ ტნობს, ქალი თუ არ ნახა და კარგად არ გაიცნო, ცოლს იხე არ შერთავს. რა ვუყოთ, რომ დამწია, სწავლაც აქვს და სიმდიდრე. თვითონ ქალი როგორია, რა გონებისა და რა ბუნების პატრონია. საუკუნო ამხანაგი მინდა, ფულისთვის ხომ თავს არ გავყიდო. ასეთი შეხედულება ისაიას უცხოვდ მოეჩვენება და შეაშფოთებს, თითქმის გულმომხული ეტყვის — „ჩვენ ძვენი არ ვიცით და არც მოგვიხდება, ძმაო, ჩვენ ხომ სხვა ხალხი არ ვართ. შე რომ ერთი ნაწილი ცოლი მოხიფნა, რითაა ცუდითო...“ გიორგი ირიახვად გაღმებდას მეგობარს და გადაჭრით მიუგებს: „თუ ვინდ მომკლან, მაგვარად ცოლს ვერ შევირთავო“.

გერასიმ ზამხაოვის გიორგის სურვილი არ შეაკრობს, მას ფულის დიდი იმედი აქვს,

გიორგიმ ზამბაზვის სახლში როგორმე ფეხი შედგას და მერე მის საფანჯს ვეღარახდ წაუვა. ზამბაზვი არ მალავს, რომ „ეს ქვეყანა თავიდან ფეხებამდე ტაუიღუა აგებული“. როცა ისაია თავისი ვერაგობის გასამართლებლად ამბობს: „ღრმად რომ უწყვირდები, ძმო, სწორედ რომ მართალი კაცო ძალიან ცოტაა ჩვენს ქალაქში“, ზამბაზვი გულახდლად ეტყვის: „ხოო, ისაიან, მეც მაგას ვამბობ, რომ უყოველ საქმეში ვატყუებთ და ვატყუებთ: ჭამში, სმამში, ჩაცმამში, ერთი სიტყვით, მადეობით თუ დეგობით, ვწყვიბით თუ დავიღვართ, ვტარით თუ ვაციონით, სულ ვატყუებთ და ვატყუებთ, ჩვენც სულ მოტყუებული ვართ და მოტყუებული, (ხელს მალა ახრებს) თავიდან ფეხებამდე ტაუიღია ეს ქვეყანა...“

მარგალიტას საგანგებოდ მოართავენ, ფერ-უპირალით გააღამაზებენ, მაგრამ მაინც ვაწ-ბილებულები დარჩებიან. გიორგისა და მარგალიტას შეხვედრისას უველაფერი გამოირკვევა.

გიორგი ახლებურად აზროვნებს. ისაია შემ-სხვევით არ ეუბნება, თერგის წყალი დავი-ღვითა და ყველაფერზე შეხედულება გამოვი-ცვლიათ. გიორგის უყვირს, რომ მისი აქ არ უფიქროს ღრის ყველაფერს — ქალაქსა და აღმანიებსაც მხოლოდ იერი შეუტყლიათ, არის კი იგივე დარჩენილა — ტანსაცმელი ახალი, საქმელი ახალი, შენობები ახალი, მოედები ახალი და ახალი, გაგება კი ისევე ის, ისევე, ის, ადამის უკმისა.“ ახალი იდეებით აღმურვილო გიორგი ხალხს სულის განახლებაზე ეცნობის.

„ხათაბაღასი“ ადამიანის სულის განახლების პირველია სხივებში გამოანათა. მომდევნო ნაწარმოებებში მწერლის პროგრესულმა იდეებმა შეუერთი მიმართულება მიიღო. ვაბ-რად სუნდუკიანი ბოლომდე დემოკრატიული შეხედულებების ერთგული დარჩა. იგი თანა-ურბანობად უბრალო ადამიანებს, მისი მომედითა პოლიონები მიანდა ერის საფუძვლად. მისი კომედების სატირის მთელი მამხილებლური პათოსი ბურჟუაზიის, მისი მკლური მოჩაღური კანონების წინააღმდეგ იყო მიმართული. იმა-ში წელს დაწერილ ერთმოქმედებშია კომედია-ში „საკან პეტროვიჩი საქიოს“, გაბრიელ სუნ-დუკიანმა თავისი ნაწარმოებებს უკვე ცნო-ბილ გვირებს, რომლებსაც სიცოცხლე მოტყუ-ებსა და ვერაგობაში ვაუტარებთათ, სიყვდი-ლის შემდეგ წაქოხტოში მოუყარა თავი. აქ ისინი გულწრფელად, „სინდისდამწვიდებულ-ში“ აღიარებენ თავიანთ ცოდვებს და ირონი-ულად დასძინენ — ჩვენ აქ ზამოგვრეკეს და, ვნახოთ, ჩვენს ქალაქში მოუტყუებლად საქმეს ვინ წაიყვანსო.

ოთხი წლის შემდეგ დრამატურგმა გამოაქ-ვეყნა ზუსტმოქმედებანი კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“, რომელშიც გააღრმავა და თა-ნისმდევრულად განავითარა აღნიშნული პიე-

სების თემები და მოტყუები. ძირითადი კონფ-ლიქტი აქ მწერალმა ძველი წყევლების მოქმე-მისა და დემოკრატია — განმანათლებლები მწერ-ლის შეპირისპირებაში გამოხატა.

მამამ შეიღს სწავლა მიაღებინა. კაცად გამო-იყვანა, ახლა უნდა ცოლად მდიდარი ვაჭრის ქალი შერთოს და ცხოვრების საიმედო გზაზე დაუყვანოს. მამა გულწრფელად უყარობს, რომ ეს ბედნიერებისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზაა. შეიღი მამის აზრს არ აზიარებს, იგი პირდაპირ ეუბნება მამას, — შენ შენებუ-რად გეხმის ბედნიერება და მე ჩემებურადღა ამაზე არც უნდა ვილაპარაკო, რადგან ერთ-მანეთს ვერ ვაუწყებთო. მამა მიიწვ თავისას არ იშლის — „კარგად იყოფე, შეიღო, — აფრთხილებს შეიღს, — რომ სულ ტაუიღია ამ ქვეყანაში სიყვარულიც, მეგობრობაც, ნა-თესაობაც... ერთი რაშეა მართალი... ფული, სულ ფული და კიდევ ფული... უფულო კაცი გროხად არა ღრის... ფული ვაქვს, ქვეყანა შენია... ქაჩალი და სულელიც რომ იყოს, ყვე-ლასათვის ყინვარ-შაქარი იქნები, არავის არ მოხებრდება...“ ცარიელი სინდისი და სწავლა არაფრად არ ღრისო.

შეიღს სხვისი სიმდიდრე არ იტყუებს, მას გაღაწყვეტილი აქვს საყუთარი შრომით იცხ-ვარის, ცოლიც სიყვარულით შერთოს. „უბეც რომ არ იყო, — აცხადებს იგი, — დიდ უპა-ტიონებად ჩავთვლიდი ცოლი ფულის გუ-ლისათვის შემერთო.“ შეიღი თავის რწმენას მტყიცედ ადგას და შესაფერი საყოფე ამორ-ჩეულიც შეავს. მამაც ჩიუტობს და უყარს არ იხვებს. როცა შეიღს განზრახვზე ხელს ებრ-ახდებიან, ბორბად დაქვის, გიორგის მიერ საყოფედ არჩეულ ქალს მშობლებს ძალით

სხვაზე გაათხოვებინებს... ქალაც უყვარდა გი-ორგი, მაგრამ ამდენი ნებისყოფა არ აღმოჩინ-და, რომ მშობლების სურვილს წინ აღდგომო-და. მამამ შეიღს სიყვარულით არჩეული ქა-ლის შერთვა ჩაუშალა, მაგრამ ნიშანს მაინც ვერ მიაღწია. გიორგი ბედნიერების მაგიერად, გაუ-ბედურა. ბურჟუაზიული საზოგადოების მკლუ-რმა მოჩაღმა კიდევ ერთი მსხვერპლი შეიწი-რა!

„ხათაბაღასი“ და „კიდევ ერთი მსხვერპლის“ მკრთალად გადმოცემული სიუჟეტური ქარგე-მით მხატვრულ ღირსებაზე სრულ წარმოდგე-ნას არ იძლევა. მწერალმა დიდი ცოდნით დახა-ტა ძველი ქალაქის კოლორიტი, ვაჭართა ბნე-ლი სახურაო, პეტროსეათა ხახიათები, მათი ში-ნაგანი საშუარო და მოვლენების განვითარების თივქტური ტინდენცია, მკაფიოდ გამოავლინა ოთხი იდეური და ესთეტიკური პოზიცია. ძვე-ლი „ყერების“ წინააღმდეგ ხელი აღმართა, ქა-ობი შეარხია და ახალი გზების ძიების წყურვი-ლი გააღვაძა. გიორგის სატირლს მწუხარე სიტ-ყვებში — „...ნათუ ღარბი ადამიანისთვის

ბედნიერება არ არის ქვეყანაზე, მთელ ყველაფერს ადებშიცვე მოხატვა დამყარებული, მთელ წმინდა აღარ გყრნება-რას, — ადამიანის სულზე განახლების დსაწესის გამოხატა. დამკვეთს ამოხებდა უნდა მომყოლოდა და რომეც კიდევ ამოხდებოდა პიესამ „პეპომ“ ახალი ხანა ლაწერო როგორც მწერლის შემოქმედებაში, ისე მთელ სომხურ ლიტერატურაში. „პეპოს“ სუნდუკიანმა კომედიი უწყოდა. მაგრამ ხასიათითა და შინაარსით იგი უფრო სოციალური დრამაა. ტიპური ეთარბითა და ტიპური ხასიათებით „პეპო“ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ისტორიული პერიოდის მხატვრული გამოკეა. აქ მთელი ძლიერებითა და მომხიზლაობით გამოჩნდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებს ნაზარები დიდი ჭეშანიტი, რომლისთვისაც ადამიანი და ადამიანური ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი კატეგორიაა „პეპოში“ ავტორის მხატვრულმა ისტატობამ და გონებრივმა სიმწიფემ მწვერვალს მიადწია. ამ პიესაში გამოშვდენებულმა მებრძოლმა ჭეშანიჭმა და დემოკრატიჭმა განუხაზვდრელ რალი შეასრულეს სომხური ლიტერატურისა და თეატრის შემდეგმა განვითარებაში. თუ ადრე გაბრძულ სუნდუკიანმა ვაჟართა უოფლ დიდ ცოდნას ამკადენებდა და მათ სრულყოფილ საბეებს ხატავდა, „პეპოში“ გამოჩნდნენ მშრომელთა წრიდან გამოსული დასრულებული ტიპები, რომლებიც ხინდისა და პატროსნებას, სიმარალეს უოკლგვარ სიმდიდრეზე მაღლა აყენებდნენ. მარტო პეპოს სახეც საქმარისია, რომ პიესას უკვლავება შეენარჩუნება.

მდიდარი ვაჟარი არუთინ ზომზომოვი და მშრომელი მეფეზე პეპო, ორი შეპირისპირებული სამყაროა, მათ ურთიერთობაში მთელი გამოქა დახატული. არუთინ ზომზომოვი თავისი კლასის ღვიფლი შვალა, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. პეპო კი თავისი დროის მშრომელის ტიპური ვანახებრებაა, მშრომელისა, რომელსაც უკვე გავლიებშია კლასობრივი ინტინქტი და ვაბატონებულ სოციალურ უსამართლობას ვლარ მგუბება მართალა, კლასობრივი შეგნება ჭერ კოდვდ არ გააჩნია, მაგრამ ხინდისი და პატროსნება მისთვის პოლიტიკურ რწმინად ქცეულია და ამ რწმინას ურყვავდ მისდევს, არც ერთ წუთს არ დალატობს და სხვისგანაც მისდამი ერთგულებას მოიხივს.

ხინდისი და პატროსნება პეპოს ცხოვრების გზას უნათებს და ამქვეყნიურ ავკარგში დრმად ახედებს. იგი ხელმოყლილ ცხოვრობს, ღის გახოყება უნდა და ვერ მოუხერხებია. ხასიძო, ვაბატონებული ადამიწვეულებს მიხედვით, ქალის პატრონს ფულს სობოვს. პეპოს მამამ ზომზომოვს თავისი პატროსანი შრომით მოწამოვარი, წყრილწერილად დაგროვილი ფულია მიხარა ვეჭინდით, ეწინიდა არ შეიყო-

მხებაროსო, ქალი მეზრდება და მისი გახოყვებისათვის დამქირდებაო. მაგრამ ქალის გახოყვებას ვლდარ მოეწრო, ადრე გარდაიცვალა. პეპო, იმ იმედით, რომ არუთინ ზომზომოს მამის ვალს გამოართმევს, ხასიძოს მიწავდა ეს თუმანს დაპირდება, მაგრამ იმედი გაუპრუდება. ზომზომოვი შეიტყობს, რომ პეპოს მისი თამასუქი დაუქარავს და ვალზე უარს ეტყვის: ბართი შენ არა გაქვს, დავთარში, მე არ მიწერია-რა, რას მოხოვ, შენ რა მმართებს, პეპო ზომზომოსაგან ასე ურცხვობას არ მოვლოდა, გული მოყვა და შევადნეს და მოვადნეს შორის ასეთი დიადოვი გაიმართება:

„პეპო — მამ შენი ვულის დავთარშიაც არ გიწერია-რა?

არუთინ — ვულის დავთარი რომელია?

პეპო — მამ შენი ხინდისი არს გუბნებმა? შენ ხომ იყო, რომ გმართებს“.

ზომზომოს არც ხინდისი აქვს და არც „გულის დავთარი“, ხინი რომ ქქონდეს, ცხოვრება მამის სხვანორად აუწუბოდა, კაცო კაცი სათვის მგლად აღარ ვადაოქცეოდა, ამ თვალწინდელ და დამამ მოწინავე ყველა ბედნიერად იცხოვრებდა.

ზომზომოვი პეპოს ას თუმან ვალზე უარს ეუბნება და, თავიდან რომ მოაშოროს, „გუდკეთილობას“ გამოიჩენს. ზუთ თუმანს ხანუქრად შესთავაზებს — წაიდვ და ხასიძოს მიეყო. პეპოს თავზარი დაეცემა, — მოწინაუბისათვის როდი მოყვდევარ, ტემას ვახო ულობო, გამოართმევს გამოწვდილ ფულს და შიგ სახეში მიყარს: „ეს ოქროს კედლები რომ გაიმართავს, ეისი ფულით? ათასი ჩემი. ხთანა ვაგაძარცვავს განა... ქვიშა და კირი ჩვენის სისხლით აგირვეია განა? ყველასათვის თვალები ავიხამს და ახლა... უზრუნველად ქეიფობ რაღა?!“

მდიდარი და გავლენიანი არუთინ ზომზომოვი ამ შეურაცხყოფას „ვერ აიტანს“. სასამართლოში უჩივდება, ხასამართლო პეპოს გამბატუნებს და ციხეს მიუხვს.

— ასეთი უოფლია ქვეყანა, — ეხაუბრება ბოღმით მოვრალი პეპო თავისთვის, — კაცი თავიდან ფეხებამდე მართალი იყოს და მტყუანის გამოვიდეს!.. წაიდი, პეპო, ჩაქვი ციხეში და ცხოვრებას კარგად დაუცივრიდი. „ხომ ხედვ მთელი ქალაქი მგლებით ვავსილი“. პეპოს თავალს ბინდი გადეთვარა ყველაფერს ნათლად და გარკვევით წარმოიღვეს.

უცებ ყველაფერი უყლიმა შეტრიალდება. იმ დროს, როცა ვაოგნებული პეპო დედამა და ღას ეშვიდობება, ციხეში წახსველილად ეშვადება, მისი სახლის კარს მოულოდნელად ზომზომოვი შვადებს და ვალს, რომელზედაც ცოტა ხნის წინათ უარს ეუბნებოდა, თავიონად შვადღებს და შერიგებას სობოვს. პეპო-

გაოცდება. რა ხდება მის თავს, არ იცის, არ უთინ ზიზზიოვი ახალ ზრის მიმართავს, რომ საზოგადოებაში მართალი და პატიოსანი კაცის სახელი შეინარჩუნოს. პეპოს ნათესავს თამასუტი უპოვია. ეს ამბავი ზიზზიოვის გაუცვია პეპომ კი ჭერ არაფერი იცის. მაგრამ, როცა გააგებს, ზიზზიოვის შერიგებზე მტკიცე უარს ეტყვის. რადონდ ეს ამბავი არ გაბმარდეს და ზიზზიოვი შხად არის ვალი ერთორად გააღიბადოს. პეპო არ არის თანახმა ყველაფერი შენაურთოდ და უხმანურად გათავდეს. ზიზზიოვიმ საქვეყნოდ გაამტყუნა, ახლა საქვეყნოდ უნდა იმართლოს თავი, ხალხის თვალში პატიოსნება აღიღვიანის და ზიზზიოვის „მთელ ქვეყანაზე პირზე შერიგა“ ვალი რომ გამოართავს და თამასუტი დაუბარუნოს, ხალხში მტუჟანის სახელი ისევე პეპოს შერჩება, ზიზზიოვი კი პატიოსან კაცად დარჩება. პეპო ამას არ აზნის, რადგან პატიოსნება მისთვის ყველაფერზე მაღლა დგას, ამით არის ის მდიდარი, ამ სიმდიდრეს თვალახინივით უფრთხილდება. რადონდ ხალხს სიმართლე ვაგოს და პეპო, მიუხედავად იმისა, რომ უჭირს, შხად არის ვალზე მთლიანად ზელი აიღოს, იგი ნათესავ-მეგობრების თხოვნა-ვედრებას, გამოართავს ვალი და თამასუტი დაუბარუნოს, ყურს არ ათხოვებს, თამასუქს დაკოვრილი ზელით. მაღლა ახწვეს, რომ ყველამ დაინახოს, თვალუბთან მიუტანს ზიზზიოვის და მშლყარად შეარხვეს: „არა, ამისი არა გრცხენია?... ეს შენი მისატბე ზელით არ დაგაწერია? სიქვი არა-თქო, რაღა, სიქვი!.. შენთვის უარის თქმა ხომ ადვილია...“

დიდის ზეწინა-მუდარის საბასუხოდ, რომ „შეიშვოს ეს შევი და ბნელი შარათი“, პეპო გადაჭრით უარს ამბობს, მას ზიზზიოვი აღარ აინტერესებს, ზიზზიოვები უნდა, რომ ამბილოს და სამარცხენო პოქზე გააკრას:

...მიყვ, რომ ამისი მასხარა გავხდე?.. რომ ხალხში მტუჟანი მე დარჩე და მართალი ესა?.. ციხის შიშით თავი გავიყიდო?.. არა, დედა, ეს ბარათი დმეროს ხლად ჩამოუგზავნია ჩემთვის!.. ამით უნდა მოქერა ამას თავი!.. რამდენი შენისთანები იწვიან ამის ხელი, რამდენი (დაზე ანიშნებს) ამისთანები სტირიან, რამდენი ჩემისთანები იტანჯებიან!.. ერთმა მანინც არ შეატყობინოს ქვეყანას ამას საქციელი?! ერთმა მანინც არ შეტყვიროს (არუთინსაყენ ხელს იშვერს), რომ ეს კაცო, რომელსაც ყველანი თავს უტყავენ, ყველანი ეუფრებთან და პატრებს სემენ, ეს ის კაცია, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არა არის. რა ქვეყანაზე?..“

სიმართლე მანინც დაარგუნული დარჩება. პეპოს მხას არავინ უხმენს. მის სიმართლეს არავინ დაეძრება, სამართალი ფულის ქისაზე და-

მოკიდებული.. ბოქაული გამოცხადდება და პეპოს დააპატრებს: პეპო ატირებულ დედასა და დას გამოეშვიდობება და ასე ახლგმებს: „იტირეთ... საწულის ტირილი, აღნაო, მისთავის გაუნენია დმეროსა, რომ მდიდრის ბოროტება მორცხებს!...“

პეპომ თავისი საქმე გააკეთა. იგი სულით არ ეცემა, ამაყად თავაწული გააყვება პოლიციულს იმის იმედით, რომ დაბარუნდება და ყველა მოტყუებულისა და დამცირებულის ჭავრს ერთბაშად ამოიყრის, ეს იმედო გაყვება თან, და მართლაც, პეპომ ათისები და ათათისები გამოადვიდა, მკითხველისა და მათურბლის საყვარელ გმირად გადაიქცა და ზიზზიოვებს სიცოცხლე მოუწამლა, მოხვეწება დაუკარგა.

მაგრამ, ვანა მარტო ზიზზიოვებს! „მეპოში“ მკაცრად არის მხოლებული მეფის ბიურკრატული რეჟიმი. მისი სასამართლო და პოლიცია, „პეპოს“ მამბილებლური პათოსი ფართოა. ამიტომ იყო, რომ თავის დროზე პეპოს დაღვმას ოფიციალური წრების წინააღმდეგობა ზედმეოდა.

მწერლის მომდევნო კომედიები („დანგრული ოჯახი“ — 1886 წ. „აბანოს ბოხა“ — 1907 წ. და სხვა) იდეურ-მხატვრული მასშტაბით შეიძლება „პეპოს“ სიმბლზე ვერ იდგნენ, მაგრამ პრინციპულად ისინი „პეპოს“ ხას აგრძელებენ, ეპოქის განზოგადებულ სურათს ქმნიან. მათში დაბატულ ცალკულ სერსონაჟთა შორალურ თავისებურებათა მძლვა გარკვეული სოციალური ფენების წინეობრივი და პოლიტიკური ინტერესების ერთიანი ჯაჭვი მოჩანს.

მანინც სუნდუციანის დრამატურგია ყოველი დროს ადამიანს შენაჯანი პოეზიით, უკეთესისაყენ სწრაფითა და გულწრფელი, ღამაზი განცხდებით ხიზლავს,

გამორჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დოჟო (შელი) „პეპოს“ სადასა და ბუნებრივ უწოდებდა, გულწრფელად მისწინდა მისი სათუთი, ნაწი დეტალები და ავტორის სწერდა: „რომ თქვენი პიესა მაღალი გემოვნების მქონეთა კერძიაო“ (იხ. ი. ვრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 262, 1961 წ.). მწერლის მხატვრული საშუალებები დახვეწილი და სრულყოფილია, განსაკუთრებულ მდიდარია მისი ენა. გამართულ სუნდუციანი კარგად იცნობს თავის გმირებს, იმ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და გაბედულად იყენებს მათ ცოცხლ, თავისებურად შეფერილ მეტყველებას, განსხვავებული ხასიათებისათვის ზედმიწევნით ზუსტი კოლორიტის მიხაცემად. გამართულ სუნდუციანს შემოქმედებითი ცხოვრების მთელ გზაზე დიდი ზელოვანისათვის დამახასიათებელი ზომიერების გრძნობა მიუძღოდა წინ, არსად არ აქარბებდა, ძველი ვაჭრული ქალაქის მაც-

დუნებელი ენჯოტიკა და იაფფასიანი კონვულსური ზერხები არ ატაცებდა. იგი უბრალო დეტალურად კი არსებობს ეძებდა და მათ განზოგადებას ახდენდა. გაბრიელ სუნდუკიანის კომედიებში კეთილისა და ბოროტის, ძველისა და ახლის, კონსერვატიულისა და პროგრესიულის ორი ვრძნობა — ტყუილი და მართალი, ცრემლი და დიმილი, სიძულვილი და სიყვარული, ნადველი და იმედი — აუთ შეპირისპირებული და ორივე სერიოზულ ფორმაში. თავის კომედიებშია და ეპოდებებში დრამატურგი მოწინავე საზოგადოებაზე აზრს გამოხატავს და მხატვრულ სიტყვას აღზრდის აქტიურ დანიშნულებას ანიჭებს. ამიტომ არც ერთ კომპონენტს ზერხედ არ ეკადება. თვით სიცილი, რომელსაც იმ დროს ბევრი თვითმიწერად, წუთიერი ეფექტის მოსახვედლად იყენებდა, სუნდუკიანი დიდ სოციალურ დატვირთვას აძლევდა და სერიოზულად ეკადებოდა. ცოცხალ ცხოვრებისეულ კომედიურ სიტუაციებს ჰქმნიდა.

გაბრიელ სუნდუკიანის დრამატურგია ჩვენში იმთავითვე უპრობლემოდ სარგებლობდა. მისი პიესები სომხური და ქართული თეატრების სცენაზე თითქმის ერთდროულად იდგმებოდა (იხ. ი. ვრიშაშვილის, „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართველი საზოგადოებრიობა“, თბილისი, ტ. 4, გვ. 258, 1961 წელი). გაბრიელ სუნდუკიანის კომედიების წარმატებებს ქართულ სცენაზე ორი საფუძველი გააჩნდა. პირველი აუთ ამ კომედიების მხატვრული დირსება, მეორე კი — მათი თემა. სუნდუკიანის პიესების სიუჟეტი ძველი თბილისის ცხოვრების ფონზე იშლება. მათი პერსონაჟები თბილისელები არიან. მისი თემატიკა, რასაკვირველია, შთელ თბილისს არ მოიცავდა, ისევე როგორც არ მოიცავდა, შთელ მოსკოვსა, ოსტროვსკის კომედიების თემა. მაგრამ ძველი თბილისის იმ უზნებშიც, სადაც სუნდუკიანის გმირები ცხოვრობდნენ, ქალაქის საერთო მაქისცემა იჭრებოდა და ეპოქის დამახასიათებელი ძვრები ხდებოდა.

სუნდუკიანის კომედიების პერსონაჟები ტიპიური თბილისელი სომხები იყვნენ, მათი მენტალები შეფერული იყო ქართული კოლორიტით, ქართული მოხდენილი თქმებით, ანდაზებით, ჩაცმულობა და თავსაბურავიც, განსაკუთრებით ქალებს, ქართული ჰქონდათ. ხასიათის პიროვნული თვისებებიც თბილისელებისათვის ზედმოწევნი თამახსიათებელი აქვთ. საილუსტრაციოდ შეიძლება „პეპოს“ პერსონაჟების ზოგიერთი ავტორისეული დამახასიათებელი ხეობით. ზიშნაშვილის მეთოდებს ეფუძნება ევროპული მოდით ბრწყინვალე ცისფერი ტანსაცმელი აცვია, ქართულად თავდახურულია (ლენაქი, ოქრომერდის თავსაბურავით), კეპოს

დებდა შეშინა ორმოცდაათი წლის შუატანის, მიწიდეელი სახის ქვრივი დედაკაცი, ქართული უბრალო ტანსაცმის აცვია. შავი ჭიჭიბილი ტერნოს ან ალაპის გულშეკრული კაბა, თავი შავი თავსაბურავით, თეთრი სქელი ლეჩქილია და შავი თავმოსაბურავით აქვს დახურული. თერამეტი წლის კეპიც უბრალო ქართულ ტანსაცმელს ატარებს, ხმა ტბილი და მოძრაობა მოკრძალებული აქვს, გაცილებს ქართული ტანსაცმელი აცვია, თვითონ პეპო კი პოპულარული თბილისელი ტიპია — დარბანისეული, თავმოყვარე, უბრალო, მაგრამ მოხდენილად აცვია, სიარული შტაკაც, ხმა ტბილია შოამბეკვადი, მიხრა-მოხრა და ლაპარაკი ნამდვილი სახალხო (დრამატურგის გამოთქმა) აქვს.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა, რომ გაბრიელ სუნდუკიანის კომედიებს ჩვენს მაჟორიტელებში დიდი მოწონება ჰქონდა. აკაკი წერეთელი „პეპოს“ „სოხლ მარჯალიტს“ უწოდებდა. გაბრიელ სუნდუკიანის პიესები ჩვენში სცენამ ქართულითა შეისახლბორცა. მათ თვალახანით რაღაც შენარტულეს საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში. თბილისში აღზრდილი და ქართული მიწის მადლით ნახაზდობები სომეხი შემოქმედი ყოველთვის გულწრფელად ცდილობდა თავისი მეორე საშობლობათვის სამაგიერო გადაეხადა. იგი შემოქმედებითაც და პრაქტიკული მოღვაწეობითაც აღვივებდა და განამტკიცებდა ორი მომდინარე ხალხის მეგობრობას. სწორედ ამ გულწრფელობამ ათქმევინა დიდ აკაკის:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
 მაგრამ მშვიდი ვართ ერთმანეთისა;
 ორივე შეული ერთი მიწა-წყლის,
 ერთ მიდამოსი და ერთი მთისა.

მეგობრობის ეს ნათელი ვრძნობა უკვდავია და ალაპაზებს ჩვენს ხალხების ცხოვრებას. გაბრიელ სუნდუკიანი გარდაიცვალა 1912 წლის 18 მარტს. ეს დიდი დანაკლები მწიკვად განიცადა ქართველმა საზოგადოებამაც. აკაკიმ განწვენიბულს საგანგებო ლექსი მიუძღვნა, რომელშიც ღირსეული პატრიოტი მოხსენია და მადლი შეფასება მისცა დიდი დრამატურგის დეაქლს:

დღეს მარხავენ აღმთანს,
 მგძმწობიერს და გონიერსა,
 ვინც რომ მფენდა ციურ ნათელს
 განურჩევლად ყველა ერსა.

პოეტის ეს სიტყვები ქართველი საზოგადოების საერთო აზრსა და მისდამი მადლიერების ვრძნობას გამოხატავდა.

ხელოვნების პროგრესის პრობლემა

IV

ის, რაც აქამდე აღინიშნა, ხელოვნების პროგრესის მხოლოდ ობიექტურ საფუძველს შეეხება. სწორედ ეს ობიექტური ვითარებაა ძირითადი, ვადაშეწყვეტი, უპირატესი. მაგრამ ხელოვნებას ხომ განსაკუთრებული ტალანტით, კერძოდ, მხატვრული შეთხზვის, განსაზღვრების ნიჭით, უნაირთ დაჯილდოებული ადამიანები ქმნიან. ამიტომ ხელოვნების როგორც საერთო ისტორიული პროცესის, ისე საყოფიერო ეროვნული პროგრესის კანონზომიერებას განვიხილავს არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ აქ აღნიშნული ობიექტური ეპოქისეულ-ეროვნული ვითარებით, სოციალურ-ეროვნული აუცილებლობით თუ სპირიტუალთ.

აქ ობიექტურის საფუძველზე შესაბამისად არსებით როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორიც.

ცნობილია, რომ შემოქმედებითი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანები სრულიად უწყალოდ იყარგებიან ისტორიისათვის, თუ მათ ობიექტური საზოგადოებრივი ვითარება აღუდგა წინ. მაგრამ, ამავე დროს, ეს ვითარება როგორც მაღალიც არ უნდა იყოს იგი, ხელოვანს ვერ შექმნის იმ ადამიანისაგან, რომლის მიმართ ამ მხრივ ძუნწი აღმოჩნდება ბუნება.

მხატვრული ტალანტით, რა თქმა უნდა, ბუნება აჯილდოებს ადამიანებს, მაგრამ, ამავე დროს იგი ან უწყალოდ იყარგება, ან ვლინდება (ე. ი. ხელშეწყობს იხილება როგორც შემოქმედი) ობიექტური საზოგადოებრივი ვითარების არსის შესაბამისად. ეს

ბუნებრივია, იმასაც ნიშნავს, რომ ყოველი ხელოვანის ტალანტი, საზოგადოებრივი ვითარების პროდუქტაციაა, მაშასადამე, საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენაცაა.

იგივე ობიექტური ვითარება განაპირობებს ხელოვანის მხატვრულ მეთოდსა და, საერთოდ, მთელს მსოფლმხედველობას, მაგრამ ის, თუ რა სახით, შემოქმედებითი სრულყოფითა და თავისებურებით გამოაჯღენს (წარმოსახავს) ესა თუ ის შემოქმედი ეპოქით განპირობებულ მხატვრულ მეთოდს, მიმდინარეობასა და იდეებს, ან თვით ეპოქისა და ხელოვნების ობიექტურ კანონზომიერებას, ეს შეიძლება მის მხატვრულ ტალანტსა და სხვა სუბიექტურ თავისებურებაზე, ადამიანურ-შემოქმედებით ნატურაზე, სულიერ სამყაროზე არის დამოკიდებული. ხელოვანის „შეს“, სუბიექტური თვისებებში პოულობს ახსნას. სხვა სიტყვებით რომ ვადაშეწყვეთ, ის, რაც ამა თუ იმ ეპოქის, მიმდინარეობის გამოხატველ ხელოვანთა შემოქმედების საერთო (ტოპოლოგიურ) მხარეს შეაჯგენს, ეპოქისეულია, ობიექტური ვითარებით არის განპირობებული. ის კი, რაც მხოლოდ ცალკეულ ხელოვანის შემოქმედების განსაკუთრებულობაზე გვეფიქნება, ე. ი. რაც აქ საგულისხმევ ხელოვანთა განსხვავებებს ურთიერთისაგან, შემოქმედებითი ინდივიდუალობაა (ბუნებრივია ამ უკანასკნელს განეუფლება მხატვრული სიძლიერე, შემოქმედებითი სრულყოფილება).

ამიტომ პროგრესი ხელოვნებაში არ არსებობს ხელოვანთა ნიჭის, კერძოდ, გენიოსთა ან დიდ ტალანტთა გარეშე. ამ საკითხს სხვა ასპექტზე აქვს მხატვრული პროგრესის პრობლემათა დაკავშირებით. მაგრამ უყველა მაათი აქ აღნიშვნა არ წარმოადგენს აუცილებლობას.

* დასასრული. იხ. „მნათობა“, № 4.

საერთო დასკვნა, რომელიც აქ განხილული საერთოებრივი გამოცდილების, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ესე როგორც საზოგადოებრივი პროგრესი უფლებების არ განაპირობებს ბელოცენების პროგრესის არსებობას, ბელოცენების პროგრესის არსებობაც უფლებების არ ეფუძნება საზოგადოებრივ-ეთიკურ პროგრესს. ზოგ შემთხვევაში იგი აღნიშნული ობიექტური ვითარების დაცემის, დამახურობის, დიდი განსაკუთრების ნადავლად იხილება; ოღონდ, საზოგადოების განვითარების ტენდენციებს, პროგრესულ არსს ამ შემთხვევაში გამოიხატავს. ამჟამად პროგრესი ბელოცენებში უფლებების გულისხმობს შესატყვისი მასშტაბის სუბიექტური ფაქტორის არსებობას. ამდენად იგი ობიექტურ-სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობის შედეგს წარმოადგენს.

უფლებები ეს სავსებით ნათელი ხდის ამ უპირობოდ ცალმხრივი თვალსაზრისის მცდარობას, რომელიც საზოგადოებრივ და მხატვრულ პროგრესს მთლიანად აიკვებებს ურთიერთთან, აღიარებს, თითქოს, მხატვრული პროგრესი უფლებების „შეგნებაზე“ ახლოსაა საზოგადოებრივ პროგრესს.¹ ანდა, „ბელოცენების პროგრესი წარმოადგენს დაბალიდან უმაღლესისაკენ მოძრაობის ერთ-ერთ რთულ ფორმას“.²

V

ამჟამად აღნიშნული სრულ საფუძველს იძლევა შევეჩქოთ ბელოცენების პროგრესის ძირითად ნიშნებს.

ცნობილია, რომ უფლები ნაბიჯი მხატვრული კონსტრუქცია, უფლები კუმპარტიო ბელოცენის შემოქმედებითი ინდივიდუალობა გარკვევით ამდებრებს და ამრავალფეროვნებს ბელოცენების ინტორალულ პროცესს, უფლებების ხასიათდება სიხვედრითა და მხატვრული აღმოჩენებით, ესთეტიკურის, გარკვეული თემატისა და იდეური შინაარსის განუყოფელი წვდომით, წარმოსახვით, მასხადამე, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. ამჟამად უფლები ეპოქაში ვხვდებით აქვარად სულტ ბელოცენათ, აქვარად სულტ ან რეაქციული ხასიათის ნაწარმოებებს, შინაბიძველობას. მაგრამ თუ უფლებები ეს ტიპოლოგიური არაა, მაშინ მათი არსებობა არ ნიშნავს ბელოცენების არც აუვავებას და არც დაკუმას; ერთიც და მეორეც მხოლოდ მაშინაა მოცემული, როდესაც საქმე გვაქვს ასეთ ბელოცენათა და ნაწარმოებთა სისტემასთან, ე. ი. როდესაც ეპოქის მხატვრული

კულტურა, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც, ხასიათდება აუვავებელი დაკუმით. ამიტომ, რომ პროგრესული ბელოცენებში ვლინდება როგორც ბელოცენების რომელიმე ერთი ან რამდენიმე დარგის სრული აღორძინება, განსაკუთრებული წინსვლა, ხოლო თვით ეს მთლიანად ეპოქის მხატვრული კულტურის ძირითად, განმსაზღვრელ მხარეს წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბელოცენა მაშინ ხასიათდება პროგრესულიებით, როდესაც იგი აღწევს თავის ესთეტიკურ-საზოგადოებრივ არსის ამა თუ ამ მასშტაბის სრულქმდელ გამოვლენას; როდესაც იგი როგორც თავისი, ისე მომდევნო ეპოქების დაბრუნებაში აღიქმებს, ამკვიდრებს და წარდის უფლებზე სათუთ, უფლებზე მაღალ, ადამიანურ გრძნობებს, მისწრაფებებს, სულიანურობებს და აღქმას; კუმპარტიო ესთეტიკურ ტიპობას, სულიერი ამაღლებას, სიხარულს; როდესაც იგი დაბრუნებს შთაბეჭებით სიძულვილის იმისა, რაც სიძულვილის დირსია, ხოლო სიუყვარულს — რაც სიუყვარულს იმსახურებს; მაშინადაც, ეპოქის სრულ მხატვრულ სიამართლეს წარმოსახავს, მხატვრული აღმოჩენებით, ახლის შეთხზვით გამარჯვებულობებს და განვითარებს ესთეტიკურ ხილვას, მხატვრულ ბერბებს, მხატვრულ ოსტატობას, საერთოდ, შემოქმედებითი მშვენიერებას; როდესაც იგი ვლინდება როგორც ეპოქის მთელი ვითარების, პროგრესული არსისა და იდეების თავისებურების მართალი განსახილვება, კუმპარტიოდ ღიად შემოქმედებით ინდივიდუალობათა ასპარეზო, დიდი საზოგადოებრივი ფუნქციონირება და მნიშვნელობით აღჭურვილობა, ადამიანთა თანამებრძოლი, მათი სულიერი ცხოვრებისა და, კერძოდ, ესთეტიკური გრძნობის ფორმირების უნიშვნელოვანება ფაქტორია, ეპოქის დიდება, საზოგადოებრივ-ეთიკურული პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ხოლო როგორც უფლებების ცხოვრების ფაქტორი მეთაური და წარმმართველი.

რა თქმა უნდა, უფლებები ეს ორგანულად არის შერწყმული ურთიერთთან, რაც შეეხება თვით ამ ორგანული ერთობლიობის არსის პრობლემას, მისი გაშუქებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კ. მარქის ზემოთ ციტირებულ ცნობილ თვალსაზრისს საზოგადოების პროგრესის საფუძველს შესახებ. კ. მარქის განმარტებით, ეს საფუძველია „საწარმოო ძალების განვითარება, ე. ი. ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარება, როგორც თეოპიზმი“.¹

¹ Н. Парсиданов, О поступательном характере развития искусства, 1964 стр. 86.

² იქვე, გვ. 61.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве, т. I, 1967, стр. 123.

კ. მარქსის ეს სტრატეგიები, უწინარეს უყოლოსა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საწარმოო ძალების განვითარების ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარებასთან ორგანული დეკავშირებით, ეს დეკავშირება, არსებითად, იმასაც ნიშნავს, რომ საწარმოო ძალების განვითარება მაშინ გვევლინება საზოგადოების პროგრესის საფუძვლად. როდესაც იგი ელინდება როგორც ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარება.¹ მაშასადამე, საწარმოო ძალების განვითარება უკველთვის არ ქმნის სათანადო პირობებს საზოგადოების პროგრესისათვის, მაშასადამე, ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარებისათვისაც. მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში საწარმოო ძალების განვითარების დონე და მისი შედეგი უპირესად ზღუდავს პროგრესს, საერთოდ ადამიანის განვითარებას. ასეთია, მაგალითად, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობა, რის გამოც კ. მარქსი ხაზგანგებულ შენიშნავს, რომ საზოგადოების სიმდიდრე, თუ უკუვადებით მის შეზღუდულ ბურჟუაზიულ ფორმას. „სხვა არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა მოთხოვნილებების, ნიჭის, მოხმარების საშუალებების, საწარმოო ძალებისა და სხვათა უნივერსალობას.“ ... თუ არა ადამიანის როგორც ბუნების, ისე თავის საკუთარ ძალებზე პატრონობის განვითარება; „ადამიანის შემოქმედებით ნიჭის აბსოლუტური გამოვლენა“, საერთოდ „უველა ადამიანური ძალის, როგორც ასეთის, განვითარებას. შეუფარდებლად უკველვარ წინაწარ შეზღუდულია“². ამასთან, ამ შემთხვევაში კ. მარქსს უველა ეს ადამიანური ძალის განვითარება განმარტებული აქვს როგორც ცაკობრიობის განვითარების თვითმნიშვნილი.

როგორც ვხედავთ, კ. მარქსის ამ შეხედულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საერთოდ პროგრესის საფუძვლის გაგებისათვის, არამედ ადამიანის ბუნების სიმდიდრის მარქსისტული გაგებისა და სა-

კუთრივ ხელისუფლების პროგრესის უშუალო საფუძვლის გაშუქებისათვისაც. აქვე იხილ უნდა აღნიშნოთ, რომ საწარმოო ძალების განვითარებისა და საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის კონკრეტული სოციალური გამოხატულების სწორედ აქ აღნიშნული შეზღუდულობის გამო მიუთითებს კ. მარქსი კაპიტალიზმის მტრულ დამოკიდებულებაზე მხატვრული კულტურის განვითარების მიმართ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, თითქოს, კ. მარქსი უარყოფდეს კაპიტალიზმის ეპოქაში დიდი ხელისუფლების განვითარებას ცალკეულ გენიალურ ხელოვნებაში შემოქმედების სახით, აქ იგულისხმება კაპიტალიზმის არსის ხაზგასმა საკუთრივ ხელოვნების განვითარების ასპექტში და დიდი მხატვრული ეპოქების შექმნის შეუძლებლობა ბურჟუაზიის პატრონობის პირობებში (ამეც ახრის იყო პეველიც, მაგრამ ამ ისტორიულ ფაქტს იგი ხსენიდა თავის ფილოსოფიური კონცეფციის შესაბამისად).

ამასთან კ. მარქსს სიმდიდრის შეზღუდვა იგი სახეობის დახასიათებისას, თავისთავად ცხადია, მხედველობაში აქვს საერთო სახალხო სიმდიდრე, კომუნისტური საზოგადოების სიმდიდრე, ამიტომ მიუთითებს იგი ადამიანს, „უველა ძალის“ განვითარებისა და უველა შესაძლებლობის, უნარის, მათ შორის შემოქმედებითი ნიჭის აბსოლუტური გამოვლენის შესახებ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ისტორიულადაც ვხედავთ საზოგადოების განვითარების ისეთ ეპოქებში, როდესაც, შედარებით, არსებითად მიერთდება პროგრესისა და ნიჭის შეზღუდულობა: შრომის განაწილების გარკვეული თავისებური წესი ფართო მასშტაბის შესაძლებლობის იძლევა ადამიანის ბუნების სიმდიდრისა და მხატვრული ტალანტის განვითარებისათვის. ასეთი იყო მაგალითად, კლასიკური ბერძნული ხელოვნებისა და რენესანსის ეპოქები.

საზოგადოებრივი პროგრესის საფუძვლის უერთ მოტივად მარქსისტული განსაზღვრის მეორე ნახევარი — „ადამიანის ბუნების სიმდიდრის განვითარება“ — სუბიექტური ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესაბამის მიუთითებს, საწარმოო ძალების განვითარების სწორედ ამ სახით და ამ ასპექტში განმარტება იმას ნიშნავს, რომ აქ იგულისხმება ადამიანის საკუთრივ შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაც. ხოლო რომ ნიჭი გამოვლინდეს, თავისთავად ცხადია, თავდაპირველად უნდა არსებობდნენ ამ თვისებით დაჭილდობული ადამიანები. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს პროგრესის სუბიექტურ ფაქტორთან, რომელსაც ღრმად თავისებური და განსა-

¹ ზოგი მარქსისტი მველუვარი ამ დიდმნიშვნელოვანი პრინციპის კომენტარებისას ადამიანის ბუნების სიმდიდრისა და საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის ცნებების გაიგივების ტენდენციას ავლენს. კერძოდ, ვი: ტენდენცია ამყარად ივარჩნება ვ. ვანსლოვის შემოთავაზებული მოსხენიებულ ნაშრომში. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. ადამიანის ბუნების სიმდიდრე გულისხმობს სრულიად გარკვეულ სფეროს, კერძოდ, ადამიანთა სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროსა და შემოქმედებით ნიჭს, საერთოდ, უველა ადამიანური ძალის, უნარის ერთობლიობას.

² K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 26, в. II, 1963, стр. 164—165.

საერთოებელი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების პროგრესისათვის.

აქ აღწარულ საცხოვრებელ სხვა ასპექტებიც აქვს. მაგრამ ჩვენი პრობლემისათვის უკვე აღნიშნულად საყურადღებოა საკმარისს პრინციპულ საფუძველზე და მასალას იძლევა. ოღონდ, ერთი ფაქტობის აღნიშვნა მაინც აუცილებელია: კ. მარქის აქ განზომილი თვალსაზრისიდან ლოკალურად გამოზომილობას დასვენების შესახებ, რომ საზოგადოების პროგრესის არსებითად იხატება როგორც ადამიანის ყველა ძალიან და უნარის გამოყენების, საზოგადოებრივი მდგომარეობის, მთელი ბუნების სიმდიდრის წინსვლა. ეს კი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ადამიანის პირველების თავისუფლების, საერთოდ, სოციალურ-ეროვნული თავისუფლების გარეშე. ამიტომ შეინიშნება უ. ენგელსი: ყოველი წინადადეგებული ნაბიჯი კულტურის განვითარების გზაზე, იყო ნაბიჯი წინ თავისუფლებისაკენ...¹

ახლა აღვნიშნოთ საზოგადოების პროგრესის ეს ძირითადი ნიშნები, რომლებსაც არსებითად განსხვავებული სახით ავლენს ხელოვნების პროგრესი.

1. საზოგადოების პროგრესი წარმოადგენს აღმაჯალ, წინსვლით ისტორიულ პროცესს, ე. ი. განვითარების უფრო რთული, შიდალი, სრულქმნილი და ფართო მასშტაბის საფუძვლად ფორმირებისა და დამკვიდრების თანამიმდევრულ მოსაცდელბას. ამ საფუძვლად თუ ეპოქათა ყოველ კონკრეტულ სახეობაში იმთავითვე „მოცემულია თავისთვის საწინააღმდეგო“, როგორც ტენდენცია, მიდრეკილება, ანდა, ჩანახაბი შემდგომი პროგრესისა, ამ ტენდენციის, ჩანახაბის განვითარება ქმნის ანტიკონტრასტს, რომელიც თავის მხრივ გამოხატულება ეპოქის წინააღმდეგობრივი არსისა და რომლის გარეშე, კ. მარქის სიტყვებით, რომ ვაღმოვცეთ, „არ არსებობს პროგრესი, ასეთი კანონი, რომელიც ცოცხალიცა ემართილება ჩვენს დროში“. ამასთან, ყველაფერი ეს არ ნიშნავს, თითქოს, საწარმოო ძალების განვითარება, საერთოდ, ისტორია წინსვლას, პროგრესს ავლენდეს შეუფერებლად. სწორხაზოვანად. ასეთი შეხედულება ე. ი. ლენინის ცნობილი შეფასებით, „არადიალექტურია, არამეცნიერულია“. საზოგადოების განვითარება ხასიათდება წყვეტითი, ზოგჯერ უკან გვიანდური ნახტომებითაც.

2. ისტორიის სფეროში პროგრესი წინააღმდეგობის არსებით განვითარებას ან სრულ

უარყოფას ნიშნავს; ამასთან, ის, რაც პროგრესის მსხვერპლი ხდება, ორგვე შემთხვევაში ეთიშება „მოქმედ ცხოვრებას“, ისტორიის საუბრებად იქცევა, მაშასადამე, ადრე თუ გვიან საცხოვრებელ სტოვებს საზოგადოებრივ ახარებას. ცხადია, ეს ხდება იმდენით, პროგრესულის გამარჯვების, საბოლოოდ დამკვიდრების შედეგად.

სიტყვა მწუხარება სარიტმო ერთეულთა გამოყენებული ლექსებში: „ღურჭა ცხენები“, „ატმის უვავილები“, „საუბარი ედგარზე“, „აკაცის ღამი“, „გვიანი ოცნება“, „გზაში“. უველიანე ლექსის სევდიანი განწყობილებით არის დამიხიზებული, რაზედაც უცდომლად მიგვაჩვენებს რითმში გასული სიტყვა მწუხარება:

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ევარება,
როგორც ქალწულის სახელი შერი —
არის ცისფერი და მწუხარება.

(„გზაში“)

„ღურჭა ცხენების“ რითმში სიმწუხარე თავისებურ სინტაქსს ქმნის: სიმწუხარეა — სულს უხარია. თუმცა შიშის კონტექსტს ასეთი პოეტური შინაარსი არა აქვს: საზღვარს მხარეში სიმწუხარეა, წვიმარ ცივ მარეში და არც სულს უხარია. მაგრამ ნეგატიურ არც-რითმა ვერ იტყვს და ვლდებულობს სიმწუხარით გახარებულ სულს, რაც შემდეგ პოეტის განცდა-გაგებაში მშვენიერია ტანჯვის ხაზით ჩამოვალბდა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ექვსჯერ განმეორებულ მწუხარებას კრებულში უპირისპირდება მხოლოდ სამჯერ გამოყენებული ხალისი (სიხარული):

ვინა უმინოდ მიღის სიციცხლე
და ღაბრუნება მიწის მიხარის.

(„გზაში“)

ლექსიკური ერთეული წვალება ხუთჯერ არის ნახმარი. ამას შეიძლება დამატოს ორჯერის განმეორებული წამება.

სარიტმო ერთეულებად გამოყენებული სიტყვები: სიკვდილი და სამარე (მარველი — აჯერ მგორი — აჯერკ) უმოვარესად იხეთ ლექსებში იჩნეს თავს, რომლებიც ან სემბოლისტურია ან რომანტიკულ-არბილიტურა. იმ ლექსიკური ერთეულებიდან, რომლებიც ფაქტიურად „არტისტული უვავილების“ რითმში მოიტანა, განსაკუთრებით აღსანიშნავია

თ ოცდო. ამ სიტყვას გალაკტიონმა საოცარი სისპეტაკე და მოწინააღმდეგე შეხატა. მრავალგვარი ემოციით დატვირთა იგი. თოვლი საყვარელი არსების მკრთალი ხელებია, ფარული დარღობა მის ხმაში, იგი ზილიდან გადაფრენილი ქალწულია — ხან იახფერია, ხან ვარდისფერი, სიტყვა თოვლი გამოიყენა გალაკტიონმა უხეშანტაყო, მაგრამ ბრწყინვალე ევფონიური მოვლენის შესაუღლებლად — დო ვ ა ნ - დო ვ ე ნ - დო ვ ლ ა.

ლექსების ამ კრებულში გამოჩნდა გალაკტიონი, როგორც ფერების მომღერალი პოეტი. ლურჯმა ფერმა უკვე მიიღო სიმბოლური სახე. მას სხვა ფერებზე დაუმშვენა მხარი. ამიტომ, რომ სიტყვა ფერია ზნობად არის გამოყენებული რიგში თანაცალად (11 შემთხვევა).

„აქაყის ლანდმა“ მოიტანა სიტყვა ლანდიხ აქცენტრება, რომელიც სხვადასხვა ფორმით რიგში ცხარეად მერბდება, ზოლო ლექსში „პოეტი ბრბოში“ წინფუძე დისონანსურ რიტმის ქმნის: მ ა ნ დ ი ლ ი თ - ლ ა ნ დ ი.

ზემოხსენებული ლექსიკური ერთეულები წესტად შეენატყვისება ამ პერიოდში პოეტის შემოქმედების ხასიათს, წარმოდგენას გვიქმნის ნაზი რომანტიკული განცდების შემოქმედზე. მის მწიხარე სულზე.

მაგრამ, ამასთან ერთად, „არტიტული უვავილების“ რიგში ლექსიკა გვიხასიათებს გალაკტიონს, როგორც მებრძოლი სულის პოეტს. უვავზე უფრო ზნობი ლექსიკური ერთეული ამ კრებულის რიგში არის ქარია და მისგან წარმოებული ქროლვა. მათი რიცხვი მის აღწევს. უხადია, როგორც ამ შემთხვევაში, ისე სურთოდაც მშრალი სტატისტიკა ბევრს არაფერს ამბობს. კერძოდ, სიტყვა ქარია რიგში ხშირი გამოყენების მიზეზი, სემანტიკასთან ერთად, მისი აუსტრიაც არის (ქარი უფროა სიტყვა), რასაც რიგში სივრცის დიდი მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ამავე მიზეზით რიგში ვერ მოხვდა ლექსისთვის ბევრი სპირის სიტყვა, რომელიც თანხმოვნებით არის დაძმებული.

ამ ლექსებზე დაკვირვება, სადაც ამ სიტყვის შემცველი რიგში ჩართული, გვიჩვენებს, რომ ქარი, როგორც მოქმედების, ბრძოლის გამოხატულება, პოეტისთვის შემთხვევითი არ ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ რიგში გამოყენებული ზმნების უმრავლესობა სვლა ძირზე (გაივლის, მომართდა, გადავარდო, გადავიარდი, წარედვი, შავა, მიემართები) და მის ვარიაციებზე დაფუძნებული.

იმდენად დატვირთულია „არტიტული უვავილების“ რიგში მოძრაობის აღმნიშვნელი სიტყვებით, რომ მკითხველს ემეცება ებადება: პასიური რომანტიკული ჰერეტიკა ადვილს ხომ არ უთ-

მობს პოეტის აქტიურ ხედვას? ამ საკითხის შესწავლა, ეფექტობით, გამართლებს რიგში მდებარე შთაბეჭდილებას. სავლდისხმა ის გარემოებები, რომლებშიც მოტრფილად პოეტი, რომელსაც ამ კრებულის ქრონოლოგიურ ჩარჩოში „მოწინდის მთვარე“ და „სიყვდილი მთვარისაგან“ აქვს დაწერილი, სიტყვა მთვარეს იშვიათად იყენებს რიგში თანაცალად. აუსტრიაური თვალსაზრისით სიტყვა ძალზე საინტერესოა. სემანტიკურად იმის თქმის მეთა ადგილი უნდა დაიშობოდა გალაკტიონის რიგში საუფლოში. უფრო, პოეტი საგანგებოდ მოყრდა იმეცად ქართულ პოეზიაში უკვე შამლონადქცეული სიტყვის რიგში აქცენტრებას.

„არტიტული უვავილების“ რიგში რამდენჯერმე ვხვდებით სიტყვა მზეც: მზიანი ტიციანი („არ დაბრუნება“), მზეზე-მიზეზი („როგორც ებრძოდნენ ზარებს ზარებში“) და სხვ. გამოთქმები: ვოცნებობ მზეზე და ზარუნება მზიანი სწორედ მზიანი კუთხით არის შექმნილი რიგში. „სილავარდული“ მზეც, როგორც მარამის უყვდილი ეპითეტი, თან დასუვება რიგში (მზეც მარამ).

სიტყვა მზის წინ წამოწევა, პოეტის ოცნება მზეზე და მისი ზარუნება მზიანია ამ კრებულის იდეურ მანარას სათანადო მიმართულებას აძლევს. თუ გავიხსენებთ უფრო ადრინდელ ლექსს „ვეფთ ასწიფო მზე, ზევიო“, ანდა ცოტა უფრო გვიანდელს — „მზეც თიხათისა“ — დაწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზის მაცოცხლებელი ენერჯია ძალდატრიალებს გალაკტიონის ამდროინდელ ლექსებში, როგორც ემედისა და სიცოცხლის საწყარო ხმა.

როცა მზეცა და ქარს მომართაში მოწყვანი ზმნა სვლაც თან ახლავს, იქმნება მოქმედების, აქტიურობის, ბრძოლის ატმოსფერო, რაც უცხო არ ყოფილა „არტიტული უვავილების“ ავტორისათვის. ამ დასკვნამდე მივყავართ კრებულის რიგში ლექსიკურ ანალიზს.

„არტიტული უვავილების“ რიგში ლექსიკა ზოგად წარმოდგენას გვიქმნის კრებულის სემანტიკაზე, ავტორის განწყობილებაზე. მაგრამ როგორია სემანტიკა, კერძოდ, ცალკეული რიგებისა, რა და რა ლექსიკური ერთეულები ხედვებთან ერთმანეთს რიგში?

სხვადასხვა სიბრტყის მოვლენათა შეხვედრა რიგში მის მოვლოდნელს ხდის და ზრდის მისდამი ინტერესს. ამგვარი შორეული ასოციაციები წვეულებრივია „არტიტული უვავილების“ რიგში.

თუ „გემი ადლანდის“ რიგში, ლანდი და ლანდი შედარებით მარტივი და ჩვეულებრივია, ამავე ლექსის და ლანდი-მანდილი მოვლოდნელი, მეტად შორეული დაკავშირების შედეგია, ისევე როგორც ღრმა ფან-

ტაზის ნაყოფია სტრიქონი, საიდანაც რითმის ერთი ცალია ამოღებული: „ჩემი დაფინსთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი“.

კრებულის რითმისთვის ძირითადი მინც სარითმი ერთეულების აზრობრივ-ემოციური შეხამება. თუმცა ეს მარტაც ასოციაციებს არ გულისხმობს. როცა ვეცნობით, კერძოდ, რითმის მამული-ე-ტრია-მული, არ ვვარჩება გაოცდებულ შებლანის შთაბეჭდილება (რასაც შექმნიდა, მაგ. მამული-ნამული). ეს რითმა ცალკე გამოტანილიც კი, ნათლად გვაჩვენებინებს, რომ მისი შემსუვლი სტროფა სემანტიკურად მთლიან და ძარღვმავარი იქნება.

ვალკატონის რითმის ლექსიყისა და სემანტიკის საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა ზღვით გვეჩვენება ვალკატონის სიტყვათა სიმფონია და მისივე რითმის სრული ლექსიყონი.

3.

ჯად. გ. წერეთლის ზღვითდაწვლილით შედგენილი კრებული „მეტრი და რითმა ვეფხვის ტყაოსანში“ პოემის რითმთა სიმფონიასაც შეიცავს. დიდი, შრომატევადი მუშაობის შედეგად შექმნილია სრული კატალოგი, რომელშიაც მთელი წარსახურობით არის წარმოდგენილი რუსთველის რითმა.

კონსტანტინე ტვიჩინაძის „ვეფხისტყაოსნის რითმთა ინდექსისაგან“ (1934 წ.) განსხვავებით, სიმფონიაში რითმები დალაგებულია არა კლავულებს, არამედ იდენტურ დაზოლოგებთა მიხედვით, ე. წ. საბჭენ თანხმოვანი თუ თანხმოვნები რითმის შემადგენლობაშია შეტანილი. მაგალითად, პოემის 143ბ-ბ სტროფის სარიტმი სიტყვები — მ ა ხ რ ა მ ბ ლ ა დ - მ თ რ ი ბ -

ლ ა დ - მ ა მ ა გ რ ი ბ ლ ა დ - ღ ა უ რ ი ბ - ლ ა დ ვვადღევს რითმას რ ი ბ ლ ა დ ღ ა ა რ ა მ ბ ლ ა დ ვარდა ამის, ყოველ რითმას საილუსტრაციო სახალა მთლიანი სტრიქონების სახით ახლავს. სიმფონიაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი მთლიან შიარის ორ-და ომხარისცვლიანი და დაბალი შიარის სამ-და ზუომარცვლიანი რითმები; აგრეთვე, იდენტური (ზუსტი) და არა-იდენტური (არაზუსტი) რითმები.

პრაქტიკული ღანიწულეობა აქვს ანბანის რიგზე გაწყობილ რითმთა და სარითმი სიტყვათა საძებლებს. საგულისხმოა, რომ სარითმი სიტყვათა საძებელში აღნუსხულია არა მხოლოდ შედგენილი რითმის ყოველი წევრი, არამედ კომპოზიტის შემადგენელი სიტყვებიც კი, როგორც ლექსიყური ერთეულები. არ იყარვება არც ერთი სიტყვა, თუ ნაწილიც, რომელიც არსებულს რითმის შესაძლებელ გამოყენებას.

სარითმი სიტყვათა საძებლის ღირსება ისიც არის, რომ მასში ომონიმური სიტყვები ცალ-ცალკეა გამოტანილი, ირკვევა, მაგალითად, რომ

სიტყვა პ ი რ ს ა პოემაში ომონიმურად სხვადასხვა მნიშვნელობით ყოფილა ნახსენებიც.

ვეფხისტყაოსნის სარიტმი სიტყვათა სრული საძებელი ჩვენ აღრე არ გვექონია.

თავისთავად ცხადია, „რითმთა სიმფონია“ ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რაც რითმის ლექსიყლოგიაში უკვე დაგროვდა. თუმცა, წვენი აზრით, ზოგი რამ კვლავ ვასათვალისწინებელია.

სადევოდ მიგვანია პრინციპი, რაც „რითმთა სიმფონიას“ ღადეო საფუძვლად როგორც შემოთაც გვექონდა აღნიშნული, რითმა მთლიან სიტყვათა თანხმოვნება და არა მხოლოდ სიტყვათა იდენტური ნაწილებისა კლავულოა აღოსა არა ერთ ქართულ პოეტს აქვს გამოყენებული რითმის ვეფხურ საყრდენად. მაგრამ ღ ა ი ქ ა დ ო ს ა ო დ ი ლ ა დ ო ს ა მხოლოდ და მხოლოდ რუსთველის კეთონილება.

სემანტიკური მხარეც რომ გამოვთიშოთ, წმინდა ვეფხონიური თვალდაზრისითაც გაუმარადებულია რითმში მხოლოდ იდენტურ კადენციებზე შეჩერება. რითმა სენითი კატეგორიაა, ამიტომ მასში მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობა თუ თანხმოვანთა შეტანაკლებობა, რომლის არა ერთი ნიმუში „ვეფხისტყაოსანშიც“ შემოგვინება, ანგარიშვასწევი უაქტორია. ზოგჯერ პოემაში სარიტმი სიტყვათა კლავულისწინა თანხმოვნება იდენტური არ არის, მაგრამ ურთიერთ მსგავსია. მაგალითად, 118ბ-ე სტროფის სტრიქონთა კადენციებში რ ღ ზგვრები მონაცვლეობენ: გულმოდულონი-ფერასკულდონი-არ საყრდენი-მხიარულნი. „მეტრი და რითმა“-ს მიხედვით, ამ შემთხვევაში რითმად მინიშნულია მხოლოდ უ ღ ნ ი.

219-ე სტროფის რითმა აღნიშნულია: კლავულოში ერთმანეთს ენაცვლებთან ავლეს (იღეს) იმღეს. მაგრამ კლავულისწინა ბგერათა — ც ვ (წ) წმ-ს გათვალისწინების გარეშე ეს რითმა დიდად გაღარიბებოდა: ჩავოცვადეს-ვეწადეს-გარდმოსწეიმღეს-წმწადეს.

ზოგჯერ საბჭენ თანხმოვანსა და კლავულოას შორის სხვა ბგერათა ჩართვით: მელია-არსაქმენელია-ზვარაზმელია-არ-რომელია (504). არ-საქმენელიაბ წ. თანხმოვანი იმდენად შეუმინწველია სენისთვის, რომ ამის გამო ომთხვე წევრისთვის საერთო მ-ს ღყარგვა და რითმად მხოლოდ ე ღ ი ა-ს მინწვეა მართებული არ უნდა იყოს.

ამასთან ერთად, პოემის ომხარედა რითმში ზოგჯერ უვილა წევრი ბოლომდე შეთანხმებული არ არის და, სრულად ბუნებრივად, რითმად მინწველია ის, რაც საერთოა მისი ომთხვე წევრისათვის. მაგალითად, 573-ე სტროფის სარიტმი სიტყვათა, „მეტრი და რითმა“ მიხედვით, გვადღევს რითმის გ ბ ი თ ა : დაღერ-გებითა-მით ქაქებითა-არ აქებითა-ღარაქებითა.

მაგრამ ხომ დააკარგა ეს შესანიშნავი სარითმო წყვილი: არ აქვითა-ღარაქვითა? ისე როგორც ვერ აისახა: კიდ ერთი-კი დენით (205), რა ვაჭობინო-ვაჯაბრკობინო (216) და სხვ.

თუ რითმის ვაფიგებდით, როგორც თანახმია-ნობის მთლიანი სიტყვებისა და არა მხოლოდ სიტყვათა მარწყობისას, მაშინ თვალდასანახი გახდებოდა ვეფხისტყაოსნის რითმის მთელი ვეფხონიური სამდიდრე.

ქართული რითმის პრაქტიკა ვაჩვენებს, რომ კლავულისწინა თანხმოვანი, იმის მიუხედავად, უშუალოდ გყვრის თუ არა იგი კლავულის, აქტიურად მონაწილეობს რითმის შექმნაში.

საამისო ნიშნებს უხვად ვპოულობთ, კერძოდ, თანამედროვე პოეზიაში. ვრ. აბაშიძის ლექსში „ღეროშები“ პირველი სტროფის სარითმო სიტყვებია: მთლიანი, სვინი, დავითიანი, გორგასლიანი. ერთი შეხედვით, აქ ოთხქრადი მოსაზღვრე რითმა გვაქვს — იანი. ეს კლავულოდა რითმის ოთხივე წევრს აერთიანებს. მაგრამ ამ ლექსის არც ერთ სხვა სტროფში ოთხქრადი მოსაზღვრე რითმა არა გვაქვს. უკლებლივ ყველგან სტრაქონები ქვარდინად არის გარითმული. იქნებ ლექსის პირველი სტროფი ამ მხრივ გამონაკლისია? არა! პირველ სტროფშიაც გართმვის ქვარდინი პრინციპია დატული; მთლიანი-დავითიანი-სვინი-გორგასლიანი. პირველი რითმის თ და მეორე რითმის ს ბგერები რომლებიც უშუალოდ არ ეყვრებიან კლავულებს და საყრდენ თანხმოვნებს არ წარმოადგენენ, პოეტს, როგორც ჩანს, რითმის მარჯობებულ ბგერებად აქვს მიჩნეული, რაც ერთი კლავულოდ გამთლიანებულ ოთხ სარითმო სიტყვას ორ სხვადასხვა რითმად აუაღიბებს. ორიენტირი მთლიან სარითმო სიტყვებზეა ადებული.

საცილობელია პრინციპი რითმის ბუდვში სარითმო სიტყვების განაწილებისა. რუსთველის ოთხქრადი რითმის წევრთა თანმიმდევრობა არ უნდა დიარდვებს. ერთიდაიგივე არ არის რუსთველისეული. მომასმენიე-მოვალხენიე მოალხენიე-შენ იე (1250) და სიმფონიისეული: მომასმენიე-შენ იე-მოვალხენიე-მოალხენიე (გვ. 251).

პირველი სამი წევრი თანმიმდევრობით ხუთ-მარცვლიან ხმოვანებას ქმნის. სარითმო სიტყვების გადასაცვლება გამოიწვია რითმის (ცნიე-ს) წინა ასოთა ანბანზე გაწეობას პრინციპმა რუსთველის რითმა, რომელიც გულისხმობს ოთხი სარითმო ერთეულის ურიორით შეწყობა-შეთანხმებას. „სიმფონიაში“ ფაქტიურად ასახული არ არის. საიდენტრაციო მასალა ახლავს არა რითმას, როგორც სალექსო კომპონენტს, არამედ სარითმო სიტყვას.

სწორ წარმოდგენას რუსთველურ ოთხქრად რითმაზე ამ კრებულის მეორე ნაწილში მოთვსებული „სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები“ გვაძლავს, სადაც სარითმო სიტყვები პოეზიის სიტყვების მიხედვითაა დაჯგუფებული.

ტყუები პოეზიისეული თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი.

ჩვენს მოკრძალებულ შენიშვნებს, ისევე როგორც პოეტიურ დახასიათებას, ამ ნაშრომის შეფასების პრეტენზია არა აქვს.

„მეტად და რითმა ვეფხისტყაოსანში“ უკვე ქართული ფილოლოგთა სამაგლო წიგნად არის ქცეული და უნდა მოველოდეთ, რომ იგი დიდად შეუწეობს ხელს რუსთველოლოგიისა და ლექსმცოდნეობის შემდგომ განვითარებას.

4.

ქართული რედოფიანი რითმა — სრულიად ზეულულებელი თემა, დღემდე შეუწავლელი ასპექტი ჩენი ლექსისა. ვახუშტი კოტეტიშვილის ნაშრომში სპარსული კლასიკური რითმის შესახებ, რომელშიაც საგულდაგულოდ არის განალიზებული რედოფის სტრუქტურა, დაგვაფიქრა ამ საკითხზე და ვინდა ზოგერთი დაკვირვება გავაცნოთ მკითხველს.

სამათნოვას ლექსებში სტრაქონთა ბოლოება ჩეულუბრავად შედგენილი რითმით არის შეკრული, რომლის უკანასკნელი სიტყვა (თუ სიტყვები) უცვლელად გადადის სტრაქონიდან სტრაქონში:

სამათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოვიან მინდა გული შედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვიან!

შენი უბის ბროწევისს ნამალი ვერ მიშოვიან! თაგი მტკეია, გული მტკეია, წამალი ვერ მიშოვიან.

სამალი ვერ მიშოვიან — და ხმალი ვერ მიშოვიან — ნამალი ვერ მიშოვიან — წამალი ვერ მიშოვიან რედოფიანი რითმა. ზოლო მისი უცვლელი ნაწილი ვერ მიშოვიან — რედოფი, რედოფი ქართულად დამატებას წიშებს. იგი ერთვის სარითმო სიტყვებს: სამალი — და ხმალი — ნამალი — წამალი. ზოგჯერ რედოფი იმდენად შერწყმულია რითმის ცვალებად ნაწილთან, რომ მისი წამოცილება შეუძლებელი ხდება:

ყოველ დილას ვამოვიდე, მზე ვიყუო! თქვენს ეზოში ვადარგული ზე ვიყუო, მოვანდები, ცულს წუ დამკრავ, დე ვიყუო შენი კარის მეზობელი მე ვიყუო.

(სხვათაშორის, სამათნოვას ამ ლექსის პოტივზე დაწერილ მშვენიერ სიმღერაში, რომელიც კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს ეკუთვნის, ტექსტის რედოფიანი რითმა დაკარგულია.)

რა იქნება, შენს მახლობლად მეც ვიყუო შენს ეზოში ვადარგული ზე ვიყუო.

მეც სიტყვის ც ნაწილავი აზრობრივ შეეხება-მობასაც იწვევს და რედოფიან რითმასაც ამბობს (წყებს).

ცენტრი მარჯნიდან მარცხნივ გადმოვიდა, რით-
მა მარცხნიდან იწევება და არა მარჯნიდან.

შველევართა ერთი ნაწილი კიდევ უფრო
შორს მიდის. ცალკეულ ნიშნებზე დაურღწო-
ბით ისინი გაბედულად აყენებენ რითმის შებ-
რუნების პირობებს: არა თუ თანხმობის ცენტრ-
რი გადმოვიდა მარჯნიდან მარცხნივ, არამედ
მთლიანად შებრუნდა რითმა, მახვილსშემდეგომი
თანხმობა, საერთოდ მოაშალაო.

ახლა თუ ისე, ცალკეული ექსპერიმენტის მნი-
შვნელობას აზვადებენ თუ საერთო ტენდენ-
ციის ნიშნებს ნახულობენ, კვლევა-ძიების პა-
თოსი იქითვე არის მიმართულია, რომ რითმას
არ ამოუწურავს თავისი თავი, არ გამოსულია
მწიფობიდან, პოეზიის არენა დასტოვოს და სა-
მუზეუმო ექსპონატად იქცეს, კიდევ არა ერთ-
თმ კუთხით შემობრუნდება იგი, არა ერთა ახა-
ლს ასპექტით გამოაშუქებს. არა ერთხელ გვა-
გრძნობინებს ესთეტიკური ტემპობის ძალა.

ვეცნობით ამ პოლემიკას და თვალს ვადევ-
ნებთ ქართული რითმის განვითარების გზას. სა-
გალობელთა ემბრიონალური რითმა, ხალხური
პოეზიის ვაგლენით, თანდათანობით საღვებო
სტრუქტურის ორგანული ელიმენტი გახდა;
რუხოვლება განაშტკიცა და დააყარა კლასი-
კური რითმის მწიფობის პარამონია, ბუნება შე-
ტისმეტად დაატეო, დააშარბათა იგი; რომან-
ტიკოსებმა სავანებოვად დააკოვლეს და ვადა-
რიბეს რითმა; საშოკიანობებმა ხალხური ტენ-
დალობა მისცეს მას და, აი, ჩვენს საუკუნეს და-
საწყისში რითმა კვლავ ახალი რეფორმის წინაშე
დგება, ძირფესვიანად იცვლება მისი სტრუქტურ-
ული სახე. რითმის ეფფონიური ცენტრი სარია-
თით ერთფულთა ბოლოდან თავში გადაიშლის:
სტ ა ნ ქ ა - ხ ა ნ ქ ა ლ ი.

გალაკტიონ ტაბიძე, რომლის ლექსიდანაც
არის მოტანილი ეს ნიმუში, ოციანი წლების
დასაწყისში ერთ თამამ ექსპერიმენტს გვთავა-
ზობს: რითმის ეფფონია მთლიანად და სავსებით
სარიით ერთფულთა საწყის მარცვლებზეა გა-
დმოსულია.

პოეზიაში „მოგონებები იმ დღეებისა, როცა
იღვრა“, ასეთი სტროფებია მოთავსებული:

ახ, რა მოხდება... მაგრამ რა ვიცი
ქვეყნების კოდის...
ზურჩულით ამბობს პატარა კაცი
და ჩუმად მიდის.

ვენერა შეერთა — ზუ, გესმის სრულა?
ა? — არაფერი. *არქონული*
გესმის სრულის ხმა და ტანებზე ქრთქსკს
ნალარა, დაფი?


ჭარბდინი ვარიანების სისტემა, რომელიც თა-
ვიდან ბოლომდე ვასდევს ამ პოეზიას, ციტირე-
ბული სტროფების სარიითო ადგილებში ამგვარ
აქუსტიკურ თანხმობას გვაძლევს: ვოცო-კაცი,
არაფერი-დაფი.

ყოველად წარმოუდგენელია გალაკტიონი და
ასეთი „რომები“. ამ რაღაც სხვა ამბავია. შეე-
დფართ სტრიქონთა ხილრმეში და იქიდან გამო-
გვაქვს უფრო სრული სარიითო ერთფულთა:
მ ა გ რ ა მ რ ა ვ ი ც ი — მ ა ტ ა რ ა კ ა ც ი ; ა ? -
არ ა ფ ე რ ი - ნ ა ლ ა რ ა დ ა ფ ი. სენსა მისც
ვერ იჭერს რითმას. მაგრამ კარგად დავაყვირ-
დეთ? — მ ა გ რ ა მ რ ა — მ ა ტ ა რ ა ; ა ? - არ ა -
ნ ა ლ ა რ ა. როგორც ვხედავთ, ეფფონიური თა-
ნხმობა სარიითო ერთფულთა თავშია გადაშო-
ტანილი, რითმის ბოლოები კი შეუწყობელია.

ეს საინტერესო ექსპერიმენტი დღესდღეო-
ბით, ცხადია, ექსპერიმენტადვე რჩება, მაგრამ
იმაზე კი მიგვანიშნებს, რომ რითმის ფონეტი-
კური სტრუქტურა ცვალებადია და, არაინ იცის,
რომელი ემოქა მის რა თვისებას მანიჭებს უპი-
რატესობას.

ქართული რითმა, რომელსაც ენის მდიდარი
ფონიური შესაძლებლობანი და ხალხის უზრე-
ტი ფანტაზია ასაზრდოებს, მარად უწყვეტი გან-
ვითარების პროცესშია, VI-VII საუკუნეებამდე
მოკიდებული, როცა პირველი მწიფობარული
რითმა უფალ ა-შეუვალი ვაბრუნდა, იგი
მთელი სიმკიცითა და შეუვალობით სტრიქო-
ნების ერთფულად დარჩა და უდავო ქართულ ლექსს
და დღესაც ყოველი ბეშმარიტი პოეტის ნახე-
ლავში უპრეტენზიოდ ემსახურება ესთეტიკური
განცდის უმაღლეს მიზანს.

ურიითო, თავისუფალი ლექსი, რომელმაც
დღეს ფეხი მოიკიდა ქართულ პოეზიაში, მხო-
ლოდ ერთი განსტობაა ჩვენი ვერსიფიკაციისა,
მისი ერთი ასპექტი და არა რითმიანი ლექსის
გაქრობის მაუწყებელი. რითმა კვლავაც დარჩე-
ბა, მას ღრმად აქვს ფესვები ვადგბული ჩვენს
წყობილიტყვობაში და ფეხთ ჩვენს ერის ფსი-
ქიაში. წურღ მოშველებოდეს ქართველ მკი-
თბებელს ის უტყბენი განცდა, რასაც რითმის მო-
ლოდინი ჰქვია.



ნაწილი 303

წარსულის მივიწყებული ფურცლებიდან

გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე სამწერლო ან-
პარსზე გამოცემა მე-19 საუკუნის 80-იან
წლებში და ჩაება საზოგადოებრივი ცხოვრებას
ფურცლებში.

გრიგოლი ბავშვობიდანვე ნიჭიერი და მკვირ-
ცხლი გონების უფალია. მისი თანამედროვეებმა
გადმოაცვიმენ, რომ გრ. აბაშიძე გიმნაზიაში
წესდამდე წერდა ლექსებს. გიმნაზიაში სწავ-
ლის პერიოდში კი დაეწაფა თვითგანვითარებას
და ვაქცნო არა მარტო ქართულ ლიტერატურ-
ას, არამედ რუს და უცხოელ მწერალთა შე-
მოქმედებასაც.

გიმნაზიაში გრიგოლი ბეჭითი და ნიჭიერი
ამხანაგების წრეში იყო მოქცეული. მას ურთა-
ერთობა ჰქონდა გიორგი ლასხვილიძეს, ნიკო
მარტან, დუბუ მებრეტან და აქტიურ მონა-
წილეობასღებულობდა გიმნაზიის მოსწავლე-
ების მიერ დაარსებულ ეურნალ-გაზეთების —
„სხივის“, „თარის“, „სტივის“ გამოცემაში,
აქვეყნებდა რეგულარულ ორიგინალურ, ისე ნა-
თარგმნ ლექსებს.

გრიგოლის გიმნაზიისდროინდელი მეგობარია,
შემდეგში ცნობილი პოეტი დუბუ მებრეტელი
იგონებს: „მე და გრიშა გიმნაზიის მეორე კლას-
სიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ოსხი თუ ზუთი
წელიწადი თითქმის სულ ერთ „სკამზე“ ვისხე-
დით და ვეჭებდებოდით ერთმანეთს ლექსების
წერაში (ჭერ ისევე მესამე კლასში ზვენ ზელნა-
წერ გაზეთისადმი ვცემდით, რომელსაც „სხივი“
ერქვა, შემდეგ „თარი“-ს გამოცემა დაიწყო,
რომელიც სულ ლექსებისაგან შესდგებოდა),
თუმცა ის მჭობდა კადეც. მაშინდელს გაზეთ
„თეატრში“ ბევრი მისი ლექსი დაიბეჭდა „ა-

თორელი“ ფსევდონიმით, მე კი მხოლოდ მერ-
ვე კლასში ვიყავი, როცა პირველი ზემო ლექსი
დაიბეჭდა „თეატრში“.

გრიგოლი თავიდანვე უფალია დაინტერესე-
ბული პოეზიით, რასაც ზელს უწყობდა გარე-
მო, სადაც პოეტს უხდებოდა ცხოვრება. ნათე-
საური ურთიერთობის გამო ის ზშირად იმყო-
ვებოდა იმ დროის ცნობილი ქართველი ინტე-
ლიგენტების წრეში, ხედებოდა აკაკი წერე-
თელს, შამია გურიელს და სხვა ქართველ მო-
ღვაწეებს. აკაკის მაღლიანი ქნარის გაფენა ად-
რევე განიცადა მან.

გრიგოლი თავდაპირველად გიმნაზიის პან-
სიონში ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელ მამამისმა
ვერ გადაიხადა სწავლის ფული და ბავშვი
პანსიონიდან დაითხოვეს. დავითმა შვალი ჯაა-
ზინავა იათფასიან სასტუმრო „აკაკაში“. ამ
შემთხვევაზე გრიგოლის ცხოვრება სულ სხვა
გზით წარმართა.

დუბუ მებრეტელი გადმოცემაში:

„რა ღღესაც კი გრისა სასწავლებელში არ
მოცილოდა, გაიქცეოდი ხოლმე მასთან სასტუმ-
როში.

— გრისა... სად არის გრისა? ავად ზომ არ
არის? — მივაძახებდი შესვლისთანავე მზა-
ხურს.

— ავად კი არა. ამ დღითვე ის საკრებად
წაქვდა კნაფენა X-ს მინდორში. — შეტყობა
მსახური ღიმილით.

ღიას, მაშინ, როდესაც ზვენ ვსწავლობდით,
გრისა, რაკი პანსიონიდან გამოვიდა, უვაილდ-
ზის საკრებად მიხვეებოდა ნაყნობ კნაფენებს.
რასაკვირველია, ამისთანა მღგოსპარეობაში სწა-

ვინა აღარ შეიძლება და გრძელ იმედი კლასში იქნა დატოვებული“.

გრივლი ჯერ გიშნაისის იმედი კლასში ჩარჩა, შემდეგ კი 1855 წელს გარიცხეს, რამაც უფრო აურთა გზა-კვალი, მთლიანად ჩაითრია ქვეყმა, დროსტარებაში ქუთაისის უსაქმურ ახალგაზრდებთან. პოეტმა ანთმა ცხოვრებაში მატერიალურ სიღატაკში ჩაიკვლო, მაგრამ მალე მას მხსნელად მოვედინა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ის თავის ვაჟად „ივერიაში“ მიიწვია. 90-იანი წლებიდან გრივლი ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა. აქვეყნებდა როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ლექსებს, ბეჭდვდა პოლიტიკურ და საპირბორტო საკითხებზე სტატიებს. მისი ფსევდონიმები იყო „შროშანი“, „მე-ნავე“ და „ცინი“.

გრივლის ლექსები მკითხველთა წრეში დიდი მოწონებით ხარგებლობდა; მსუბუქი, დავეწილი ენით წერდა. სახამოუნო საყოფაც იყო მისი ნათარგმნი ლექსებიც.

თავისი სიცოცხლის ნახევარი გრივლი ახალწინამდელ და სამაისო ქუთაისში გაატარა. პოეტის ლექსთა კრებული პირველად, 1901 წ. ქუთაისში იქნა გამოცემული ავტორის სურათითა და მოკლე წინასიტყვაობით. ამ კრებულში მოთავსებულია ორიგინალური და თარგმნილი ლექსები. ეს არის პირველი წიგნი მისი ლექსებისა, მეორე ნაწილის გამოცემა ჰქონია ვანზარბული, მაგრამ არ დასცალდა.

1901 წელს ლექსთა კრებულს გამოსვლა იყო უკანასკნელი ნუგეში პოეტისა, რადგან ამ დროისათვის ის უკვე დაავადებული იყო და უწყვეტად საქმიანობას ჩამოკიდებული. გრივლი თანდათან ცუდად ზღებოდა. მას დაეტყო სერვიული აშლილობა. ახლო მეგობრებმა ის სამკურნალო პეტერბურგში გაუზღვეს. იქ მოათავსეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, მაგრამ უკვე აღარაფერმა უშველა და 1903 წ. 9 მარტს პეტერბურგში გარდაიცვალა.

გრ. აბაშიძის ლექსთა კრებული მეორეჯერ 1936 წ. აქნა გამოცემული, მაგრამ ესეც არ არის სრული, შიგ არ არის შეტანილი ყველა ის ნაწარმოები და კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა მე-19 ს. 90-იან წლების პერიოდულ პრესაში. გარდა ფურცალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისა და სტატიებისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კვეციძის საბ. ზელნაწერთა ინსტიტუტში ინახება პოეტის გამოუქვეყნებელი ნაწერები.

გრივლი დავაისი ღე აბაშიძე პირითადად ილიასა და აკაკის მიმდევარია, იცავს თუნბს — ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ხელოვნება ხალხისათვის, საზოგადოებისათვის; პოეტს უნდა ემსახურებოდეს ხალხს, აზიარებ-

დეს მის ქირ-ვარამს, იყოს მისი ქმედება, ფიზიკური გუშაგი და თავისი ჩანაცვს ყვერფო ხალხში განამტკიცოს მშობა და ერთგულება“.

პოეზიაზე გრ. აბაშიძის შეხედულების უფრო ნათლად წარმოადგენსათვის საქმაო მხანაღს ვეწვდის მისი კრიტიკული წერილი: „ბ. კიტა აბაშიძე და მისი მწავარი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ“. ავტორს ვერ მოუწრია ამ წერილის დასრულება. ეს სტატია ერთხელ კიდევ ნათელყოფს გრ. აბაშიძის ლიტერატურულ შეხედულებებს. წერილი გარკვეულია ცნობილი ქართველი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის შეხედულება გასული საუკუნის 90-იანი წლების მოღვაწეებზე.

როგორც ცნობილია, კიტა აბაშიძემ 1894 წ. ფურც. „მომავლი“ (№ 7, № 9) გამოაქვეყნა სტატია „ცხოვრება და ხელოვნება“, რომელშიც დაახსიათა 90-იანი, წლების მოღვაწეები, გარჩია მათი ნაწარმოებები იმ თვალსაზრისით, თუ რა ღვაწლი მიუძღვის თათოგულ მათხანს ლიტერატურის განვითარებისა და ქართველი ერის გათავისებობის საქმეში, მწერლებს მრალად დაეო უსიბიძში, ურწმუნოება, ურყო-მედება და სულით უმწურება. კიტა წერდა: „ამგვარი მწერლობის უპირველესი წარმოადგენელია პროზაში შ. არაგვისპირელი (მოთხ. „შემაღლობ, უფალო, ვამაღლობ“, ირემო შემაღაუ“, „ეს არის ჩვენი ცხოვრება“), დეანოზაშვილი, რომლის პესიმოზში უფრო სენტიმენტალურია და თანც ნაზი. ისიც ვერსადა ხედავს საწუვეში რასმეს ვერც ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულებაში („პუბელი“, „სწეული“), ვერც საზოგადოებისა და პირადობის დამოკიდებულებაში („დაღუბული“), ვერც ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში („სწეული“ და „ის კი მადიოდა“).

და კლდამშვლის იუმორისტულ ნაწერებსაც ეტყობა სედიანობა, ივც კაცთა უმწურებისა და ცოდვიანობის ამლიარებელია და პესიმისტური იუმორით აზავებს თავისს სიბრალულს დაღწერად ვმართა შესახებ („სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედიანაძელი“, „ქამუშაძის გავიკრება“ და სხვა).

პოეზიაც არ ჩამორჩება პიონის სედიანობისა და დაღწერმილობის გამოხატავაში. ჩვენი ახალგაზრდა პოეტები (მ-ნი ცხელი, თ. აბაშიძე, ბ-ნი ედოშვილი) საზოგადო გლოფისა და მწუხარების გამოშხატველნი არიან. ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ პოეტური ბუნება მათი ისეთის თანდათანობითა და სისასტიკით ვერ თვისებს ამგვარს სულის მიმართულებას. მათ სურთ სიცოცხლე, სიცოცხლეს ადვილად ვერ ჩამოშორდებიან და თავს იმედს კიდევ არ უკა-

1 გაზ. „ივერია“, 1903, № 65.

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქ. კვეციძის სახელ. ზელნაწერთა ინსტიტუტი, s 5147.

რგვენი, თუმცა ვადაღინებთი დაიშვებოთ თა-
ვისა სწორად უფრო უიმედობის ცდებსლის მაი-
ვენებელია და სულის დრმა კავშირისა... ჩამოთ-
ვლილ პოეტთა შორის თ. გრ. აბაშიძე უფრო
წილობითი პენსიონარია, კიდევ მეტიც, უფრო მხნე-
ობას იჩენებს, მაგრამ ვერც ის ამოიხრებია დღე-
ინდობისა და მის ლექსებსაც ასეა მწუბა-
რების დრმა ბეჭედი".¹

გრ. აბაშიძემ თავის დაუსრულებელ სტატია-
ში — „ბ. კობა აბაშიძე და მისი მსჯავრი ჩვე-
ნი ახალგაზრდობის შესახებ“ („მოამბე“, №7 და
№8) აკრიტიკებს კ. აბაშიძის შეხედულებას
მე-იანი წლების ქართველ მწერლებზე:

„ჩვენ არა გვგონია, რომ ბევრი მოიძებნოს
წიგრი წრეში ჩვენი მკითხველებისა ისეთი,
რომლისგანაც ამ წერილს გამოეწვიოს თანა-
გრძნობა და ლისტური, ანუ ბევრი აღმოჩნდეს
ისეთი ქართველი, რომელიც იმთავითვე იმედ-
ობისა, რწმენისა და ურდლის მომთმენი ენერჯი-
საგან არის შეზავებული და მხოლოდ ამათს
მეოშებით არ დაუტარებდა თავისი ეროვნული
სახე და გზა, დეტანების ანუ უწინდელი ვადე-
ბის ახალგაზრდა პუბლიცისტებისა“.²

გრ. აბაშიძემ იცის, რომ ისეთ იოულ საკა-
თსებზე მსჯელობა, როგორც არის ამა თუ იმ
ერის წარსულისა და აწმუის დაფასება, მის
მოპაველზე სწორი დასკვნის გამოტანა, რომე-
ლიმე თაობის ლიტერატურულ შეხედულებათა
კრიტიკული შეფასება, დიდ დროს მოითხოვს,
შიმე ამოცანაა, მისი მოღვაწეობის ფარგლებს
სცილდება, მაგრამ „ჩვენ თუ კალამს ხელი მო-
ვუკიდეთ—მხოლოდ ამახათვის, რომ, როგორც
ერის ქართველს, ხა ამოველო ამეთს სასო-
წარკვეტილ ვადების წინააღმდეგ და ამით გა-
მოეწვივა უფრო მომზადებულია ამ საგნის
შესახებ მსჯელობა, გამოკვლევა და მსჯავ-
რი“³, წერს იგი.

პოეტი არ ეთანხმება კრიტიკოსს, როცა ეს
უყაანკნელი ამბობს: „საგნის შესახებ შეიძლე-
ვა მხოლოდ შედარებითი მსჯელობა იქნაოს
კაცმა. შედარებ სავანს ან მისავე მსავანს სა-
განს და გამოარკვევ მათ შორის მსავანებსა და
განსხვავებას, ანადა შედარებ სავანს შეგან
შექმნილს იდეალს და იმის-და მიხედვით მსჯავ-
რისა სდებ ამა თუ იმ საგანს“⁴.

კ. აბაშიძის ამ სახელმძღვანელო პრინციპს
პოეტი შემდეგს უმატებს: „ჩვენის ფიქრით ან
მოსაზრებას მხოლოდ მაშინ შეიძენს აქსიომა
ანუ უტყუარის ქვეშაობების ძალას, როდესაც
დაფუნაქტებთ, რომ საგნის შესახებ შეიძლება

იქონიო მსჯელობა კიდევ მაშინ, როდესაც იმ
საგნის დღევანდელს სახეობას შეუდარებ მის-
სავე სახეობას წარსულში: მაშინ და მხოლოდ
მაშინ შეიძლება უტყუარი დასკვნა გამოიყვანო
მისის პროგრესისა, თუ რვერსის შესახებ და
შეესო მისს იმედას თუ უიმედობას“¹.

გრ. აბაშიძე შემდეგ ეტება საშოციაანელთა
დაწალს, ნათლად აფასებს მათ თავდადებას სამ-
შობლობათვის, ერის კეთილდღეობისათვის:
„ბევრი დაეა არ უნდა მას, რომ შესამოცე წლე-
ბის ჩვენი მოღვაწენი ქართველის ერის გულში
უყვადენი დარჩებიან, რომ მათ მიუძღვით თავის
ერის წინაშე წმიდა და დიდი დეაწლი, რომ
ამ ერის საქთილდღელო და სახეღნიერო სატრო
ტრაქტზე მათ დასვენ მსხვერპლად თავისი გუ-
ლი, სული, ენერჯია, საყვარული და ყოვლად
ძლიერი მოუსუიდელო უმანყო გრძნობა მამუ-
დისშეილობისა, არავის არ შეუძლიან სოქვას,
რომ ის მიმე უღელი, რომელიც მათ კისრის
ძვლად უხრებდა, — ბრწვინავლედ არ მოსტან-
დენი მათ აქამომდე და სასოცოცლო იმედით
არ გარდაელოცობს თავანთ მექვედრეთათვის,
შემდეგის ახალგაზრდობისათვის, ეს ყოველთვე
ნათელი ქვეშაობიტებაა, მაგრამ მათ მოქმედებას
და ერის წინაშე დამახაბრებასაც აქვს თავის
საწლავია“².

ახე დიდ შეფასებას აძლევდა მე-იანი წლე-
ბის მოღვაწეებს გრ. აბაშიძე, ერთმანეთს ადა-
რებდა მე-იანი და მე-იანი წლების საზოგადო-
ებრივი ცხოვრების პარობებს, ქვეყნის ეკონო-
მიურ მდგომარეობას და თავისი დროის თაობის
როდს ქვეყნის ვანეთარების საქმეში. პოეტი
წერს: როცა კონვექტურის ფაქლი, ვულდა-
მწვიდეობი აქსნიო მას, თუ რა იყო ვუშინდ-
ლი დღე ჩვენის ცხოვრებისა და რა არის იგი
დღეს, დავრწმუნდებით, რომ სატირალი არა
გვაქვს რა: დავრწმუნდებით, რომ ისეთი „უა-
როგარამობა“, „უენერჯიობა“, „უსინტიმობა“
და „დედობის უქონლობა“, როგორც აღნიშნუ-
ლი აქვს ბ. კ. აბაშიძეს ჩვენის ახალგაზრდობას
შესახებ, არა თუ მართალი არ არის, არამედ მო-
კლებულია ყოველსავე დავირებისა, ფაქტორის
ნიადაგს და პირდაპირ ფანტაზიის ნაშთია“³.

გრ. აბაშიძის აზრით, კ. აბაშიძე მხოლოდ
მე-იანი წლების მოღვაწეებს მიჩინევს ერის
გამოთახილდებელ ძალად, ქართველი მწერ-
ლობის აზრის მიმცემად, ეროვნული თვითშეგ-
ნების დამწერგავად, — ეს კი ავტორის გამოუხ-
ყადელი დანაშაულია, „შეზადევა იმ წმიდა-
თაწმიდასი, რომელსაც ჩვენ „ადიდებულ წარ-
სულს“ ვუწოდებთ და რომელიც შეურყვევლ
საწირკვლად უნდა ჩიუთარის ჩვენის სანატრ-

¹ კ. აბაშიძე, „მოამბე“, 1894 წ., № 9, გვ. 62-63

² კ. კეკელიძის სახელ. ხელნაწერთა ინსტიტუ-
ტი, S. 5147.

³ იქვე.

⁴ იქვე.

1 იქვე.
2 იქვე.
3 იქვე.

ლის მომავლის აუჯანყებლობის. აღდგო ჩვენი ახტორის ნაუწყებო, ძველი მწერლობა, ზეპირ-გადაცემები, ძველი ნაშთები და ნაწერებები და ნათლად დავრწმუნდებით, რომ ის „ნაციონალური გრძნობა“, რაც ბ. კ. აბაშიძის შესაძლებელ წლების ახალგაზრდობის კუთვნილებად აღუწინავს, შეადგენდა საერთო სადასრულებელ ჩვენს ერისას. ეს გრძნობა, როგორც დედამ ძარღვი ურველის ერისა, ქართველთა თან შერგდილი გრძნობაა, დედის ძუძუსთან შენაწყოვით ამ გრძნობას, როგორც ერთადერთს დიდებულს და შეუბღალავ საუნჯეს სულდერის მიხის დიდებუ-სას, ქართველი ხიხლითა და სორციით იცავდა და ერთს წამს არ სცილდებოდა მას.¹

ეს აზრი იყო ეს არ უნდა ვავიჯეთ, რომ გრ. აბაშიძემ მშ-იანი წლების ახალგაზრდობის დეაწლი არ იყო. თავის სტატიაში ის რამდენიმე ადგილას სამართლიანად აღნიშნავს სამოციანების დამსახურებებს ქართველი ერის წინაშე, განსაკუთრებით დიდი ქართველი კრიტიკები — ილიასა და აკაკის შრავალმხრივ მოღვაწეობას. ისიც აღნიშნული აქვს, რომ ქართველი რომანტიკოსები: აღ. ჰავეკავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და რვალუზის დამწერები გ. ერისთავი თერგდადურლებს წინამორბედები იყვნენ. ვახუთი საუწყისი მეორე ნაწერის მოღვაწეობის შეფასებაში გრ. აბაშიძე ძირითადად ილია ჰავეკავაძის აზრს ეშუარებოდა, ილ. ჰავეკავაძე კი თ. ვახტანგ ჰამბაკურ-ორბე-ლიანის ბიოგრაფიაში აღნიშნავდა:

„დაწყო მთავრე მეთობედი ამ საუწყისა თუ არა, ეს ნიჭი შეერა ახლა-კი საქვეყნოდ და ბოლოს ვახინსა კიდევ: ცხოვრებამ თავის უკეთესნი კაცი, სამშობლოს სუყარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-იქით მიხედ-მოახედუ, ურფილად თვალთ ვადავლებინა და არსებულსაც. მოკითხებს რა წილთ რველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა ვანებდა და გული მამინდელ ყმაწვილდაცობისა, ხადა-ნაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. უფიანი, ორნი გორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, ოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათაშვილი, აღ. და დამ. ორბელიანები, მშენი, ჰვენას პოეტისა და ბეტრნი სხენი, რომელთაც სახელგნად იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სუყარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე ვაჩინა მათა სახელოდ. ამ მართლა-და ბრწინავალე წრეში ტრფიალებდა სულითა და გულით თ. ვახტანგ ორბელიანი და, რა თქმა უნდა, მის სიყმაღაწვე გამოყოლილს სუყარულს სამშობლო ქვეყნისას ამ

წრეში უფრო აესზოდა ფრთები, უფრო დიდი სიგრძე-სივანე მიუცემოდა“.

კ. აბაშიძის შეხედულებებს წინააღმდეგ ტავის დროზე გააღაშქრა ცნობილმა რეკლუციონერმა და ლტერატორმა აღ. წულუკაძემ სტატიაში „ახალი ტიპი ჩვენი ცხოვრებაში“. ვამ წერდა: „ამ ბოლო დროს ზნისად ვახსის ხამდურავე ჩვენ მწერლობას; მას დაწვრილ-მანებას, დაცინებას, უშინაარსობას წამებენ, უმეტესად მე-მე-ე წლების ბელეტრისტიკას მე-მე-ე წლების ნაწერებს ადარებენ: მწუხარებით და გოღვით აღნიშნავენ პირველის დაქვეითებას, აღტაცებით იგონებენ მეორის დიდ-აზროვნებას, დიდ-მინაარსიანობას, მხოლოდ დახაზუებით არავეს წარმოსუტქვამს ჭერ ამის შესახებ თავისი აზრი; თითქმის ყველა უცხო ქვეყნების იმავე მოვლენასზე გვითითებენ, და მწერლობის საზოგადო რეაქციას გვეშტაკებენ (რასაცვირებელა უსაბულოდ). ჰვენ სრულიად უაქვად არ ვაქვებს ახაზე საუბარო. ვაჭრით ე-ბეჭდა მხოლოდ, რომ ეს ბრალდება სამართლეს მოკლებულია, მას არავითარი უაქტიური დამტაკებუა თან არ სდევს, იგი მხოლოდ ხანის შეუსწავლულობის მიზეზია და არა მეცნიერული კრიტიკის დასკვნა.

ახა ვადაფურცელთ ჩვენი ტრანალ-ვაზეთები, თუ დინა, მთუდომელ, ცნობიერ კრიტიკას იმყოფთ. ყველგან და ყოველთვის საზოგადო ტრანებს ამოკითხავთ: ჩვენი მწერლობა დაეცა, ის ამრდილიც აღარ არის თავისი წინამრბოთ და სხვ. ვან ეს ახვა?

მოვლენათ უყანაქვებ წლების მოთხრობებში: ე. ნინოშვილისა, მეღანიასი და ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელისა და სხვა, ვავისხნოთ რა სინამდვილით და ზოგი ბელეტრულადაც ხატავს ცხოვრების სურათებს, რა სამარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდმნიშვნელოვან ფაქტს.

ზმირათ თუ რომელიმე მოთხრობის დუხანბა გვიქირს, ამის მიზეზი თვით ჩვენ მიერ ცხოვრების უტოლიანობაა. ამნაირი გულგრილობა ჩვენი ბუნების ბრალი როდია, მას თავისი ქვეყნის შეუსწავლობა უღვეს სარჩულათ, ამის მიზეზი ვარემო პირობათა შეუგნებლობა ვახლავთ.²

კ. აბაშიძის შეხედულებების წინააღმდეგ გაიღაშქრა ქართველმა მწერალმა გ. წერეთელმაც სტატიაში: „ტიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“.

როგორც აღნიშნეთ, პოეტი არ უარუფს სამოციანი წლების როლს ქართველი ერის გათვითცნობიერებისა და საზოგადოების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით ილიასა და

¹ კ. კეკელიძის სახელ. ზენაწერათა ინსტიტუტი, თ: 5147.

¹ ილია ჰავეკავაძე, წერალები ლიტერატურაზე და ბელოვნებაზე, ნაწერების. სრული კრებული, ტ. IV, გვ. 268.

² გზ. „ქალი“, 1898 წ., № 44.

აქაცის ღვაწლს, მათ თვლის „მეზაირადტრე-
ზად“, „ერის წინამძღოლებად“, მაგრამ ვრ. აბა-
შიძემ ისიც იცის, რომ 60-იანი წლების თაობას
მომზადებული ნიადაგი დახვდა მე-19 ს. პირ-
ველ სახეგრის მოღვაწეობისაგან.

ახლა გავუცნოთ ვრ. აბაშიძის გამოუქვეყნე-
ბულ ლექსებს.

ვრ. დ. აბაშიძის შემოქმედებაში, როგორც
ცნობილია, პატრიოტიზმს სამატიო ადგილი
უძირავს. პოეტის სატრფო, ისე როგორც აკა-
კისა, აღდგორიულად სამშობლოა. მას ერთ
წუთსაც არ შეუძლია უიმიოდ გაძლება,
მთელა გულით ეტრფის და მზად არის სიყო-
ცხდევ შესწიროს მას, ყოველგვარ ტანჯვას
გაუძლებს, ოღონდ თავის სამშობლო იხილოს
ბედნიერია:

„იგი მიყვარს, იგი მომიწონს,
იმას ეტრფის ჩემი ვულო,
მისაგან მაქვს ვრძნობათ წერათ
დამტყბარი და დამაქრული.
იგი არის ჩემი მთავარე
და სამოთხე მარტო ერთი,
ვერ წამართმევს მის თავს ვერინი,
ვერც მეფე და ვერცა ღმერთი“.¹

ასეთივე ხასიათისაა ლექსი „აბასუმი“. პოეტი
სამშობლოსათვის მზად არის ცეცხლში დაიწვას,
საპურობილში გაატაროს თავისი სიცოცხლე,
ჯოჯობეთში მოხედეს, ოღონდ მისი ქვეყანა
ნახოს განახლებული. ვრ. აბაშიძის სალოცავი
ხატი სამშობლოა, წმიდა ტაძარია, რომელსაც
მთელი გულით ემონება:

„მაგრამ, შენ ვფიცავ, ჩემო ღვთაებე,
ჩემო სიცოცხლე და ნეტარება,
შენგნივ ტყვე ვულის მონადირება,
ვერ მოვფეგარე, ბედნიერება!
შენვე უყვარხარ, შენვე გივალობს,
შენთვის აფრქვევს ცრემლს, შენთვის
ვალალობს
ბედნიერად სთვლის მით თავის თავსა
რომ შენი სახე ღიმილით სწყვალობს!
გრწამდეს — მზათ არის დაიწვას
ცეცხლში,
მზათ არის დაღუბს საპურობილში,
მზათ არის იგი შენდა სანაცვლოდ
თვით წარსულისა მწველ ჯოჯობეთში“.²

მგონიანი აბრძვის მეფის პიუროკრატიული
პარატის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში იუფ-
ნებს აღდგორიის ხერხს. მე-19 ს. ქართულ
ლიტერატურაში აღდგორიული სახეებით ერო-
ვნული დამოუკიდებლობის იდეას გამოასახე-
ბნარი მოვლენა იყო. ასეთი ხასიათის ლექსია

„ზღაპარი“³. რომელშიც მოქმედ პირებად
გამოყვანილია ირმეზო და შვილი, პოეტი ირმეზო-
საქართველოს გულისხმობს ჯადოტანითა მნიშ-
ვნელობით, ზღოო მელა — მეფის რუსეთის
თავგასულ მოხელეთა სახეა. ამ პოლიტიკურ
— ანტიკორიული თანრის ნაწარმოების აზრი
ასეთია: მელა ერთხელ მიცუნსუღდა ირმეზოთან,
ფარისხველურად გაულღმა მათ. თაყვანი სცა
და შემდეგ თაგი ისე მოაჩვენა, თითქოს ირმე-
ზის სიბრაჟულმა მოიყვანა აქ:

„მეო, უთხრა ირმეზო გროვას, —
სიბრაჟულმა მომიყვანა,
თქვენის კენესით, თქვენის ტანეცით,
ვხედვე იწვის დღეს ქვეყანა.
ტურა-მგლები დაგესიათ
გიმწარებენ ლენასაო,
ეს ყოველი უნდა ვამცნო
ჩემს გამომგზავნ ზენასაო.
მე ვიქნები თქვენი მსხნელი
და შთარეული დღეიდანო,
ვინც ტანჯავდათ, დღემდის, ძმებო,
დავაჭდეებით ზევიდნო“.

მელამ, ირმეზოთან ერთად, თვალთმაქცურად
ცრემლი ღვარა, მეგობრობა და ძმობა აღუთქვა
მათ, ირმეზოსაც სჯეროდათ მისი გაიმტვრული
სიტყვებისა და ხსნას მისგან ელოდნენ. მაგრამ
ერთმა ირმის ნუკრმა ველარ მოითინა ამდენ
ფარისხველური დარბეგება და მელის მიძახა:

გაიმტვრა,
თვალთმაქცო და მატყუარა,
„ნინო“ ვინდა მოვეამნო, —
მერე დაგველა, ვახართ?
გვეო, მელა, ამოდენა
თვალთმაქცობა, დანის-ლესა,
შენმა ტპილმა კლამანჭურმა
ბებრჯერა მწარედ დაგვიკენესა...
ვასწი!... არ გვესურს შენთან, ემარა!
თუნდ მან კადვე მოგვალბინოს,
შენისთანა გადიები
ღმერთთან უფლო შეარცხენოს!...

მელა ამ მოვლელად ასეთ რამეს, ეგონა მისი
მაცდური დამირება კვლავ ვასკრიდა, მაგრამ
მიხვდა, არაფერი გაუვიდოდა და ამ აშხით შე-
ძარწუნებული თავის ბატონთან გაიქცა.

„დრო შეცვლილა —
აღარა ჭრის ჩვენი „ნინა“,
იღარა სწამთ მომადგართ ირმეზს,
მელა-კელა მწენისთანა“

მელას სიტყვებმა უფროსი ჩააფრქვა, მიხ-
ვდა მისი აღსასრულიც დგებოდა.

„მამ უნდა მათ ჩამოეხსნა,
მოვეცალო ტურტა მსარეს,
რადგან ერთ გმირებისა
ჩემს სიცოცხლეს გააწარებენ“

¹ კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტის,
H.3047.

² იქვე.

³ სპ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკე-
ლიძის სახელ. ზელნაწერთა ინსტიტუტი, S:5146



ამ ღექსით ვრ. აბაშიძე ამ აზრს ავითარებს, რომ ქართველი ხალხი გამოადვილებს, ცრუ დაპირებებისაგან გაბრუნებული განოფხანდლება და ბოლო მოედება შეფის მოხელეთა თარგმს.

ვრ. აბაშიძე სამშობლოს უსაღვროდ მოყვარულია. პოეტის წარსულთან დამოკიდებულების საკითხს რომანტიკურად ვაგონებს განაცდობს, ვუღწე სევდამეზომილილ მკოსანს წარსული ასულდგმულებს და მისით ცოცხლობს. ასეთი ხანათისაა ღექსი „სამშობლო“. ავტორი აჯიწერს ამ ხანას, როცა მისი ქვეყანა აჯვარდა, ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი სახელი ცნობილი იყო ყველასათვის:

„ვის არ ვსმენია მისა სახელი,
სახელი ტურფა ივერისა,
რომელსაც თითქმის დასაბამილვე
დღე არ უცდია მოსვენებისა“.

ავტორი ღექსში, წარსულის დახატვასთან, ერთად, მომავლის რწმენასაც ვაღმოგვიკვს. მართალია, გმირთა აღმზრდელი ეს მხარე ეხდა თელავს, მაგრამ კვლავ ელას მძლე ძალას და შეფარდენივით ფრთების გაშლას:

„მაგრამ, რომელიც კვლავ ვაზღებულზე
სიმების ეღრით ელის მძლე ძალას,
შეფარდენსავეთ ხალისიანად
სიშაღუნებდა ფრთებისა გაშლის...“

ვრ. აბაშიძის არქივში დაცულია პოემა „სამი სურათი“. ამ რომელიც აღწერილია ქართველი ვეჯაცების ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. ბევრი ტანჯვა-წვალების მომწირვა მოხუცი მეფანდურს, რომელიც საბრძოლველად ამხედრებულ ქარს მთელი ვულით თანაფრანკობს. მეფანდურს წარსული ტანჯვა-ვაება ავიწყდება, როცა შეიარაღებულ ქართველებს ხედავს. მას სამშობლოსთვის სიკვდილი არაფრად მიაჩნია, იღონდ მისმა ქვეყანამ ამოასუნთქოს. ის ფანდურზე დაამდრს საქართველოს გმირულ წარსულს, ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას, ახსენებს გმირ ვეჯაცებს, რომელთაც სამშობლოსათვის სიკვდილი არაფრად მიაჩნიათ. მეფანდურის სიხარული უსაზღვროა, რადგან კვლავ ხედავს შეიარაღებულ ქართველებს.

„ღვე, იღვაროს ჩვენი სისხლი, ვათარცა წყარო,
რადგან, სიკვდილო, მამულისთვის შენც
ტუბილი ხარო!...“

მა ეს დიდება მიხარიათ დღეს რომ
შესწრება —
დღეს, გამოინდება ვინ ვის დასტყვის; ჩვენ
თუ ჩვენ მტრობა?!

ვინ ხემს ქართველებს, სულზედ უტყვის,
ქველად მტრისა,
ქველ ნანგრევებთან დარაზმდელი, დგინსხვე
დღეს.“

მონობისაგან სიცოცხლე მოხერხებულ ქართველ ვეჯაცებს მაღამოსავით ხვდებია ვულზე მოხუცი მეფანდურის სიტყვები, ერთხელ კიდევ აუტყვრდებია ვული სამშობლოს სიყვარულით და მეფანდურს ერთხმად შეუღაღადებენ:

„შენის ვალობით ერთხელ კიდევ ავიტყვრებთ
გულს,
ივეჯავილებთ მამულისა წმინდა სიყვარულს
და დღეს ვარდავსწყვეტთ მის იღბალსა და
ბედის წერას!“

მეფანდურე ლოკავს ბრძოლაში მიწავალ ვეჯაცებს, რომ ხმაღსა და შეღავს არ ეღაღატოს მათთვის, ვეჯაცურად შეეტიოთ მტრისათვის და ბედის ვარსკვლავად ქვეშაიტება მქონდა, წინამძღოლად კი სამხენეუ და სიმარჩვე მეფანდურს, მართალია, ქველდებურად არ შეუღაღა, მკლავში ძალა არა აქვს, მუხლიც აღარ ერჩის, მაგრამ მხად არის ფანდურის დაკვრით შორიბლო მისიც ვაუვს ქარს და ვამხნევოს პატრიოტული სულისკვეთებით ვაფდენთილი სიმღერებით:

„მე შორი ახლოს, ფანდურის ვერით მოხუცო
თქვენი თქვენი
თან ვეახლებათ და იქნება თქვენი გზის
მჩენი
სიშინითა საესეს ვულით ხმალი მიპურია
ხელში,
მაგრამ ღონე-ვი აღარ მომდევს მკლავში
და წელში...
მაგრამ ბრძოლის წინ ცრემლით მოწირუვავ
ჩემს ვრძელ ქლარას,
დაეკრავ სიმებსა, ვავალობებ სიშინის
ნაღარას!“

მეფანდურე სამშობლოსთვის თავდადებული ქართველის ტიპური სახეა. ვრ. აბაშიძეს ამ მოხუცის ხაზის დახატვის დროა გამოყენებული აქვს საქართველოს გმირული წარსული. საქართველოს ისტორია — ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა ვარსე მტრების წინააღმდეგ ჩვენი კლასიკოსების. მთავარი თემა იყო, საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან მჭირფას მარგალიტებს კრებდნენ. ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვეფ-ფშაველა და სხვები.

პოეტის არქივში ჩვენ შევხვებდა ხალხურ ზეპირგადადმოცემავ დამუარებული ღექსი „სიმღერა ქართველის ქარისა, როდესაც სპარსელები დაამარცხა და ვამარცხებული დამარუნდა ომიდან“.

1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი H.3047.

2 იქვე, s:5149

1 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H:3047.

ავტორი ამ ლექსში აცოცხლებს გმირ ქართველ ვაჟაკთა სახეებს და ამით სურს, თანამედროვეებში გააღვიძოს პატივისცემა წარსულისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, მაგალითი უჩვენოს სამშობლოსათვის თავდადებებსა:

„მამ, მოდი, ძებო, მოვროვდი,
ერთმანეთს მივსცეთ ხელია,
ჩავებათ ყველა ფერხელში,
დღე გვატეპობს სანატრელია!
აბა, კახელო, დაიწყე,
მაღალი უთხარ დეშელო,

ბანი საგმირო ძველებრივ
შემოგვეწიე ქართლელო,
თეშნო, ზეესურნო, ფმაველნო,
ჩერქენო, მკერცბლის რამითა

შემოვერთდით ფერხელსა,
იარად შესხმით, ტაშითა.
მეორე პირად დაიწვებს

მეგრელი — კარგი მოქმელია,
შემოკაჯანებს გერული,
ბანს ეტყვის იმერელია.

სვანი, აფხაზი მოისრე
მთელი შავი ზღვის პირია,
მოვა... თან რაჭა, ლეჩხუმი
ძველად ნაქები ვმირია.

აველა კი ერთად ქართველნი
დამღერენ სასახელოსა
და ძველს დროს გავსენებენ
საუვარელს საქართველოსა“.

პოეტი ხელნაწერში მიუთითებს, რომ ეს ლექსი მისი არ არას, არამედ ხალხურია. ამ ლექსს სხვადასხვანაირად მღერიან რაჭასა და ზემო იმერეთში. „რაჭაში“ ასეთი ვარიანტია პირველი ტაქსი:

რაც კაცის ძალამ ვერ შესლო, —
ის შეარულა ბუნებამ:
შმაგს მესი დასცა, — დაღეწა
პორცლი დაბუნებამ.

საზოგადოდ ეს ხიმღერა ძლიერ გავრცელებულია აღნიშნულ ადგილებში.¹

გრ. აბაშიძის ლექსებში მომავლის დრამა რწმენაა გამოხატული. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ქუთაისის ინტელიგენციის“². ავტორს სჭერა სიმართლის გამარჯვებისა, სჭერა, რომ ურთიერთგაგებობა და ძმობით შეერთებული ხალხი დამარცხებს ბოროტ ძალას და სიკეთე დამკვიდრდება:

ველარაჟინ ვერ აფერხებს
ახალს ძალას, მეგობრობას,
ხალხის გული, მოხუცთ რწმენა
უცხადებენ თანაგრძნობას.
თუ რამ მცირე წრე უწესო
კიდევ დარჩა სადმე ვარეთ,
ერთი-ორი იბერება
და თავსა სთვლის მზეთ და მთვარეთ —
იმისი დღე დათვლილია,
ვერც მოხიბლავს აწ ზვენს მხარეს,
სიმართლის სმა გაიმარჯვებს,
თავხედს როდი ვაახარებს.

გრ. აბაშიძის „უღარდელი დღე“³ ოპტიმისტური ხელისკვეთებით გაუღწეოილა ნაწარმოებია. ავტორი ქედს არ უხრის არსებულ ვითარებას, მონურად არ ემორჩილება, არამედ, ერთგვარ წინააღმდეგობასაც უწევს შემოწოლილ დარდებს:

„შორს, დარდებო, შორს, ნუ მომეკარებათ!
დღეს მე გჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ
წიაღებით,
მიყვარს ღზინი, მიყვარს ძმებთან სიმღერა,
ბაიათი, ტუბილად თარის სიმთელერა.“

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გრ. აბაშიძე მომავალს იმედოვანი თვალით შესცქეროდა, სწამდა, რომ ხიმართლე გაიმარჯვებდა.

1. ქ. კვეციანის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H:3047.

² იქვე, ა:5149.

³ ქ. კვეციანის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H:304.



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

ИНДЕКС
76128

№ 510 80 653.

Handwritten signature or mark in blue ink.

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ